

644

1968

10

3

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ԳՐԱԴԱՐԱՆ

Օրալընդ

5

644  
1961/ფ



# ქალკარი

ლიბერალურ-დემოკრატიული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
შურნალი  
საქართველოს ალკა ც. კ-სა და  
მწერალთა კავშირის ორგანო

7458

5578

# 5

## 1961

### მაისი

გამომცემლობა

„საბჭოთა  
მწერალი“

## შ ი ნ ა კ რ ს ი

ბ. ტაბიძე — რევოლუციურ საქართველოს (ლექსი)	3
ძარბაზი მინის ბარბაქ (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. დ. ჯავახიშვილის საუბარი მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძესთან)	4
დ. ივარღვა — შენ სიკაბუკე გეძახის მარადს (ლექსი)	16
ე. შიშარდნაძე — საქართველოს გაწაფხულის დღესასწაული	17
კ. კალაძე — სახელად ჰქვია გემს „საქართველო“ (ლექსი)	29
რ. ასანუბი — ლექსები (თარგმნა ნ. გურგუნიძემ)	31
სარმანი — ძმობის ხილი (ლექსი. თარგმნა თ. ჯანგულაშვილმა)	33
მ. ფინენაძე — აი ქვეყანა (ლექსი. თარგმნა თ. ჯანგულაშვილმა)	35
ბ. ბანიშვილი — საქართველოს (ლექსი. თარგმნა თ. ჯანგულაშვილმა)	36
ვ. ძინცაძე — საქართველოს (ლექსი. თარგმნა ფ. ბერიძემ)	37
ი. კილაძე — საქართველოში (ლექსი თარგმნა შ. ნიშნიანიძემ)	38



ბ. გავაზი — იური გავაზის (ლექსი) . . . . .	40
მ. კაპაბაძე — ოცეული ვადის წინა ხაზზე (მო- თხრობა) . . . . .	41
ბ. გომიზიძე — იური გავაზის (ლექსი) . . . . .	59
რ. თაგორი — ლექსები (თარგმნა თ. ჩხეიძემ)	60
ლ. გელაძე — * მამარჯის თვლიდნენ წელმადარ გლხად... (ლექსი) . . . . .	62
ს. კორინთელი — ხანამ ცოცხალი ხარ (რომა- ნი. გაგრძელება) . . . . .	63
ს. დემურხანაშვილი — მოთხრობები . . . . .	79

რევოლუციური წარსულიდან

გ. გომიზიძე — კაცი . . . . .	84
ი. ლისაშვილი — ჩვენ და ისინი . . . . .	89

ჩვენი აღმშენებელი

პ. ჩარკვიანი, ბ. ზანტური — ყვარელი, შილდა	94
ბ. გომიზიძე — ქვირთხის აღმშენებელი . . . . .	98
პ. შამთაბაძე — კომკავშირული . . . . .	107
თ. ზარბიჭიძე — ქართული ცეკვის მოამბე . . . . .	112

მეგობრის თვალთ

საზღვარგარეთელი მოღვაწეები სპარტაკოს შესახებ . . . . .	117
---	-----

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ე. გუგუშვილი — თაობათა ესაფეტა . . . . .	136
ბ. ბაქრაძე — ქართული კინოს ახალგაზრდობა	143
პ. ლიტონი — რაბინდრანათ თაგორის ცხოვ- რება და შემოქმედება . . . . .	146
ბ. ძორაძე — ახალი გამარჯვებების მოლოდინში	148

სოციალური მხრიდან

კრიტიკა . . . . .	155
-------------------	-----




რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე


სარედაქციო კოლეგია:

თ. ბაღრაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,  
ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02.



# 40



პლაკატი ჩვენი ჟურნალისთვის დახატა  
ვახტანგ ქოქიაშვილმა



ბადაჯიონ ვაბიძე

რევოლუციურ საქართველოს

რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,  
უდიდესს თავის ნებისყოფით, გმირულს, უადრესს,  
თვალწინ გადაშლილ გარდატეხათ უდიადეს აზრს,  
მრავალი ათას მტკიცე ძაფით დაკავშირებულს;  
აღფრთოვანებას მასებისას, მილიარდიან  
ძლიერ ტალღებად რომ მიღელავს ახალის ძალით,  
უსასტიკესი დაჟინებით რომ ანგრევს კარებს  
მილიონების უფართოეს პორიზონტებთან,  
ნგრევას, ო, ნგრევას, დაუნდობელ ნგრევას ძველისას,  
კარჩაკეტილი ცხოვრებიდან გავიდეთ მზეზე,  
ულმობელო ტრიალს ისტორიის მედგარი ბორბლის,  
რევოლუციურ საქართველოს,  
ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს —  
რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,  
ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!



# ქართული მიწის ბაკაქა

საპარტიველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის  
გ. დ. ჯავახიშვილის საუბარი მწერალ  
კონსტანტინე ლორთქიფანიძესთან

მწერალი. კარგ დროს მოვედი, ამხანაგო გივი. ეს-ეს არის დამთავრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი. თქვენ, რა თქმა უნდა, ისევ იმ დაუფიწყარი დღეების მოგონებებით ხართ საეცე. გთხოვთ, თქვენი შთაბეჭდილებები გაუზიაროთ ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ მკითხველებს.

გ. დ. ჯავახიშვილი. სიამოვნებით. თვით ეს თათბირი ხომ ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ერთ-ერთი დამაჯერებელი გამოვლინება იყო. ამაზე მღელვარედ და მკაფიოდ ილაპარაკა თავის სიტყვაში ნიკიტა სერგის ძემ. წაიკითხეთ ეს სიტყვა?

„ამიერკავკასიის ხალხებმა მამაცობა და სიმტკიცე გამოიჩინეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიულ დღეებში, უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში, აზერბაიჯანში, საქართველოში, სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლის უკვდავი გმირები სარგებლობენ ამიერკავკასიისა და მთელი ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის ხალხთა სიყვარულით...“

ამიერკავკასიის რესპუბლიკების მაგალითით, ისევე როგორც შუა აზიის რესპუბლიკების, რუსეთის ყველა ყოფილი ეროვნული განაპირა მხარის მაგალითით, ჩვენ ვხედავთ, რომ დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ იხსნა პატარა ხალხები ექსპლოატატორთა და უცხოელ დამმონებელთა მიერ მოსპობისაგან. სოციალიზმმა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს დაუსახა გზა ჰემმარიტი აყვავებისა დიდი და პატარა ხალხების თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის საფუძველზე...“

თათბირი გასცდა სოფლის მეურნეობის სპეციალური პრობლემების განხილვის ჩარჩოებს, მან დიდი პოლიტიკური რეზონანსი მოიპოვა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, კიდევ უფრო შეამჭიდროვა ამიერკავკასიის ხალხები პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შესახვედრად, ახალი ძალები შემატა მათ საკავშირო კომუნისტური პარტიის იანვრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

\* საუბარი დაბეჭდილია ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ 1961 წლის მე-4 ნომერში.

თათბირის წინ ნიკიტა სერგის ძემ მოინახულა ჩვენი რესპუბლიკის აღმოსავლეთი რაიონები, რომლებიც მას აქამდე არ ენახა. იგი ესაუბრა კოლმეურნეებს, მექანიზატორებს, ადგილობრივი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელებს, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, საკუთარი თვალთ იხილა ჩვენი ველმინდვრები და, როგორც თავად ამხანაგი ხრუშჩოვი ამბობდა, სულ უფრო და უფრო კარგ ვუნებაზე დგებოდა, ემატებოდა რწმენა, რომ ქართველი მშრომელები შეასრულებენ პარტიის დავალებას, უფრო მეტიც, იგი დარწმუნდა, რომ საქართველოში სარწყავ მიწებზე კარგი ტექნიკით აღჭურვილ მარჯვე ადამიანებს შეუძლიათ წელიწადში ორ-ორი მოსავალი მიიღონ.

მოეწონა მას ჩვენი „შუქურებიც“, როგორც ის სიყვარულით უწოდებს იმ ადამიანებს, რომლებსაც მგზნებარე გული და ოქროს ხელები აქვთ. მათ შორისაა მწველავი მერი კვაპანტირაძე. მან დაამთავრა ათწლედი და ახლა მწველავად მუშაობს.

— ეს ჩვენი დროის შესანიშნავი მოვლენაა, — თქვა ნიკიტა სერგის ძემ, — იმის მეოხებით, რომ ამ ქალიშვილმა დაამთავრა ათი კლასი, მან გაუსწრო ბევრ ძველ და უფრო გამოცდილ მწველავს. განათლებამ მას საშუალება მისცა სწრაფად დაუფლებოდა სპეციალობას.

ნიკიტა სერგის ძემ შეაქო აგრეთვე სოფელ ჯაფარიძის მკვიდრი, ჩვენი სახელმწიფო მექანიზატორი ა. ბენაშვილი. 1960 წელს მან დათესა და ხელის შრომის გამოუყენებლად დაამუშავა ას ოცდაათი ჰექტარი სიმინდი და სამოცდაერთი ჰექტარი მზესუმზირა. 1961 წელს ა. ბენაშვილმა ვალდებულება იყისრა მოიყვანოს ასი ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე სამოცდახუთი ცენტნერი სიმინდის მარცვალი მოურწყავად, სამოცი ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანოს ოცი ცენტნერი მზესუმზირა.

— საჭიროა, რომ ადამიანი მართავდეს მანქანას, — თქვა ნიკიტა სერგის ძემ, — ეს არის ადამიანის გონების გამოვლინება, და არა ის, რომ ქანცაწყვეტით და ცხრად მოკაყული მუშაობდეს მინდვრად.

მწერალი. ქართველები ძველთაგანვე განთქმულნი არიან სტუმართმოყვარეობით. ახლა კი თვითონ სტუმარიც ძვირფასი და სასურველი იყო. თქვენ მასთან ერთად იმოგზაურეთ კახეთში. გთხოვთ გვიამბოთ, როგორ შეხვდნენ ჩვენი კოლმეურნეები საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. კახელები ჩვენს სტუმარს ძალიან გულთბილად და სიხარულით ეგებებოდნენ.

გავიხსენებ მხოლოდ ერთ ამბავს.

ნიკიტა სერგის ძემ მოისურვა იმ მიწების დათვალიერება, რომლის მორწყავაც უახლოეს ხანში გვაქვს გადაწყვეტილი. დილით გავემგზავრეთ კაბრეთში, მდინარე ივრის ხეობაში. იქ ჩამოვიდნენ მეზობელი რაიონებიდან სოფლის მეურნეობის მოწინავენი, ბრიგადირები, მექანიზატორები, კოლმეურნეობების ხელმძღვანელები. გაიმართა გულითადი საუბარი. მათ დაწვრილებით უამბეს ნიკიტა სერგის ძეს თავიანთ მუშაობაზე, თავიანთ გეგმებზე, იმაზე, თუ როგორ აპირებენ ცენტრალური კომიტეტის იანერის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების შესრულებას. განსაკუთრებით მოეწონა ნიკიტა სერგის ძეს საქმის ცოდნა და რწმენა, რომლითაც ისინი თავიანთ შესაძლებლობაზე ლაპარაკობდნენ.

მწერალი. ადამიანებს, რომლებიც საქართველოს მხოლოდ რამდენიმე კინოფილმითა და წიგნით იცნობენ, ჩვენს რესპუბლიკაზე ერთგვარი ცალმხრივი წარმოდგენა აქვთ — მიაჩნიათ ჩვენი ქვეყანა ყურძნის, ჩაის, ციტრუსების, ხი-



ლის, სიმინდის, მსოფლიოში სახელგანთქმული კურორტების, ბორჯომის სამკურნალო წყლისა, წყალტუბოსა და სხვათა ქვეყნად.

გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი . რას იზამ, ეს არაა მათი ბრალი. აქვე უნდა ითქვას, რომ თქვენს ნაწერებშიც ვერ დაინახავს მკითხველი ქარხნის მიღებს, ვერ გაიგონებს საქართველოს ფაბრიკების საამქროების ხმაურს და გუგუნს.

მ წ ე რ ა ლ ი . ვალიარებ, მეც მიმიძღვის ცოდვა, ამხანაგო გივი, ჩვენ, მწერლები, ჯერ კიდევ დიდ ვალში ვართ საქართველოს მუშათა კლასის წინაშე, თუმცა ძალიან კარგად ვიცით, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში შეიქმნა პირველხარისხოვანი ინდუსტრია. საინტერესოა, როგორ არის გათვალისწინებული შვიდწლედში საქართველოს მრეწველობის შემდგომი განვითარების გზები. და თუ შეიძლება, ცოტა რამ წარსულდიანაც გაიხსენოთ...

გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი . კეთილი, ოღონდ წარსულის გახსენებამ ძალიან შორს არ წაგვიყვანოს. ნუ დაგვაფიწყდება, რომ ქართველები ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან მევენახეობასთან ერთად მეტალურგიასაც მისდევდნენ.

ძველი ქართველი მეტალურგების ხელოვნება აღწერილია მრავალ მატთანეში. ეს, სხვათა შორის, ალექსანდრე პუშკინმაც იცოდა. საქართველოში მოგზაურობისას დიდი პოეტი წერდა: „ტფილისური იარაღი ძვირად ფასობს მთელს აღმოსავლეთშიო“.

ქართული ფოლადი უძვირფასესად იყო მიჩნეული ბევრ ძველ ქვეყანაში.

მერე დადგა ავბედობის ხანა, უცხოელ დამპყრობლებთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა ბევრი რამ, მათ შორის ლითონის დნობის დიდოსტატთა შესანიშნავი ხელოვნებაც.

გავიდა საუკუნეები, და მხოლოდ ახლახან საქართველოს მუშათა კლასმა კვლავ აღადგინა ქართული ფოლადის დიდება. „დრუჟბა ნაროდოვის“ მკითხველებმა ალბათ უკვე იციან სოციალისტური ქალაქის რუსთავის არსებობა. ამ ქალაქში ამჟამად სამოც ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს და მუშაობს. ამ მშენებელ ქალაქს ორჯერ დაბადებულს უწოდებენ ქართველები. მისი მშენებლობის დროს ნაპოვნი არქეოლოგიური ნივთები, რომლებიც ახლა რუსთავის მუზეუმშია დაცული, ნათლად მეტყველებენ, რომ პირველად ეს ქალაქი თბილისის მისადგომებთან ჯერ კიდევ ათასი წლის წინ გაშენდა. მისი მკვიდრნი მამაცი მეომრები და უბადლო ხელოსნები იყვნენ. დანგრეული და გაუდაბურებული ქალაქი საუკუნეების მანძილზე აღგვილი იყო პირისაგან მიწისა.

1944 წელს, დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე, დაიწყო რუსთავის მეორედ დაბადება. სანამ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პირველ საამქროებს საფუძველი ეყრებოდა, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქარხნებში, ძირითადად, დონბასში, ფოლადის დნობის ხელოვნების შესასწავლად ხუთი ათასი ქართველი გაემგზავრა. გავიდა ხუთი წელი და პირველმა ქართველმა მეფოლადემ ვარდის კობერიძემ ქართული საბჭოთა ფოლადის პირველი ნაღობი გამოუშვა. გავიდა კიდევ ხუთი წელი და რუსთავის მეტალურგიული ქარხანა სრული მეტალურგიული ციკლით ამუშავდა, უშვებდა კოქსს, თუჯს, ფოლადს, მიღებს, ფურცლებს და მცირე პროფილის ნაგლინს. მგონი, კმარა ისტორია.

მ წ ე რ ა ლ ი . დიას, საკმარისია.

გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი . პოდა, აი დღეს, შვიდწლედის მესამე წელს, ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საამაყო. მაგალითად, ერთ სულ მოსახლეზე თუჯის დნობის მხრივ საქართველო უკვე ბევრად უსწრებს ისეთ ძველ ინდუსტრიულ ქვეყნებს, როგორიცაა იაპონია და იტალია. რუსთავი ახლა უფრო მეტ ფოლადს უშვებს, ვიდრე შვეცია, ნორვეგია და დანია ერთად.



მწერალი. თქვენ აღნიშნეთ, რომ ძველად ქართული ფოლადი ძვირად ფასობდა ბევრ ქვეყანაში, ამჟამად როგორია ჩვენი მეფოლადეების ოსტატობა?

გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დონბასელი მეტალურგების ყოფილი შეგირდები ახლა ისე დაოსტატდნენ, რომ მათთან სასწავლად ჩამოდიან ევროპისა და აზიის შორეული ქვეყნებიდან. თითქმის ოთხი წელია, რაც რუსთაველი ინჟინრების ერთი ჯგუფი იმყოფება ინდოეთში, ბჰილას კომბინატის მშენებლობაზე, ისინი ეხმარებიან ინდოელებს საკუთარი შავი მეტალურგიის შექმნაში.

მეტალურგია მხოლოდ დასაწყისი იყო. ამჟამად მის ბაზაზე რუსთაველში რამდენიმე ტექნიკურად სრულყოფილი შესანიშნავი დიდი საწარმო აშენდა. ასეთია, მაგალითად, აზოტოვანი სასუქების ქარხანა, ცემენტის ქარხანა და სხვა. ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა რუსთავის ცხოვრებაში მიმდინარე შვიდწლედში მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა შექმნა იქნება. აქვე ჩაეყრება საფუძველი გაზისაგან კაპროლაქტამის მიღებას, აგრეთვე მთელი რიგი ნაწარმის დამუშავებას სინთეტური ბოჭკოებისაგან.

ქიმიური მრეწველობა საქართველოს სახალხო მეურნეობის ახალი დარგია. შვიდწლედის განმავლობაში იგი ერთ-ერთი წამყვანი დარგი გახდება. მისი პროდუქცია დაახლოებით ექვსჯერ გაიზრდება.

საქართველოს იმ ახალგაზრდა ქალაქებს შორის, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიქმნა, უნდა დავასახელოთ მეშახტეთა ქალაქი ტყვარჩელი. თუმცა, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ტყვარჩელი მხოლოდ ქვანახშირის ქალაქი როდია. იქ აგებულია მძლავრი ელექტროცენტრალი, რესპუბლიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელექტროსადგურთაგანი.

სულ უფრო იზრდება ქვანახშირის წარმოება აგრეთვე ტყიბულში — შავი ოქროს უძველეს ქალაქში.

შვიდწლედის მესამე წელს საქართველო იღებს ორმოცჯერ მეტ ქვანახშირს, ვიდრე 1913 წელს.

მწერალი. ამხანაგო გივი, როგორც მოგხსენებთ, ქვანახშირი ქიმიისა და მეტალურგიის ძირითადი საზრდოა. შესძლებენ ჩვენი მეშახტეები ქიმიისა და მეტალურგიის მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას? გვეყოფა კი საამისოდ ქვანახშირის საკუთარი მარაგი?

გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იქნება: შვიდწლედის არსებითად ცვლის რესპუბლიკის სათბობი ბალანსის სტრუქტურას. ქვანახშირი პირველობას დაუთმობს ბუნებრივ გაზს და ამაში მეგობრულად დაგვეხმარებიან ჩვენი მეზობელი რესპუბლიკები. გაზსადენით, რომელსაც ჩვენმა ხალხმა მეგობრობის ტრასა უწოდა, რუსთავი უკვე იღებს ყარადაღის გაზს მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან. მომავალში ამ გაზს სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით მივიღებთ. ბუნებრივ გაზზე ამუშავდება ექვსასი ათასი კილოვატის სიმძლავრის თბოსადგური.

გარდა ამისა, ჩვენ ვაგრძელებთ წიაღისეული სიმდიდრის ძიებას.

მწერალი. თქვენ ალბათ შაორის საბადოებს გულისხმობთ.

გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დიახ. ყოფილხართ შაორში?

მწერალი. ვყოფილვარ. ძალიან ლამაზი ადგილია!

გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. შაორი მართლაც ლამაზია, მაგრამ მე სპეციალობით გეოლოგი ვარ და შაორის ბუნება მიზიდავს იმ სილამაზით, რომელსაც ხშირად მწერლის მახვილი თვალიც ვერ დაინახავს. იქ ამჟამად გამალებული მუშაობენ წიაღის მშვერავები. მე ვესაუბრე გეოლოგებს და ისინი ყველანი



ერთხმად გვარწმუნებენ, რომ შაორი მალე იქცევა ქართული ქვანახშირის მთავარ საბადოდ და ტყვარჩელსაც კი უკან მოიტოვებს.

მწერალი. ყოფილა შემთხვევა, ამხანაგო გივი, როდესაც მწერალმა დაასწრო გეოლოგებს. გახსოვთ, ვინ აღმოაჩინა მარგანეცის საბადო, რომელიც მალე ჩვენი ხალხის ეროვნულ სიამაყედ იქცა? იგი ქართველი ხალხის დიდი მომღერალი აკაკი წერეთელი იყო.

გ. დ. ჯავახიშვილი. დიახ, მართალი ხართ. აკაკი წერეთელმა დიდი ღვაწლი დასდო მარგანეცის სამრეწველო დამუშავების მოგვარების საქმეს. 1879 წელს მან პირველმა გააგზავნა ფოთიდან ევროპაში ჭიათურის მადნის პირველი პარტია.

მსოფლიო ბაზარზე ქართული მარგანეცის გამოჩენამ ნამდვილი საწარმოდ ციებ-ციხლება გამოიწვია. საქართველოსაკენ, როგორც ოდესღაც კლონდიკისაკენ, დაიძრა იოლად გამდიდრების მსურველი, მრავალი უცხოელი კონცესიონერი. მალე რევოლუციამდელი საქართველოს ხვედრითი წონა მსოფლიო მარგანეცის მოპოვებაში ორმოც პროცენტამდე გაიზარდა.

ჭიათურის მარგანეცის საბადო მარაგის სიმდიდრითა და მადნის ხარისხით დღემდე ინარჩუნებს პირველობას მთელს მსოფლიოში. ამჟამად მარგანეცის მადნის მოპოვება და დამუშავება რესპუბლიკის მრეწველობის ერთ-ერთი მთავარი დარგია. შეიდწლედის განმავლობაში მარგანეცის მოპოვება ოცდათხუთმეტი პროცენტით გაიზარდა.

დიდ გაქანებას მიიღებს ფეროშენადნობთა წარმოება.

როცა წიაღისეულ სიმდიდრეზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ვოლფრამი, მოლიბდენი, თუთია, დარიშხანი და ათობით სხვა ძვირფასი მინერალი. მათი საბადოები ნაპოვნია სვანეთის მთებსა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში.

ქართული მიწის ამ უხვ ბარაჰას მზრუნველად თავს დასტრიალებს ჩვენი დიდი შეიდწლელი.

რესპუბლიკის შეიდწლედის დასაწყისი მძლავრი ცისფერი ელმავლის საყვირის გამარჯვებულმა გუგუუნმა გვაუწყა. ეს გუგუნი ნიშნავდა, რომ საქართველოში დაიბადა ახალი წარმოება — თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა. ელმავალმა წარმატებით ჩააბარა გამოცდა სურამის უღელტეხილზე. ეს უღელტეხილი მთელი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიციურებული რკინიგზების ყველაზე ძნელი უბანია. დღეს თბილისის ელმავლებს მძიმე სატვირთო მატარებლები დაჰყავთ ურალის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მაგისტრალებზე. ეს მშვენიერი მანქანა ანვითარებს დიდ სიჩქარეს, სიმძლავრით იგი თითქმის ორჯერ აღემატება ჩვეულებრივი ტიპის ელმავალს.

ჩვენი შეიდწლედის გეგმა საქართველოში კიდევ ერთი ელმავალმშენებელი ქარხნის აგებას ითვალისწინებს. უახლოეს ხანში დაიწყება ელმავლების წარმოება სამგზავრო მატარებლებისათვის. ეს მატარებლები საბჭოთა კავშირის ყველა რკინიგზაზე ივლიან. შეიდწლედის მიწურულს საქართველო უფრო მეტ ელმავალს გამოუშვებს, ვიდრე საფრანგეთი.

ორმოცი წელი არაა იმდენად დიდი დრო ისეთი უძველესი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, მისი სიმდიდრე და სილამაზე ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე სიმღერით შეამკო უკვდავმა პომეროსმა. მაგრამ ეს ორმოცი წელი საბჭოთა ხელისუფლების წლებია, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ძმობისა და მეგობრობის წლები. სწორედ ამ მომედ ერების დახმარებით შეიქმნა საქართველოში მრეწველობის ახალი დარგები, აშენდა

მრავალი ახალი ქარხანა, ფაბრიკა და მაღარო. ბევრზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, ზოგს კი მხოლოდ დავასახელებ: ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, გორის ბამბეულის კომბინატი, კასპისა და რუსთავის ცემენტის ქარხნები, თბილისის ჩარხსამშენებლო ქარხნები, ჩაის ფაბრიკები და ათობით სხვა საწარმო საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

თავისთავად იგულისხმება, რომ რესპუბლიკის არნახული სამრეწველო განვითარება წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ არ გვექონოდა ენერჯის მძლავრი წყაროები. მტკვარზე, რიონზე, ხრამზე, აჭარისწყალზე, ალაზანსა და საქართველოს სხვა მდინარეებზე აგებულია მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები. ელექტროფიკაციის განვითარებამ და საქართველოს ენერჯოსისტემის ჩართვამ ამიერკავკასიის ენერჯოქსელში მთლიანად მოაგვარა რესპუბლიკის საწარმოების, ტრანსპორტისა და მოსახლეობის ელექტროენერჯით მომარაგების პრობლემა.

შვიდწლედის მეორე წელს ამუშავდა რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მძლავრი ელექტროსადგური ლაჯანურაძისი. 1962 წელს აშენდება ხრამ-პესი-2, ხოლო მიმდინარე წელს დაიწყება ენგურის მაღალეფექტური, უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ენგურის კასკადის სიმძლავრე შეადგენს მილიონ ექვსას ოცდაათ ათას კილოვატს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ სადგურის თაღოვანი ჯებირი სამასი მეტრი სიმაღლისა იქნება.

როდესაც ამ ციფრებს ვასახელებ, თვალწინ მიდვას ჯღაღღიერ ილიას ძე ლენინის ძეგლი, აგებული პირველი ქართული ელექტროსადგურის ზაქესის ჯებირთან. როგორც ცნობილია, ეს ელექტროსადგური გოელროს ლენინური გეგმის მიხედვით აშენდა.

მწერალი თუ შეიძლება, ამხანაგო გივი, ერთი რამ მინდა კიდევ შეგეკითხოთ. მე, როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ეს საკითხი დიდი ხანია მაინტერესებს. საბჭოთა კავშირის მოსახლეობის უკანასკნელი აღწერა გვიჩვენებს, რომ საქართველოში ყოველი ათასი კაციდან ოცდაათზე მეტ კაცს უმაღლესი განათლება მიუღია. ეს სამხანგევარჯერ მეტია, ვიდრე საფრანგეთში და ოთხჯერ მეტი — ვიდრე ინგლისში. ამ მხრივ საქართველო დღეს პირველ ადგილზეა მთელს მსოფლიოში. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მრავლად გვყავს მაღალკვალიფიციური კადრები, ამან კი თავისთავად არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს ჩვენი ინდუსტრიის განვითარების ხასიათზე.

გ. დ. ჯავახიშვილი. მივიხვდით, როცა რესპუბლიკაში, ხოლო შემდეგ მოსკოვში საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრები მუშავდებოდა, ეს მდგომარეობა სავსებით იყო გათვალისწინებული. ჩვენ ახლა პირველ რიგში ვაშენებთ და კვლავაც ავაშენებთ ისეთ ქარხნებს, რომლებიც ბევრ მეტალსა და ელექტრო ენერჯიას არ მოითხოვს, მაგრამ, რომლებსაც მაღალკვალიფიციური მუშახელი ესაჭიროება. მაგალითად, ხელსაწყოთმშენებელი, მანქანათმშენებელი, ჩარხსამშენებლო და ელექტროტექნიკური მრეწველობის ქარხნები. სწორედ ამაშია საქართველოს ინდუსტრიის თავისებურება.

მწერალი. ამას წინათ საზღვარგარეთ ვიყავი და წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული და სიამაყე, როცა ქართული ღვინის, კონიაკის, კონსერვებისა და ხილის გვერდით დავინახე მშვენიერი მანქანები წარწერით — „გაკეთებულია საქართველოში“.

ამასთან დაკავშირებით მსურს შეგეკითხოთ, რა დაზგები, მანქანები და საწარმოო მოწყობილობა იგზავნება საქართველოდან საზღვარგარეთის ქვეყნებში?



გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი . ქართული ინდუსტრიის ნაკეთობა საზღვარგარეთის ორმოცდაათზე მეტ ქვეყანაში იგზავნება. ჩვენ გვაქვს უნიკალური სახარატო, სახეხი, მილსაჭრელი დაზგები, მიწათსათხრელი იარაღები, სხვადასხვა საზომი ხელსაწყოები, ქუთაისური ავტომანქანები და ბევრი სხვა რამ— ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი, მით უმეტეს, თუ ამას მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქტებსაც მივუმატებთ.

როგორც ხედავთ, ჩვენი ეკონომიკის სტრუქტურა საგრძნობლად შეიცვალა.

მ წ ე რ ა ლ ი . მაგრამ ჩვენ ხომ დღესაც ვითვლებით ჩაის, მეღვინეობისა და ციტრუსების კლასიკურ ქვეყანად?

გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი . რა თქმა უნდა! საკმარისია აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირში მოყვანილი ჩაის ოთხმოცდაჩვიდმეტი პროცენტი საქართველოზე მოდის. ორმოცდაათი ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს ჩვენში ჩაის მარადმწვანე პლანტაციებს— ჩვენი მიწის მშვენიერებასა და სიამაყეს.

საქართველო მეჩაიეობის ყველაზე უფრო ახალგაზრდა რაიონია მთელს მსოფლიოში, იგი ფაქტიურად საბჭოთა ხელისუფლების წლებშია შექმნილი. სოხუმის ბოტანიკურ ბაღში დაცულია ჩაის ბუჩქი, რომელიც დიდხანს იყო მთელს ამიერკავკასიაში ამ უძვირფასესი კულტურის ერთადერთი ეგზემპლარი. რევოლუციამდე საქართველოში მხოლოდ ცხრაას ჰექტარზე იყო გაშენებული ჩაის პლანტაციები. ეს პლანტაციები მესამე ხარისხიანი ფოთლის მცირე მონაწილს იძლეოდა.

მაგრამ საქმე მხოლოდ რაოდენობაში როდია. მიუხედავად იმისა, რომ საეგეტაციო პერიოდი ჩვენში გაცილებით მოკლეა, ვიდრე ვთქვათ, ინდოეთში. სადაც ჩაის ფოთოლს წელიწადში ათი თვის განმავლობაში კრეფენ, ჩვენი პლანტაციების მოსავლიანობა გაცილებით მაღალია, ვიდრე მეჩაიეობის უძველეს ქვეყნებში. ყველაფერი ეს უმოთაგრესად ჩვენი მეჩაიეების ოსტატობისა და ჩვენი მაღალი, მოწინავე აგროტექნიკის შედეგია. რესპუბლიკის ბევრ რაიონში, მაგალითად, ქობულეთის, ბათუმის, მახარაძის, ლანჩხუთისა და გუდაუთის რაიონებში შეიდწლედის მეორე წელს ჰექტარზე მიიღეს ოთხი-ხუთი ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ხოლო კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეჩაიემ ლეილა მალულარიამ მასზე გაპიროვნებული 0,7 ჰექტარ ფართობზე მიიღო 12298 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

სოციალისტური შრომის გმირმა ტატინა ჩხაიძემ მასზე გაპიროვნებულ 0,5 ჰექტარ ფართობზე მიიღო 11040 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ლეილა მალულარია და ტატინა ჩხაიძე, როგორც ვიცით, მარტონი არ არიან, ისინი სათავეში უდგანან მაღალი მოსავლის ოსტატთა ისეთ მრავალრიცხოვან არმიას, როგორიც უცხოა ინდოეთისა და თვით ჩინეთისთვისაც კი.

გვემის მიხედვით ჩვენ ვითვალისწინებდით, რომ შეიდწლედის უკანასკნელ წელს მიგველო ას სამოცდაათი ათას ტონამდე ჩაის მოსავალი. მაგრამ ქართველმა მეჩაიეებმა, აწონ-დაწონეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, ვალდებულება იყისრეს 1965 წელს სამშობლოს მისცენ ორასი ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მთლიანად უზრუნველვყოფთ საბჭოთა კავშირს ამ უძვირფასესი პროდუქტით, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ უძველეს ხანაში ჩინელი ფილოსოფოსები ამბობდნენ: „ჩაი აყუჩებს ყველა სატყვიარს, შველის თავის ტკივილს, ამსუბუქებს და აცოცხლებს სხეულს და აფხიზლებს გონებას“.

მეჩაიეობას, როგორც ცნობილია, მრავალსაუკუნოვანი წარსული აქვს, მაგრამ პირველად ჩვენში, საქართველოში, საბჭოთა ქალმა, სტალინური პრემიის

ლაურეატმა ქსენია ბახტაძემ გამოიყვანა ჩაის ახალი ჯიშები. ეს ჯიშები ხალხმა მოიწონა და დიდად შეაფასა.

**მ წ ე რ ა ლ ი .** ბევრმა ჩვენმა პოეტმა ლამაზად აღწერა ჩაის მკრეფავი ქალების მუშაობა. ისინი მათ თითებს ხან შთავგნებული პიანისტის თითებს ადარებდნენ, ხან კიდევ ჩაის ბუჩქებზე მოფარფატე პეპლებს. პირველი შედარება საკმაოდ ზუსტია, თუმცა გულახდილად რომ ვთქვათ, მეტად მძიმეა მათი შრომა!

ხელით ჩაის ფოთლის კრეფა ერთ-ერთი ყველაზე უფრო შრომატევადი სამუშაოა სოფლის მეურნეობაში. როგორც ვიცი, საქართველოში დიდხანია მუშაობენ ჩაის საკრეფე მანქანების შექმნაზე. ხომ ვერ გვეტყვიდით, როდის ვნახათ ამ მანქანებს პლანტაციებში?

**გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი .** თქვენ მართალი ხართ. ჩაის კრეფა ჭილისქუდიანი ქალიშვილების მხიარული სეირნობა როდია სამხრეთის მცხუნვარე მუშაობაში, ამწვანებულ სერებზე. ჩვენს მეჩაიე ქალებს იოლად როდი მოჰყავთ ჩაის უხვი მოსავალი.

ამიტომაც, რომ ქართველი კონსტრუქტორები დიდხანია მუშაობენ ჩაის საკრეფე მანქანების შექმნაზე. ასეთი მანქანა უკვე შექმნილია. იგი შეცვლის ოცდაათი მეჩაიეს შრომას და ჩაის ფოთლის ოთხმოც პროცენტს მოკრეფს უხეში ფოთლის შეტურევლად. უნდა გავაუმჯობესოთ ამ მანქანის დამხარისხებელი მოწყობილობა, და მაშინ ამოცანაც გადაჭრილი იქნება.

აღნიშნული მანქანის ყოველმხრივ გამოსაცდელად ჩვენ გამოვყავით რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მეურნეობა—ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, სადაც ჩაის ფოთლს მხოლოდ მანქანა მოკრეფს. ინგირის საბჭოთა მეურნეობის მთელ მოსავალს გადაამუშავებს აგრეთვე საგანგებოდ გამოყოფილი ინგირის ჩაის ფაბრიკა.

ამგვარად, ჩვენ საშუალება გვექნება თვალყური ვადევნოთ ჩაის ფოთლის კრეფისა და დამუშავების მთელ პროცესს და სათანადო დასკვნები გამოვიტანოთ. ერთი-ორი წლის შემდეგ მსოფლიოში ეს პირველი უნიკალური მანქანა ჩვენი მეჩაიეების საიმედო თანაშემწე გახდება.

**მ წ ე რ ა ლ ი .** ჩინელი ფილოსოფოსები მართლნი არიან — ჩაი მართლაც შესანიშნავი სასმელია, მეტადრე ლიმონით. რაძდენიმე წლის წინათ ჩვენს მხარეში არნახულმა ყინვებმა დიდი ზიანი მიაყენა ციტრუსების პლანტაციებს. რამდენად შეეძლოთ სახალხო მეურნეობის ამ დარგის აღდგენა და შემდგომი განვითარება?

**გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი .** ზარალი მართლაც დიდი იყო. განსაკუთრებით დაზიანდა ლიმონისა და ფორთოხლის ნარგავები. ბევრი რამ უკვე აღვადგინეთ. შვიდწლედის გეგმის მიხედვით, 1965 წლისათვის სამშობლოს უნდა მივცეთ არანაკლებ სამოცი ათასი ტონა ციტრუსოვანი ნაყოფისა. ჩვენი ამოცანაა წინ წავწიოთ მეურნეობის ეს ჯერ კიდევ ჩამორჩენილი დარგი და ციტრუსების პლანტაციები მომავალში ყოველგვარი ხიფათისაგან დავიცვათ.

ამას წინათ ამერიკაში ვიმოგზაურე. ვიყავი ფლორიდაში, სადაც ვნახე, როგორ ათბობდნენ ყინვების დროს ამერიკელები ლიმონისა და ფორთოხლის ხეივნებს. ყოველ ოთხ ხეს ისინი გამოთბობ ხელსაწყოს უდგამენ. როგორც კი მიიღებენ ამინდის ბიუროს ცნობას, ყინვა იქნებაო, ჩართავენ ამ ხელსაწყოებს და ხეებიც თბება. ეს ძალიან ხელსაყრელია. სუბტროპიკულ რაიონებში ყინვა იშვიათია და ამიტომ გათბობაზე გავწულ ხარჯებს მალე ინაზღაურებენ. ჩვენც გადავწყვიტეთ ციტრუსების, განსაკუთრებით ლიმონისა და ფორთოხლის გათ-

ბომა და შეფუთვა. მანდარინი არც ისე მიზეზიანია, იგი თავისუფლად უძლებს ცხრა-ათ გრადუსამდე ყინვას.

მთავარი მაინც ისაა, რომ ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ ციტრუსების მოვლა-პატრონობა. ხე, როგორც ყველა სხვა ცოცხალი ორგანიზმი, ადვილად იტანს ყოველგვარ ავადმყოფობას, თუ ჯანმრთელია და კარგად იკვებება.

მწერალი. მეღვინეობა ჩვენი გლეხების ყველაზე საყვარელი და ამასთან, რა თქმა უნდა, ყველაზე ძველი დარგია. ქართული ღვინოები მთელს მსოფლიოშია განთქმული. რით გაახარებენ ხალხს ჩვენი მევენახეები ამ შეიღწეულში?

„ღრუება ნაროდოვში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ საუბარში მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა სერდიუკმა მწერალ ბ. ვერსიგორას უთხრა, რომ მოლდაველ კოლმეურნეებს გადაწყვეტილი აქვთ ყოველმხრივ განავითარონ მევენახეობა და გადააქციონ თავიანთი რესპუბლიკა საბჭოთა ქვეყნის უდიდეს ბაღად.

ნუთუ დავეუბნებთ პირველობას მოლდავეთს?

გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. არა, არ დავეუბნებთ.

მართალია, მოლდაველებს უფრო მეტი აქვთ თავისუფალი მიწა ახალი ვაზის ჩასაყრელად. ჩვენი შესაძლებლობანი კი ამ მხრივ შეზღუდულია, შეიღწეულდის ბოლოს ჩვენ ვენახის ფართობს გავდიდებთ ორმოცდაათი ათას ჰექტარამდე, 1970 წლისათვის კი ორას-ორასორმოცდაათ ათას ჰექტარამდე. ჯოღაველებს, რა თქმა უნდა, ვენახების მეტი რაოდენობა ექნებათ, მაგრამ ღვინის ხარისხით პირველობას ჩვენ არც მოლდავეთს დავეუბნებთ და არც სხვა რომელიმე ქვეყანას. ამის თავდებია წარმოების მაღალი კულტურა და ჩვენი მევენახეების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, რომელიც თაობიდან თაობაში გადადის.

ქართველი მევენახეების ოსტატობა საქვეყნოდ ცნობილია და შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ჩვენთან, თბილისში, 1962 წლის შემოდგომაზე შედგება მეღვინეების მსოფლიო კონგრესი. ჩვენ გვესტუმრებიან მოძმე რესპუბლიკების მეღვინეები და უცხოეთის ქვეყნების გამოჩენილი სპეციალისტები უნგრეთიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, არგენტინიდან და სხვა ქვეყნებიდან.

იმედი მაქვს, რომ ჩვენი სტუმრები ბევრ მათთვის საინტერესო და სასარგებლო რამეს ნახავენ საქართველოში, ხოლო თავის მხრივ ჩვენი მეცნიერები და სპეციალისტები შესძლებენ გამოიყენონ საზღვარგარეთელი მეღვინეების კარგი გამოცდილება. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ რესპუბლიკის სამოცდარვა რაიონიდან სამოცდარვი რაიონის კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მევენახეობას მისდევს. ჩვენში ამ ბოლო დროს ღვინის, შამპანურისა და კონიაკის ბევრი ქარხანა ავაგეთ. ყველა ეს წარმოება აღჭურვილია მოწინავე ტექნიკით. ყვარლის რაიონში ჩვენ ვაშენებთ უდიდეს მიწისქვეშა მარანს, რომელსაც ორ კილომეტრამდე სიგრძე ექნება. ამ მარანში შევიანახავთ ღვინოებს დასაძველებლად.

1958 წელს ჩვენმა ღვინოებმა ორ საერთაშორისო კონკურსში ოქროსა და ვერცხლის თვრამეტი მედალი მიიღეს. ოცდაათი მედალი (მათ შორის, ათი ოქროსი) მიენიჭა ჩვენს ღვინოებს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში 1958 წელს.

მწერალი. ეტყობა, ქართველ მეღვინეებს არც თუ ისე ადვილად წაართმევენ პირველობას. მაგრამ სამწუხაროდ, მეთამბაქოეობაში სულ სხვა სურათი

გვაქვს. თამბაქოს მწვეველები ამტკიცებენ, საქართველოს სახელგანთქმული სურნელოვანი თამბაქოს ხარისხი საგრძნობლად გაუარესდაო. მე თვითონ თამბაქოს არ ვეტანები და ამ მხრივ ჩემი მდგომარეობა უკეთესია, მაგრამ მუდამ მესახელებოდა და მესახელება, როდესაც ჩვენს თამბაქოზე კარგს გავიგონებ. ამას გარდა თამბაქოს მწვეველებსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ.

გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ეს მართალია. კოლმეურნეობები უკანასკნელ წლებში გამოედევნენ თამბაქოს მაღალ მოსავალს და ამან რამდენადმე გავლენა იქონია ხარისხზე.

— საჭიროა შევამციროთ მოსავლიანობა, რომ ავამაღლოთ ხარისხი, — ამტკიცებს ზოგიერთი მეთამბაქოე.

ჩემის აზრით, ეს ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავარდნა იქნებოდა. ამ პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიებისას სახალხო მეურნეობის ინტერესებიდან უნდა გამოვდიოდეთ. უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა კავშირის თამბაქოს ექსპორტის სამოცდაათი პროცენტი ჩვენს რესპუბლიკაზე მოდის.

მ წ ე რ ა ლ ი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე ნიკიტა ხრუშჩოვის ძე ხრუშჩოვმა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში ჩამორჩენა გვისაყვედურა.

გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. საყვედური სამართლიანია.

რესპუბლიკის მეცხოველეობაში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ კოლმეურნეებს პირად სარგებლობაში მეტი ძროხა ჰყავთ, ვიდრე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებს.

ამჟამად ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ ჩვენი საზოგადოებრივი მეცხოველეობა მტკიცედ დადგეს ფეხზე და კოლმეურნეს აუცილებლობად არ მიაჩნდეს საკუთარი ძროხის ყოლა.

თავისუფალ მიწებზე ან ზოგიერთი კოლმეურნეობის ბაზაზე ჩვენ ახალ, მძლავრ საბჭოთა მეურნეობებს შევქმნით.

მ წ ე რ ა ლ ი. მაგრამ საქონელი? საიდან მოვიყვანთ საქონელს?

გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. უწინარეს ყოვლისა, გავამრავლებთ. გარდა ამისა, შევისყიდით საჯიშე ძროხებს სხვა რესპუბლიკებში, პირველ რიგში უკრაინასა და ბალტიისპირეთში.

დასავლეთ საქართველოში, მეტწილად კოლხეთის ნაჭაობარ მიწებზე, შეიქმნება სარძევე-მეცხოველეობის, სარძევე-მებოსტნეობისა და ცალკე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები. აღმოსავლეთ საქართველოში გვექნება მეცხოველეობა-მემარცვლეობის საბჭოთა მეურნეობები.

ჩვენი მიზანია, მივალწიოთ მკვეთრ გარდატეხას საზოგადოებრივი მეცხოველეობის სასარგებლოდ. უნდა მთლიანად უზრუნველვყოთ საქართველოს ქალაქები და კურორტები რძითა და ბოსტნეულით.

მ წ ე რ ა ლ ი. საქართველოს ბევრი რაიონისათვის მორწყვის პრობლემა ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვებისა და მოსავლიანობის გადიდების პრობლემაა. უახლოეს წლებში სახელმწიფოსათვის თხუთმეტი მილიონი ფულით მარცვლეულის მიყიდვა ნიშნავს, რომ საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ სამოცი ცენტნერი მოსავალი.

რა ახალი სარწყავი სისტემები შეიქმნება რესპუბლიკაში შეიღწელების მანძილზე?

გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ამჟამად მთავრდება სიონის დიდი წყალსაცავის მშენებლობა. იგი საშუალებას მოგვცემს სწრაფად მოვრწყათ ოთხმოცდაათი

ათას ჰექტარამდე ურწყავი მიწა. შემდეგში ვფიქრობთ ზემო ალაზნის პრობლემის გადაჭრასაც. ეს კახელი გლეხკაცობის დიდი ხნის ოცნებაა. ალაზნის წყალი ნამდვილად გადატრიალებას მოახდენს აღმოსავლეთ საქართველოს მეურნეობაში.

აქაური ნოყიერი მიწა, რომელიც ამჟამად ამინდის ავკარგიანობაზე და მოკიდებული, მომავალში ხევიან და მტკიცე მოსავალს მოგვეცემს. ყოველგვარ პირობებში მიწა უხვად აანაზღაურებს ადამიანის შრომას.

გარდა ამისა; იქ, სადაც მორწყვის ბუნებრივი პირობები არაა, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის რჩევის თანახმად, ფართოდ გამოვიყენებთ თანამედროვე ტექნიკას — დავდგამთ ტუმბოებს, რომლებიც ელექტროენერჯის საშუალებით წყალს მიაწვდის მაღალ ადგილებს.

მწერალი. მთებში, მოგესხენებათ, ადვილი არ არის ცხოვრება, იქ მწერი მიწებია და ხანმოკლე ზაფხული იცის, ქერიც კი ძლივს ასწრებს დამწიფებას... საბჭოთა ხელისუფლების წლებში მთიელები ბარში ჩამოვიდნენ. სახელმწიფო ხელს უმართავს მათ, უშენებს აგურის კეთილმოწყობილ სახლებს. ასეთი ახალი სოფელი ახლა ბევრია სამგორის ველზე, შირაქსა და კოლხეთში...

ამას წინათ მე ვახლდი საზღვარგარეთელ მწერლებს შირაქში, ახალმოსახლებებთან. ერთ სახლში შევედი. სტუმრები შეეკითხნენ მასპინძელს:

— ასე იოლად შევლიეთ მთების პოეტურ რომანტიკას?

გამოგიტყდებით, ცოტა დავიბენი. საკმაოდ წიგნური შეკითხვა იყო, მაინტერესებდა, რას უპასუხებდა მასპინძელი.

ძალიან უბრალოდ და ზუსტად უპასუხა:

— მთაში მე ერთი პატარა ქოხი მედგა, ქვისა იყო, შშრალად ნაგები. ზამთარში კერიის ცეცხლი ვერ ათბობდა ჩემს სადგომს, და ჩემი სამი ქალიშვილი ძილის წინ კენჭსა ჰყრიდნენ, თუ პირველი ვინ უნდა დაწოლილიყო, რომ ღოგინი გაეთბო, ახლა კი...

მასპინძელმა დაგვათვალთვინებინა თავისი ახალი, ქალაქურად მოწყობილი სამოთახიანი სახლი.

ამხანაგო გივი, გაგრძელდება თუ არა მთიელების ბარში დასახლება მომავალში?

გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. სახელმწიფო კვლავინდებურად ყოველმხრივ დაუხმარება მთიდან ბარში დასახლების მსურველებს, ძალას კი არავის დაევატანთ.

მწერალი. ჩემის აზრით, ჩვენი საუბარი საქართველოს შვიდწლედზე არ შეიძლება ისე დამთავრდეს, თუ არ შევეხეთ მეცნიერებისა და კულტურის საკითხებს.

გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. მეშინია, არ გავიმეოროთ ის, რაც უკვე იციან „დრუება ნაროდოვის“ მკითხველებმა.

ვინ არ იცნობს ქართველ პოეტებსა და მწერლებს, მხატვრებსა და მუსიკოსებს. ქართულმა ფილმებმა, ისევე როგორც ქართველმა მომღერლებმა და მოცეკვავეებმა, მთელს მსოფლიოში გაითქვეს სახელი.

ვინ არ იცნობს სახელგანთქმულ ქართველ მეცნიერებს — ფიზიკოსებსა და მათემატიკოსებს, ბიოლოგებსა და ენათმეცნიერებს, ჭიშკოსებსა და ასტრონომებს!.. ჩვენი მეცნიერების შრომები თარგმნილია რუსულ და უცხოურ ენებზე.

სორბონის უნივერსიტეტის რექტორი მარსელ პრეპინი, რომელიც სტუმრად იყო საქართველოში, წერდა:

„განგვააციფრა ქართული კულტურის მაღალმა დონემ. პირდაპირ საოცა-

რია, რომ ამ პატარა ქვეყანას სამეცნიერო კადრების ისეთივე როდენობა უყავს, როგორც ორმოცმეტიწლიანი საფრანგეთს“.

საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილია ასორმოცდაათი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. ნიჭიერი ქართველი მეცნიერები წარმატებით აწარმოებენ კვლევას ატომგულის ფიზიკის, კოსმოსური სხივებისა და დაბალი ტემპერატურის ფიზიკის დარგში. გათვალისწინებულია ნახევარგამტართა ინსტიტუტის შექმნა, სადაც გამოთვლითი ტექნიკის, ტელემექანიკისა და ავტომატიკის უდიდესი მნიშვნელობის პრობლემები გადაიჭრება. ახალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან აღსანიშნავია გამოყენებითი ქიმიის ინსტიტუტი, — უდიდესი გამოთვლითი ცენტრი.

შეიძლება კიდევ გავაგრძელოთ ეს ჩამოთვლა, დავასახელოთ მრავალი დიდი მეცნიერი: აკადემიკოსები — ნიკოლოზ მუსხელიშვილი — გამრჩენილი მათემატიკოსი, ცნობილი ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ თავისი შრომებით დრეკადობის თეორიის პრობლემების დარგში. ივანე ბერიტაშვილი — ჩვენი ქვეყნის უდიდესი ფიზიოლოგი, ელექტერ ანდრონიკაშვილი, შალვა ამირანაშვილი, ვიქტორ კუპრაძე, ვიორგი მელიქიშვილი და მსოფლიო სახელის მქონე სხვა მრავალი მეცნიერი.

მწერალი. მე ისედაც ბევრი დრო წავატავთ. ამხანაგო გივი, მაგრამ ხება მომეცით კიდევ მოგცეთ ერთი შეკითხვა, რომლითაც დამთავრდება კიდევ ჩვენი საუბარი.

შეიძლეღის მესამე წელი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და პარტიის XXII ყრილობის წელია. რა საჩუქრებს მოამზადებენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ამ ღირსშესანიშნავი მოვლენების აღსანიშნავად?

გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. წარმატებით შევასრულებთ საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანერის პლენუმის მიერ დასახულ ამოცანებს. სწორედ ეს იქნება ჩვენი ყველაზე კარგი და დიდი საჩუქარი სამშობლოსა და პარტიისათვის.

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად ჩვენ ვიბრძობებთ შეიძლეღის მიერ დასახული გეგმების ვადაზე ადრე შესრულებისათვის, კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის.



## დიდარ იპარება

### შენ სიზაბუჟე გეძახის მარად!

მე ვიცი,  
როგორ იდევ ბევრჯერ უფსკრულის პირას  
და რამდენ დღევას გადაურჩა შენი ნაპირი, —  
მე ვიცი,  
შენთვის რა მოჰქონდა მტრის ხმლების პრიალს,  
როგორ ჩნდებოდა და... გამთელდა სულის ნაპრალი.  
ო, იმ დღეებზე კვლავაც რეკენ ჩვენი ზარები!  
კვლავ მჭუხარებენ!  
იმჭუხარეთ წმიდა ზარებო!  
მოსულა ბევრი: ცეცხლით, ტყვიით,  
ცრემლის ღვარებით  
და დარჩი მაინც გმირად,  
სიკვდილმიუჯარები.  
შენი შამქორი, ველი რუხის,  
ველი ბრძოლების!  
შენი გელათი.. გუმბათების ცაში ჰენება! —  
გამხდარა იგი ყოვლად მტვერი ამაოების,  
ამაოება შენი მიწის ვინაც ინება.  
მოქუხს ენგური და „ლილეოს“ მოაქვს სიმღერა,  
და ბარში ხედება მას ძმასავით  
ტკბილი „ვარადა“.  
— ჰანგი იღვრება,  
სული შენი აღარ იღლება,  
უღიადესი გაჩენიდან  
დღემდე, მარადის!  
მარად და მარად მარადისი სიმაღლე გახლავს,  
წელი ორმოცი სიყვარულს და სიხარულს ხედავ! —  
ყოველ ჩვენგანის არსებაში დამკვიდრდი ახლა,  
როგორც დიდება,  
როგორც სისხლი და, როგორც დედა!  
წელი ორმოცი —  
სული შენი უფრო მზევედება  
და გეტყვის ჩუმიდ შეილი შენი:  
— შენ ხარ ვენახი! —  
ამ დროშების ქვეშ შენ არასდროს  
არ დაბერდები,  
ამ დროშების ქვეშ  
სიჭაბუკე გიხმობს, გეძახის!

## ქედეკი შეხედნედე

საქართველოს ალექ ცენტრალური კომიტეტის  
პირველი მდივანი

# საქართველოს გავაფხულის დღესასწაული

საბჭოთა საქართველო ორმოცი წლისაა.

ორმოცი წლის წინათ ქართველმა ხალხმა რევოლუციური რუსეთის მხარდაჭერით, დიდი ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო მენშევიკური ხელისუფლება და ჩვენი ერის საამაყო შვილმა სერგო ორჯონიკიძემ ლენინს და სტალინს აცნობა: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“. ორმოცი წლის წინათ, თებერვლის ქარიშხლიან დღეებში, დაიბადა ახალი საბჭოთა საქართველო და ახლა, უკვე ორმოცი წლის შემდეგ, ჩვენ ვზევიმობთ ქართველი ხალხის ნამდვილ ეროვნულ დღესასწაულს, საქართველოს გაზაფხულის დღესასწაულს.

დიდია ამ დღეების სიხარული!

დიდია ჩვენი აღმაფოენა!

და თუ ეს დღესასწაული ჩვენს მიწაზე ამჯერად მაისის წარმტაც დღეებში შემოვიდა, ეს უფრო ლამაზსა და დაუვიწყარს ხდის ამ დღეებს, რადგან გაზაფხულს ადამიანებისათვის მოაქვს სიხარული, იმედი, მომავლის რწმენა, გაზაფხული ადამიანებს გულს უთბობს, აღვიძებს და აცოცხლებს მიყუჩებულ ძალს, ენერჯიას, რათა იგი, ადამიანი — სამყაროს მბრძანებელი და მშვენიერა — ძლევათსილად შეეხას ბუნების ურთულეს საიდუმლოებებს.

შემოვიდა ჩვენში მაისი და გაზაფხულის დღესასწაული, შემოვიდა ამაყად, რწმენით, გულდაჯერებით, რომ მთელს ქვეყანას, მთელს დედამიწას ახაროს სიხარული ერისა, რომელმაც საუკუნეთა ქარტახილებს გაუძლო, ათასი ჭირვარამი გამოიარა, ყველაფერი აიტანა და მაინც არ დაარღვია ფუძე, არ გააცია კერა, არ წააქცია დედაბოძი. ლაბარაკია ერზე, რომელიც ამ ლამაზ მიწაზე დასახლდა, დაფუძნდა და ღირსეულად ეზიარა საკაცობრიო კულტურის ყველა მონაბოვარს, ათთვისა და გაიცნო კაცთა მოდგმის ნაღვაწი და ნააზრვევი, თავდაც თქვა თავისი სიტყვა, ისეთი, როგორიც ეკადრებოდა, როგორიც მის მიწასა და ბუნებას შევენოდა — ლამაზი, დარბაისლური...

ამის დასტურად იქმარებდა გვეხსენებინა რუსთაველი, ბარათაშვილი, ილია, ვაჟა, გალაკტიონი... გვეხსენებინა ქართული სიმღერები, მოხდენილი, ღრმა შინაარსითა და დიდი აზრით სავსე ქართული ცეკვები, საქართველოს მთებსა და ველებზე მოფენილი ტაძრები — საოცარი ფრესკებითა და ჩუქურთმებით.

8755



უძველესი კულტურის მქონე ქართველმა ხალხმა ორმოცი წლის წინათ მომავლის ახალი გზა აირჩია. მას მუდამ სჯეროდა ახლის, მუდამ დროზე იძენდა ახლებურს, მოწინავესა და პროგრესულს. მეოცე საუკუნის ყველაზე უფრო პროგრესული, ყველაზე უფრო მოწინავე იდეა — მარქსისტულ-ლენინური იდეა დაუფლა ჩვენი ხალხის გულსა და გონებას, დანათო შიგ რევოლუციური ცეცხლი, აღაგზნო თავისუფლებისათვის საბრძოლველად და აფრიალდა თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების დროშა, რომლის ორმოცი წლისთავს წლევანდელ მისობას ვზეიმობთ.

ორმოცი სახელოვანი წელი და უთვალავი სახელოვანი გამარჯვება!

ორმოცი სახელოვანი წელი და საამაყო საქმეთა უთვალავი ფურცელი...

სხვა კარგ ტრადიციებთან ერთად ესეც ტრადიციად აქვს ქართველ ხალხს. როცა მისი დღესასწაული დგება, როცა იგი ლაღობს და ილხენს, საზეიმოდ იხსენებს ყველაფერს კარგსა და მოსაგონარს, რაც გადახდენია, რაც მის გონებაში უკვალოდ არ გამქრალა... ჩვენც გავიხსენოთ საამაყო და მოსაგონარი, ის, რაც ჩვენს გონებაში უკვალოდ არ გამქრალა, გადავშალოთ საბჭოთა საქართველოს ორმოცწლიანი ისტორიის დიადი წიგნის სასახელო ფურცლები.

ამ დიად წიგნში ღირსეულ ადგილს იჭერს ახალგაზრდობა — ქვეყნის იმედი, სიამაყე და მომავალი...

ამ დღესასწაულს დიდხანს ველოდით, ვემზადებოდით მასთან ღირსეულად შეხვედრისათვის; საქართველოს ახალგაზრდობა, საქართველოს ლენინური კომკავშირი ყველაფერს აკეთებდა, რომ თავისი სიტყვა ეთქვა მთელი საბჭოთა ქვეყნის წინაშე დასახულ ამოცანათა ღირსეულად შესრულებაში. ამ დღესასწაულს მთელი საქართველო უდიდესი შრომითი მიღწევებით ხვდება. ფაბრიკა-ქარხნებსა თუ საკოლმეურნეო მინდვრებზე, მთასა თუ ბარში, ადამიანები გმიროული შრომის არნახულ მაგალითებს იძლევიან. გაზაფხულის დღესასწაული გვესტუმრა სასახელო და საამაყო დროს; ეს არის დრო, როცა ყოველ დღეს მოაქვს ახალ-ახალი ცნობები ჩვენი დიადი სამშობლოს კოლოსალურ მიღწევებზე. მთელი საბჭოთა ხალხი იბრძვის იმ გრანდიოზულ ამოცანათა გადასაჭრელად, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეერთე ყრილობამ დაგვისახა. შვიდწლედის ბოლოს საბჭოთა ხალხს უნდა ჰქონდეს მეტი პროდუქტები, მეტი ტანსაცმელი, ისინი უნდა ცხოვრობდნენ უფრო ლამაზ, მხებრებულ და მზით საცხე ბინებში, ჩვენი ქალაქები უნდა გახდნენ უფრო მხარგამოილები, ჩვენი სოფლები უფრო ლამაზნი და ბარაქით სავსენი. ამ ამოცანების გადაჭრისათვის დაგვრახმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იანვრის პლენუმმა, რომლის ტრიბუნიდანაც ნიკიტა ხრუშჩოვმა კიდევ ერთხელ მოგვიწოდა ახალი გამარჯვებებისაკენ.

სულ ახლახანს ჩვენ მოწამენი გავხდით იმ დიდი გამარჯვებისა, რაც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კოსმოსის დაპყრობისა და ათვისების საქმეში. ქართველმა ხალხმა, საქართველოს ახალგაზრდობამ ყველასთან ერთად გაიზიარა სიხარული იმის გამო, რომ პირველი კოსმონავტი, რომელიც სამყაროში გაბედულად შეიჭრა, იყო საბჭოთა ადამიანი, საბჭოთა ახალგაზრდა. ეს იყო დიდი გამარჯვება ჩვენი ქვეყნისა, იმ ქვეყნისა, რომელიც ღირსეულად ითვისებს საკაცობრიო აზრის მთელს მონაპოვარს და როგორც მეკვლე, გაუკვალავ გზას იკვლევს სამყაროს საიდუმლოებათა ამოსახსნელად. ეს აღმაფრთოვანებელი

წარმატება შეიძლებოდა ჰქონოდა მხოლოდ იმ ქვეყანას, სადაც იციან თავისუფლების ფასი, სადაც ადამიანს შეუძლია თავისი ნიჭი და უნარი ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენოს, ხალხის ბედნიერებას მოახმაროს, სადაც ასე კარგად იციან ერთმანეთის სიყვარული, ერთმანეთის გატანა და მეგობრობა. ხალხთა მეგობრობა — ეს დიდი ოქტომბრის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი — ნათლად დასტურდება დღეს, ჩვენს მიწა-წყალზე, ჩვენი ზეიმის დღეებში. ეს არის ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაული, დიდი სიხარული, მაგრამ ამ სიხარულს, როგორც თავისას, როგორც მშობლიურს, იზიარებენ ჩვენი დიადი სამშობლოს სხვა ხალხებიც, ეს არის ნამდვილი მშობლიური დღესასწაული ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლებსაც; ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, ერთად ვშრომობთ, ერთად ვიბრძვით საერთო საქმისათვის, ჩვენ გვაერთებს ერთიანი, დიდი საბჭოთა კავშირი და თუ ასე მკიდრობდ, ასე მეგობრულად ვართ შრომისა და ბრძოლაში, ჩვენ ერთად ვართ ლხინშიც, სიხარულის ცეცხლშიც, რომელიც ჩვენს მიწა-წყალზე აინთო.

ყველა გამარჯვება, რაც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ ორმოცი წლის მანძილზე მოიპოვა, შთაგონებულია მშობლიური კომუნისტური პარტიის სიბრძნით, პარტია მიგვიძღვის წინ, როგორც შუქურა და გვიანთებს მომავლის გზას, პარტია არის ჩვენი დამარზმველი, მომწოდებელი, ჩვენი ძალა და სიბრძნე. არც ერთ პარტიას ქვეყნად არ ჰქონია იმდენი ძალა და ავტორიტეტი, იმდენი გავლენა და სახელი მშრომელი ხალხის გულში, როგორც ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, ვერც ერთმა პარტიამ ვერ შეძლო ხალხის ისე დარაზმვა და აღფრთოვანება, როგორც ჩვენმა მშობლიურმა პარტიამ, არც ერთ პარტიას ქვეყნად არ ჰყოლია ახალგაზრდობის სახით ისეთი საიმედო თანაშემწე და რეზერვი, ისეთი საიმედო მომავალი, როგორიც ჰყავს ჩვენს კომუნისტურ პარტიას კომკავშირელი ახალგაზრდობის სახით. და აი, ვისხენებთ დიდი ლენინის ნათქვამს: „ჩვენ მომავლის პარტია ვართ, მომავალი კი ახალგაზრდობას ეკუთვნის. ჩვენ ნოვატორების პარტია ვართ, ნოვატორებს კი ყოველთვის მეტი ხალისით მისდევს ახალგაზრდობა, ჩვენ ვართ პარტია ძველი სიღამისის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლისა, ხოლო თავგანწირულ ბრძოლაში ყოველთვის პირველი წავა ახალგაზრდობა...“

„პირველი წავა ახალგაზრდობა“... საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების ორმოცწლიანმა ისტორიამ საესებით დაადასტურა ლენინის ეს თქმა. ახალგაზრდობა ყოველთვის იყო ავანგარდული რაზმი ცხოვრების შუაგულში, ბრძოლის წინა ხაზზე; ახალგაზრდობა მიჰყვებოდა და მიჰყვება ჩვენს კომუნისტურ პარტიას, ნოვატორების პარტიას, მებრძოლ პარტიას.

პარტიის ზრუნვით გარემოსილმა საქართველოს კომკავშირმა თებერვლის ქარიშხლიანი დღეებიდან წლევანდელი მაისის დღესასწაულამდე, ორმოცი სახელოვანი წლის მთელს მანძილზე არა ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა ჩვენი რესპუბლიკის ისტორიაში, არა ერთხელ თქვა თავისი სიტყვა, არა ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველოს ახალგაზრდობა არის სახელოვან წინაპართა ღირსეული მემკვიდრე, ახალი, პროგრესული აზრის ერთგული, ჰუმანიტეტებისა და კაცობრიობის სანუკვარი მიზნის ერთგული.

საქართველოს კომკავშირი, საქართველოს ახალგაზრდობა ღირსეულად ედგა მხარში უფროს ამხანაგებს რევოლუციის დღეებში, იგი თავისი შრომით სასახელო ფურცლებს წერდა პირველი საბჭოთა ხუთწლედების დღეებში, მკერდით იცავდა ჩვენს დიად სამშობლოს სამამულო ომის მრისხანე დღეებშიც.



საბჭოთა პარტიოტიზმის გრძნობით ანთებული ქართველი ჰაბუკები მრისხანა  
 ნედ უტევდნენ მომხდურთ, მათ იცოდნენ, რომ ფაშისმის შემოჭრა ნაცარტუ-  
 ტად აქცევდა საუკუნეობით სათუთად მოვლილს, ნაპატივებსა და შენახულს.  
 მათ უყვარდათ სამშობლო — საბჭოთა საქართველო და სწორედ მისი სიყვარულით კიდევ უფრო მედგრად უტევდნენ მტერს რუსეთისა და უკრაინის ტრამალებზე. მათ იცოდნენ, რომ სტალინგრადისა და მოსკოვის დაცვით იცადნენ საყვარელ თბილისსაც. ბევრი მათგანი მტრის ტყვეობით დაეცა, ვერ მოესწრო გამარჯვების დღესასწაულს. სამშობლო მათ სახელებს არ ივიწყებს, ახლაც, ამ სიხარულისა და ბედნიერების დღეებშიც ვადიდებთ მათ...

ჩვენმა ახალგაზრდობამ საბჭოთა ხალხთან ერთად ვაყვაცურად გადაიტანა ომით გამოწვეული სიძნელენი, ჩვენს თაობას კარგად ახსოვს ის დღეები, როცა ჩვენი მამები და ძმები მტერს უტევდნენ, როცა ქართველი ჰაბუკები და ქალიშვილები ზურგში დარჩენილ შრომას უმსუბუქებდნენ, მოჰყავდათ პური, სიმინდი, ჩაი, ყურძენი, ციტრუსები, აგროვებდნენ ტანსაცმელსა და ფულს ფრონტისათვის, ეხმარებოდნენ დაჭრილებს, შინმოუსვლელთა ოჯახებს უმსუბუქებდნენ დარდას და მწუხარებას.

ეს იყო ნების, სიმტკიცის გამოცდის დღეები.

შემდეგ მოვიდა გამარჯვების დღე, დადგა ომის ჭრილობათა მოშუშების წლები, ხალხმა დაიწყო ახალი ქარხნების, მთელი ქალაქების შენება, დამწვრისა და ნაცრადქცეულის აღდგენა, გზების გაყვანა, ხიდების გადგმა, საცხოვრებელი სახლების შენება. ისევ დაფუძნდნენ, დასახლდნენ ოჯახები, ქვეყანამ ომის ჭრილობები მოიშუშა, — და ამ საქმეშიც საქართველოს კომკავშირი მხარში ედგა უფროს თაობას, მხარში ედგა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, როგორც საიმედო თანამემწე, რეზერვი, ძალა, იმედი.

დღეს ჩვენი ახალგაზრდობა ამაყად, ლაღად მღერის საღმრთოაწაულო სიმღერას. ისინი მოდიან ხალისით, მხნედ, მტკიცედ დარაზმულნი. მათი სიმღერა არის სადიდებელი ჰიმნი ჩვენი მგზნებარე, მღელვარე დღეებისა, ისინი ეუბნებიან საყვარელ სამშობლოს, რომ დღესასწაულზე მოვიდნენ მართალი, მტკიცე სიტყვითა და ჭეშმარიტი საქმით; რომ მათ გმირული შრომით შექმნეს არა ერთი ნათელი ფურცელი, რომელსაც მრავალი თაობები სიამაყით წაიკითხავენ, რომ ისინი ამ გმირული შრომის დღეებში, კომუნისმის გამლილი მშენებლობის დღეებში უკან არ დარჩენილან, — ისინი მდგარან იქ, სადაც პარტია და ხალხი შოუწოდებდათ, წასულან ჩვენი მშენებლობის ყველაზე რთულ, ყველაზე პასუხსაგებ უბნებზე, არ შეშინებიან სიძნელეებს, დაბრკოლებებს, ახალგაზრდული შემართებით გადაულახავთ ეს სიძნელენი, გამარჯვებულნი დაბრუნებულან.

როცა პარტია და ხალხი ყამირის დასალაშქრად მოგვიწოდებდა, საქართველოს კომკავშირი მხურვალედ, ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა ამ მოწოდებას. ჩვენ ვიცოდით, რომ ყამირი არ იყო ედემის ბაღი, რომ იქ იყო სიძნელეც, სირთულეც, და ამ სიძნელეს არ ვმალავდით. მიუხედავად ამისა, ქართველი ჰაბუკები ერთხმად დაიძრნენ ყამირისაკენ, სადაც მათ ელოდათ ძალის, სიმტკიცის, ნებისყოფის, შრომისმოყვარეობის გამოცდა. იყო სიძნელენი, მაგრამ იყო ამ სიძნელეთა გადალახვის სიხარული, რომანტიკა, რომელსაც ხალისით შეეკვიდა ახალგაზრდული გატაცება და შემართება. ყოველწლიურად, ახლა უკვე ტრადიციულად, მიდიან საქართველოდან ყამირისაკენ ეშელონები, ყოველწლიურად საქართველოს კუნთმავარი ჰაბუკები ყაზახეთის მტხუნვარე მზის ქვეშ იდებენ ყამირის მოსავალს. შემდეგ ნაყამირალიდან



ჩვენი დიდი სამშობლოს გზებსა და რკინიგზებზე მიჰქრიან ხორბლით დატვირთული ავტომანქანები, მატარებლები, ივსება ქვეყნის ბელღები, ხვადება დოვლათი და ამ სასახელო საქმეში დიდია ქართველი ჯაბუკების დამსახურებაც.

პარტიამ თავის ოცდავერთე ყრილობის ტრიბუნიდან მოუწოდა საბჭოთა ხალხს შეიღწევის გრანდიოზულ ამოცანათა წარმატებით შესრულებისაკენ. ეს არის ხალხის ბედნიერების, სიხარულის, კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების შეიღწეული. ჩვენ შევედით კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, ჩვენს წინ ისახება სანუკვარი ოცნების — კომუნიზმის კონტურები, კომუნიზმი მოდის, იქმნება, იქმნება ყოველდღიურად, ჩვენს გარშემო, ჩვენს შორის, იყრება მტკიცე-საძირკველი, და ეს ყველაფერი ხდება საბჭოთა ადამიანების გამრჯე ხელით. მათ შორის დგას ჩვენი ახალგაზრდობაც... საქართველოს კომკავშირმა ყრილობის გადაწყვეტილებანი, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ამოცანები, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს შეიღწევის გრანდიოზულ გეგმებში, თავის ღვიძლ საქმედ გაიხადა. ერთი შეხედვით ეს თითქოს უკვე ჩვეულებრივი ამბავია; ამ „ჩვეულებრივ“ ამბავს ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩვენი დროის ღირსშესანიშნავი მოვლენა უწოდა. გვახსოვს ხრუშჩოვის გულთბილი საუბარი საგარეჯოელ მწველავ მ. კვაჭანტირაძესთან; იგი სულ ახალგაზრდა ქალიშვილია, დაამთავრა საშუალო სკოლა და თავის მეგობრებთან ერთად მეცხოველეობის ფერმას მიაშურა. საშუალო ცოდნა ეხმარება იმაში, რომ იყვეს მოწინავე, იცოდეს თავისი საქმე, ამ საქმის დიდი მნიშვნელობა და ყადრი... და მართლაც, ჩვენი დროის ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა ფართოდ დამკვიდრდა ცხოვრებაში. ახლა ჩვენი ჯაბუკები და ქალიშვილები უფრო მეტი ხალისით, უფრო მასიურად მიდიან ფაბრიკა-ქარხნებსა და საკოლმეურნეო მინდვრებში. მათ სწამთ დიადი საბჭოთა გეგმებისა, იციან, რომ საწარმოო შრომაში ჩაბმა არის სახელმწიფოებრივი საქმე და ამავე დროს მათი პირადი ღირსების საქმე. საშუალო სკოლიდან მოვიდნენ წარმოებაში. ჩვენი სახელგანთქმული კომკავშირელები: ზაურ რუსია, თამაზ ვაშაძე, მერი კვაჭანტირაძე, სერგო საყვარელიძე და ასობით და ათასობით მრავალი სხვა, რომელთა მაჩვენებლებით ამჟამინდელ საწარმოო კოლექტივები, კოლმეურნეობები. ამ ახალგაზრდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ იგიფყებენ სწავლას, ცდილობენ არ ჩამორჩნენ ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, დაუსწრებლად იღებენ უმაღლეს განათლებას, და ამრიგად ჩვენს წინაშე ყალიბდება ახალი საბჭოთა ადამიანი, ცხოვრებისათვის მზადყოფი, შრომისმოყვარე, განათლებული, კულტურული, უშიშარი, მტკიცე...

საქართველოს ახალგაზრდობაში ერთსულოვანი აღიარება და მოწონება ჰპოვა კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელთა მოძრაობამ. ეს იყო ახალი პატრიოტული თაოსნობა, რომელიც მოსკოველმა ახალგაზრდა მუშებმა წამოიწყეს, ნამდვილად კომუნისტური, ნამდვილად ჩვენი დროისა და პირობების შესაფერი პატრიოტული მოძრაობა. ვიშრომით და ვიცხოვროთ კომუნისტურად, ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის — თქვეს საბჭოთა ადამიანებმა და ვინ უნდა ჩაბმულიყო ამ პატრიოტულ მოძრაობაში უფრო მხურვალედ, თუ არა ახალგაზრდობა თავისი ახალგაზრდული ძალითა და ხალისით? საქართველოს ახალგაზრდები აქაც ერთ-ერთი პირველთაგანნი იყვნენ, მათ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოსკოველ თაოსნებს, დაიწყეს ბრძოლა შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერებისათვის, ტექნიკური და საერთო-საგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლების, კულტურის დაუფლებისათვის. მთელ საქართვე-



ლოს მოედო ეს მოძრაობა და არ იყო თითქმის არც ერთი საწარმო, კოლმეურ-  
ნობა, სადაც ახალგაზრდული კოლექტივები არ იბრძოდნენ ამ საამაყო წოდე-  
ბისათვის. ამ წოდებას ატარებს ამჟამად ჩვენში 576 კოლექტივი. 1938 კოლექ-  
ტივი კი იბრძვის საამაყო წოდების დამსახურებისათვის. პატრიოტულმა მოძ-  
რაობამ გაზარდა ჩვენი მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობის პასუხისმგებ-  
ლობა. ვაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ აამალა შრომის ნაყოფიერება  
და, რაც ღირსშესანიშნავია, ეს მოძრაობა გადაიზარდა უდიდეს აღმზრდელობით  
შობაობად. ჩვენ ვიბრძვით კომუნისტური შრომის ბრიგადის, რგოლის სახე-  
ლისათვის, — ამბობენ ჩვენი ახალგაზრდები, — ეს არ ნიშნავს მხოლოდ ბრძო-  
ლას პროდუქციის სიუხვისა და მაღალი ხარისხისათვის. ჩვენ ვიბრძვით ახალი  
ადამიანის, კომუნისტის მშენებელი ადამიანის აღზრდისათვის. თვით ჩვენი  
დევნი — ვიშრომით და ვიცხოვროთ კომუნისტურად — ახალი ადამიანის  
აღზრდას გულისხმობს, ჩვენ სანიმუშონი, ნამდვილად კომუნისტურნი უნდა  
ვიყოთ ყველგან, არა მხოლოდ დაზვასთან ან ჩაის პლანტაციაში, არამედ პირად  
ცხოვრებაშიც — ოჯახში, საზოგადოებრივ ადგილებში... ამიტომ აღარ გვეჩვე-  
ხება იშვიათ მოვლენად ყველას მიერ ერთისათვის თავდადების მაგალითები,  
იმის მაგალითები, როცა კოლექტივი იბრძვის ერთი ადამიანის ბედნიერებისა-  
თვის, აკეთებს მისთვის ყველაფერს, ოღონდ სწორ გზაზე დააყენოს და ის  
„ერთიც“, კოლექტივის სიყვარულის მაღლიერი, მზადაა თავი დადოს კოლექტი-  
ვისათვის, თუკი ამას მოითხოვს ქვეყნისა და ხალხის ინტერესები.

ჩვენი ახალგაზრდობის ნების სიმტკიცე, მორალური სისპეტაკე კიდევ  
უფრო სასიხარულოს ხდის ამ დღესასწაულს.

ჩვენი ახალგაზრდობის მზადყოფნა ყოველივე სიახლის, პროგრესულს  
ათვისებისათვის მქლავნდება ყოველდღიურად, ყველა საქმეში, რის გაკეთებაც  
საქართველოს კომკავშირის მიზნად დაუსახავს, რისთვისაც მზადყოფნა გამოუ-  
ჩენია. საქართველოს ახალგაზრდობამ მხურვალედ დაუჭირა მხარი პატრიოტ  
საბჭოთა ქალს ვალენტინა ვაგანოვას, რომელმაც არა პირადი კეთილდღეობი-  
სათვის, არა წვრილმან მოსაზრებათა გამო გადადგა „უჩვეულო“, მაგრამ მაინც  
საბჭოთა ადამიანისათვის ჩვეული ნაბიჯი. მან დათმო ბრიგადა, რომელსაც  
ბელმძღვანელობდა და რომელიც მთელ საწარმოში სანიმუშო იყო, და სამუ-  
შოდ გადავიდა ჩამორჩენილ ბრიგადაში, რათა ეს ჩამორჩენილიც მოწინავეს  
დონეზე აეყვანა. ამ პატრიოტულმა თაოსნობამ მთელს ჩვენს ქვეყანაში ჰპოვა  
აღიარება. გამოჩნდნენ მიმდევრები. გამოჩნდნენ ისინი ჩვენშიც, საქართველო-  
ში. საერთო საქმისათვის ასეთი ნაბიჯის გადადგმის სურვილი საქართველოს  
ბევრმა ჰაბუქმა და ქალიშვილმა გამოთქვა. სამაგალითოდ ჭიათურელი ახალ-  
გაზრდების თაოსნობაც კმარა. ვაგანოვას მაგალითით აღფრთოვანებული ჭია-  
თურის 300-ზე მეტი მოწინავე ახალგაზრდა მალაროელი მუშა და სპეციალისტი  
გადავიდა ჩამორჩენილ მალაროში, — ითხვისის მალაროში. ხატოვანად მათ  
„სამასი ითხვისელი“ უწოდეს. ამ სახელოვანმა რაზმმა სამაგალითო საქმე  
შოახდინა — ყოფილი ჩამორჩენილი მალარო ერთ-ერთი მოწინავე გახდა. ჩვენ-  
ში ცნობილი გახდნენ ათასობით ახალგაზრდა ვაგანოველები, რომელთა პატ-  
რიოტულმა ნაბიჯმა; ჩამორჩენილ ბრიგადაში გადასვლამ თავისი დადებითი  
შედეგი გვიჩვენა. ბრიგადირის გამოცდილებამ, გამჭირაობამ და მზრუნველმა  
ხელმა ამომძრავა ჩამორჩენილი უბანი, დიბადა პასუხისმგებლობის მეტი  
გრძნობა, მეტი პატრიოტული აღტკინება, პირველ წარმატებებს მოყვა მეორე,  
მესამე, და ეს ყველაფერი მოხდა იმიტომ, რომ უბრალო საბჭოთა ადამიანმა,

უბრალო ქაბუქმა, სხვებზე უკეთ, სხვებზე ადრე შეიგრძნო ჩვენი დღეების სიდიადე, აღმოჩნდა თავისი ადამიანური მოვალეობის სიმაღლეზე, გადაწყვიტა მთელი თავისი ცოდნა და ენერჯია კოლექტივის ინტერესებისათვის გამოეყენებინა. ასეთ ახალგაზრდებს ჩვენ უბრალოდ გაგანოველნი ვუწოდეთ, მაგრამ ამ უბრალო წოდების ქვეტექსტი დიდი და დამაფიქრებელია — იყო გაგანოველი, ეს იმას ნიშნავს, გული შეგტკიოდეს შენი ქარხნისა თუ კოლმეურნეობისათვის, ყველაფერს აკეთებდე მისი ღირსებისა და სახელისათვის, საზოგადოს, სახალხოს აყენებდე პირადულზე უფრო მაღლა.

რაც უფრო ბევრი კომუნისტური შრომის ბრიგადა იქნება ჩვენში, რაც უფრო მეტი გაგანოველი გვეყოლება, მით უფრო მაღე შესრულდება შეიღწევის გრანდიოზული გეგმები. ამ პროგრესულმა მოძრაობებმა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ ჩვენში უკვე არის მთელი ქალაქი, რომელიც კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურის ქალაქის წოდებისათვის იბრძვის. ეს არის რუსთავი — საბჭოთა ეპოქის პირმო: ჩვენი თაობის თვალწინ, ჩვენი თაობის ხელით შექმნილი, დაფუძნებული და აშენებული რუსთავი ახლა საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე და ერთ-ერთი ლამაზი ქალაქია. აქ ძმურად ცხოვრობენ მრავალი ეროვნების ადამიანები და ამ ადამიანებმა გადაწყვიტეს მათი ქალაქი იყოს კომუნისტური, რომ ქალაქში დამკვიდრდეს ახლებური, კომუნისტური ტრადიციები, რომ აქ ადამიანები ცხოვრობდნენ და შრომობდნენ კემპარიალ კომუნისტურად, ე. ი. ქმნიდნენ იმის მაქსიმუმს, რისი შექმნაც შეუძლიათ, ეუფლებოდნენ ცოდნას, კულტურას, არ ჩამორჩნენ მოვლენებს, თავისი ღირსეული სიტყვა თქვან ყოველ ახალ, პატრიოტულ წამოწყებაში. რუსთაველთა ეს ინიციატივა მთელმა ჩვენმა ქვეყანამ მოიწონა. ამ საბატიო სახელისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან რუსთაველი კომკავშირელები, რუსთავის მთელი ახალგაზრდობა. ვინ არ იცნობს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ახალგაზრდებს, რომლებიც თავისი ალანი შრომით სახელი გაუთქვეს ამ ქალაქის მთელ ახალგაზრდობას, გვიჩვენეს საბჭოთა ახალგაზრდა პატრიოტის ნამდვილი სახე. მათ ჩვენი დღეების გმირებს ვუწოდებთ და ამაში არ არის აღტაცებით გამოწვეული გადაჭარბება. ეს ისეთი ახალგაზრდებია, რომელთა იმედიც შეიძლება გქონდეს ყველგან, ყველა დროს, ზეიმსა თუ შრომაში, ჭირსა თუ ღზინში. ახლა რუსთაველები დიდ საქმეს აკეთებენ — ეს მეტალურგიული ქალაქი უნდა გადაიქცეს აგრეთვე დიდი ქიმიის ქალაქად. ამ დღემნიშვნელოვან საქმეშიც რუსთავის კომკავშირელები თავის გადამჭრელ სიტყვას გვეტყვიან.

ჩვენში ფართოდაა ცნობილი ჭიათურის დამკვრელი კომკავშირული მშენებლობა. აქ, ამ მშენებლობაზე, თითქმის მთელი საქართველოდან ჩამოვიდნენ ქაბუქები. საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დროზე შეაფასა ჭიათურის სამშენებლო ობიექტებზე შექმნილი მდგომარეობა, დაასკვნა, რომ მშენებლობა არადაამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ჭიათურისაკენ დაიძრნენ ქაბუქები — მშენებლები საქართველოს ყველა კუთხიდან. ეს არ იყო მხოლოდ „ხელის წახმარება“, — საქართველოს ქაბუქებმა ჭიათურის მშენებლობა ღვიძლ საქმედ გაიხადეს და ძალე ყველაფერს დაეტყო გამოცოცხლება, მწუხარში ჩადგა მარგანეცის მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ობიექტები. კომკავშირის გამრჯე ხელმა, ახალგაზრდულმა შემართებამ, ძალამ და ნებისყოფამ გაიმარჯვა, და როცა ჭიათურელთა წარმატებებს აღნიშნავდა, საქართველოს კომუნისტური პარტია

მადლობით იხსენიებდა ჩვენს გამრჯე კომკავშირელ ჯაბუკებს, რომლებმაც თავისი ღირსეული სიტყვა თქვეს აქაც, ჭიათურის მშენებლობაზეც.

დიღია ჩვენი მუშა ახალგაზრდობის წარმატებანი.

მათ ბევრი იშრომეს, გაისარჯნენ. ეს გარჯა დაუფასდათ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და ხალხის მადლიერებით, სიყვარულით. დღესასწაულის ამ დღეებში მათ შეუძლიათ თავი ბედნიერად იგრძნონ. ისინი ვალმოხდილნი არიან მშობლიური საქართველოს წინაშე.

მშობლიური საქართველოს წინაშე ვალმოხდილი გამოვიდა ჩვენი კოლმეურნე ახალგაზრდობაც. მათ შრომითს გამირობაზე ბევრი რამ თქმულა, რესპუბლიკაში გაითქვეს სახელი ჩაის, ციტრუსების, ყურძნის, მარცვლეულის, ხილის უხვი მოსავლის ოსტატებმა.

ვინ არიან ეს ახალგაზრდები? ისინი კომკავშირის აღზრდილნი არიან. მათ დაამთავრეს საშუალო სასწავლებელი, ცხოვრების გზად უყოყმანოდ აირჩიეს ქვეყნისა და ხალხისათვის პატიოსანი შრომა. შრომაში ჰპოვეს მათ ბედნიერება. ისინი არ უშინდებიან დაბრკოლებებს, მიდიან ყველგან, სადაც საჭიროა მათი ძარჯვენა — პლანტაციასა თუ ზეარში, ფერმასა თუ ცხვრის ფარებში. მოიარეთ საქართველო და უხვი მოსავლისათვის მეზობლო ახალგაზრდა გმირებს ყველა სოფელში, ყველა კოლმეურნეობაში შეხვდებით. სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე, მეტი პროდუქტები საბჭოთა ხალხს, — აი, რა ამოცანა დაგვისახა ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იანვრის პლენუმმა. პლენუმის გადაწყვეტილებებმა აღაფრთოვანა რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობა. განსაკუთრებით სასიხარულო, დამარაზმავი და აღაფრთოვანებელი იყო საქართველოში ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლა. ნ. ს. ხრუშჩოვი გაეცნო ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკებს, მათ შორის ახალგაზრდობას, და ღრმამინაარსიანი სიტყვით, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე წარმოთქვა, ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა ახალი წარმატებებისათვის დარაზმა. ამჟამად ჩვენში არ არის კოლმეურნეობა, სადაც ვადამპურელ ზომებს არ იღებდნენ მოსავლიანობის მკვეთრი გადიდებისათვის. ამ საერთო-სახალხო საქმეში ჩვენი კომკავშირელები კვლავ ავანგარდში არიან. ძთელმა ჩვენმა ხალხმა მოიწონა საქართველოს კომკავშირის ინიციატივა — ბრძოლა ჩაის, ხეხილის, ვენახის პლანტაციებში მეჩხერიანობის სრული ლიკვიდაციისათვის. ეს ბრძოლა ჩვენმა სოფლის ახალგაზრდებმა გააჩაღეს და მას მხარი დაუჭირა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. აღმოჩნდა, რომ ჩაის პლანტაციების, ვენახის, ხილის ბაღების მეჩხერიანობით რესპუბლიკა კარგავდა 10.000 ტონა ჩაის, 600.000 ცენტნერ ყურძენს, 500.000 ცენტნერ ხილს; რომ ამ მეჩხერიანობის სრული ლიკვიდაცია მოგვეცემდა დიდ მოგებას, ამომძრავებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების ერთ-ერთ მთავარ რეზერვს. ჩვენ კვლავ ვაშენებდით ახალ პლანტაციებს, ახალ ვენახებს, ხილის ბაღებს, მაგრამ მეჩხერიანობის წინააღმდეგ ბრძოლა დიდმნიშვნელოვან წამოწყებად გამოვაცხადეთ და ამ წამოწყებას მხურვალედ გამოეხმაურნენ მეჩაიეობის, მევენახეობისა და მეხილეობის რაიონები. გაიშალა დიდი მუშაობა, დაიბადა ერთუზიანში, და შედეგად რესპუბლიკას შეემატა 1000 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, 8000 ჰექტარი ხილის ბაღი, 7000 ჰექტარი ვენახი. ეს იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკის კომკავშირელთა წამოწყების შედეგად გვექნება მეტი ჩაი, ყურძენი, ხილი.

ამჟამად რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდები დიდმნიშვნელოვანი გა-

მოცდის წინაშე დგანან, ჩვენი უშუალო მონაწილეობით უნდა მკვეთრად გადიდდეს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ღარგების მოსავლიანობა, გაიზარდოს მეცხოველეობის პროდუქტიულობა, დიდი ყურადღება მიექცეს ძარცვლულ კულტურებს და განსაკუთრებით ისეთ კულტურას, როგორცაა სიმინდი. უკანასკნელ წლებში ჩვენ გვყავდა სიმინდის უხვი მოსავლის ისეთი ოსტატები, როგორც არიან: კ. სანდუხაძე, ი. ოთარაშვილი, შ. ღორაშვილი, ძაგრამ მესიმინდეობა მთლიანად რესპუბლიკაში მაინც ჩამორჩა. ახლა საქართველოს კომკავშირის გადაწყვეტილი აქვს ყველაფერი გააკეთოს, რათა რესპუბლიკაში შეასრულოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვისათვის მიცემული სიტყვა — მკვეთრად გაზარდოს სიმინდის მოსავლიანობა. ეს გაზაფხული ჩვენი სოფლის ახალგაზრდობის გარჯისა და შრომის გაზაფხული იყო. ამ გაზაფხულს ჩაუყარეს საფუძველი ჩვენმა ახალგაზრდებმა მიმდინარე წლის უხვ მოსავალს, ამ გეგმების შესრულებას, რაც იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე დავისახეთ მიზნად. შეიძლება ამთავითვე დაბეჯითებით ითქვას: არ იყო ცუდი გაზაფხული — ზეიმს ჩვენი სოფლის ახალგაზრდები არ შეხვედრიან ხელცარიელნი. მათ უხვი მოსავლისათვის საიმედოდ გადახნეს მიწა, ხნულში შობანიეს თესლი, მზრუნველი მარჯვენით საქმეს ბოლომდე მიიყვანენ და გამარჯვებას შემოდგომაზე, უხვი მოსავლის აღებით გვახარებენ.

საქართველოს გაზაფხულის დღესასწაულს ზეიმობს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა, სტუდენტობა. ეს არის ჩვენი კომკავშირის ერთ-ერთი დიდი და ძძლავრი რაზმი. მოსწავლე ახალგაზრდობამ და სტუდენტობამ არა ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს საქართველოს კომკავშირის ისტორიაში. როცა ვლაპარაკობდით სახელოვან მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობაზე, ვთქვით, რომ ესენი ყოფილი მოსწავლეები, სკოლის მერხიდან მოსული ჭაბუკები და ქალიშვილები არიან. დღეს ჩვენი სკოლის მერხებზე სხედან გოგონები და ვაჟები, რომლებიც თავისი უფროსი ამხანაგების მსგავსად მზად არიან უყოყმანოდ მიჰყვნენ სამშობლოს მოწოდებას — ჩაებან მჩქეფარე შრომაში, იგრძნონ ცხოვრების ფასი, გარგონ ადამიანის ყველაზე მაღალი დანიშნულების — პატიოსანი შრომის ფასი. როცა ვლაპარაკობთ ჩვენს სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობის მკვეთრ აღმავლობაზე, არ გვავიწყდება, რომ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში თავის სიტყვას ამბობს სკოლის მერხის ახალგაზრდობაც. ისინი ეუფლებიან მეცნიერების საფუძვლებს, იძენენ ზოგად საშუალო განათლებას და ამთავითვე ებმებიან შრომაში. ბევრ ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდას საკოლმეურნეო მინდვრებზეც უსახელებია თავი, დახმარებია უფროსებს, კოლმეურნეობას, მოუხდია თავისი კომკავშირული ვალი. ეს ითქმის ჩვენს სახელოვან სტუდენტებზეც. როცა ვლაპარაკობდით ყამირისაკენ მოსავლის ასაღებად წასულ ჭაბუკებზე, როცა ვახსენებდით ყაზახეთისაკენ დაძრულ ეშელონებს, არ გვავიწყდება, რომ ეს ახალგაზრდები, ყამირის ეს გმირები პირველ ყოვლისა ჩვენი სახელოვანი სტუდენტი ახალგაზრდები არიან.

დიდია მათში ცოდნის წყურვილი, წიგნის სიყვარული. წიგნის სიყვარულით იზრდებიან ისინი აკენიდანვე. წიგნის სიყვარული გადასცა მათ წინაპარმა ლექსითა თუ სიმღერით, თქმულებითა თუ ზღაპრით. წიგნია მათი გონების საუნჯე. ამიტომ ილტვის ასე მასიურად საქართველოს ახალგაზრდობა უმაღლესი განათლებისაკენ. ეს უმეტეს შემთხვევაში არ არის თვითმიზნური რაღაც, ეს ცოდნის, განათლების წყურვილია, რომელიც ჩვენი ეპოქის ყველა ცივილიზე-



ბულ ადამიანს უნდა ჰქონდეს. ჩვენი ხალხი, ჩვენი პარტია მისეალმება ამ წყურვილს. დაე გაენათლდეთ; დავეუფლოთ ცოდნას, დავეწაფოთ ამ დაუშრეტელ წყაროს, რომ ეს წყარო, ეს ცოდნა გამოვიყენოთ ისევ და ისევ შრომაში, ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჩვენ შრომისმოყვარე, გამრჯე, ცოდნისმოყვარე ახალგაზრდობა გვყავს, იქმნება მათზე სიმღერები, მხატვრული ტილოები, იწერება ლექსები, პოემები, მოთხრობები, რომანები. ორმოცმა სახელოვანმა წელმა თავისი უთვალავი გამარჯვებებით ნათლად გამოკვეთა ჩვენი ახალგაზრდა ადამიანის, საბჭოთა ქართველის ტიპური სახე. ამ სახეებით მდიდარზე მდიდარია ჩვენი ცხოვრება, ეს სახეები გვხვდება ჩვენს ლიტერატურაში, ხელოვნებაში, გვხვდება სულ უფრო ლამაზად, სულ უფრო დამაჯერებლად, ოსტატობით, ნამდვილი ხელოვანის ყალბით დახატულნი. თანამედროვე ახალგაზრდა ქართველი ადამიანის სახეებს ქმნიან ჩვენი სახელოვანი მწერლები, პოეტები, კომპოზიტორები, მხატვრები. ამ საქმეში თავის ძალას ცდიან ჩვენი ახალგაზრდა შემოქმედნიც; რომელთაც კარგად ესმით საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალი დანიშნულება — შექმნან დიდი, იდეურად და მხატვრულად სრულყოფილი ნაწარმოებნი, ისეთი ნაწარმოებნი, რომელნიც ადამიანში ვაღვივებენ ყველაზე კეთილშობილურ გრძნობებს, მოგვიწოდებენ ჩვენი დროის, ჩვენი ეპოქის ადამიანის მაღალი დანიშნულებისაკენ, დაგვატკბობენ, გაგვახარებენ, აღგვაფრთოვანებენ, აღგვაგზნებენ და გავვიღვიძებენ სასიცოცხლო ენერგიას. ჩვენმა ნიჭიერმა შემოქმედებებითა ახალგაზრდობამ შექმნა არა ერთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები, რომელთაც მკითხველის აღიარება და მოწონება დაიმსახურეს.

როცა ლიტერატურისა თუ ხელოვნების ამა თუ იმ დარგში მოდის ახალგაზრდა შემოქმედი, მან უნდა მოიტანოს ახალი აზრი, ახალი სიტყვა, ცხოვრების თავისებური დანახვა. ჩვენ ყველას ერთი ქვეყანა გვზრდის, ყველას ერთი პარტია, კომუნისტური პარტია გვინათებს მომავლის გზას. ერთია ჩვენი რწმენა, ჩვენი იდეოლოგია. მაგრამ როცა ვლაპარაკობთ მწერლობაზე, ხელოვნებაზე, არასოდეს ვივიწყებთ მის სპეციფიკას, მის თავისებურებებს. ერთი რწმენა, ერთი იდეოლოგია, ერთი მსოფლმხედველობა საბჭოთა მწერლებს ხელს არ უშლის ჟანრობრივ და სტილისტურ მრავალფეროვნებაში. ჩვენ გვინდა ერთმანეთისაგან განსხვავებული ნაწარმოებები, განსხვავებული — ხელწერით, მხატვრული მანერით, მოვლენათა აღქმითა და დანახვით. ჩვენ გვინდა მრავალფეროვანი ნაწარმოებები, სადაც სულ სხვადასხვა კუთხით, სულ სხვადასხვა მხრით იქნება დახატული ჩვენი მჩქეფარე სინამდვილე, საბჭოთა ადამიანის მღელვარე ცხოვრება, სადაც ასახული იქნება ჩვენი დიდი მიღწევები, ჩვენი დიდი წარმატებანი. მაგრამ არა მშრალად, მომაბეზრებლად, პლაკატურად, არამედ დიდი, კვამარიტი ხელოვნების პოზიციიდან. ჩვენ გვინდა სინამდვილე ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ჩვენ გვინდა რეალობა, მაგრამ მხოლოდ ხელოვანის თვალით, მხატვრის თვალით დანახული რეალური სინამდვილე.

ასეთი ნაწარმოებები ჩვენში ბევრი იქმნება.

უნდა სიხარულით აღინიშნოს, რომ მათი ავტორები ბევრ შემთხვევაში ახალგაზრდა შემოქმედნი არიან. ნიჭიერი ახალგაზრდობის მოსვლა ლიტერატურასა და ხელოვნებაში განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ბოლო, ომისშემდგომ წლებში. ომის ქართველის გადავლის შემდეგ მოვიდა შემოქმედი ახალგაზრდობა, რომელმაც ბევრი რამ ნახა საკუთარი თვალით, გადაიტანა ომის



სიმძიმე და გაჭირვება, ნახა საბჭოთა ადამიანის გმირული შრომა ქვეყნის აღდგენისათვის. ეს ნანახი და განცდილი ნათლად აირეკლა მათს შემოქმედებაში. შემდეგ ლიტერატურასა და ხელოვნებაში მოვიდა უფრო ახალგაზრდა თაობა, რომელთა ყრმობისა და ჭაბუკობის წლები ჩვენს მშვიდობიან მშენებლობას დამთხვავდა. ამ ახალგაზრდობამ, მსგავსად მათი ნიჭიერი წინაპრებისა, უარი თქვა ხელოვნებასა და ლიტერატურაში მარტივსა და გაუბრალოებულზე. უბრალოება მათ დაინახეს ღრმა შინაარსში, ფორმის დახვეწილობასა და მალალმხატვრობაში. ისინი ცდილობენ ღრმად ჩაწვდნენ მოვლენებს, მოგვეცენ ამ მოვლენათა მხატვრულად დასაბუთებული ახსნა, ცხოვრებაში დაინახონ ლამაზი, ამაღლებული, პოეტური, ადამიანი დაგვიხატონ მთელი თავისი რთული, მრავალფეროვანი ბუნებით. მათთვის ცხოვრება არ არის მარტივი, ერთფეროვანი რაღაც, სადაც ყველაფერი ნათელია, ყველა გზა სისხარულისა და ღიმილისაკენ მიდის. ისინი ცდილობენ დაგვანახონ მთავარი თუ მეორეხარისხოვანი, წამმართველი თუ დამლუპველი, ე. ი. ცხოვრება გვაჩვენონ მთელი თავისი მრავალფეროვნებით, სიგრძე-სიგანით.

არის გამარჯვებით დაგვირგვინებული ცდები.  
არის მარცხიც.

მაგრამ, რაც მთავარია, არის ჭეშმარიტად ახალგაზრდა შემოქმედება ძიება, ძებნა, სიახლის წყურვილი; ეს კი იმედს გვაძლევს, რომ ველოდით ახალ გამარჯვებებს, ახალ შემოქმედებითს სიხარულს. ჩვენ იმედიანად მოველით ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანის ახალ შემოქმედებითს გამარჯვებებს; გვახარებს თამაზ და ოთარ ჭილაძეების, არჩილ სულაკაურის, მორის ფოცხიშვილის, ჯანსუღ ჩარკვიანის, გივი გეგეჭკორისა და სხვათა ნამდვილი შემოქმედებითი წარმატებანი. მისასალმებელია პროზაში ისეთი ახალგაზრდების გამოჩენა, როგორიცაა ოტია იოსელიანი, მერაბ ელიოზიშვილი, რევაზ ჭეიშვილი, გურამ გეგეშიძე. განსაკუთრებით ნიჭიერი და საიმედო ახალგაზრდობა გამოჩნდა მხატვრობაში. ისინი საკმაოდ ბევრნი არიან და ცდილობენ ორიგინალური, თავისებური ოსტატები დადგნენ, რათა მათი ნაწარმოებები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ ფორმით, შესრულების მანერით. ნიჭიერ საიმედო ახალგაზრდობას ვხედავთ კინოში, თეატრში, მუსიკაში... ეს მეტად სასიხარულო მოვლენაა. ამ ახალგაზრდა შემოქმედთა გამოჩენა გვაგალებს მეტ პასუხისმგებლობას, სათუთ, მზრუნველ მიდგომას. ჩვენ უნდა ყურადღებითა და ფაქიზად მივუდგეთ მათს ახალ ნაწარმოებებს, კარგი და მისასალმებელი წაგვახალისოთ, ცული ამთავითვე უარყვით. ამ ახალგაზრდა შემოქმედთ განსაკუთრებით უნდა მოვფხოვოთ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული სრულყოფა. ჩვენს ახალგაზრდობას, ჩვენს ხალხს უნდა ისეთი ნაწარმოებები, სადაც დიდი აზრი, ჭეშმარიტად მისაღები იდეები თვით ნაწარმოების არსში, სულსა და გულში იქნება, სადაც თვალს არ მოგვეჭრის შიშველი ტენდენცია, სადაც ყალბად, უმეტრად გაგებული იდეურობის საბაბით ფართო გზა არ მიეცემა უნიჭობას, დაბალ გემოვნებას, ხელოსნობას. ლიტერატურასა და ხელოვნებას თავისი სპეციფიკა აქვს. უნდა შევიზარჩუნოთ ეს მთავარი — ლიტერატურისა და ხელოვნების თავისებური, სპეციფიკური ენა, გამოსახვის მხატვრული საშუალებანი, ჭეშმარიტი შემოქმედებითი სული; უამისოდ არ შეიქმნება ჩვენი ეპოქისა და ხალხის ღირსი ნაწარმოებნი. ამ ერთადერთი ჭეშმარიტი გზით მიდის საქართველოს შემოქმედებითი ახალგაზრდობის ნამდვილად ნიჭიერი, ბევრის აღმოქმედი, ძაიმედო რაზმი.

სასახელოდ, ხელდამწვენებელი, მიჩქვფარე ენერგიით აღსავსე შეეგება საქართველოს კომკავშირი, მთელი ჩვენი ახალგაზრდობა საბჭოთა საქართველოს ორმოცი წლისთავს — საქართველოს გაზაფხულის დღესასწაულს. ყოველ პატრიოტულ საქმეს, ყოველ კეთილშობილურ იდეას ჩვენს ახალგაზრდობას შთააგონებდა მშობლიური კომუნისტური პარტია. პარტია აღგვაფრთოვანებდა საქმით და სიტყვით, პარტია იყო და არის ჩვენი დამრავზმავი, ჩვენი წინამძღოლი, ჩვენი გზის მანათობელი შუქურა. მისი დიდი სჯამის ერთგულებამ, მისი იდეების ღრმა რწმენამ, მისმა სიყვარულმა გააკეთებინა ჩვენს კომკავშირს ყველაფერი, რაც ასე საამაყოდ დაგვრჩენია. ჩვენ მზადა ვართ კვლავაც მტკიცედ ვიაროთ ამ გზით და არ არსებობს ამ ქვეყნად ძალა, რომელიც ამ გზას შეგვაცვლევინებს. არ არსებობს იმიტომ, რომ ამაშია ჩვენი რწმენა; ჩვენ არ ვუღალატებთ იმას, რაც ერთხელ ვიწამეთ და რაც ჩვენს გულში სამუდამოდ აღიბეჭდა. ესაა სიყვარული პარტიისა და ხალხისა. ახლა საქართველოს კომკავშირი იბრძვის მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შესახვედრად. ჩვენი ჰაბუკები და ქალიშვილები დღესასწაულზე მოვიდნენ პიოდაპირ დაზგებიდან და საკოლმეურნეო მინდვრებიდან. მათი ახალგაზრდული ხმა, მათი სიმღერები კვლავაც მოედება ჩვენი სამშობლოს მთებსა და ველებს. ისინი მრავალი გამარჯვებით გაგვახარებენ.

ჩვენ ვცხოვრობთ მშობელ ქართულ მიწაზე.

ჩვენ აქ დავიბადეთ და აქ ვიზრდებოდით.

ჩვენს სამშობლოს ჰქვია საქართველო და საბჭოთა საქართველოს სიყვარული შეუძლებელს შეგვაძლებინებს, სანამ მკერდში გული ძვრის. ჩვენ გვიყვარს ყველაფერი ქართული, ყველაფერი კარგი, რაც კი ჩვენს ერს შეუქმნია, მაგრამ ჩვენ ვეძმობით ყველას, ვინც კი ძმურად ხელს გამოგვიწვდის. ჩვენ დიდი საბჭოთა კავშირის ერთიან ოჯახში ვცხოვრობთ და ვამაყოთ ამ ოჯახით, ჩვენი მეგობრობა იქნება მტკიცე და ურღვევი. მოძმის სიყვარული, მოძმისთვის თავდადება ისტორიულად ქართველი ხალხის გულსა და გონებაშია; დიადი მეგობრობის ძალაზე თვით ჩვენი დიდი „ვეფხისტყაოსანი“ ღალადებს. საქართველოს ახალგაზრდობა იყო და იქნება კატმოყვარე, ვიდრე ჩვენი სამშობლო იცოცხლებს, ვიდრე ჩვენი ერის სინდის-ნამუსისა და ტრადიციების ერთგულნი დავრჩებით, ვიდრე ჩვენში ენთება ის რწმენა, რომ ამ ქვეყნად არსებობს ადამიანი — ბუნების-მბრძანებელი და ბუნების სიამაყე, ადამიანი, რომელიც მოწოდებულია ბედნიერი ცხოვრებისათვის, ბუნების საოცარ ძალთა ახსნისა და შესწავლისათვის, მატერიალური სამყაროს დამორჩილებისათვის.

ამ ჰუმარიტად ადამიანური გზისკენ მიდის ჩვენი მრავალეროვანი სამშობლო, ჩვენი დიდი ოჯახი.

ამ დიადი გზით მიეყვართ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას.

ქაკრო კაკაძე

სახელად ჰქვია გემს «საქართველო»

ისე ვით სული თავისუფლების,  
ისე ვით ზღვაში გაჭრილი გემი, —  
შორი ზღვისა და შორი ღრუბლების  
ღელვას მიაპობს ოცნება ჩემი!

სახელად ჰქვია გემს „საქართველო“;  
შეუმართია გულმკერდი მალა,  
საყვარელია და სასახელო  
ვით საქართველო ამ ზღვაში, ახლა!  
მკერდს აწყდებოდნენ წელიწადები,  
მაგრამ გმირული ბრძოლით გასცურა,  
უკვე შორეულ შუქით ვნათდები —  
ამ საუკუნის გაღმა გასულა...

ჩვენ, სამოციან წლების ქართველებს,  
გვესმის მომავალ დღეთა გუგუნი,  
ბნელს ცეცხლის ფრქვევით ისევე  
ათენებ!

ჩვენი სიცოცხლე მზეჭაბუკური! —  
და ვისი რწმენაც არ დანისლულა,  
არ გასტეხია გული აროდეს —  
ოცნება მხოლოდ მან აისრულა,  
მას შეუძლია იქ უხაროდეს.

რა ლალი დღეა და რა დიადი,  
ხალხით სავსეა გემბანი ფართო,  
ცად ამომავალ მზის განთიადი  
განა მათ წინსვლას ანათებს მარტო, —

გემის მესაქვე, გადიგუგუნე  
ის მშვიდი ჭავლი ბედნიერ წამთა,  
ყველა ჩვენგანი შენთან იგულე,  
ვისაც მომავლის დიდება სწამდა!

დრო აღარაა გულზაფრიანი,  
ომი იმედებს არ ანადგურებს  
და აღისთერი დროშის ფრიალით  
მისწვდი პირისპირ კვლავ  
ნავსადგურებს!

გემს არ აჩნია ქარიშხლის დალი,  
და არ სჭირდება უკვე ნუგეში,  
დასცურავს როგორც შრიალა ბაღი  
საუკუნიდან საუკუნეში...

გემის მესაჭევე, გუთნის-დედა ხარ —  
ზღვაზე ხნულს აჩენს შენი გუთანი,  
შენთვის შორიდან რომ დაგვეძახა,  
არ დავიმურეთ ხმა საკუთარი.

ო, ამ დიდებულ წუთს არ გაგვეყარო,  
დრო მერანივით გემს მიაგელვებს,  
შენს ირგვლივ ბრუნავს მთელი  
სამყარო

და ანძა იჭერს რადიო-ელვებს!

ჩვენი თვალებიც გინდა? — ინებე,  
აჰა, ოდნავი ფერისცვალებით  
გემს ვარსკვლავებად დასციმიციმებენ  
თანამავალი ჩვენი თვალები!

მხოლოდ იმედი! მხოლოდ სიკეთე!  
და არა მტერთა გაბოროტება,  
მხოლოდ მომავლის ნიშანს მიხედვე, —  
წარსული აღარ განმეორდება! —

მან საოცნებოდ არა თუ ამ ცის  
შორი ნაპირი არ დაგვანება —  
გვდევდა, ვით ენა-წართმეულ კაცის  
გააქებული გადაგვარება!

მაგრამ არ შერჩა მტრობა ხალხისა,  
ცხოვრებას შავად აღარ აჩნია,  
შორსაა, როგორც გმინვა ტალღისა,  
გემს რომ გულდაგულ გაუხანჯლია!

მესაჭევე ჩემო, ჩასთვალე არად,  
განაგრძე ბრძოლით გზა სასახლო,  
გახსოვდეს მარად, გახსოვდეს მარად:  
სახელად ჰქვია გემს საქართველო!

გახსოვდეთ, როცა ქუდბედიანებს  
ჩვენი ოცნება მოგესალმებათ —  
თქვენს ამ პატარა გემზე ბრიალებს  
ჩვენი დღეების ალი აღმებად.

და თუ ორმოცი წლის აღტაცებით  
დღეს ჩვენმა გულმა გაიხალისა,  
ხვალ ამავე გემით და ვაჟკაცებით  
ვართ დამთრგუნველი ქარიშხლისა!



## ჩვენს ასაკში

### ქართული ლემინდები

#### ხვამლის მთა

ვხედავ ცამდე ამდღებულს,  
 ჯილად ყინვის ვარაყი აქვს,  
 გაფრენილს და გალადებულს  
 სიამაყე არ აკლია.

იმერეთის ლამაზ მკერდზე  
 ჩანს ლაღი და ბუმბერაზი,  
 ქარი მის შუბლს სტვენით ეძებს,  
 ოქროს სხივი მკერდზე აზის.

მაგრამ არც ქარს უშინდება,  
 არც თოვლწვიმას უკრთის ხვამლი,  
 უდრტვინველად, უშფოთველად,  
 ცხელ მკერდიდან ასდის კვამლი.

ზამთარშიაც, ზაფხულშიაც  
 კვამლი ზოლად გარს ავლია,  
 რა ცეცხლი აქვს მას გულში ან  
 რა ნისლია, რა კვამლია.

ძველთაძველი თქმული არი  
 და ირწმუნა ასე ხალხმა,  
 ამირანმა ნაკვერჩხალი  
 ხვამლის გულში შეინახა.

თავდადებულს ხალხისათვის,  
 უკვდავება აქვს თავდებად,  
 ცაში მისი ცეცხლი ადის  
 და სიცოცხლე არ თავდება.

#### უკვდავების წყარო

ძველთაძველი ამბავია,  
 მას თარიღი არ აქვს,  
 თურმე მწყემსმა ამ მინდვრებზე  
 ჩამორეკა ფარა.

კუნტრუშებდნენ ცხვრები ველად,  
 თამაზობდნენ ცხვრები.

მწყემსი იქვე ხესთან მიწვა,  
 მოისვენა შვებით.

ავადმყოფს და საბუარს თურმე  
 ძვლებში სტეხდა მაშინ,  
 სიმწრის ქარი შესაზარი  
 გასჯდომოდა ჯანში.

რა წამალიც არ იხმარა,  
 არ უშველა, არა.

სახსრის ტეხვა სნეულ სხეულს  
 შესჩენოდა მარად.

ჰოდა, მწყემსი დაქანცული  
 შვებით მიწვა ხესთან...

უცებ ძილში თითქოს რაღაც  
 წყლის ჩუხჩუხი ესმა.

გაიღვიძა, გაიოცა  
 სასწაულის ძალით:  
 ჩუხჩუხებდა მიწის გულში  
 ორთქლიანი წყალი.

უამებდა წყალი ტკივილს,  
 ხვლებს, ფეხებს, სახსარს  
 მძლავრად შლიდა, კლდევედებოდა  
 გოლიათის მსგავსად.

განიკურნა სულ მთლად მწყემსი,  
 გაიხარა გულით.


ბედნიერმა აამღერა  
 თავის სალამური.



ეს ამბავი მოეფინა  
 ქვეყნის ყველა მხარეს,  
 მოდიოდნენ, შემდეგ აღარ  
 უჯერებდნენ თვალებს.  
 ანდა როგორ დაეჯერათ  
 საოცრების ნახვა, —  
 თითქოს ფრთები ესხმებოდა  
 დავრდომილს და საპყარს.


მოხუცი თუ ახალგაზრდა,  
 ბავშვიც, ქაციც, ქალიც,  
 ლაღადებდა — ვიბოვეთო  
 უკვდავების წყალი.  
 იმ დღის შემდეგ აქ მომსვლელი  
 მართლაც გულით ხარობს  
 და წყალტუბოს უწოდებენ  
 სასწაულის წყაროს.

თარგმნა ნოდარ გურგუშიძემ




ხანელმწიფო ხამხატვრო გაღვრვაში გაიხსნა ქართველ-  
 მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, მიძღვნილი საქართვე-  
 ლოში საბჭოთა ხელისუფლების დაშვარების 40 წლისთავი-  
 ხადში.

გამოფენაზე წარმოდგენილი ნახატები ასახავს საბჭოთა  
 საქართველოს აუვავეებისა და განვითარებას ამ ორმოცი წლის  
 მანძილზე. სახელმძღვანელო ქართველ მხატვართა გვერდით,  
 გამოფენაზე ფართო აღვილი აქვთ დათმობილი ახალგაზრდა  
 მხატვრებს, რომელთა რამდენიმე ნახატს ვაქვეყნებთ უურნალის  
 ამ ნომერში.




თ. გიგაური—ძირს იარაღი!





ვ. ჰუმბურიძე—მეფოლადე  
ფირცხალადის პორტრეტი.

ვ. თნიანი—სვანის  
პორტრეტი.



სარგენი  
სომეხი პოეტა

ძმობის ხიდი  
(სურათი წარსულიდან)

ძველი ავლაბრის ერთ ბნელ სარდაფში,  
ერთ დილას იშვნენ აშოტ და შოთა,  
ერთ ჩინარის ქვეშ ორივე ბავშვი  
ხარობდა ლალად და შეუშფოთველად.

ჩამოიტოვეს ბავშვობის დღენი,  
ფრინველებივით გამართეს ფრთები,  
ერთუბრის უმზერდნენ ნდობით და რწმენით,  
ერთუბრის შესტრფოდნენ ვით ღვიძლი ძმები.

მაგრამ ჩამოდგა სასტიკი წელი  
და გაიყარა ორივეს გზები.

ერთი ქართლშია თოფის ქვეშ მდგარი,  
მეორე სომხის სალდათი არის,  
ღვიძლ ძმებს დაშნაკმა და მენშევიკმა  
ააღებინეს მახვილი ძალით.

მტერი შუღლს სთესავს მოძმეთა შორის,  
ნისლით მოცულა სოფლები ლორის.  
ოხვრა და კენესა რომ დაებედა,  
ცრემლის მდინარედ იქცა ლებედა.

ბნელ ხევზე, როგორც ნახევარმთვარე,  
დევს ძველი ხიდი, განა მდიდრული,  
და იმ ძველ ხიდის სხვადასხვა მხარეს  
ორი კაცი დგას თავჩაქინდრული.

ორივე ვაჟკაცს უნახავს ომი,  
სიკვდილის გზებზე უვლიათ დღემდე  
და ორი მოძმე, სიცოცხლის მდომი,  
აქ შეხვდა ერთუბრის ფრონტების შემდეგ.

ისინი ახლა პირისპირ დგანან  
 როგორც მოსისხლე, მოძულე მტრები.  
 ტყე ყრულ შრიალებს, ვით დედის ნანა  
 ისმის მშობლიურ მდინარის ხმები.


ნისლია ირგვლივ, აღარა ჩანან  
 ამ ნისლში მათი მეთაურები.  
 აშოტ და შოთა ცალ-ცალკე დგანან  
 და ერთნაირად უცემთ გულეში.

უეცრად თოფებს შორს გადისვრიან  
 და შუა ხიდზე ერთუროს ხედებიან,  
 კოცნიან ერთუროს... ირგვლივ ნისლია,  
 მათ კი სინათლე მონატრებიათ...

მერე უკანვე გარბიან, სწრაფად  
 მიაშურებენ საგუშაგოებს;  
 შმაგი მდინარე, ქცეული ქაფად,  
 ხევში ბობოქარ ტალღებს აგორებს.

წვიმის მათრახით ცა მიწას შოლტავს,  
 ელჭექი ღრუბლის უბე-მკერდს სვრავს  
 და ძმობის ხიდზე აშოტ და შოთა  
 დგანან და დარის დადგომა სჯერათ.

თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა





მიქოლა ჟინეაქო  
უკრაინელი პოეტი

აი ქვეყანა

აი ქვეყანა ნათლისმარი,  
ჩემი ბავშვობის ტკბილი სიზმარი.

უცხო ფერების ნოხი გაშლილა,  
მღერის ბუნება — დიდი მელექსე,  
მთებში იღვიძებს დილა ბავშვივით  
და საჯირითოდ ჩადის ველებზე.

დაივარცხნიან მთები ჭაღარას  
და ძირს აგდებენ ღრუბლის სავარცხელს,  
მზემ სხივთა კალო გააჩაღა რა,  
თავი მიადო ზეცის სავარძელს.

არ შევხვედრივარ მე ასეთ მწველ მზეს,  
ასე რომ შეენის მიწას ღონიანს  
და ცისარტყელა ყაზბეგის წელზე  
მე სააკაძის ხმალი მგონია.

ხალხი შრომაშიც, ომშიც მგრგვინავი  
ყოველთვის ერთგულ მოძმედ მყოლია  
და მე ამაყად მდგარი მყინვარი  
დიდი აკაკის ლანდი მგონია.

აი ქვეყანა ნათლისმარი,  
ვით ახდენილი ყრმობის სიზმარი.

თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა





ალი ბანიქვი  
ინგუში პოეტი

საქართველოს

შენსკენ გულით რომ მოვისწრაფოდი,  
შეგხარი, როგორც პატარა ბაღი,  
ინგუშურ მუხის ერთი ნაფოტი,  
ატაცებული მტკვრის წმინდა ტალღით.

და აი, შენზე სიმღერას ვბედავ,  
ყველა პოეტის მუხების დედავ.

მე შენი გული მათბობს და მკვებავს,  
ისევე როგორც ჩემს ძველს წინაპრებს,  
მე შენი ტრფობა ავისხი ფრთებად,  
წინ წავიმძღვარე უქრობ სინათლედ.

მე შენს მიწაზე მუხლმოყრით დავდექი,  
თაყვანი ვეცი ვაჟას და ყაზბეგს.

მუდამ უყვარდა შენს ხალხს ინგუში,  
ინგუშს იცავდა ქართული ხმალიც,  
დედა-თბილისის მარად თბილ გულში  
ჩემი პატარა სიმღერაც არის.

თუმცა მე ისეთს რას ვიტყვი ნეტავ,  
შენ რომ გფერობდეს, სიმღერის დედავ...

მეც ხომ მამღერებს შენი მწველი მზე,  
დიდი სიცოცხლის სხივთა მთოვარი.  
მეც გულით მომაქვს შენს დიდ ზეიმზე  
ეს ჩემი მცირე რამ სახსოვარი.

თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა





## 311808 კერძო

### საქართველოს

შენთან აღერსის მარად მსურველი —  
დიდი სიმღერის ძალას შევები,  
მე შენი მიწის მათრობს სურნელი,  
ვარ მოხიბლული შენი მშვენებით.

ვღგავარ შენთან და სული მევსება,  
სითბო ტრიალებს შენში იმხელა,  
შენი ტყეების, შენი ლექსების  
და განთიადის მესმის სიმღერა.

მზისკენ მიილტვი და მზით ივსები,  
ველარ გიხილავს მტერი ვათელილს,  
ერთად ამოდის კიპარისებში  
მზე და სახება შენი ნათელი.

მრავალი წელი გადაგიქროლებს,  
დრო ვერ შეარცხვენს სახელს  
ქართველის,  
(ძმავ, მე ახლაც იმ წუთს ვიგონებ,  
ერთმანეთს ძმურად ხელს რომ  
ვართმევდით).

ვხედავ შენს მკერდზე ზურმუხტს  
მოფენილს,  
ამაოდ წუთით აღარ მოცდები,

მე ქალაქები ვნახე სოფლებშიც,  
ვარ მომღერალი შენი ოცნების.


ბედნიერ დღემდე ბრძოლით მოხვედი,  
გკლავდნენ და მოკვდა შენი მსახვრელი,  
ნაცვლად სევდის და ნაცვლად  
ქობების —  
გშვენის სიმღერა და სასახლენი.

ზღვათა, მთათა და ზეცის თილისმა —  
ლექსში ყველაფერს როგორ ვატევედი,  
ნორჩი რუსთავი, ძველი თბილისი  
გამხნევებენ და ძალას ვმატებენ.

დინჯი ნაბიჯით გაუსწრებ დროჟამს,  
შენი მიზანი დროს უმკლავდება,  
ფრიალებს შენი წითელი დროშა,  
გშვენის სიცოცხლე და უკვდავება.

ხედავ მომავალს, ნათელ მომავალს,  
მიზანი აღარ დაგეზაფრება,  
ვამაყოფ, ამის მოწმე რომა ვარ  
და ვხედავ მე შენს მზისკენ გაფრენას.

თარგმნა ფილიპე ბერიძემ





საქართველოში

მებაღურივით  
ზღვის ნაპირად ჩამოვდა ღამე,  
ვერცხლისწყალივით  
ზღვის კენჭებზე დაიმსხვრა ნამი...  
და ბამბუკების ანკესებზე წამოგებული  
ზღაპრულ თევზივით ფართქალებს მთვარე.

გადაფენა მთვარის შუქი მინაზებული  
სახეებს,  
ხელებს,  
მხიარულ თვალებს...  
სუფრაზე უხვი სურნელება კვამლივით სცურავს  
და ღამე მოგავს იღუმალი სერობის სურათს...

გარეთ სიჩუმეს ფხაჭნის კრიჭინა...  
სავეს სასმისებს ვერცხლისფერი შუქი ანაზებს.  
მე სადღეგრძელო ხელში მიჭირავს  
და ხოტბას ვასხამ ამ სიუხვეს,  
ამ სილამაზეს...

...  
სულის სიღრმეში გარდასული შეირხნენ წლები...  
რას არ ვიხსენებთ... ვმხიარულობთ, არა ვართ უბრაღ.  
გამოგვივლია საკუთარი და შორი გზები,  
შემოვსხდომივართ მეგობრობის საერთო სუფრას.

და მასპინძლობენ ქართველები დარბაისლები —  
გაკაყებულნი ზღვის მარილით,  
მზის ბრინჯაოთი...  
მხიარულ ხმებით,  
ქრიამულით  
სული ივსება,  
სიხარულის მზე სულში ამოდის, —  
თითქოს ზღაპარში შემოვედით,  
ლამაზ ზღაპარში,  
თითქო ბავშვობას დაეუბრუნდით,  
ლამაზ ბავშვობას.

წმინდათა წმინდა ნობათივით გულებს გადავშლით,  
აღარც კი ვიცით სიყვარულში ვინ ვის აჯობა.

...ზღვამ გაიღვიძა,

ქარი ზღვასაც არ მოერიდა

და მაღალ პალმებს მიეძალა ქარი ქვემოდან;

ამ მთვარეს მუდამ რომ ემზირა ჭიქის ფსკერიდან,

ჰა, როგორ იტყვი — მგონი ცუდი არ იქნებოდა!

ნეტავი მუდამ კიჟინებდნენ ეს ვარსკვლავებიც,

არ მოიშლიდნენ

ჩიტებივით ფანჯრებზე ფრთხილს,

მეგობრებისთვის მუდამ გვექონდეს ღია კარები,

როგორც დღესა გვაქვს გულები ღია.

შევუერთდები, მეგობრებო, მე თქვენს მოძახილს:

— დღეგრძელი იყოს საბჭოეთის დიდი ოჯახი!

მოუტანია ხალხებისთვის ბედნიერება

ამ დიდ სიყვარულს და ძლიერებას!

თარგმნა შოთა ნიშნინიძემ





ხუჯა ხაჯუა

იური გაგარინს

ის არის ჩვენებრ უბრალო კაცი,  
ლიმიც უხდება ჩვეულებრივი,  
ის არის ჩვენებრ უბრალო კაცი  
და არა ვინმე ზებუნებრივი.  
გამბედაობა მამულმა მისცა,  
ვინაც ეტრფოდა ველებს, ახოებს...  
და შორდებოდა რაც უფრო მიწას,  
მით უფრო გრძნობდა მის სიაზლოვეს.  
გზას გაჰყვე, მისებრ,  
გრძელსა და საშიშს,  
რას ნიშნავს,  
ყველა ჩვენგანმა იცის.  
ის მიწის ტრფობამ გასტყორცნა ცაში,  
კვლავ დააბრუნა ტრფიალმა მიწის.

რა საოცარი დროება დადგა!  
დღე ხვალინდელი გვპირდება იმდენს,  
რომ ვეგუებით სასწაულს, რადგან  
სასწაულები წინ არის კიდევ!



# მეცხრე კურსი ნაწილი

სამი კვირა სრულდებოდა, რაც ათასეული წინა ხაზიდან მოხსნეს და დასასვე-  
ნებლად და შესავსებად მეორე ეშელონში გადაიყვანეს. წინა ხაზთან შედარე-  
ბით, სადაც ნაწილი ერთ გაბატონებულ მწვერვალსა და მის მისადგომებს  
იცავდა, აქ სიწყნარე იყო. თუმცა მტრის არტილერია არც ამ ორ, მთავრების  
შორის გაშლილ ჰალას ივიწყებდა და შეაჯვრიანი თვითმფრინავებიც ხშირად  
მოდიოდნენ. მაგრამ მეოთხე დღე დადგა და თვითმფრინავები არ ჩანდნენ,  
რადგან ეს დღეები გადაბმულად წვიმდა. ქანგისფერ ცას პირი გაეხსნა და რო-  
გორც წვრილი საცერიდან, ისე ცვიოდა ყუმბარებით გადაჯირგალებულ მიწა-  
ზე წვიმის ცივი, ყრუანტელის მომგვრელი ძაფები. ირგვლივ, მთებზე შეფენილ  
ტყის კენწეროებზე, სარეცხივით ეკიდა ნისლი.

თვითმფრინავის ბომბით ამოთხრილ უზარმაზარ ორმოში ჩამდგარ წყალს  
მოემატა: ორმოს ფსკერზე ცხენის ლეში ეგდო და მისი გაბერილი მუცლისაგან  
შექმნილი კუნძული თანდათან პატარავდებოდა.

ბლინდაეებისა და სანგრების კედლებიდან წყალი ჟონავდა, ყველგან იყო  
სისველე და ნესტი, ჭყაბი და გუბურები. წვიმა კი ისევ ცრიდა და ცრიდა,  
და ყოველივე ამის შემყურე ადამიანების ტანში უსიამოვნოდ გამჯდარიყო  
ამაზრუნე სიცივე და სინოტივე, თითქოს ძვლებიც გაქვინთილიყო შემოდგომის  
ამ გულის გამაწვრილებელი წვიმით.

ბლინდაეის ჩასასვლელთან ზორბა ტანის ზემდეგი შეშას აპობდა. ფარაჯა  
გაეხადა, იქვე წაბლის კუნძუზე დაედო და გულგაღვლილი თავგამოდებით სცემდა  
ცულს. ბლინდაეიდან ლეიტენანტი ამოვიდა და ცას შეხედა.

— კარგია. დღესაც ვერ მოფრინდებიან, — თავისთვის ჩაილაპარაკა მან და  
მზერა ზემდეგის სველ ზურგზე გადაიტანა. გაელიმა. კუნთები ბურთებივით დაუხ-  
ტოდა ზემდეგს ზურგზე, ცულის ყოველ დაკვრას ხენშას აყოლებდა და თანა-  
ბარ ნაჭრებად, ყველივით ითლებოდა ვეებერთელა კუნძი.

— დასველდები, ბიჭო. ხომ ხედავ, წვიმს, — მიმართა ლეიტენანტმა ზემ-  
დეგს.

— რა დამსველებს, ამხანაგო ლეიტენანტო. პირიქით, ვშრები. თონესავი-  
თა ვარ გახურებული, ოხშივარი არ ამდის თუ? — გაეპასუხა ზემდეგი და  
კვლავ მარდად ათამამა ხელში ცული, მძლავრად დასცა კუნძს.

— ამ ნაფოტების სუნმა დედაჩემის გამომცხვარი თონის პური გამახსენა. ო,  
რა კარგია ახლა ჩვენსა, კურდღელაურში. რთველი უკვე მიიწურა კიდეც აღ-  
ბათ, — თქვა ზემდეგმა, თან პატარა ნაფოტი აიღო და რამდენჯერმე ხარბად  
უსუნა. მერე ნაფოტი მიწაზე დაანარცხა და ისე გამალებით დაურთო ცული  
კუნძს, თითქოს შეეშინდა შეშის ეს მწვავე, ტკბილ მოგონებათა მომგვრელი სუნი  
არ გამქრალიყო.

— ეს წვიმა კარგია, ჰაერიდან მოსვენებული ვართ, — უთხრა ლეიტე-  
ნანტმა.

— ისმეც კარგი დღე გაუთენდეთ მაგ რჯულძაღლებს, — თქვა ზემდეგმა და

ცული დასავლეთისაკენ გაიშვირა, საიდანაც მკაფიოდ მოისმოდა ტყვიამფრქვევების კაკანი და ნაღმების ხრინწიანი ამოხველება — წინა ხაზამდე სულ რაღაც თხუთმეტობდე კილომეტრი იყო. — იქ უფრო მხიარულად ვიყავით, — განაგრძო ზემდეგმა. — თუკი ვინმე ლპებოდა, მხოლოდ სიკვდილის მერე. აქ კი ცოცხლად გვალბობს ეს ოხერი წვიმა.

— შენ რა, მოწმენდილი ცა და ათი მესერშმიტი გირჩევნია? — ღიმილით შეეკითხა ლეიტენანტი, თან საწვიმარი გაისწორა.

— თქვენა გგონიათ ისინი უამინდობის გამო აღარ მოდიან? არა, ბატონო, ასე არაა საქმე. დაფრთხენ, ამხანაგო ლეიტენანტო, შეშინდნენ. თქვენ რომ გასულ პარასკევს ერთი „მესერი“ ჩამოაბრძანეთ დაბლა, იმის მერე აღარ გვეკარებინა, — უპასუხა ზემდეგმა და დაპობილი შეშის აკრეფა დაიწყო.

სწორედ ამ დროს ჰაერი ღმუილით გაკვეთა სამმა მესერშმიტმა. ისინი ისე დაბლა მოფრინავდნენ, რომ ზემდეგმაც და ლეიტენანტმაც ანაზღეულად თავი მხრებში ჩარგეს.

— ჰაერი! — დაიყვირეს სათვალთვალო პუნქტიდან.

ლეიტენანტი საზენიტო ტყვიამფრქვევისკენ გაიქცა. ზემდეგმა შეშა დაყარა და სირბილით მიჰყვა ლეიტენანტს, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა მოასწრო, მოცელილი დაეცა სველ ბალახზე. წამოიწია, მაგრამ ტანი ვერ აითრია. რატომღაც გუბურაში ჩაიხედა. იქ ჩანდა ჟანგისფერი ცა და პატარა მესერშმიტმა ჩაიჭროლა ელვასავით. მერე თვალები დახუჭა.

საზენიტო ტყვიამფრქვევს სიჩქარისაგან ტყვიები თითქოს ყელში ეჩხირებოდა, ბრაზიანად, შეუსვენებლივ კაკანებდა. სანგრებიდან ავტომატები და შაშხანები დაურთეს მესერშმიტებს, რომლებიც დაბლა ეშვებოდნენ და გამუდმებით ისროდნენ. ლეიტენანტს ვილაც შეენაცვლა. ლეიტენანტმა საათს დახედა — თორმეტი დაწყებულიყო.

— ცუდადაა საქმე, — ყვირილით უთხრა მან ჯარისკაცებს. ნათქვამს ვერ მიუხვდნენ, მხოლოდ ერთმა მოაბრუნა თავი და გაკვირვებით შეხედა.

— სამ წუთში გამოჩნდება... — ლეიტენანტს ხმა ჩაუწყდა, წარბი შეიკრა და თავი გადააქნია:

ყოველ დღე, როგორი ამინდიც უნდა ყოფილიყო, ზუსტად თორმეტის ათ წუთზე ათასეულის განლაგებას აღმოსავლეთიდან თუხთუხით ჩამოუფრენდა პატარა საშტაბო თვითმფრინავი „უ-2“, ფრთების რხევით მიესალმებოდა თავისი ჯარის ნაწილს და დასავლეთით ტყის კენწეროებს მიეფარებოდა. „თორმეტის ათი წუთია, გასწორეთ საათები“, — ხუმრობით ეუბნებოდნენ ერთმანეთს ჯარისკაცები. ყველა ღიმილითა და სიხარულით აყოლებდა თვალს ამ ურმისოდენა მანქანას, რომელსაც საოჯახო ნივთივით შეეჩვივნენ. ერთი სიტყვით, ეს თვითმფრინავი უყვარდათ, მისი სწამდათ და მოუთმენლად ელოდნენ მის გამოჩენას, მის სალამს. და, აი, „უ-2“ გამოჩნდა!

გამოჩნდა იქიდან, საიდანაც ყოველთვის მოდიოდა. ყველას სუნთქვა შეეკრა, წამით სროლაც კი შეწყვიტეს. მესერშმიტების გუგუნსა და სროლის გამაყრუებელ ხმაურში ჩვენი თვითმფრინავის მოტორის ხმა არც კი ისმოდა, მაგრამ „უ-2“ თავისი გზით მტკიცედ მოდიოდა.

— გაუხვიე, კვირდზე გაუხვიე, — საშინელი ხმით დაიდრიალა ლეიტენანტმა და ხელითაც კი ანიშნა საით უნდა გაეხვია მფრინავს.

— ვერ გაიგონებს, — სერიოზულად თქვა ერთმა ჯარისკაცმა. — ცხადვია, საწყალი.

— აბა, ბიჭებო, დავცხობთ, — დაიყვირა ჩია ტანის ათმეთაურმა და ავტო-  
 მატის მთელი ჯერი გაგზავნა ცაში.

მესერშიტიტებმა ამ ჯოჯობხეთურ ორომტრიალში ვერ შეამჩნიეს „უ-2“.  
 მას მართლაც შეეძლო განზე გასვლა, დაბლა დაშვება და ტყე-ტყე გაუჩინარე-  
 ბა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, თავისი გზით მოდიოდა.

— რას ჩადის, — აღმოხდა ლეიტენანტს, მაგრამ უმაღლესი გულიანად გაეცინა:  
 თვითმფრინავი ფრთების რხევით მიესალმა თავისი ჯარის ნაწილს. და უეცრად  
 მკვეთრად მოუხვია, — გეზი მესერშიტიტებისაკენ აიღო...

ქვევიდან, თითქოს ვიღაცამ ბრძანება გასცაო, სროლა შეწყდა. „უ-2“ სამი  
 მესერშიტიტის შუაგულში მოექცა და საოცრად დაბზრიალდა — ხან აქეთ ეცა,  
 ხან იქით. თან თავისი მსუბუქი ტყვიამფრქვევი ააკაკანა. ახლა კი დანინახეს მე-  
 სერშიტიტებმა ეს ერთბაშეწო, ფირფიცრისფრთებიანი მანქანა, ეძგერენ, მაგრამ  
 კინაღამ ერთმანეთს შეასკდნენ. ისევ დაუარეს თავი, მაგრამ „უ-2“ ოსტატუ-  
 რად დაუსხლტა მათ და მტრის თვითმფრინავებმა კვლავ ჰაერი გასერეს ერთმა-  
 ნეთის ახლოს. უეცრად ორი მესერშიტიტი გამოირდა აქაურობას და თვალს მიეფა-  
 რა, ერთმა კი ხაღირობა დაიწყო პატარა მანქანაზე. ძერასავით ავიდა მაღლა, მე-  
 რე სწრაფად დაეშვა და ტყვიამფრქვევის გრძელი ჯერი გაგზავნა „გათავებდე-  
 ბული“ თვითმფრინავისაკენ. „უ-2“ დაუძვრა ტყვიებს, უეცრად შემობრუნდა  
 და ახლა მან დაადევნა ტყვიები მტერს. მერე ძირს დაიწყო დაშვება. მესერშიტი-  
 ტი ახალ შეტევაზე მოდიოდა და, მოკვრა თუ არა თვალი ქვევით წასულ მანქა-  
 ნას, დაედევნა. „უ-2“ სულ დაბლა დაეშვა, თითქმის მიწას გაეკრა და თავისი  
 გზით, დასავლეთით გაფრინდა. მესერშიტიტი ელვის სისწრაფით უახლოვდებოდა  
 მას. წინ ტყით დაფარული, მომცრო მთა აღმართულიყო. პატარა მანქანამ თუხ-  
 თუხით გადააბიჯა მას, მესერშიტიტმა კი ვერ გამოზომა და;.. გაისმა გამაყრუე-  
 ბელი აფეთქების ხმა.

მერე ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა. მხოლოდ აფეთქების ადგილზე შიშინებდა  
 რალაც, თითქოს გავარვარებულ ტაფაზე წყალს ასხამდნენ. წვიმა ისევ ცრიდა.  
 ირგვლივ მთებზე იდგა ბურუსი და ხეები ტყვეებივით მობუზულიყვნენ.

— ნახეთ, კაცო, რა ქნა? — დაარღვია ღუმილი ლეიტენანტმა და შვებით  
 ამოისუნთქა.

— ეს თითქმის იგივეა, კაცმა ვეფხვს ხახაში თავი რომ შეუყოს და ჯაყვით  
 დაუწყოს მუცელზე ხიცინი, — თქვა ჩია ტანის ათმეთაურმა.

— რომ გაეცინოს ამ დროს ვეფხვს, კარგ დროს გაატარებს ის შენი კაცი,  
 საჩანელო, — გაეპასუხა ვილაც.

— შენ უმტკივნეულოდ შეგიძლია ასეთი ნომრის გაკეთება, — უთხრა სა-  
 ჩანელმა თავის მეზობელს. — ო, მაშინ დამსვა ერთი ცირკში, რას ვაკისკისებ-  
 დი იმ ვეფხვს.

— ვითომ რატომ?

— არაფერი არ დაგაკლდება და იმიტომ. არაა აუცილებელი შენთვის ორ-  
 განიზმის ეს ნაწილი.

— ათმეთაური არ იყო, შეგიხიციებდლი ერთს კარგა მაგრად.

ჩაპდენიმე კაცს გაეცინა.

— აი ჩვენ აქ ვხუმრობთ, ნიკო კი დაიჭრა მგონი, — თქვა ლეიტენანტმა.

სწრაფად ამოვიდნენ სანგრიდან და ლეიტენანტს მიჰყვნენ. იმ ადგილას, სა-  
 დაც ზემდეგი დაეცა, მხოლოდ მისი ყურებიანი თბილი ქული ეგდო. ლეიტე-  
 ნანტმა მიწურს მიაშურა.

ბლინდაეში ბუხარი გიზგიზებდა. კედლებზე სველი ჩრდილები დაბორია-

ლობდნენ. გაშლილ ფარაჯაზე ნიკო იწვა, თვალები დაეხუჭა და მძიმედ სუნთქავდა.

— სტრელცოვ, შენ გამოიყვანე? — ჰკითხა ლეიტენანტმა ჯარისკაცს, რომელიც თბილი წყლით სავსე კარდალაში ბამბას ასველებდა და ფერშალ ქალს აწვდიდა.

— ჩვენ ორმა, — თავის მოძრაობით ანიშნა სტრელცოვმა ფერშალ ქალზე. ლეიტენანტს კმაყოფილების ღიმილმა გაუნათა სახე, ქალთან მივიდა და უკნიდან მოხვია ხელები.

— ნუ მიშლი, გიორგი, — არც კი მოუხედავს, ისე უთხრა ქალმა, რომელიც ნიკოს ჭრილობას უხვევდა.

ბლინდაეში საჩანელი შემოსულიყო შეუმჩნევლად, ნიკოს თბილი ქუდი ეჭირა ხელში.

— ეს... აღარ დაჭირდება? — ჩუმად იკითხა შემკრთალმა ათმეთაურმა და ყურებიანი ქუდი გაიშვირა წინ. — იქნებ დავახუროთ, არ გაცივდეს.

— ეგეც დაჭირდება და ბევრი სხვაც, — უპასუხა ქალმა საჩანელს და მისკენ შემობრუნდა, ზურგიით მთელი ბუხარი დაფარა თითქმის. საჩანელს, რომელიც პირველად არ ხედავდა ამ ახალგაზრდა ფერშალს, თვალები გაუფართოვდა: ბუხრის გიზგიზა შუქი უკნიდან სცემდა ქალს და მის ლამაზ, ქერათმიან თავს ოქროსფერი შარავანდედი შემორტყმოდა რკალად.

„რა საშინელებაა ომი“, — გაიფიქრა საჩანელმა და ყელში გაეჩხირა რაღაც ბურთივით.

— საველე ჰოსპიტალში უნდა გავგზავნოთ საჩქაროდ, — მიმართა ქალმა ლეიტენანტს. — სტრელცოვ, შენ მოაგვარე ეს საქმე.

სტრელცოვმა კარდალა ბუხართან დადგა, მერე ნიკოს დახედა და გარეთ გავიდა. საჩანელი მას მიყვა.

ლეიტენანტი ქალს მიუახლოვდა. მას ისე ძლიერად უცემდა გული, რომ შეეშინდა, ნიკოს არ გაეღვიძოსო. მძლავრად მოხვია ხელები ქალს და მკერდში ჩაიკრა. ერთხანს იდგნენ ასე გატრუნულები სველ, ნესტიან მიწურში.

საველე ჰოსპიტალი სულ რაღაც ოთხიოდე კილომეტრით იყო დაცილებული ათასეულის განლაგებას. ლეიტენანტი ხშირად დადიოდა თავისი დაჭრილი თანაშემწის სანახავად. ნიკოს ჭრილობები სწრაფად უხორცდებოდა. ამიტომ, როცა ათასეულში შევსება მოვიდა, ლეიტენანტმა თავის თანაშემწედ არავინ არ აიყვანა, — ნიკოს დაბრუნებას ელოდა.

— გაგიჭირდება, გიგაურო, — პასუხობდა ლეიტენანტის თხოვნაზე ასეულის მეთაური. — ხომ ხედავ რა ღლაპები მოგვივიდნენ. სანამ ისევ წინა ხაზზე ვაჟიდოდეთ, ამათ კარგა მაგარი გაწვრთნა დაჭირდებათ. იქნებ დროებით მაინც დაგინიშნო ვინმე.

მაგრამ არავინ არ დაუნიშნავს. და არც გიორგის გაჭირვებია, თუმცა ძალზე გაცხარებული მეცადინეობა ჰქონდა ახალმოსულებთანაც და ძველებთანაც. აბა, როგორ შეიძლება წინა ხაზზე დიდხანს ნამყოფ ადამიანს მეორე ეშელონში გაუჭირდეს?!

„აღარ ვუყვარვარ მე თქვენს ლეიტენანტს, — უთხრა ერთხელ ელისომ საჩანელს, — ამ ბოლო დროს იშვიათად მოდის ჩემთან“.

საჩანელს გაეღიმა. „რა უცნაურები არიან ქალები, — გაიფიქრა მან, — აქაც კი ახერხებს ეჭვიანობას“.

ერთ დღეს მოხდა ის, რაც ყველას შიშით უფიქრია, მაგრამ ერთმანეთისა-

თვის არ გაუმხელია: დანიშნულ დროზე სამტაბო თვითმფრინავი არ გამოჩენილა. არც მეორე დღეს მოფრინდა. მესამე დღეს, თორმეტის ათ წუთზე, აღმოსავლეთით გამოჩნდა „უ-2“. მან ზუსტად ისევე გადაუფრინა ათასეულს, მაგრამ თვითმფრინავის გამოჩენით გამოწვეული სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა: მან უსალმოდ გადაუარა ნაწილს.

— უმშურია ვიღაცა, — თქვა საჩანელმა.

— არ იცის... — თქვა ერთმა მებრძოლმა.

„ნეტავ არც იმას ცოდნოდა“, — გაიფიქრა ლეიტენანტმა.

ზევიდან ისევ ცვიოდა წვიმის სველი ბუსუსები. ირგვლივ მთებზე იდგა ნისლი.

ტყეში სიჩუმე იყო. საღდაც ზევით ეკიდა მზე, რომელიც ხანგრძლივი წვიმისაგან გაბიევივებულ მიწას ზურგს უშრობდა — ნეშოსა და ხავსს ორთქლი ასდიოდა. გიორგი დინჯად მიჰყვებოდა საველე პოსპიტლისკენ მიმავალ ბილიკს. ფეხები სასიამოვნოდ იძირებოდა დილის ნამისაგან ნოტიო, ყვითელ-წითელ ნეშოში. მზის სხივები აქა-იქ გამძვრალიყვენ ტოტებში და ჩამოცვენილ ფოთლებზე ცვარი მარჯალიტებივით ბრწყინავდა. გიორგიმ ერთი ვარდისფერდაკრული ფოთოლი აიღო და დააქვერდა. ფოთოლი ქალის ხელის მტევანივით ნაზი და გამჭვირვალე იყო. მისი წვერილი, ცისფერი ძარღვები თითქოს ფეთქავდნენ. ელისოს ხელი! ნაზი, უმწეო, იმედის მომცემი...

— მოხვედით, ამხანავო ლეიტენანტო? — ზეზე წამოიჭრა ხანშიშესული სანიტარი, რომელიც მიწურის წინ კუნძზე იჯდა და წეკოს აბოლებდა.

ლეიტენანტი უხმოდ მიესალმა სანიტარს, მაგრამ მისი შეკითხვა უპასუხოდ დატოვა: ცხადია, მოვიდა!

— ცოტაოდენი ლოდინი მოგიხდებათ, — მობოდიშებით თქვა სანიტარმა. — ეს-ეს არის დაჭრილი მფრინავი მოიყვანეს.

— რომელი მფრინავი? — იკითხა გიორგიმ.

— არ ვიცი. სულ ახალგაზრდაა. გუშინ ჩამოუგდიათ.

— როგორ არის?

— მძიმედაა დაჭრილი. შეიძლება ვერც...

— გასაგებია, — გააწყვეტინა სიტყვა. კუნძზე ჩამოჯდა, თამბაქოს ქისა ამოიღო. გააბოლა და ყელში უეცრად მობჯენილი ბოლმა ნაფაზს ჩააყოლა ხმაურით. თვალეზახუჭული იჯდა. მის წინ კინოფილმის კადრებივით ჩაიქროლეს სანატრელი ქალაქის ხედებმა, მშობლების სახეებმა, უნივერსიტეტის თეთრმა შენობამ, სტადიონის მოგუგუნე ტრიბუნებმა, მთაწმინდამ, ნათელას წაბლისფერმა, მაჯისსიმსო ნაწნავეებმა და ცრემლიანმა თვალებმა. ეს საოცრად მეტყველი თვალები ემშვიდობებოდნენ ვაგზლის ბაქანზე, გრძელი და ხმაურა ეშელონის წინ; ეს თვალები გაახსენდა, როცა აფხაზეთში ციდან ჩამოგდებული დესანტის განადგურებისას პირველად დაინახა რიწის ტბა. მერე ეს თვალები თანდათან დაფარა ომის კვამლმა და როგორც ღრუბლიან, ქარიან ღამეში იმალება და კვლავ ჩნდება მთვარე, ეს თვალებიც ხან უყურებდნენ, ხან არა. მერე იყო სხვა თვალები...

— მე ორი ვაჟი მყავს, თქვენი ტოლები, — თქვა სანიტარმა.

გიორგიმ თვალები გაახილა.

სანიტარი ნადვლიანი მხერით მისჩერებოდა მას, მერე ამოიოხრა და უთხრა:

— მიბრძანდით, უკვე შეიძლება.

ნიკოს მეზობლად ჭერათმიანი ჭაბუკი იწვა. მას სანდომიანი სახე ჰქონდა და მაღალი შუბლი, რომელზეც ალბათ მხოლოდ ომის წლებში აღიბეჭდა ორი გრძელი ნაოჭი. დიდრონი, ნუშისებური თვალები, რომელთა კიდეებში ცვარით იყო დაგუბებული ცრემლი, მეტისმეტად უბრწყინავდა. „არა, ეს ის მფრინავი არ უნდა იყოს“, — გაიფიქრა ლეიტენანტმა და ირგვლივ მიმოიხედა.

— ეს ის მფრინავია, ჩვენი მფრინავი, — უთხრა ნიკომ.

გიორგის გაკვირვებისაგან სახეც კი შეეცვალა. ჭაბუკი უძრავად იწვა და მზერა ერთ წერტილზე გაშტერებოდა. „მე სულ სხვაგვარად მყავდა წარმოდგენილი“, — გაიფიქრა გიორგიმ და ცარიელ საწოლზე ჩამოჯდა. ზემოთ იწვა სხვა დაპრილი, რომელიც ან ბოდავდა, ან თავის თავს ელაპარაკებოდა ხმა-მაღლა.

— მე ძალიან ცუდად ვარ, — თქვა ჭაბუკმა.

— არაფერია, მორჩებით, — უთხრა გიორგიმ.

— რას მოვრჩები? — იკითხა ჭაბუკმა და ისე უმანკოდ და ნაღვლიანად გაიღიმა, რომ გიორგის გული შეეკუმშა. იგი უყურებდა მფრინავს.

— მე ძალიან ცუდად ვარ, — ისევ თქვა ჭაბუკმა.

გიორგი ადგა, პოსპიტალში ველარ გაჩერდა, თავის ნაწილში დაბრუნდა.

გიორგი და საჩანელი საგუშაგოების შესამოწმებლად გამოსულიყვნენ.

— ასეთი დილა ლექსების ხასიათზე მოიყვანს კაცს, — თქვა საჩანელმა. — მართალია, არა ვარ მაგ დარგში მაგარი, მაგრამ, ღმერთმანი, დაწერდი ახლა ლექსს. ჰა, ასეთი დილა და ომი?! რაღაც ძალიან მშვიდობიანად გათენდა. ერთი ყური უგდეთ, ჩიტებიც რა ამბავში არიან! რა ბედნიერები არიან ეგ ჩიტები! გიორგი შედგა და ირგვლივ მიმოიხედა. ცის დასალიერს თანდათან შეჰპაროდა ნაცრისფერი. ნელ-ნელა დაიხატა ჰორიზონტზე ჯერ რუხი სილუეტი მთაგრეხილისა, მერე მის წინ დეკორაციასავით განათდა სხვა, უფრო მომცრო მთათა უსწორმასწორო ჯაჭვი. ცოტა ხნის შემდეგ მზემ ხალიჩასავით ააჭრელა მთის კალთებზე შეფენილი წაბლისა და კაკლის ტყეები. ჩიტებს ერთი ამბავი ჰქონდათ. „საოცარია. ველარაფერს ვერ ვამჩნევ“, — გაუელვა თავში გიორგის. „ადამიანი მუდამ ჩიტის ბედს შენატრის, მშვიდობიანობის დროსაც და ომიანობაშიც, ალბათ ფრთების გამო...“ — გაიფიქრა მერე და საჩანელს ჰკითხა:

— ვითომ რითი არიან ბედნიერი ეგ ჩიტები? ეგენიც ხომ ფრონტზე არიან?

— ეგენი მუდამ ფრონტზე არიან, — ღიმილით უპასუხა საჩანელმა. — ოღონდ საქმე იმაშია, რომ არ იციან, ამხანაგო ლეიტენანტო. არ იციან, რომ ფრონტზე არიან.

გიორგიმ არაფერი უპასუხა. „ალბათ ფრთების გამო...“ — ისევ გაუელვა თავში და უმაღლ დაპრილი მფრინავი გაახსენდა.

უეცრად თვითმფრინავების გუგუნმა გააყრუა არემარე. მზის სხივებში სწრაფად გაიელვეს ჩვენმა მოიერიშე თვითმფრინავებმა, ტყეს დაბლა გადაუარეს და უმაღლ გაუჩინარდნენ დასაველეთით.

საგუშაგოებზე სრული წესრიგი სუფევდა. არც ღამით მომხდარა რაიმე განსაკუთრებული. ტყეში შევიდნენ, სადაც ყველაზე უფრო შორეული საგუშაგო იყო.

— მედუზენტში ხომ არ შევიაროთ? — იკითხა საჩანელმა.

გიორგის გაეღიმა. „როგორ მიხვდა, რომ სწორედ ახლა ელისოზე ვფიქრობდი?“ — გაიფიქრა მან. მაგრამ ამ დროს გაისმა მტრის მზვერავი თვითმფრი-



ნავის ნაცნობი გუგუნი და უმალ საზენიტო ზარბაზანი აყევდა ნაგაზივით. ისინი სირბილით დაეშვნენ თავქვე, სროლისაკენ. თვითმფრინავმა პროკლამაციები გადმოყარა და გაფრინდა.

— საიდან გაიგეს, ბიჭო, კუჭი რომ გაქვს აშლილი? — მიმართა საჩანელმა ერთ ახალბედა ჯარისკაცს.

ჯარისკაცები პროკლამაციებს აგროვებდნენ. მებრძოლი, რომელსაც საჩანელი გაეხუმრა, გულთანად იცინოდა.

— მოაწყვე, საჩანელო, ოცეული და სასროლეთზე! — ბრძანა ლეიტენანტმა. საჩანელმა უმალ შეასრულა ბრძანება, ოცეული სმენაზე გააშეშა და ის-ის იყო პატაკისათვის მოემზადა, რომ ამ დროს ელისო გამოჩნდა თავისი განუყრელი სამედიცინო ჩანთით. რამდენიმე ახალბედა თავი ქალისკენ მოაბრუნა და დაუფარავი ინტერესით დაუწყო თვალღივება.

— რა ყირაფივით წავიგვრძელდა კისერი, წულეისკირო, — წაუსისინა ერთს საჩანელმა. — გელრძობა, ბიძია, გელრძობა.

— მანოშინ, წყობილებაში ბუზიც რომ დაგაჯდეს, განძრევა არ შეიძლება, — ჩუმად უთხრა მეროეს, მერე ლეიტენანტს თვალი ჩაუკრა და ომახიანად დასქექა:

— ზურგისაკენ!

ელისო გიორგის შეუმჩნევლად მოეპარა უჩინოდ, ჩანთა მიწაზე დადო და თვალბუზე აფარა ორივე ხელი. გიორგი გაირინდა, მერე ღიმილით ჰკითხა:

— უნდა გამოვიცნო, ვინა ხარ?

წულეისკირმა ვერ მოითმინა და თავი მოაბრუნა.

— ოცეულო, ნაბიჯით იარ! — კვლავ დასქექა საჩანელმა.

გიორგიმ ხელები მოუსვა ელისოს თითებს.

— ო, რა ძნელი გამოსაცნობია! — თქვა მან. — საჩანელი ხარ.

ორივეს გაეცინა. ელისომ ხელები ჩამოუშვა. გიორგი მობრუნდა და ქალის თითები აიღო თავის ღონიერ, დიდრონ ხელებში.

— ეს შენი საქციელი მშვიდობიანობის დროისაა, — უთხრა მან ქალს.

— მე მინდა, რომ ჩვენს შორის მუდამ მშვიდობიანობა იყოს, — თქვა ელისომ. — ახლაც, წინა ხაზზეც, ყველგან...

— ეს შეუძლებელია. აი, წელან შენთან მოვდიოდი და „ფოკე-ვულფმა“ შემეშალა ხელი.

— ეგ არაფერია. მთავარია, რომ მოდიოდი.

— განა ესაა მთავარი? მთავარია, რომ მოვსულიყავი.

— არა, გენაცვალე, მთავარია სურვილი, ნდომა. აი, შენ უკან გაბრუნდი. მაგრამ ჩემი ნახვა ხომ ისევ გინდოდა?

— კი.

— შენ რომ რამე მოგივიდეს, ალბათ, გავგიყდები, — ჩუმად თქვა ქალმა.

— მე, ალბათ, არაფერი არ მომივა, — ასევე ჩუმად უბასუხა გიორგიმ და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა ოცეულისაკენ.

— შენი სიყვარული დამიფარავს, — სიცილით მოაძახა ქალს, რომელმაც ისე დაუქნია ხელი, როგორც წაბლისფერნაწნავეებიანმა გოგომ ვაგზლის ბაქანზე გაცილებიას.

გიორგი ბოლო დროს გრძნობდა, რომ ჰოსპიტალში ნიკოს მოსანახულებლად კი არა, იმ დაჭრილი მფრინავის სანახავად მოდიოდა. საოცარი კი იყო: გიორგი ხომ არც კი იცნობდა მას. ერთხელ, პირველად რომ უთხრა, „არაფერია,

მორჩებიო“, მას შემდეგ არ ულაპარაკნია მასთან. მფრინავი ხმას არ იღებდა, ცისფერი თვალები ჭერში ჰქონდა გაშტერებული, ლოყები მაღალი სიციხისაგან უხტურდა, მაგრამ დროდადრო საოცრად უმწიკვლო ღიმილი გაუხსნიდა ბაგეს. მერე ძალიან, ძალიან ჩუმად რაღაცას ჩაილაპარაკებდა გამშრალი ტუჩების ცმაცუნით, ახალგაზრდა, შეუხედავ ფერშალ ქალს შეატოვებდა თავის ღიმილსაც და სევდიან მზერას, — ღრმად ჩაეძინებოდა. „რას მოვრჩებიო?“ — ჰკითხა მაშინ გიორგის. რას გულისხმობდა, ნეტავ, ჰაბუჯი? იქნებ, სიცოცხლეს?..

გიორგი ხარბად ეწეოდა თამბაქოს და, გულაძგერებული, დაქინებით უყურებდა მფრინავს, მას არც კი ესმოდა იქვე, მეზობლად მწოლარე დაჭრილის უცნაური ლაპარაკი. მის ყურებში სამარისებურ სიჩუმეს დაესადგურა, რადგან ამჟამად მთელი სამყარო მხოლოდ საკუთარი თავითა და ამ ჰაბუჯით შემოეფარგლა.

ჰაბუჯს ეძინა. მას დიდი სიცხე ჰქონდა, განუწყვეტლივ შფოთავდა და წამდაუწყუმ ენით ისველებდა გამშრალ ტუჩებს. მერე უეცრად გაიღიმა და ჩუმად ალაპარაკდა: „პავლუშა, ძამიკო, შევაფაროთ სადმე თავი ამ წვიმას. რა ძალა გვადგა, ასე რომ ვილუმპებით?“ — უთხრა მან ვილაც პავლუშას და ისევ ღიმილმა გადაურბინა სახეზე. — „ასე შინ ვერ მივალ, პავლუშა. დედაჩემი ერთ ამბავს დამათევს. დედა, დედა, რა მოხდა მეჩუე? კი, დავსველდი, ძალიან გემრიელადაც დავსველდი, პავლუშაც დასველდა. შენ ვერც კი წარმოიდგენ რა სასიამოვნო წვიმა იყო. დედა, არ მინდა მშრალი ტანსაცმელი. დედა, ჩემო დედა, რა თბილი ხელები გაქვს, მომეფერე, დედაჩემო. სასთუმალი გამისწორე, უხერხულად ვწევარ. მე ძალიან ცუდად ვარ, პავლუშა“. მფრინავი ისევ აწრიალდა, ბალიშს მოუფათურა ხელები.

გიორგი ადგა და ფრთხილად გაუსწორა ბალიში მფრინავს.

ჰაბუჯი ისევ ღრმა ძილში წავიდა. ერთხანს დუმდა, მერე კვლავ დაიწყო ბოდვა: „პავლუშა, ძმაო, არ ვარგა ასე. ამ აეროკლუბს ხომ ვერ გადავეყვებით, სესიები უკვე ცხვირწინაა მომდგარი. ო, რა ცუდად ვარ, ბიჭო, რომ იცოდე. პირველივე საგანში რომ ჩავფლავდეთ, მერე სად გინდა გამოვყოთ თავი?“ — უწყურებოდა იგი პავლუშას. შუბლზე ჯიუტად შეეკრა ორი ნაოჭი და ისევ აწრიალდა საწოლზე. „პავლუშა, ბიჭო, უკვე მოთოვა? უკვე ბაკურიანში ვართ? ხედავ, კაცო. რამხელა თოვლია, პავლუშა, რამხელა! კი, მაგრამ რამდენ ხანს უნდა ვიდგეთ ასე თოვლში? ფეხები მეყინება, პავლუშა, მცირეა. მე ძალიან ცუდად ვარ, ბიჭო. ხომ არ მოვკვდები, ჰა? არა, ექიმო, ოპერაცია არ მინდა, არა, არა. ცუდად ვარ, პავლუშა, ოღონდ დედაჩემს არ უთხრა. პავლუშა, ბიჭო, იცი რაში უნდა გამოგიტყდე? ბიჭო, ისე მივდივარ საიქიოს, რომ ქალის ალერსი არ განმიცდია. პავლუშა, თუ ძმა ხარ, მითხარი შენ კი გამოგიცდია? არა? ე, შენ რა გენადვლება, აქ რჩება...“

მიწურში ექიმი შემოვიდა, გიორგის მიესალმა და მფრინავს დახედა.

— ბოდავს? — იკითხა მან.

გიორგიმ ვერაფერი უპასუხა, გაგულული იჯდა, უძრავად. ჰაბუჯს მისჩერებოდა. ამზრუნენი სიჩუმე ჩამოწვა. უცებ მეხვიით გავარდა მეორე დაჭრილის ხმა:

— ეი, ზემდეგო, რა ხნის იქნება ახლა ჩემი ბავშვი? ომი რომ დაიწყოს, იგი ორი თვისა იყო.

— წლინახევრის იქნება ახლა შენი ბიჭი, კუზმა, — ასევე ხმამაღლა უპასუხა გაფითრებულმა ნიკომ. „ღამით ტყეში მარტოდ მიმავალი მგზავრით არ მომივიდა?“ — გაიფიქრა მან.



— მე წავალ, ნიკო, — წამოდგა გიორგი.

გარეთ გამოსვლისას მან უკან მოიხედა: ჭაბუკი ილიმებოდა მშვენიერო, უმანკო ღიმილით და ოდნავ სველი თვალები ჭერში მიეპყრო.

მეორე დღეს ისევ წავიდა ჰოსპიტალში. მიწურთან ნაცნობ სანიტარს მოჰკრა თვალი, რომელიც კუნძზე ჩამომჯდარიყო და მიწაზე დაგებულ ფარაჯაზე მდღიკამენტებს ახარისხებდა, თან ხშირად იხედებოდა ტყის ბილიკისკენ. გიორგის გაღიზიანება. „მე მელოდება“, — გაიფიქრა მან. ერთმანეთს მიესალმენ, გიორგიმ თამბაქოს ქისა ამოიღო, გაახვია და ქისა სანიტარს გაუწოდა.

— ო, რა კარგია რომ მოხვედით, ამხანაგო ლეიტენანტო, — თქვა სანიტარმა, — თორემ დამახრჩო ამ ოხერმა წეკომ.

— როგორ არის? — ჰკითხა გიორგიმ.

სანიტარმა ღრმა ნათავი დაარტყა და თავი გადააქნია.

გიორგი მიწურში შევიდა, უხმოდ ჩამოართვა ხელი ნიკოს და ჭაბუკს დააცქერდა. მფრინავს ეძინა. შუბლზე ჯიუტად შეეკრა ორი ნაოჭი. „მე ძალიან ცუდად ვარ“, — ჩუმად თქვა ჭაბუკმა და ასევე ჩუმად, ძალიან ჩუმად დაიკვნესა. მერე უბოძდა დაიწყო. „ასე დაცხა ბაკურიანში? თოვლი გადნა უკვე? აბა, რატომ მცხელა, დედაჩემო? ო, რა კარგია, პირველი სივანი ასე რომ ჩავაბარეთ, პავლუშა. ეჰ, პავლუშა, ძალიან ცუდად ვარ, ძამიკო. რა ვქნა, ბიჭო?“

გიორგი აღგა.

— მალე გამოეწერები? — ჰკითხა მან ნიკოს.

— კი.

— შენ ჩემზე მაგარი ხარ, — თქვა გიორგიმ. — მე წავალ...

მთელი გზა ჰოსპიტლიდან ნაწილამდე გიორგი საშინლად აფორიაქებული იყო. მას სულ თვალწინ ედგა დაჭრილი მფრინავის ჭაბუკი სახე და საოცრად უბიწო, შეურყვენელი ღიმილი. მიწურიდან რომ გამოვიდა ჰოსპიტლის ქირურგიული განყოფილების უფროსი ინახულა, რომელმაც სინანულით დაადსტურა მფრინავის, თითქმის უიმედო მდგომარეობა. „ჭრილობა ძალიან სერიოზულია, თუმც იმედს მაინც არ ვკარგავთ. რკინისებური ორგანიზმი აქვს, საუცხოოდ ნაგარჯიშევი სხეული და მაგარი ნებისყოფა“, — უთხრა გიორგის მედიცინის მაიორმა.

მაგრამ გიორგის ეჭვი ჭიასავით უღრღნიდა გულსა და გონებას. თითქოს გვერდში მოჰყვებოდა ბილიკზე ჭაბუკი და ყურში ეუბნებოდა: „ბიჭო, ისე მიედივარ საიქიოს, რომ ქალის ალერსი არ გამომიცდია“...

ვერაფრით ვერ მოიცილა ეს აკვიატებული ფიქრები. თავი უსკდებოდა ათასნაირი, მძიმე აზრებისაგან. მერე ერთბაშად მოწყდა ადგილიდან და ისე სწრაფად გაიქცა, თითქოს საკუთარი თავის გასწრება უნდოდა, რომ სადღაც უკან დარჩენილიყო ერთი გიორგი ამ საშინელი ფიქრებით გატენილი თავით. ასე ირბინა დიდხანს, მაგრამ უშედეგოდ: დაიღალა მხოლოდ. შედგა, დაიხარა და ფოთოლი აიღო. ელისოს ხელი გაახსენდა უმალ, ნაზი, უმწეო, იმედის მომცემი... გზა განაგრძო. მედიცინის მაიორის სიტყვები გაახსენდა. „თქვენ ვერ უშველით, ვერავენ ვერ უშველის, განსაკუთრებული ალერსი სჭირდება, ქალის ხელი მოარჩენს, ქალის სიტყვა და ალერსი“, — ხმაძალდა უბასუხა ექიმს.

ბლინდაჟში არავინ დახვდა. ბუხართან დაჯდა და ჩასაქობად განწირულ, სულთამბრძოლ ცეცხლს მიაშტერდა. მერე ადგა და გარეთ გავიდა. უკვე ბინდებოდა. შორიდან კანტიკუნტად ისმოდა სროლა და სადღაც, ძალიან შადლა, გუგუნებდა თვითმფრინავი.

მალე საჩანელიც გამოჩნდა. ბლინდაჟში ჩავიდნენ.

— ძალიან უჭირს? — ჰკითხა ათმეთაურმა.

— ძალიან.

— წადი, ელისო მომიყვანე! — მიმართა საჩანელს.

საჩანელი რომ გავიდა, გიორგი ერთბაშად მოეშვა. აუტანელი დაღლილობა იგრძნო. ცეცხლიც ჩამქრალიყო ბუხარში. ხელების ფათურით მივიდა საწოლთან, ზედ დაეგდო და ორი წუთის შემდეგ უკვე მკვდარვით ეძინა.

ძილში ელისოს ხმა ჩაესმა. თვალეზი გაახილა და ოდნავ წამოწია თავი. აგზიბიბულ ბუხართან ელისო და საჩანელი ისხდნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ. სმენად გადაიქცა.

— ისე მენატრება კაბის ჩაცმა, რომ ვერც კი წარმოიდგენ, — თქვა ელისომ.

— კაბის ჩაცმას მე აბა მართლაც როგორ წარმოვიდგენ..

ორივეს გაეცინა.

— ჩუუუ, გავალეძებთ, — თქვა ელისომ და საჩვენებელი თითი ტუჩებზე მიიღო.

— ბევრი მეძინა? — იკითხა გიორგიმ და საწოლიდან მსუბუქად წამოხტა.

— ასე, ერთი საათი, — უპასუხა ელისომ.

საჩანელმა ავტომატი აიღო და ბლინდაყიდან გასვლა დააპირა.

— სად მიდინარ? — ჰკითხა გიორგიმ.

— საგუშაგოებზე წავალ. ასეთ კუნაპეტ ღამეში ასი თვალთა საჭირო, — თქვა საჩანელმა და ბლინდაყიდან გავიდა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. გიორგის მხოლოდ საკუთარი გულის ძგერა ესმოდა მკაფიოდ. შეშაც ისე უხმაუროდ იწოდა, თითქოს ამ იღუმალებით აღსავსე სიმყუდროვის დარღვევა არ სურსო. კედელზე ორი ჩრდილი იყო: ერთი იჯდა, მეორე მას თავზე დადგომოდა.

— შენ დამიძახე? — ჩუმად ჰკითხა დამჯდარმა ჩრდილმა.

— ჰო, — ყრუდ, უჩვეულოდ გაისმა ფეხზე მდგარი ჩრდილის პასუხი.

დამჯდარი ჩრდილი შემობრუნდა, ფეხზე მდგარს შეხედა და შეკრთომით ჰკითხა:

— რა მოგივიდა? რაღაც ახლა ისეთი არა ხარ, როგორც ყოველთვის...

— ჰო, ისეთი არა ვარ.

— რა დაგემართა? — წამოდგა ჩრდილი და ფეხზე მდგარს მკლავებში მოჰკიდა ორივე ხელი.

— დღეს მფრინავთან ვიყავი.

— ვიცი. მერე?..

სიჩუმე ჩამოწვა.

— შენ უნდა წახვიდე იმ მფრინავთან, — თქვა მალაღმა ჩრდილმა და ხელი დაადო მხარზე დაბალ ჩრდილს.

— რა, იქ ხალხი აკლიათ თუ?

— აკლიათ!

დაბალმა ჩრდილმა გაკვირვებით აიჩეჩა მხრები.

— მერე რა მოხდა. ვთხოვ ასეულის მეთაურს და გამიშვებს. ჩემი დანებარება ხომ საჭირო? მერე ამან დაგაღონა?

კედელზე ორი ჩრდილი ერთ ჩრდილად გადაიქცა: ელისო გიორგის მოეხვია და თავი მკერდზე დაადო.

— რატომ გიცემს ასე გული? — ჰკითხა ქალმა. — დაანებე თავი



თამბაქოს. რამდენჯერ უნდა ვთხოვო? შენ გგონია, რახან ფრონტზე ხარ, თავს არ უნდა გაუფრთხილდე?

— ეს თამბაქოს ბრალი არ არის.

— აბა რისი ბრალია?

— აი, გეუბნები წადი-მეთქი და თან გული მეთანაღრება.

ქალს გაეცინა.

— მაშინ არ წავალ, — თქვა მან.

— არა, უნდა წახვიდე. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. შენც იცი ეს, მეც ვიცი... ხომ ასეა? იგი კი კვდება, გესმის, კვდება. წადი, თავზე დაადექი, უმკურნალე, იქნებ გამოაბრუნო. იქნებ შენმა ხელმა დაუამოს კრილობა, თვალებში გამოახედოს. იქნებ შენი ხელი მალამოსავით მოეცხოს, შენებურად უმკურნალებ, ამ ქვეყნისაკენ უზამ პირს და, ჰაიდა, ჩემსკენ გამოაქანდები! ხომ ხედავ, რარივ მიჭირს შენთვის ამის თხოვნა. ხომ არაფერია, მაგრამ მაინც მიჭირს. თუმცა გული მიგრძნობს, რომ შენ შეგიძლია მისი გამობრუნება.

— მე ვუშველი განა? ასე მგონია, უშენოდ ერთ დღესაც ვერ გავძლებ.

— მე მოვალ ხოლმე იქ.

კედელზე დიდი ჩრდილი ორად გაიყო. ერთი, პატარა, იატაკზე დაჯდა და კიდევ უფრო დაპატარავდა. მეორე გაუნძრევლად იდგა. ბუხარში გულის გამაწვრილებლად, გაბმულად სტვენდა ნედლი კუნძი. გიორგის საშინლად ასტივდა თავი, თითქოს რკინის სალტე შემოარტყესო. კუნძი ისევ სტვენდა, ელისოს ჩუმ ტირილს აძლევდა ბანს. დიდი ჩრდილი პატარა ჩრდილს დაადგა თავს.

— რა გატირებს?

— ასე მგონია, თავიდან მიშორებ...

— ეს რამ გაფიქრებინა?!

— ასე მგონია, თავიდან მიშორებ...

— იგი კვდება, კვდება, გესმის? იქნებ შენმა სიახლოვემ უშველოს, უბრალოდ შენმა იქ ყოფნამ, შენმა მოვლამ. იგი აზიზად გაზრდილი ჩანს, თუ სასიკვდილოა, სიკვდილის წინ მაინც ნუ მოაკლდება ალერსი. იქნებ სულაც უშველოს ამან, გამოაყეთოს.

ქალი აღარ ტიროდა.

— კარგი, წავალ, — თქვა მან.

გიორგი მასთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა, მერე ბუხართან დაჯდა და ცეცხლს მიაჩერდა.

დიღხანს, დიღხანს სტვენდა კუნძი ბუხარში. დიღხანს, დიღხანს იყო კედელზე უძრავად აღბეჭდილი ცალ-ცალკე ორი ჩრდილი. ნელ-ნელა ქრებოდა ცეცხლი და მერე, გვიან, სულ რომ ჩაიფერფლა, კედელზე ჩრდილები გაქრა, — ბლინდაჟში ბნელოდა. ერთხანს ითმინა გიორგიმ ეს ამაზრუნენი, სამარისებური მყუდროება, მერე ვედარ გაუძლო ყოველივე ამას და საოცრად მოუნდა ელისოს სითბო. ხმამაღლა დაიძახა:

— ელისო!

ისევ სიჩუმე.

ისევ:

— ელისო!

ასანთი გაჰკრა. ბლინდაჟში ქალი არ იყო: წასულიყო.

ეს დღეები გიორგი ადგილს ვერ პოულობდა. ათასნაირი უსიამოვნო ფიქრი უღრღნიდა გულს, მოსვენებას არ აძლევდა. ვერც ოცეულთან მეცადინეობა

უფანტავდა ქალთან განშორების მწვავე ნაღველს, ვერც მტრის საპაერო თავდასხმები ავიწყებდა ჩაბნელებულ ბლინდაჟში ელისოსთან უკანასკნელ ლაპარაკს. მ.შინაც კი, როდესაც შემოპარული გერმანელი მშვერავების განადგურება მოუხდათ, ქალზე ფიქრობდა. ეს რაღაც ფიზიკურად ხელშესახები ფიქრი იყო, რადგან მტერი სწორედ ჰოსპიტლისკენ იხევდა და, ასე თუ ისე, ელისოს სიცოცხლესაც ემუქრებოდა. „იქამდე ვერ მიალწევთ“, — ბრძოლის ექსტაზში შესული, გამუდმებით იმეორებდა ხან გონებაში, ხანაც ხმამალა, და, მართლაც, ვერ მიალწიეს იქამდე... რამდენჯერმე გადაწყვიტა ჰოსპიტალში წასვლა, მაგრამ ვერ ბედავდა. ბევრი რამისა ეშინოდა: „ვაი, თუ ჩემს იქ ყოფნაში ელისომ ზედმეტი ყურადღება გამოიჩინოს მფრინავის მიმართ და.. ის ჰაბუკი გულიდან ამომივარდეს“, — ფიქრობდა იგი. — „ან, იქნებ, წონასწორობაც კი დაგკარგო და უხიაგი რამ სიტყვა ვკადრო ელისოს. იქ მისვლით რომ უარესი ტანჯვა მივაყენო ჩემს თავს?.. არა, არ მივალ...“ ამავე დროს, იგი საესკბრით დაწმუხებული იყო, რომ მალე ელისო კვლავ ნაწილში დაბრუნდებოდა და ამის მოლოდინში მოგრუხუნე ტანკებივით სწრაფად მისდევდნენ ერთმანეთს დღეები.

ნიკოს დაბრუნებამ ყველა გაახარა. გზად საველე ფოსტაში შეველო — რამდენიმე წერილი მოიტანა ოცეულში. ძველები მხიარული შეძახილებით შეხედნენ ზემდეგს, ახალბედები კი — რიდითა და ხაზგასმული პატივისცემით.

— შენ, ზმაო, მოგხდენია იქ ყოფნა, გასუფთაებულხარ, გალამაზებულხარ, — უთხრა ნიკოს საჩანელმა.

— მართალი ვითხრა, მომეწყინა უთქვენოდ. ერთი ჭრილობა მთლად არც კი მომშუშებია, მაგრამ ვეღარ გავჩერდი. თ.მაც ელისოს იმედი მაქვს, — ღიმილით თქვა ნიკომ და ლეიტენანტს გადახედა, რომელიც ხელის ტყვიამფრქვევის დაშლა-აწყობაში ავარჯიშებდა რამდენიმე ახალბედს.

— ელისო ხომ იქ იყო, შენთან, — იკითხა ვილაცამ.

— კი, მაგრამ, სამ-ოთხ დღეში დაგიბრუნდება კიდეც, — თქვა ზემდეგმა. — ის ჩვენი მფრინავი უკეთ არის.

ლეიტენანტს მთელ ტანში რაღაცამ ტკბილად დაუარა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია, თავისი საქმე განაგრძო.

— რა მოგარბენინებდა, შე კაცო, შენი საყოფი ო. კიდეც ბევრი დაგრჩებოდა მაინც, — გაეხუმრა საჩანელი ნიკოს.

— ხომ არ გშურს შენი საყოფის წილში რომ ვიდგები? — სიცილით ჰკითხა ნიკომ.

— როგორ გეკადრება, ჩემო ნიკო, ეს როგორ შემშურდება. ისემც გიქნია, სულ ჩემს მაგიერ გიომნია, მე კი შინ გავიშვივარ. ო, როგორ მენატრება ჩემი კარ-მიდამო! არ გაგეცინოთ და ნამდვილი დასაფლავებაც კი მომენატრა, ჩვენებური დასაფლავება. მიპატრებიოთ, პანაშვიდებით, მუსიკით, გვირგვინებით, ქელეხით...

ყველამ გაკვირვებით შეხედა საჩანელს, მერე სიცილი ატყდა.

— ცუდად არ ავიხდეს ეგ უცნაური ნატვრა, — თქვა ნიკომ.

— გიყების ჰოსპიტალი ჯერ არ გამოუგონიათ? — იკითხა ვილაცამ.

— რომ გამოგონათ, შენ ახლა აქ იჯდებოდი? — უმაღ მოუჭრა ათმეთაურმა.

სიცილი კრთბაზად შეწყდა, — მიწურს წუილით გადაუარა ყუმბარამ და

სადაც ახლოს ვასკდა. ყუმბარის ერთმა მოზრდილმა ნატეხმა მიწურის კარზე მოაღინა ბრაგვანი.

— შემობრძანდით, ბატონო, — სერიოზულად თქვა საჩანელმა და კარისკენ გაიხედა.

უსიამოვნო დაძაბულობა მყისვე გაქრა. ისევ გაიწეულა ყუმბარამ და ისევ ძლიერად დაიქუხა.

— ნიკო, ვადი, ნახე რა ამბავია, — უთხრა გიორგიმ თანაშემწეს.

— მე წავალ, ამხანაგო ოცმეთაურო, მაგას ჯერ კრილობა არ მოშუშე-ბია, — წამოხტა საჩანელი და სანამ ლეიტენანტის პასუხს მიიღებდა, ტყვიასავით გავარდა გარეთ.

გიორგის გაეღიმა და რატომღაც დაჭრილი მფრინავი წარმოუდგა თვალწინ საოცრად ჰაბუკური სახითა და მიმზიდველი, ჯერ კიდევ ბავშვური ღიმილით. მისდამი დიდ სიმპათიას ამ ბოლო დროს ეჭვიანობის ყრუ განცდები შეე-რია და ახლაც, მფრინავის გახსენებისას, ჯერ მოსიყვარულე ღიმილმა გადუ-რა სახეზე, მერე კი ერთბაშად შეეკრა შუბლი: „ნეტავ, რას შვება ამ წუთში ელისო?“ — გაიფიქრა მან.

მიწურში საჩანელი შემოვიდა.

— ყველაფერი რიგზეა, ამხანაგო ლეიტენანტო, — მოახსენა ათმეთაურ-მა. — კიდევ მოგვიხნეს ცოტაოდენი. ისე რომ დილიდან შეიძლება თესვას შე-ვუღვეთ.

გიორგის ამჯერად არ გაღიმებია საჩანელის ხუმრობაზე.

— ზემდეგო, — ბრძანა მან. — გაიყვანე ხალხი და სამეცადინოდ მოაწყვე-გარეთ რომ გამოვიდა, ოცეული უკვე სმენაზე იდგა და მას ელოდა.

— საჩანელო, წაიყვანე. ნიკო, შენ ერთი წუთით დარჩი, — თქვა გიორგიმ.

— მითხარი, ბიჭო, როგორაა საქმე? — ისეთი კილოთი ჰკითხა გიორგიმ, როცა მარტო დარჩნენ, რომ ნიკოს გული ჩაწყდა. ლეიტენანტი ერთ წუთში სულ გამოიცვალა, როგორღაც მოეშვა, ფართოდ გაღებულ თვალეზში სევდა ჩადგომოდა. ეტყობოდა ბევრი ითმინა, მაგრამ ბოლოს ელისოსადმი ინტერესმა დაგუბებული ნიაღვარივით გადმოხეთქა.

— კარგადაა საქმე. მფრინავმა პირი ჩვენსკენ იბრუნა. ძალიან იმარჯვა ელისომ, გადაყვა კია, საცოდავი. ღამეებს უთევდა, ერთი წუთით არ ცილდე-ბოდა. კოვზით ასხამდა პირში რძეს ბავშვივით. და ისიც ეს მეხუთე დღეა გონს მოვიდა და სულ თვალეზში შესცქერის ელისოს.

გიორგის არ მოეწონა ეს სიტყვები, მაგრამ თავი შეიკავა, შუბლი შეიკრა მხოლოდ. „ოპო, თვალეზში შეცქერისო?! ელისოს საშიში თვალეზი აქვს, მორე-ვივით იცის ჩათრევა“, — გაიფიქრა უმაღლ. „თუმცა მერე რა, შეუყვარდეს. ელისო ხომ სულ მალე ისევ ჩემთან იქნება“, — დაიიმიდა თავი.

აღმოსავლეთიდან მოისმა საშტაბო თვითმფრინავის თუბთუხი და სულ მა-ლე „უ-2“-ც გამოჩნდა. ორივემ ინსტინქტურად საათს დახედა — იყო თორმე-ტის ათი წუთი. თვითმფრინავი ათასეულის განლაგებას მოუახლოვდა, ფრთე-ბის რხევით გამოვხავენა სალამი და დასავლეთით, უკვე მთლად გაძარცული ტყის კენწეროებს მიეფარა.

— ვაშა! — გაისმა ალტაცებული ადამიანების შეძახილი.

გიორგიმ გაკვირვებით შეხედა ნიკოს.

— ეს როგორ მოხდა? უკვე ჰაერშია, თუ? — იკითხა მან.

ნიკო ეშმაკურად იღიმებოდა.



— არა, ეს მისი ამხანავია. გუშინ იყო ჩვენთან, ჰოსპიტალში, თავისი ძმა-კაცი ინახულა, — უპასუხა ზემდეგმა.

ლეიტენანტი სუნთქვაშეკრული შესცქეროდა გახარებულ ადამიანებს, რომლებსაც მზერა იქით მიემართათ, საითაც თვითმფრინავი მიიმალა და გაცხარებით უხსნიდნენ ერთმანეთს რაღაცას.

— ხვალ ჰოსპიტალში წავალ, — თქვა გიორგიმ.

რაც უფრო უახლოვდებოდა გიორგი საველე ჰოსპიტალს, მით უფრო მეტად უცემდა გული. იქნებ ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ მისდაუნებურად იგი თანდათან უმატებდა ნაბიჯს და ბოლოს, ჰოსპიტლის მიწურები რომ გამოჩნდა, თითქმის ვარბოდა კიდევ. მაგრამ გულის ეს საშინელი ბაგაბუგი ვანაჩქარი სიარულის მიზეზი იყო?.. მისი გონება გაურკვეველ რაღაც შეშფოთებას მოეცვა, აზრები ვერ დაელაგებინა. „კი, მაგრამ, ვის სანახავად მოვიდა? ნიკო ხომ უკვე გაწერეს. მფრინავისა? რომ არ იცნობს მას ჰაბუკი. ელისოსი? ელისოსს რა ნახვა უნდა. რა სულელი ვარ“, — გაიფიქრა მან, — „ვისი რა საქმეა... საინტერესოა, როგორ შემხედვება ელისო? თვითონ რას ეტყვის? ო, რა გადაჩვევა იცის ქალმა!..“

წვიმდა, მთებზე ბალიშებზე იწყო წყლით გაყვანილი ნისლი და შიშველი ხეები ასავსავებდნენ გაძვალტყავებულ, სველ ხელებს — ჰქროდა ძლიერი ქარი. ციოდა. მაგრამ გიორგი ვერც სისველეს გრძნობდა, ვერც სცივებს.

იმ მიწურიდან, სადაც ნიკო იწვა, ელისო გამოვიდა და კარი ღიად დაიჭირა. კარში ძლივს გამოეტია ვიღაც ფარაჯიანი. ჯერ ცალი ყავარჯენი გამოყო, შემდეგ ვეებერთელა სხეული გამოაძვრინა, მერე მეორე ყავარჯენი. უკან მას გიორგის ნაცნობი სანიტარი მოჰყვა. მოშორებით მდგარი ლეიტენანტი ვერ დაინახეს. გიორგი ფარაჯიანს დააკვირდა, — კუზმა შეიციწო მასში. კუზმამ უხერხულად შეიღვა მხრებში ყავარჯენები, ელისო და სანიტარი მოეხმარნენ. მერე სამივენი გიორგისკენ წამოვიდნენ. გიორგი შეკრთა, — კუზმას ფარაჯის ქვემოდან მეორე ფეხი არ უჩანდა.

გიორგის დანახვაზე ელისო შედგა და როგორღაც უცნაურად გაიღიმა. ლეიტენანტს მოეჩვენა, რომ ქალი დაიბნა და არ იცოდა რა ეთქვა.

— გამარჯობათ, — მიესალმა მათ გიორგი.

— ოო, გაგიმარჯოთ, ამხანავო ლეიტენანტო, — უთხრა კუზმამ და ფართო ღიმილი მოეფინა სახეზე. — აი, მივდივარ ჩემს ბიჭთან. ცალფეხა მამა ხომ მაინც მამაა, არა? — იკითხა მან.

გიორგის გული შეეკუმშა.

— რა თქმა უნდა, მამაა, კუზმა. ძალიან კარგია, ბიჭთან რომ მიდიხარ, — თქვა ლეიტენანტმა.

— კი, კი, — სხაპასუხით ალაპარაკდა კუზმა, — კარგია, აბა რა! თორემ ჩემს მეტი აღარაეინ დარჩა, საწყალს. საბავშვო სახლშია, შუა აზიასში.

მერე უეცრად აწრიალდა, ყავარჯენები ჩამდენჯერმე შეისწორა, როგორც იქნა მოირგო და თავის გამცილებლებს მიმართა:

— აბა, წავიდეთ, ჩქარა. ლეიტენანტი გვაპატიებს. კარგად იყავით, ამხანავო ლეიტენანტო, ბედნიერებას გისურვებთ, — მერე მაგრად ჩამოართვა ხელი და ყავარჯენების წრიპინით წავიდა.

— მე მალე დავბრუნდები, — უთხრა ელისომ გიორგის.

— ლეიტენანტო! — მოესმა გიორგის და მიიხედა. კუზმა შემობრუნებულყო, ისევ იღიმებოდა და თავზე იდებდა საჩვენებელ თითს. — თავს გაუფრ-

თხილდით, თავს, — დაიყვირა მან; — თავია მთავარი, თავი. ფეხი ეშმაკსაც წაულია!

„ხომ შეიძლება მეც ასე ასკინკილის თამაშით ჩავიდე თბილისში?“ — გაიფიქრა მან და მწარედ ჩაეცინა: „მაშინ, ალბათ, ელისოს აღარ ვენდომები. ელისოს? ააა, თურმე რა ძლიერად მყვარებია!“ იგი იდგა და იქითკენ მიეპყრო მზერა, საითაც ის სამინი წავიდნენ. ისევ იჩხვლიტებოდა წვიმა და ღონიერად უბერავდა ქარი. „მაინც, რატომ ვსველდები?“ — გაუელვა თავში და მყისვე დაჭრილი ჭაბუკი გაახსენდა, პავლუშას რომ ეუბნებოდა: „პავლუშა, ძამიკო, შევაფართოთ სადმე თავი ამ წვიმას. რა ძალა გვადგა, ასე რომ ვილუმპებით?“ — ჰო, მართლა, ის ხომ ჭაბუკის სანახავად მოვიდა აქ...

მიწურში მფრინავის გარდა აღარავინ იწვა. ჭაბუკს ეძინო. ერთ კუთხეში გიორგიმ თვალი მოჰკრა ელისოს ჩანთას, ნემსის კოლოფს, წამლებს, სარკეს და კონსერვის კოლოფში ჩადებულ მინდვრის ყვავილების პატარა თაიგულს. გუნება გაუფუჭდა, — ყვავილები ცუდად ენიშნა. თაიგული აიღო და უსუნა; ყვავილებს რომელიღაც წამლის სუნი ასდიოდა. თაიგული ისევ კოლოფში ჩადო და უეცრად ინსტიქტურად შემობრუნდა: მფრინავი გაოცებული უყურებდა მას. ხანჯალივით მოხვდა ჭაბუკის მზერა, დაიბნა და რატომღაც ძალიან ხმა-მალა იკითხა:

— ნიკო აქ აღარ არის?

ჭაბუკმა ნაღვლიანად გაიღიმა.

— ჩემს მეტი აქ აღარავინაა. მე დავრჩი მხოლოდ, — თქვა მან.

გიორგის ტანში თბილად დაუარა ჭაბუკის ღიმილმა.

— გუშინ ჩვენ მფრინავი მოგვესალმა ზევიდან, — თქვა მან უფრო იმიტომ, რომ უხერხული სიჩუმე დაერღვია.

— ის ჩემი მეგობარია. გუშინწინ მინახულა, — უთხრა ჭაბუკმა და ისევ გაიღიმა. — თურმე მანამდეც მოდიოდა, მაგრამ მე გონზე არ ვიყავი.

ჭაბუკი ერთხანს დუმდა, მერე ოდნავ წამოიწია და ბედნიერი ღიმილით თქვა:

— აწი რომც მოგვკვდე, არაფერია, მაგრამ მე მოვრჩები, მოვრჩები, ნამდვილად მოვრჩები, — დაყინებით, ჯიუტად გაიმეორა მან. მალალ შუბლზე ქერა თმა ჩამოეშალა, გაბრწყინებული თვალები კონსერვის კოლოფში ჩადებულ თაიგულს მიაპყრო და ისევ მხურვალედ გაიმეორა: — მოვრჩები, აი, ნახავთ, ნამდვილად მოვრჩები!

„აწი რომც მოგვკვდე, არაფერია“, — გონებაში გაიმეორა გიორგიმ დაჭრილის სიტყვები და როგორც წყლით სავსე კასრი გადმოპირქვავებისას უშალ იცლება, ისე დაიცალა ისიც ამ ჭაბუკისადმი გამსჭვალული სიმპათიისაგან. „ჩაუთრევი ელისოს თვალთა მორევს, ეს საცოდავი!“ მას მართლაც სადღაც, გულის რომელიღაც კუნჭულში, ეცოდებოდა ჭაბუკი, რომელიც სიკვდილს უკვე აღარაფრად აგდებდა.

— მშვიდობით, — თქვა გიორგიმ და წამოდგა.

— ნახვამდის, — უთხრა მფრინავმა.

გარეთ გამოსვლისას გიორგიმ უკან მოიხედა: ჭაბუკი იღიმებოდა ბედნიერი ღიმილით, მაგრამ ახლა ამ ღიმილმა ლეიტენანტს გაეარვარებული შანთივით გაუარა გულში.

წვიმას გადაეღო, მაგრამ ახლა ისეთი ფაფასავით სქელი ბურუსი ჩაწოლილიყო ცასა და დედამიწას შორის, რომ ორ ნაბიჯზე არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა. „დამეკარგება ელისო ამ ნისლში, ავცდებით ერთმანეთს“, — გაი-

ფიქრა გიორგიმ და გადაწყვიტა მიწურთან დალოდებოდა ქალს. ქისა ამოიღო, თამბაქო გაახვია და გააბოლა.

და უცებ ნისლიდან მოჩვენებასავით გამოეცხადა ელისო.

— ესეც ასე. მანქანამდე მივაცილეთ, — თქვა მან. — კარგი ჰქენი, რომ მოხვედი.

გიორგიმ არ იცოდა რა პასუხი გაეცა. მას უზომოდ მოუნდა ელისოს მკერდში ჩაკვრა, მისი თვალების, ტუჩების და ყელის დაკოცნა, ამ ნისლში ქალთან ერთად შთანთქმა და შორს, ძალიან შორს გაცურვა. ამ მიწურიდან ძალიან შორს!..

— ვითომ რატომ ვქენი კარგი? — მოულოდნელად იკითხა გიორგიმ.

ელისომ უპასუხოდ დატოვა მისი შეკითხვა. ერთხანს იგი დაკვირვებით უყურებდა გიორგის, მერე მიუახლოვდა და ტუჩებში აკოცა.

— მე დიდი მადლობელი ვარ შენი, — ჩუმად თქვა ქალმა.

გიორგი გაოგნებული იდგა. ამ კოცნამ თითქოს ფარდა ახადა საიდუმლოს, რომელსაც ვაჟისათვის ტკივილი მოჰქონდა. მან ეს ქვეშეცნეულად იგრძნო, რადგან ელისოს ეს ამბორი სულაც არა ჰგავდა მის აღრინდელ კოცნას. თანაც რას ნიშნავდა სიტყვები: „მე დიდი მადლობელი ვარ შენი“?

— შენ იქ იყავი? — კვლავ ხმადაბლა ჰკითხა ქალმა.

— კი.

— როგორ ფიქრობ, ხომ მორჩება?

— კი.

ელისომ ჩუმად გაიცინა, იცინოდა დიდხანს და მისი მოქანცული სახე და თანავ ჩამუქებული თვალები უსაზღვრო სიხარულსა და ბედნიერებას გამოხატავდნენ. გიორგი გაოცებული მიშტერებოდა ქალს. მას გული ეკუმშებოდა, ფეხებში აუტანელი სისუსტე იგრძნო და ალბათ წაიქცეოდა კიდეც, იქვე კუნძზე რომ არ ჩამომჯდარიყო. „არ მეგონა, თუ ასე ძლიერად მიყვარდი“, — ფიქრში უთხრა ქალს. მერე ძალა მოიკრიფა, დაბეგვილი სხეული აითრია, წელში გაიმართა და ელისოს უთხრა:

— შენ აქ უკვე მოათავე შენი საქმე. ის მორჩა. მე შენს წასაყვანად მოვედი.

ელისოს სახე შეეცვალა. მან კუმტად შეიკრა წარბი და ორთავე ხელი გააქნია უარის ნიშნად.

„წამოდი, ელისო, წამოდი. გემუდარები, ნუ მიმატოვებ. ახლა განსაკუთრებით მჭირდები, ჩემო კარგო, პატარა გოგოვ...“, — ფიქრობდა გიორგი.

ასე გაქვავებულები უყურებდნენ ერთხანს ერთმანეთს. სიჩუმე ქალმა დაარღვია:

— მე დიდი მადლობელი ვარ შენი, გიორგი.

გიორგიმ უსიტყვოდ შეაქცია ქალს ზურგი და გუმანით დაადგა ნაწილისაკენ მიმავალ ბილიქს. ირგვლივ თრთოდა ნისლი და მის თვალებშიაც ნისლი ჩამდგარიყო. სადღაც, ძალიან მაღლა გუგუნებდა მტრის თვითმფრინავი. ნეტავ, ამ ბურუსში რა დაჰკარგოდა?..

წინა ხაზზე გასვლის ბრძანება, როგორც ეს მუდამ ხდებდა, მოულოდნელად მოვიდა. ათასეულის მეთაურის ბლინდაჟში პატარა თათბირის შემდეგ ყველაფერი ნათელი იყო: ასეული, რომელშიც გიორგის ოცეული შედიოდა, 23 საათზე ცვლიდა ერთ-ერთ გვარდიულ ნაწილს.

პაერში უკვე ზამთრის სუნი ტრიალებდა. დილაობით გუბურები ყინულის

გამჭვირვალე ფირფიტებით იყო დაფარული. ხეები გაშეშებულები იდგნენ და გამხდარ ხელებს აღარ აქნევდნენ.

თვითმფრინავის ბომბით ამოთხრილ უზარმაზარ ორმოში ცხენის ლემი ღამის ყინვებისაგან, მთლად მიღუღლიყო და კბილებდაკრეჭილი შეჭყურებდა ქიანქველებივით მოფუსფუსე ადამიანებს, რომლებიც აქედან წასასვლელად ეშვადებოდნენ.

დილით მზე რომ ამოვიდა, მთვარე ჯერ არ ჩასულიყო. და ვერ გაარჩევდი რომელი იყო მზე და რომელი მთვარე, — ორივე ცივად და უფერულად გამოიყურებოდა. მაგრამ მზემ იძალა და შუადღისას ისეთნაირად დააცხუნა, როგორც ადრეულ გაზაფხულზე იცის ხანდისხან. ჩიტებმა გაიხარეს, აქა-იქ შერჩენილი მწვანე ბალახი საოცარი მშვენიერებით აპრიალდა, გუბურებში მარგალიტებად ირეკლებოდა ციდან ჩამოყრილი სხივები.

— ამინდის გამოკეთებასთან ერთად გიორგის გუნება გამოეცვალა — კარგ ხასიათზე დადგა. თუ აქამდე აუტანელი მერყეობა ტანჯავდა, ახლა მტკიცედ გადაწყვიტა ჰოსპიტალში წასვლა და ელისოს წამოყვანა. ბრძანება წინა ხაზზე გასვლის შესახებ ტყვიასავით მოხვდა, „აქედან აზლოს მაინცა ვარ მასთან“, — ფიქრობდა იგი. მფრინავისადმი ისევ კეთილი და გულთბილი გრძნობები აღეძრა, დაიტუქსა კიდევ თავი ჭაბუკისადმი ექვიანობის გამო. „ბოლოს და ბოლოს, რაშია იგი დამნაშავე? ელისო რომ შეუყვარდა, იმაში? რა სულელი ვარ! განა მეც ისევე არ შემოყვარდა ელისო? მადლობა ღმერთს, რომ გადარჩა ჭაბუკი...“ — უხმოდ ებასებოდა თავის თავს.

ასეულის მეთაურს ორი საათით დაეთხოვა და ჰოსპიტლისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. უზარმაზარ, მოკრიალებულ ცაზე მზე ახალგამოჩეილ წიწილასავით ბზინავდა და მასავით ლამაზი და ოქროსფერი იყო. გაყვითლებული ხავსი ზავირდივით ეფენა ტყეში. მიწას მზის მცხუნვარებისათვის ნებვირად შეეშვირა მრავალტანჯული მკერდი და ბებერ ძვლებს ითბობდა. და მხოლოდ გაძარცვულ ხეებს აღეპყროთ ხელები საცოდავად, თითქოს მოწყალეებს შესთხოვდნენ ზეცას...

მიწურთან ნაცნობ სანიტარს შეეჩეხა და ინსტინქტურად თამბაქოს ქისა ამოიღო. სანიტარს შემკრთალი სახე ჰქონდა, ლეიტენანტის სალამი უპასუხოდ დატოვა, მისკენ არც კი მოუხედავს, სადღაც გაიქცა. გიორგის გულმა რეჩხი უყო, სწრაფად შევიდა მიწურში. ქალის გახევებული სახე და ვეება თვალები შეეფეთა უმალ, ცივმა ოფლმა დაასხა და ადგილზე გაშეშდა.

— მიშველე, გიორგი, — დაუძახა ელისომ, — მიშველე!

მფრინავის საწოლთან მიიჭრა. ჭაბუკი კვდებოდა.

ექიმი მოიყვანა სანიტარმა, მაჯა გაუსინჯეს, მერე რალაც ნემსი გაუკეთეს მკლავში, ერთი, მეორე... ვიდრე ჭაბუკს აწვალდნენ, გიორგი განზე იდგა და ელისოს აკვირდებოდა. ქალს მაგრად ეჭირა თავი, მაგრამ მისი თვალები წიგნის ფურცლებივით მეტყველი იყო და ვაეიც კითხულობდა აუწერელ ტანჯვასა და მწუხარებას, სიყვარულსა და უბედურებას... „ასეფ ამინდში სიკვდილი?!“ — გაუელვა თავში და ჭაბუკის სიტყვები გაახსენდა: „ბიჭო, ისე მივიღივარ საიქოს, რომ სიყვარული არ მიგრძენია, ალერსი არ განმიციდია. ამიტომ მეცოდება, ბიჭო, ჩემი თავი...“ „ჰა, არ უგრძენია, არ განუციდია? თუ უკვე იგრძნო და განიცადა?“ — გაიფიქრა გიორგიმ და ჭაბუკის საწოლთან მივიდა. ექიმმა გიორგის შეხედა და სინანულით გამალა ხელები.

— იქნებ გამოვადგეთ რამეში. იქნებ რამეა საჭირო? — ჩუმად ჰკითხა მას გიორგიმ.

ექიმმა უარი ანიშნა.

— ყველაფერი ვიღონეთ, — ხმადაბლა უპასუხა მან.

ჭაბუკმა თვალები გაახილა, ყველანი დაათვალიერა, მერე ლეიტენანტს დააცქერდა და საოცარმა ღიმილმა გაუნათა სახე.

— მე ძალიან ცუდად ვარ, — ჩუმაღ თქვა მან. — თქვენ არ იცით რა ცუდად ვარ, ძალიან ცუდად. მე მადლობელი ვარ თქვენი...

გიორგიმ ელისოს შეხედა: იგი მარმარილოს ქანდაკებასავით თეთრი იყო და უძრავი. მხოლოდ მარჯვენა ხელს მექანიკურად უსვამდა ჭაბუკის მკერდს, თითქოს გულისცემისათვის სურდა ხელის ჩავლება. მფრინავმა ისევ დახუჭა თვალები და გაღიშება სცადა, მაგრამ საცოდავად დაემანჯა სახე. მალე იგი მოკვდა.

ექიმი და სანიტარი გასულიყვნენ. მიწურში სამნი დარჩნენ: ელისო, გიორგი და მფრინავი. ქალი ერთბაშად მოდუნდა, ქვითინი აუვარდა და ლეიტენანტს ჩაეკრა მკერდში. ასე ქვითინებდა დიდხანს. ვაქს ცრემლი მოერიდა, — მას ელისოს დაბრუნების იმედი მიეცა. „შენ აქ უკვე მოათავე შენი საქმე. მე შენს წასაყვანად მოვედი, წამოდი, ძვირფასო, აბა აქ რაღა დაგრჩენია?“ — უნდოდა ეთქვა გიორგის, მაგრამ ვერ ამბობდა, რადგან მიწურში მარტონი არ იყვნენ.

— გარეთ გავიდეთ, — თქვა მან.

ელისო უყოყმანოდ, მორჩილად გაჰყვა. მზემ ორივეს თვალი მოჭრა. ისეთი მშვიდი და საოცარი სიჩუმე იდგა, თითქოს სამყაროს არსებობაში არასდროს არსად სანადირო თოფიც არ გავარდნილიყო...

— ელისო, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია. წამოდი ნაწილში, აქ ხომ საქმე აღარა გაქვს, — მუდარით უთხრა გიორგიმ.

ელისო ხმას არ იღებდა, მაგრამ ვაჟმა შეამჩნია, რომ ეს არ იყო მერყეობით გამოწვეული დუმილი და სუნთქვა შეეკრა.

— მგონი, შენცა ხარ ჩემი მადლობელი, არა? — ჰკითხა მან ქალს.

ელისომ დასტურის ნიშნად თავი დაუქნია და სველი თვალები შეანათა.

— შენთან ველარ წამოვალ, გიორგი, არ შემიძლია. გესმის, არაფრით არ შემიძლია. აქ დავრჩები, ჰოსპიტალში, — თქვა ქალმა. — რა საოცარია ცხოვრება, მე ის მიყვარს, ბავშვი კი შენგან მეყოლება, — ძლივს გასაგონად დაამატა მერე და მწარედ ჩაიციხა.

„რა საოცარია ცხოვრება, — გაიფიქრა გიორგიმ, — ისინი, ერთიკა და მეორეც, ჩემი მადლობელი არიან, მე კი...“. იგი საშინელ სიცარიელეს გრძნობდა და უკვე აღარაფერზე არ ფიქრობდა.

— ბედნიერად იყავი, ჩემო კარგო, თავს გაუფრთხილდი, — თქვა ქალმა. — თამბაქოს დაანებე თავი, — დაამატა მერე და ხელი გაუწოდა.

— წამოდი, ელისო, ჩემთან. მე ძალიან ცუდად ვარ, გესმის? წამოდი, ელისო, წამოდი. გემუდარები ნუ მიმატოვებ. ახლა განსაკუთრებით მჭირდები, ჩემო კარგო, პატარა გოგოვ...

ელისომ თავი გააქნია და წავიდა.

იმ ღამეს, 23 საათზე, ოცეული, რომელსაც გიორგი მეთაურობდა, წინა ხაზზე გავიდა.



პატი ბოგოხიძე


იური ბაბარინს

დედამიწაზე გაწბილებულნი  
ცაზე მამალმერთს ეძებდნენ წინათ;  
დღეს იმედებით გაბრწყინებულნი  
უახლოვდებით ვარსკვლავთა ბრწყინვას.

იდუმალეზას აეხადეთ ფარდა,  
დავუძმობილდით შეუცნობ კოსმოსს.  
და დედამიწას ესლა აქვს დარდად  
კაცთა ქლევტვა და ომები მოსპოს.

ხალხი, რომელიც ზრდიდა გმირ ვაჟკაცს,  
რომელიც მედგრად ავარდა ცაში,  
ვინც მოისმინა მსოფლიოს ვაშა —  
ქვეყნად ყოველგვარ ომის კვალს წაშლის.

და ოკეანის გადაღმა მზარეს  
დღეს გაგარინის ქვეყანა უსწრებს,  
ჩვენი სალამი მზესა და მთვარეს,  
სალამი გმირ ხალხს, მართალს და გულწრფელს.





## ჩაბინდრანაჲ თაგორი

### ბენგალის მიწა

ბენგალის მიწა, ბენგალის წყალი,  
ბენგალის ბარი, გზა და ჯეჯილები,  
კურთხეული იყოს, კურთხეული იყოს,  
კურთხეული იყოს, ო უფალო!

ბენგალის დაბა, ბენგალის ველი,  
ბენგალის ქალა, ბენგალის ყანა,  
ხვავრიელი იყოს, ხვავრიელი იყოს,  
ხვავრიელი იყოს, ო უფალო!

ბენგალის საქმე, ბენგალის სიტყვა,  
ბენგალის რწმენა, ბენგალის ფიქრი,  
დაე, ცხადად ახდეს, დაე, ცხადად ახდეს,  
დაე ცხადად ახდეს, ო უფალო!

ბენგალის სული, ბენგალის გული,  
ბენგალის შვილნი ყველგან და ყოველთვის  
ერთიანნი იყვნენ, ერთიანნი იყვნენ,  
ერთიანნი იყვნენ, ო უფალო!

### ჯანაგანამანა<sup>1</sup>

შენ ხარ ყველა ხალხის ზრახვათა მეუფე,  
შენ მოგაქვს შვება ინდოეთისთვის,  
შენი სახელის ხსენება გულს უნთებს პენჯაბს,  
სინდს, გუჯარათს, დრავირას, ორისას და ბენგალის.  
ვინდალისა და ჰიმალაის მთებში.

შენი სახელის ექო მოისმის,  
და უერთდება იგი განგისა და ჯუმნას სიმღერას,  
ტალღებს აგებებს მას ინდოეთის ოკეანე,  
გადიდებს შენ და კურთხევას ითხოვს შენგან.  
შენ, ინდოეთის ბედის დამსაზღვრელო,  
დიდება, დიდება, დიდება!

<sup>1</sup> თაგორის ეს ლექსი, რომელც დაწერილია 1928 წელს, ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნია.

დღისითა და ღამით შენი ხმა ქვეყნიდან ქვეყნად  
იფინება,  
და შენი საყდრისაკენ მოუხმობს ჰინდოთ, ბუდჰაელთ,  
სიჭებებს, ჯაინებს, ფარსებს, მაჰმადიანთ და ქრისტიანთ.  
სიყვარულის გვირგვინად დაწული ლოცვები მოაქვთ  
შენს საკურთხეველზე აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან.  
შენ მიგყაყს, ხალხთა გულები ერთიანი ცხოვრების  
სასუფეველში.

შენ, ინდოეთის ბედის დამსაზღვრელო,  
ღიღებ, ღიღებ, ღიღებ!

შენ ხარ მარადქამული ეტლი, ერთა აღზევებითა და დამხობით  
ძნელი გზის წიალ კაცთა ცხოვრების წარმმართველი,  
ყველა ჭირსა და ვარაშში შენი საყვირი  
სასოებად მოუხმობს სასოწარკვეთილთ და უნუგეშოთ.  
შენ განაგებ ყველა ხალხს  
ძნელსავალ გზებსა და ყარიბობაში.

შენ, ინდოეთის ბედის დამსაზღვრელო,  
ღიღებ, ღიღებ, ღიღებ!

ღამე იყო ბნელი და უკუნეთი დაუღეველი  
და ჩემს ქვეყანას მკვდრული ძილით ეძინა.  
მაგრამ ხელი შენი მშობლისა მის ახლოს იყო  
და შენი თვალი მის მწუხარე სახეს დაჰყურებდა  
საზარელი ძილის ქამს.

შენა ხარ მეგობარი და მხსნელი ხალხებისა.  
შენ, ინდოეთის ბედის დამსაზღვრელო,  
გამარჯვება, გამარჯვება, გამარჯვება!

ღამე მიიწურა, მზე აღმოხდა აღმოსავლით,  
ფრინველნი გალობენ,

დილის ჰაერი აღვიძებს ახალ ცხოვრებას.  
შენი სიყვარულის ოქრონათელით შეძრული ინდოეთი  
იღვიძებს და შენს ფერხთ ემთხვევა.  
შენა ხარ მეფე ყველა მეფეთა,  
შენ მოგაქვს შვება ინდოეთისთვის,  
გამარჯვება შენ, გამარჯვება, გამარჯვება!

თარგმნა თამაზ ჩხენკელმა.

## ღევენ გეაძე

მამაჩემს თვლიდნენ წელმაგარ გლეხად,  
ხელს უმართავდა მეზობელს მუდამ,  
არ შეაერთობდა მევალეს ერთხანს,  
დარჩენილიყო უჩოხოდ თუნდაც.

შინ მუდამ ჰყავდა მოვლილი ხარი,  
მუხლს ვერ მოკვეთდა მის ცხენს მარულა,  
მეტყოდნენ, მდიდრის მემკვიდრე ხარო,  
ეგონათ ჰქონდა განძი მალულად.

ხშირად დასძენდა ღიმილით მამა:  
— სხვა მადლი დასდევს გლეხკაცის მარჯვენს, —  
შთამაგონებდა ბიჭუნას მალ-მალ, —  
ასე ლაზათით მე შრომა მარჩენს.

ყამმა დამაჭლო მკერდზე იარა,  
მამას თან გაჰყვა ლაღი ოცნება  
და დამიტოვა განძი კი არა, —  
მიწის ყაღრი და პატროსნება...



სოსო კოჩინთაძე

ანამ კოჩინთაძე ხარ

რომანი

კვირა დღეს გამთენიანზე დაესხა თავს არჩილი. მოვიდა და ხმაურიც მოიტანა. კარი შემოაფრიალა, მივარდა და გადაეხვია ირაკლის, ბეჭებზე ხელი ურტყა, თავი შეუნჯღრია:

— პა, რას შვრები? როგორ შეეგუე მშვიდობიან ცხოვრებას? მე? მე რა ვქნა, ძმაო, ვმუშაობ, ვიღწვი. ახალციხეში ვმოღვაწეობ. ვსწავლობ კიდევ. აბა რა ვქნა, მამაჩემს დაწყობილი არა აქვს დასტები, რომ ვისწავლო და არ ვიმუშაო... რას შვრები? წვერი რად მოგიშვია? არ გეყო გლოვა?

ირაკლის ესაიშოვნა არჩილის მოსვლა, მაგრამ მეგობრის გადაჭარბებულ ხმაურს და აღტყინებულ ტონს ვერ შეეგუა უცბათ.

დაბნეულად ილიმებოდა. არჩილი კი ერთ ადგილზე არ ისვენებდა, ხელებს იქნევდა, ფართიფურთობდა, ლაპარაკობდა:

— ძღვნით მოგივედი, ისე კი არა. აბა რა გეგონა! მე რომ ვერ ვზიდე, მუშას მოვატანინე. ა, ჯერ არ გაჩვენებ, მოითმინე.

— არც მითხოვნია. დაჯექი და დამშვიდდი. მიაბზე, სადა ხარ, რას აკეთებ, — უთხრა ირაკლიმ.

— ახალციხის რაიონში მადნებს ვეძებ. ახლა შევებულებით ჩამოვედი, ინსტიტუტში ვანცხადება შევიტანე... სწავლა, შრომა. აბა რა გეგონა! შენ კი? რაღაც არ მომწონხარ, წვერი მოგიშვია, თვითონაც მოშვებულხარ. დაკარგე ჯარისკაცული სული? ან ეს რა ჩაგიცვამს? უფრო სუფთა არაფერი გაქვს?

ირაკლიმ თავის მწვირიან ხალათზე დაიხედა, შემდეგ არჩილი შეათვალიერა, არჩილს გაქათქათებული ცისფერი ხალათი და გატკეცილი შარვალი ეცვა. წვერიც ახალი გაპარსული ჰქონდა.

— დათო! — დაიძახა არჩილმა. — აბა, ერთი დიდი ვარცლი იშოვე სადაც ვინდა, წყალი ვააცხელე, საპონი მოიტანე. ვაცხადებ სანიტარულ დღეს. თქვენ, დეიდა თამარ, თერთეული გაამზადეთ, სუფთა ხალათი, შარვალი. ირა, გადმოდი ლოგინიდან! გადმოდი, გადმოდი, თორემ გადმოგიყვან. ხომ იცი, ჩათრევას ჩაყოლა სჯობს.

— რა მოგივიდა, დაწყნარდი. — მოიშორა ირაკლიმ არჩილი.

— გადმოდი-მეთქი, არ გესმის? უნდა გაგბანო ცოდვებისგანაც და ჭუჭყისგანაც. რას ჰგაგხარ! კაცი ახლო ვერ მოგეკარება...

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 1, 2, 3.

დედა და დათო ოთახში იდგნენ და ღიმილით შეჰყურებდნენ არჩილს, რომელმაც მოულოდნელად წელში სტაცა ირაკლის ხელი, აიყვანა, იატაკზე დასვა და შემდეგ წყლით სავსე სურათზე დაასხა, მთლიანად გაწუწა.

— თქვენთან ბოდიში, დედა თამარ. იატაკს შემდეგ მევე მოგიწმენდო. აბა, დათო, ვარცილი და წყალი, მალე!

— გაგიყდი? — ხელი ჰკრა ირაკლიმ არჩილს და სახე შეიმშრალა. დასველებული ხალათი ტანზე მიწებებოდა.

— ხელს ნუ მკრავ, თორემ ერთს ისეთს ჩაგაფარებ! კი არ დამვიწყნია, მეხუთე კლასში უმიზეზოდ რომ მიმტყიბე...

ირაკლიმ რაღაც წაიბურტყუნა.

— დედა თამარ, საცვლები, სუფთა შარვალი, ხალათი, და მერე დაგვეტოვეთ. აქ მამაკაცური საქმეები გვაქვს მოსაგვარებელი და ნუ ჩაგვერევით. — თქვა არჩილმა.

დათომ ვეებერთელა, მრგვალი სპილენძის ტაშტი შიიტანა და სათლით წყალი.

— დათო, მიხურე კარი და დამეხმარე, თორემ ეს რეგენი შენი ძმა ისე იბღვირება, მგონია ნებით არც გაგვაძრობინოს ტანსაცმელი.

დათო და არჩილი ერთად ეცნენ ირაკლის, ხელები გაუკავეს და ხალათი გააძვრეს. ირაკლი ჯერ უძალიანდებოდა, მერე სიცილი წასკდა და ისე ხმამაღლა იციინოდა, რომ არც დათოს, არც დედას ჩამოსვლის დღიდან ასეთი გულიანი სიცილი აღარ სმენიათ მისგან.

ირაკლი დედიშობილა დატოვეს.

— აბა, ერთი, ორი — წაივი-დეთ! — იყვირა არჩილმა, ციციცო აიტაცა ირაკლი და ტაშტში ჩასვა. დათომ თბილი წყალი გადაავლო თავზე.

არჩილმა გასაპნა ირაკლი, თან ყვიროდა:

— ნუ სხმარტალობ, სულ გამწუწე, შე ტურტლიანო! დათო, ზეწარი მოიტანე.

— ნუ ბღვი, შენი თავი აბანოში ზომ არ გგონია?

— აბა, ძმაო, გაგბანე. მე მგონია, ცოდვებზე მეტი მაინც ჭუჭყი აღმოგჩნდა. — თქვა არჩილმა.

„დათვი მჭლე  
 და შენ მსუქანი,  
 ცხვრის დუმბა  
 და შენი გარო“...

მხრებზე ხელს უტყაბუნებდა არჩილი ირაკლის.

ირაკლი შეამშრალეს, შემდეგ ლოგინზე დასვეს და საცვლები მიაწოდეს.

დათომ ტაშტი გაიტანა. როცა არჩილი ირაკლის ოთახიდან გამოვიდა, დაინახა, რომ დედა თამარი ფანჯარასთან იდგა, ზურგიტ მიმართული შეჩერდა და სათლი იატაკზე დადგა. დედა თამარი არ შემობრუნებულა.

— რა დაგემართათ? — ფრთხილად ჰკითხა არჩილმა.

დედა თამარმა ხმა არ გასცა. მას უცნაურად უთრთოდა მხრები. არჩილი მიხვდა, რომ იგი ტიროდა. ტიროდა უხმაუროდ, მხოლოდ ცრემლებით.

არჩილი სიტყვის უთქმელად გავიდა ოთახიდან. როცა შემობრუნდა, დაინახა, რომ დედა თამარი ცხვირსახოციტ იმშრალებდა თვალებს. ერთხანს უხმოდ უცქირეს ერთმანეთს. მერე დედა თამარმა თქვა:

— შენ იცოცხლე, არჩილი! ეგრე, არ მოეშვა. — ცდილობდა გაეღიმა, თვალები კი ცრემლებით ჰქონდა სავსე.

— მაცაღეთ, დეიდა თამარ, ჯერ სად არის! — გაუღიმა არჩილმა. მერე ირაკლის ოთახში შევიდა და იყვირა:

— სწორდი! სწორდი-მეთქი! ჩამოუშვი, ჩამოუშვი ხელები, შარვლის ნაკერებს გაუსწორე!

ირაკლი ქვეშიდან იყურებოდა, იბღვირებოდა.

— ხომ არ დაგავწყდა, მე უფროსი სერჟანტი ვარ, შენ კი რიგითი ჯარისკაცი...

— კარგი, მორჩი! — შეუღრინა ირაკლიმ.

— დათო, გასაპარსი მოწყობილობა! — დაიძახა არჩილმა ისე, როგორც პარიკმახერები გასძახებენ დამლაგებელ ქალებს. — ალბათ იცი გაპარსვა, თუ მე გაგპარსო?

— ახლოს არ მომეკარო, თორემ ძვლებს დაგიმტვრევ. — დაექადა ირაკლი.

— ნუ ტრახახობ. — უთხრა არჩილმა. შემდეგ ცელულოიდის პატარა ჯამში საპონი ააქათა, ყბები გაუსაპნა და დიდი ხნის უპარსავი, გაბურძენული წვერი სამართებლით ჩამოუსუფთავა.

— ცხელი კომპრესი უფრო გეამება, თუ გრილი? — ჰკითხა არჩილმა და გადაიხარხარა. მერე თმა გადაუარცხნა.

— დათო, ბრიოლინი არა გაქვთ? — გასძახა მან.

— ბრიოლინი არა ის... — წაიბურტყუნა ირაკლიმ.

— არა, ბრიოლინიც უნდა წაგცხო თმებზე. აუცილებლად! ვითომ ჯიბო ხარ. — ხარხარებდა არჩილი. — დეიდა თამარ, მოზრძანდით და ნახეთ! იცნობთ თქვენს შვილს?

— არჩილ, გეყოფა! — თხოვა ირაკლიმ. იგი ახლა დარცხენილს ჰგავდა და უმწივოდ იხედებოდა იქით-აქეთ.

დღეა სევდიანი ღიმილით შესცქეროდა შვილს. ირაკლიმ თვალი მოაჩინა. გაპარსვის შემდეგ მისი გამხდარი და გაფერმკრთალებული სახე საოცრად თეთრად მოჩანდა. შეთხელებული თმები უკან ჰქონდა გადაწეული და ბრიოლინისაგან უბზინავდა. დიდრონი შუქიანი თვლები ჰქონდა, სახის დახვეწილი წახნაგოვანი ნაკეთები. ტუჩების ორივე მხარეს ნაოქები გასჩენოდა. გახამებული თეთრი ხალათი ეცვა და ტოტებგადაკეცილი მუქი ლურჯი შალის შარვალი.

არჩილმა სარკე მიუტანა და ჩაახედა.

— ნახე, ძმაო, რას დაგამსგავსე! დღეიდან შენ ჩემი შემოქმედება ხარ, ხელოვნების ნიმუში. დათო, ვაჩვენოთ ახლა ძღვენი?

— ვაჩვენოთ. — თქვა დათომ და გაიღიმა.

— მაშ შემოიტანე!

დათომ ქალაღში გახვეული და თოკით გაკრული ვეებერთელა საგანი შემოიტანა.

— აბა, თუ მიხვდები, რა იქნება! — ჰკითხა არჩილმა ირაკლის.

ირაკლი აღმაცერად გაჰყურებდა ძღვენს.

— დათო, გახსენი. — უთხრა არჩილმა.

დათომ გახსნა. ეგ იყო გარანდული ფიცრებისაგან გაკეთებული ოთხკუთხა ბრტყელი ურიკა კუთხეებში მოზრდილი ბურთულა-საკისრებით.

— ეგ კიდეე საბიჯგები. — აჩვენა არჩილმა მტკავლის სიგრძე, ძირზე რენინგამოკრული სახელურიანი ჯოხები.

ირაკლი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა ურიკას.

— მოდი, სინჯე, დაჯექი, — უთხრა არჩილმა და ირაკლი ურიკაზე დასვა. ურიკას წინ ღვედი ჰქონდა, რომელიც თეძოებზე მაგრდებოდა.

დედას თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე და რომ არავის შეემჩნია, ოთახიდან გავიდა.

— ჰა, როგორია? — ჰკითხა არჩილმა ირაკლის. — ახლა კი წავედით, თორემ დაგვაგვიანდებდა, უკვე ხუთი საათია.

— სად წავედით? — ჰკითხა ირაკლიმ.

— ცხადია, ფეხბურთზე. ჩვენი „ლინამო“ მოსკოვის „სპარტაკს“ ხვდება აი ბილეთი, შენთვის, ჩემთვის და დათოსთვის.

— გაგიყდი?

— არც ვაპირებ. რა, შინ გინდა აბა ამოიღო? წელიწადია ჩამოსულხარ და გარეთ ცხვირი არ გაგიყვია. არ გაინტერესებს მაინც, რა ხდება ქვეყნად, თბილისი რას დაემსგავსა? აღარც ფეხბურთი გაინტერესებს? რაღა ძველი ფეხბურთელი ხარ?! — შეუტია არჩილმა.

— არა, არჩილ, ვერ წამოვალ. ასე უცბად, მოულოდნელად...

— აბა, ბევრს ნუ ლაქლაქებ სწორდი! დათო, მოჰკიდე ხელი, ნებით თუ არ წამოვა, ძალით წავიყვანათ.

ძალით წაიყვანეს ირაკლი ფეხბურთზე. მიეღარუნობდა ურიკა ფილაქანზე. მარცხნივ არჩილი ედგა, მარჯვნივ დათო. ირაკლის ეგონა, თითქოს მთელი ქვეყანა მას შესცქეროდა. თავჩაქინდრული მიდიოდა. ხანდახან თუ აიღებდა თავს ზემოთ, რომ შეეხედნა ცისთვის, სახლებისათვის, ქუჩისათვის. ყველაფერს ხარბად აკვირდებოდა. რა ხანია, აღარ გაუვლია თბილისის ქუჩებში, რა ხანია, აღარ ყოფილა სტადიონზე, არ უნახავს ფეხბურთის თამაში...

არჩილი ერთ კვირას დარჩა თბილისში. ამ ერთმა კვირამ ისე მსუბუქად და ხალისიანად გაიარა, რომ ირაკლი ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა, რა შეიცვალა. ამ ხნის განმავლობაში იგი სამაგერ გავიდა ქალაქში, მეზობელი ქუჩები მიიარა, მოიარა არჩილთან ერთად, თავისი სკოლის შენობა მოინახულა, სადაც დაამთავრა საშუალო და სადაც ახლა დედა ასწავლიდა.

— რას აკეთებ დილიდან საღამომდე? — ჰკითხა არჩილმა. — რას საქმიანობ?

— არაფერს. — უპასუხა ირაკლიმ.

— როგორ თუ არაფერს? — გაუკვირდა არჩილს. — აბა როგორ ძღებ, რას აკეთებ?

— არაფერს არ ვაკეთებ, არჩილ, არაფერს.

— იცი რა, ასე არ შეიძლება. მე შენს ადგილზე რაიმე საქმეს გავიჩენდი. უსაქმობა გავაგვიეტებს, რაღაც ბრიყვულს ჩაგადენინებს.

ირაკლი გაჩუმდა.

— ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობს.

— რა გქნა, არჩილ, რისი ვაკეთება შემიძლია?

— რისი? ჯობს გავჩოკნი, დილა-საღამოს წვერს გავიპარსავ, წიგნს წავიკითხოვ... რაც არ უნდა აკეთო, უსაქმობას მაინც აჯობებს. და აწი მუშაობაზეც იფიქრე... ამოირჩიე რომელიმე შესაფერი პროფესია.

რაღაც მოხდა. რაღაც შეიცვალა. ირაკლის სიამოვნებდა, რომ სუფთად ეცვა, ყოველთვის გაპარსული იყო. დილ-დილობით ვარჯიში დაიწყო... მაგრამ...

„მაგრამ რისთვის ვაკეთებ ყოველივე ამას? რა მაქვს გადაწყვეტილი?“

არჩილმა რაღაც გააღვიძა ირაკლიში, გამოაცოცხლა, მაგრამ რისთვის?

„რისთვის ვაპირებ სიცოცხლეს? ვიცოცხლო, მხოლოდ ვიცოცხლო და არ ვიცოდე რისთვის? რაღაც მიზანი უნდა დავისახო, თორემ ისე, გინდა მიცოცხლო, გინდა არა... მით უმეტეს ასეთს — ნახევარ კაცს... მხოლოდ მაშინ ექნება

ხიცოცხლეს ფასი, თუ გავარკვევ ჩემს დანიშნულებას ცხოვრებაში... მხოლოდ მაშინ შევძლებ ვიცოცხლო მშვიდად, პირადი ღირსების გრძობით... და მერე ასევე მშვიდად და რწმენით მოვეკვდე, რომ ტყუილად არ ვიჯახიბე ამ ქვეყნად... რადგან ის, რაც აზრს მისცემს ჩემს არსებობას, აზრს მისცემს სიკვდილსაც“...

დათო ეზოდან გამოვიდა და ქუჩაში შედგა. გარშემო მიმოიხედა. როგორც ყველა მოზარდს, ქვეყანა მას უფრო ლამაზი და მომხიბლავი ეჩვენებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო, ხეები და სახლები უფრო მაღალი ეგონა, ცა უფრო ფართო, ხოლო ადამიანები უფრო კეთილი და ბედნიერი.

ირაკლი ფანჯარას გადაეყრდნო და დათოს შესცქეროდა. სადღაც შეშურდა მისი უღარდებლობა და მისი ასაკიც. მოზარდები ყველაზე ბედნიერები არიან — მათ სჯერათ!

დიდხანს გაჰყურებდა ქუჩას. მოპირდაპირე მხარეს, ფილაქანზე ნაწნავე-გაჩივნიებული თორმეტ-ცამეტი წლის გოგონა მოდიოდა. მას უკნიდან თავისივე ტოლი ბიჭი წამოეწია, წიგნების ჩანთაზე ფეხი ჩამოჰკრა და გააგდებინა. გოგონამ რაღაც თქვა გაჯავრებით. მერე ჩანთის ასაღებად დაიხარა, მაგრამ ბიჭმა ახლა ნაწნავეებში ჩაავლო ხელი და მოჰქაჩა, ჩანთას კი ფეხი დაარტყა, როგორც ბურთს და ფილაქანზე გაახოხიალა.

გოგონამ ტირილი დაიწყო. ნაწნავეებზე ხელი მოისვა და მომძვრალი თეთრი ბაფთა ხელახლა გაინასკვა. ბიჭი მოშორებით იდგა, ხელები ზურგზე შემოეწყყო და იკრიბებოდა, როცა გოგონა თავის ჩანთასთან მივიდა ასაღებად, ბიჭმა კვლავ დაარტყა ფეხი და დიდ მანძილზე გაახოხიალა.

ირაკლის შეებრალა გოგონა და მაკვიატ ბიჭს ისეთი ხმით შეუყვირა, რომ დაფეთებულს გოგოც გადავიწყდა, მისი ჩანთაც და თავქუდმოგლეჯილმა მოკურცხლა. ატირებულმა გოგონამ ცრემლებით საეხე თვალებით ამოხედა თავის მხსნელს. ბრაზისაგან ტუჩები გაფითრებოდა და უთრთოდა. ირაკლის უნებურად გაეღიმა მისი სახის დანახვაზე.

— რას გერჩოდა ის ბიჭი? — ჰკითხა ირაკლიმ.

— არ ვიცი. ყოველთვის ასე მაწვალებს. — უბასუხა გოგონამ და ცრემლები სასწრაფოდ შეიმშრალა ცხვირსახოცით.

— ვინ არის, იცი?

— კი — თამაზია.

— თამაზი?! — ირაკლის გაეცინა ასეთ ამომწურავ პასუხზე.

— ერთ კლასში ვსწავლობთ, ყოველთვის მაწვალებს. — თქვა გოგონამ.

— ამას იქით აღარ გავიბედოს, თორემ ყურებს ავაჭრი. ხომ გესმის, ასე უთხარი, ყურებს ავაჭრის-თქო. — ირაკლის გაეცინა.

გოგონა ფართოდ დაღებულნი, გაოცებული თვალებით შესცქეროდა ირაკლის. სახეზე კიდევ მოისვა ცხვირსახოცი. ახლა აღარ უთრთოდა ტუჩები ბრაზისაგან. ერთი-ორჯერ ნაწნავეები და შუბლზე ჩამოყრილი თმები შეისწორა, მერე მოსწავლის თეთრი წინსაფარი.

მას ისეთი გაოცებული, გულუბრყვილოდ დაღებულნი დიდრონი ლამაზი თვალები ჰქონდა და მეტიჩარა, ასკვინტილებული პატარა ცხვირი, რომ ირაკლის კვლავ გაეცინა. როგორღაც ძალიან გაამხიარულა ამ შემთხვევამ.

— რა გქვია, გოგონა?

— მე? მე ნათია.

— ჰო, ნათია, შენ კარგი გოგო ხარ. თამაზი კი გააფრთხილე, ამას იქით უბატონოდ ხმა არ გაგცეს, თორემ ყურებს ავაჭრი.

— კარგი, ვეტყვი... გმმ... მაღლობთ.

ნათიას ენა დაება. მერე სასწრაფოდ გატრიალდა და წავიდა. სანამ მოსახვევს გასცდებოდა, ერთი-ორჯერ მოუხედა ირაკლის და მერე თითქმის გაიქცა. ირაკლის ხმამალა გაეცინა. როგორღაც ძალიან გამხიარულდა.

— ირა!

— რა იყო, დათო?

— წაიკითხე. — დათომ ფურცელი გაუწოდა.

ირაკლიმ წაიკითხა.

— შენი ლექსია?

— ჩემია. — თქვა დათომ.

ირაკლიმ ძმას შეხედა. დათო ჩვეულებრივად იდგა, არც რცხვენოდა, არც ერიდებოდა. ირაკლის გაუკვირდა. „მე ვერასვხით ვერ ვაჩვენებდი ჩემს ლექსს ასე თავისუფლად თუნდაც ძმას... უფროსი ძმა რომ მყოლოდა“.

— ეგ შენი პირველი ლექსია? — ჰკითხა დათოს.

— არა, პირველი არ არის.

— მაშინ დანარჩენებიც მაჩვენე.

— დანარჩენები არ ვარგოდა და დავხიე.

— ეს კი ვარგა? — ირაკლიმ ღიმილი დამალა.

— ეს? — დათომ ირაკლის შეხედა და გაჩუმდა ცოტა ხნით. — იმიტომ წაგაკითხე, რომ შენ უნდა მითხრა, ვარგა თუ არა.

— დათო, რატომ დასწერე ეს ლექსი?

— როგორ თუ რატომ?

— რამ აგაღელვა, რომ დაწერე?

— მაგაზე რომ გიპასუხო, აუცილებლად საჭიროა?

— თუ გინდა ნუ მეტყვი. შე ისე მაინტერესებდა, მაგრამ შენ თუ არ გინდა, ნუ მეტყვი...

— რადგანაც გაინტერესებს, გეტყვი. — თქვა დათომ. — ამ ერთი თვის წინ მუსიკალურ სასწავლებელში ვიყავი...

— მუსიკალურ სასწავლებელში რა გინდოდა?

— მითხრეს, კარგი ხმა გაქვსო და სიმართლე მინდოდა გამეგო.

— შენ მართლა არა გაქვს ცუდი ხმა. — უთხრა ირაკლიმ.

— მაგრამ დიდი მომღერალი ვერასდროს დავდგები.

— რა იცი?

— ვიცი, როცა მამღერეს, მასწავლებელს კვითხე და მითხრა. ესე იგი არც ღირს, რომ მომღერალი გავხდე... — დათო მცირე ხანს ჩუმად იყო, მერე ოცნებაში წასულმა თქვა: — მე დიდი მინდა გავხდე. რა პროფესიაშიც არ უნდა იყოს ოღონდ დიდი გავხდე.

ირაკლის გაეღიმა. მერე გაიფიქრა: „დათოს ასაკში მეც ასე ვოცნებობდი... და ისეთი მიზნები მქონდა! მაგრამ დრო გადის და ოცნებებს თანდათან ეკვეცება ფრთები... თუმცა დათომ შეიძლება მართლა მიაღწიოს იმას, რაც სურს... თუ იგივე არ განმეორდა, რაც მე დამემართა...“

— მერე, დათო, იმაზე მიაშობდი, თუ რატომ დაწერე ეს ლექსი.

— ჰო, ვიმდერე და გამოვბრუნდი. როცა ოთახიდან გამოვედი, კართან რამდენიმე გოგო იდგა. ერთი გამომელაპარაკა: ეს თქვენ მღეროდითო? — დიახ-მეთქი, — ვუპასუხე. ძალიან კარგი ხმა გაქეთო. — გმადლობთ-მეთქი. მე-რე უეცრად მითხრა: რა კარგი საათი გაქეთო, ეს საათი უფრო ქალიშვილს შეეფერებაო.

— ესე იგი მაჩუქეო, უთქვამს. — გაეცინა ირაკლის.

— ჰო, მეც მივხვდი. — თქვა დათომ. — ამის გამო დავწერე ეს ლექსი. ამ დროს ოთახში დედა შემოვიდა.

— რალაც მოვიფიქრე. — თქვა მან.

• **ირაკლი არ დაინტერესდა, რა მოიფიქრა დედამ.**

— რალაც მოვიფიქრე, ირა, გაგახარებ და ბავშვობასაც გაგახსენებ. — გაიმეორა დედამ.

ირაკლი არც ახლა დაინტერესდა, მაგრამ დედისთვის რომ ესიამოვნებინა, ჰკითხა:

— რა მოიფიქრე ასეთი?

— საღამომდე მოითმინე და გაიგებ.

დედა გვიანობამდე ტრიალებდა სამზარეულოში. ნასადილევს კი ირაკლის წინ ნამცხვრები დაულაგა და უთხრა:

— ნახე, ნაპოლეონი და ქადა გამოგიცხვე. აბა გასინჯე.

ირაკლის გაელიმა. გაახსენდა. ყელგამოწეული რომ ეხვეწებოდა დედას ბავშვობაში, ნაპოლეონი გამომიცხვეო.

„ალბათ დედას ჰგონია, ახლაც მიყვარს ნამცხვრები, — ფიქრობდა იგი. — თუმცა მას თითქმის ბავშვი ვახსოვარ და ჰგონია ახლაც ისეთი ვარ“.

სრულიად არ უნდოდა არც ნაპოლეონი, არც ქადა, მაგრამ ორივე გასინჯა, დედას რომ არ წყენოდა.

— მოგეწონა? — ჰკითხა დედამ.

— ძალიან კარგია, გემრიელია. — უპასუხა ირაკლიმ.

— ხომ გითხარი, გასიამოვნებ და ბავშვობასაც გაგახსენებ-მეთქი. — დედას სახე უბრწყინავდა სიხარულით.

ირაკლიმ თავი დაუქნია და გაუღიმა. მერე ანაზღად გაიფიქრა, რომ დედა ძალიან უბედურია. უფრო უბედური, ვიდრე თვითონ იგი — ირაკლი. დედის დანაოკებულ, გაცრეცილ სახეს და მის გამხდარ, ძალიან მშრალ ხელებს შეხედა. „უფრო უბედურია, ვიდრე მე. ქმარი დაჰკარგა, დაქვრივდა, მერე შვილი განახევრებული, გატივლებული დაუბრუნდა... რა ნახა კარგი ცხოვრებაში? დედას უფრო მეტი მოვლა და გაფრთხილება სჭირდება, ვიდრე მე“.

— ძალიან მასიამოვნე, დედა. როგორ გაგახსენდა, რომ ნაპოლეონი და ქადა მიყვარდა? — უთხრა ირაკლიმ.

დედამ გაიცინა, სახე გაებადრა.

„ლორი ვარ, — ფიქრობდა ირაკლი, — რა ცოტათი შემიძლია ვასიამოვნო. დედას და ამასაც არ ვაკეთებ. პირიქით, უმიზეზოდ ვჭირვეულობ“...

იმ ხანად ჯიბო კონსერვატორიის სტუდენტი იყო. იგი იოლად გადაურჩა ომს. ცეცხლის ხაზზე რამდენიმე თვე გაატარა, მსუბუქად დაიჭრა და შექდეგ არმიის მომარაგების ხაზით მუშაობდა ზურგში.

— გუშინ ხათუნა ენახე. — უთხრა ჯიბომ ირაკლის. — საკურსო სპექტაკლი წარმოადგინეს და შემთხვევით დავესწარი.

ირაკლიმ მშვიდად შეხედა ჯიბოს.

— შესანიშნავად თამაშობდა. უქვეელი ტალანტი აქვს... და რა გარეგნობა! ჩემს ნაცნობებში ხათუნა ყველაზე ლამაზია.

ირაკლი მშვიდად შესცქეროდა ჯიბოს. ხმას არ იღებდა.

— ჩემი კურსელი ბიჭები მახლდნენ და ხათუნა ისე მოეწონათ, ჭკუა და-კარგეს. ღმერთივით გოგოა, ძმაო, რაც მართალია — მართალია...

ირაკლიმ იცოდა, რომ ჯიბოს ძალიან მოსწონდა ხათუნა და ფარულად შეეყვარებულეც იყო. შეეყვარებული იყო ისე, როგორც მას შეეძლო. ჯერ კიდევ ადრე, ომამდე, ჯიბომ უთხრა:

— აფსუს, ხათუნა პირველად მე რომ გამეცნო.. ბედი გაქვს!

— შენ გვონია, მთავარი ის არის, თუ ვინ გაიცნობს პირველად?

— იცი რა, ნუ ხარ ეგრე დაარხენიებული, თორემ ჯიბო ახლაც გაჩვენებს, რისი შემძლეა... არ დაგავიწყდეს, რომ ხათუნასავით გოგო არ მომწონს ქვეყანაზე. — თქვა ჯიბომ.

ირაკლიმ გაიცინა.

— ძმაცაცობა არც ისე ბევრით ავალდებულებს კაცს, ირა!

— ნუ ლაუბობ.

— იცოდე, თუ მოხდა და თქვენს შორის ოდესმე შეგმა კატამ გაიარა, მშინ აღარ გამოვიჩენ დოცლაპიობას...

— კარგი მორჩი, ნუ ჩხავი ყორანივით! — უხეშად შეაწყვეტინა ირაკლიმ. — არ მსიამოვნებს ასეთი ლაპარაკი.

... „შავი კატა! შავ კატას ჯერ არ გაუვლია, მაგრამ მალე გაივლის“, — გაიფიქრა ირაკლიმ.

— გავიგე ფეხბურთის დასწრებიხარ. ამის აღსანიშნავად მიიღე ჩემგან... ხომ იცი, კეთილი გულით მოძღვნილი... — ჯიბომ თამაშების კალენდრის პატარა წიგნაკი გაუწოდა ირაკლის და დამნაშავესავით გაიღიმა.

ირაკლის არ მოეწონა ჯიბოს ღიმილი. „რალაცას მიმალავს“, — გაიფიქრა. მაგრამ იცოდა, რომ ჯიბო საიდუმლოს დიდხანს ვერ შეინახავდა და წასვლამდე აუცილებლად წამოაყრანტალეზდა.

ირაკლი ფანჯარასთან იჯდა. ანაზღად ვილაცის დაქინებული მზერა იგრძნო და ქუჩისკენ მიიხედა. თვალი შეასწრო, რომ ერთმა პატარა გოგონამ თავი დაუქნია, მერე რალაცას ფეხი წამოსდო და კინაღამ წაიქცა, რადგან სულ მისკენ იყურებოდა. ირაკლის ღიმილი მოერია. გოგონა კი გაწითლდა, მთლიანად აირია და ფეხს მოუჩქარა. შემდეგ გაიქცა.

— აწი კინოშიც უნდა იარო. მერე რა კარგი ფილმი გადის — „ჯარისკაცის ბედი ამერიკაში“, — თქვა ჯიბომ. — თუ გინდა ერთად წავიდეთ, სიამოვნებით ვნახავდი მეორედაც.

— საზღვარგარეთული ფილმია? — ჰკითხა ირაკლიმ. „ვინ იყო ის პატარა გოგონა, რომ მომესალმა?!“

— საზღვარგარეთულია. ბრწყინვალეა! ხათუნასაც ძალიან მოეწონა. — ჯიბო მოზრდილისთვის შეუფერებლად გაწითლდა. — ერთად ვნახეთ მე და ხათუნამ გუშინ...

ირაკლიმ არაფერი თქვა.

— ისეთი კი არაფერი იფიქრო... — ჯიბოს ყურებიც გაუწითლდა და ენა დაება. — მე ჩემს მეგობრებს...

— მორჩი, ნუ ბლუქუნობ.— გაეცინა ირაკლის. „აა, ის არის, ბიჭმა რომ ჩანთა გაავადებინა და ნაწნავები მოაწიწენა... რა სასაცილო გოგონას!“

ხათუნამ ჩვეულებრივ ადრიანად მოინახულა ირაკლი. მას მწიფე შინდისფერი, ძვირფასი კაბა ეცვა. ხშირი, აბრეშუმევიით მბზინავი თმა საფეთქლებზე გადაეჭიმა. პატარა, ვარდისფერი ყურები ახლა მთლიანად მოუჩანდა. მან ირაკლის ქოჩორი აუჩეჩა, აკოცა და უთხრა:

— დღეს ძალიან ლამაზი ხარ.

— ლამაზი?! — გაეცინა ირაკლის.

— ესე იგი ვაჟკაცური...

ირაკლის კვლავ გაეცინა.

— ირა, შენ არ მოიწყინო, მე ლექცია მაქვს გადასაწერი, უცბად გადავწერ და მერე თავისუფალი ვიქნები, კარგი?

ირაკლიმ თავი დაუქნია.

ხათუნამ ტყავის ჩანთიდან რვეულები ამოალაგა. მაგიდას მიუჯდა და ავტოკალამი მოიმარჯვა. ერთხელ კიდევ მიხედა ირაკლის:

— ნახევარ საათში გადავწერ, არ მოიწყინო.

ირაკლი ლოგინზე იყო წამომჯდარი. პიეამას ზოლებიანი ხალათი ეცვა. ხალათი გახსნილი ჰქონდა წინ და შემოკვართულ თეთრ მაისურაში ამობურცული განიერი მკერდი მოუჩანდა. წვერი ამ დილით გაეპარსა. სახე თეთრად უპრიალეზდა, ხოლო უკან გადავარცხნილი ქოჩორი შავად უბზინავდა.

ხათუნას წერისას შუბლზე თმა ჩამოშლოდა. პირი ოდნავ გაეღო, ჩაფიქრებული სახე ჰქონდა. მძიმე, ძალიან გრძელ წამწამებს ზანტად აფახულეზდა.

ირაკლი შესცქეროდა ხათუნას მრგვალ, კოხტა მხრებს. თვალს ადევნებდა, როგორ უხტოდა წერისას შიშველი, სახე მკლავის კენთი. ისე მოუნდა მისი სიახლოვე, რომ ტკივილი იგრძნო... ისე მოუნდა მიახლოვებოდა, თვითონაც ხათუნასავით გადახრილიყო მაგიდაზე, მოეხვია ხელი მხრებზე და ნელა, სულ ნელა ეკოცნა ყვრიმალზე. მერე აღარ მოეცილებინა სახე და ეყნოსა მისი ტანის, მისი თმების სურნელება...

რა იქნება, სულ ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით მიუახლოვდეს, მხრებზე ხელი გადახვიოს. ხათუნამ ირაკლის დაჟინებული მხერა იგრძნო და მოიხედა.

— მოგეწყინა? — ჰკითხა ალერსიანად, ღიმილით.

ირაკლიმ არ უპასუხა.

— მოიწყინე? — ახლა ძალიან ხმადაბლა, ჩურჩულით ჰკითხა ხათუნამ და კვლავ გაუღიმა. მერე რვეულებს თავი ანება და მიუახლოვდა.

ირაკლი ათრთოლდა, სახეზე სისხლმა გადაურბინა. ხელებმა თავისით წაიწიეს ხათუნას შესახვედრად...

ხათუნამ ირაკლის გამოხედვაში უზომო ნდობა და უსაზღვრო სევდა შეიკნო. გვერდით მოუჯდა, ხელი მოხვია. ლოყა ირაკლის მხურვალე, ხვერდით სალუქ ლოყაზე მიადო.

— ჩემო სიცოცხლე... — ჩურჩულეზდა ირაკლი.

მისი ათრთოლებული თითები ხათუნას ტანზე სრიალებდნენ. ბედნიერებითა და ვნებით დამთვრალი იგი დაუსრულებლად იმეორებდა:

— ჩემო სიცოცხლე...



მერე გიყვივით დაუკოცნა თვალები, ყელი, ტუჩები, ყვრიმალეები, თმის ძირები კისერში, სრიალა გრილი მკლავები, ხელები...

ოდნავ რომ დამშვიდდა, იგრძნო, რომ ხათუნაც ეფერებოდა, კოცნიდა, ქოჩორს უჩეჩავდა. მისი ამობურცული, ძალიან წითელი, მხურვალე და ოდნავ ღია ბაგეები მორჩილად და ვნებიანად ნებდებოდნენ ირაკლის ტუჩებს. ტუჩებში კოცნისას ხათუნა თვალებს ხუჭავდა, ილურსებოდა და ირაკლი გრძნობდა, როგორ იყვრებოდა, ინაბებოდა მისი სხეული, ხოლო გრძელი წამწამები ღაწვებამდე აღწევდა. ნოტიო, მძიმე თმა ჩამოშლოდა და ირაკლის აბრუებდა თმის გრილი სურნელება...

საოცარია, ახლაც არ ესმის, როგორ ხდებოდა, რომ ხათუნა ყოველთვის მაშინ ეფერებოდა, როცა ეს ძალიან სურდა ირაკლის, და ყოველთვის იმამ ეუბნებოდა, რისი მოსმენაც უზომოდ სწადდა.

ხათუნამ ხელი გააშვებინა და წამოდგა. რვეულები აკრიფა, ჩანთაში ჩაალაგა.

— მიდიხარ? — ჰკითხა ირაკლიმ.

— ჰო, წავალ.

— თუ არ გაგვიანდება, დარჩი კიდევ ცოტა ხანს.

— მკერავთან უნდა გავიარო, შემდეგ ლექცია მაქვს.

ირაკლიმ თავი დახარა.

— ზვალ ადრიანად გამოვივლი. — თქვა ხათუნამ.

შემდეგ სარკესთან მივიდა. ირაკლი უყურებდა, როგორ გაისწორა ხათუნამ სარკის წინ კაბა და მერე დიდხანს ივარცხნიდა აწეწილ თმას.

რამდენიმე წუთის წინ ირაკლი ბედნიერად გრძნობდა თავს. რამდენიმე წუთის წინ ყველაფერი გადაავიწყდა ხათუნას გარდა და ბედნიერი იყო. სულ რამდენიმე წუთის წინ ის და ხათუნა ჩაჩვეულები ისხდნენ და მისმა სიახლოვემ ირაკლის გადაავიწყა ყველაფერი. იგი ბედნიერი იყო!

იყო...

ყოველდღიური ცხოვრების დინებამ ისინი უკვე მოაშორა ერთმანეთს და ახლა ხათუნა სარკესთან იდგა, თმას ისწორებდა.

ირაკლის კვლავ გაახსენდა ყველაფერი. იგი ახლა აღარ გრძნობდა თავს ბედნიერად. იგი ახლა თავს უბედურად გრძნობდა. ხათუნა ჩაფიქრებული შეჰყურებდა თავის ორიუღს სარკეში.

„ნეტავ რაზე ფიქრობს?! — გაუელვა ირაკლის. — ნეტავ რაზე ფიქრობს? დარწმუნებული ვარ, მისი ფიქრები სულ არა ჰგავს ჩემსას“...

ხათუნა სარკესთან ტრიალებდა, კოხტავდებოდა, წასვლას აპირებდა და კოხტავდებოდა, სხვებისთვის... ირაკლი გრძნობდა, რომ ამ წამში ხათუნა უცხო იყო მისთვის, სულ სხვა გამხდარიყო.

ხათუნა წავიდა. რაც დრო გადიოდა, ირაკლი თანდათან ბრაზდებოდა. გრძნობდა, როგორ ენთებოდა ნალველი გულზე.

დათო დაბრუნდა შინ. დედაც. ირაკლის რალაც წვავდა მკერდში, რალაც აწუხებდა. ყველა ტყვილი, ყველა წუხილი ახლა აეშალა. უნდოდა გაქცეოდა მათ, თავი სადღაც შეეფარებინა.

— დათო! — იყვირა მან.

არავინ უპასუხა.

— დათო! — იყვირა ახლა უფრო ხმამაღლა და ბრაზიანად.

— რა გინდა, ირა? — გამოსძახა დედამ.

— დათო გქვია შენ? დათო სად არის? დათო!

— ჰა! მოვდივარ, მოვდივარ, ირა. — მოისმა შორიდან.  
 ოთახში დათო შემოვიდა.  
 — სადა ხარ, რომ ვერ გაგაგონებს კაცი?!  
 — ეზოში ვიყავი. რა გინდა?  
 — ჭადრაკი მოიტანე, ვითამაშოთ.  
 — ჭადრაკი?! — დათოს მალე ვარჯიში დაეწყებოდა, წასასვლელი იყო.  
 უნდოდა ეთქვა, არა მცალიაო, მაგრამ არ თქვა, ჭადრაკის დაფა მოიტანა და დაჯდა.  
 ორი ხელი ითამაშეს.  
 თამაშში ირაკლი დამშვიდდა...  
 — მგონია, სადღაც გინდოდა წასვლა, წადი. — უთხრა დათოს.  
 — არა უშავს, ვითამაშოთ. — თქვა დათომ.  
 — წადი, წადი. უცბათ ცუდ გუნებაზე დავედქი...  
 დათომ დაკვირვებით შეხედა ირაკლის, მერე სახე მოარიდა. გული მოუკვდა, უზომოდ შეებრაღა ძმა. აღარ აპირებდა წასვლას, მაგრამ ირაკლიმ ძალით გააგდო.



დილით, სკოლაში წასვლის წინ, დედამ ირაკლის უთხრა:  
 — დათოს საქმე მაწუხებს, ბოლო დროს ძალიან ბევრს დარბის, სულ აღარ არის შინ.  
 — დათო ჭკვიანი ბიჭია. არაფერს წაახდენს. — დაამშვიდა დედა ირაკლიმ.  
 — უნდა მოველაპარაკო, სულ გაგარეულდა. ასე არ შეიძლება.  
 ბოლო დროს დათო მართლაც იშვიათად იყო შინ. მუდამ სადღაც გარბოდა. ირაკლის ეგონა, ალბათ, ხელი უშვა მეცადინეობასო და ერთხელ გამოჰკითხა, მაგრამ დათომ ჩინებულად იცოდა ყველა გაკვეთილი. ნიჭიერი იყო და გაკვეთილების მოსამზადებლად დიდი დრო არ სჭირდებოდა. უკანასკნელ ხანს უზომოდ დატვირთული, საქმიანი კაცის გამომეტყველებით დადიოდა. ყოველთვის „მაგვიანდება, მაგვიანდება“, იძახდა და სულ დარბოდა.  
 იმ დღეს დრუნჩგადმობრუნებული დაბრუნდა. ირაკლიმ შეამჩნია, როგორ იფარებდა დათო სახეზე ხელს, არავინ შემნიშნოსო და გაეცინა. — „უჩხუბნია და უცემიათ კიდეცო“, — გაიფიქრა.  
 — ვის მოარტყი დრუნჩში? — ჰკითხა ირაკლიმ.  
 — ჰა? — გაუკვირდა დათოს.  
 — ვის მოარტყი-მეთქი დრუნჩში?  
 — ჰოო... — დათო მიხვდა ხუმრობას. — კრივის სექციაში დავდივარ.  
 — კალათბურთს მიაწებე თავი?  
 — არა. მაგრამ კრივშიც მინდა გამოვცადო თავი.  
 დედა იქვე იდგა და ყველაფერს უსმენდა. დათოსთან მივიდა, დალილაგებულნი ნიკაბი და გადმობრუნებული ქვედა ტუჩი გაუსინჯა და მერე გრილი კომპრესი მიუტანა.  
 — იფ, როგორ გიხდება გადმოტრიალებული ტუჩები... მიდი, სარკეში ჩაიხედე. — დასცინა დედამ.  
 — არა უშავს, ორ დღეში გაივლის, — თქვა დათომ.  
 — ეგ კი გაგივლის ორ დღეში, მაგრამ შენს დაქვეიანებას როდისღა ვეღირებო?

— რა მოხდა, დედა?

— როგორ თუ რა მოხდა! ათას რაღაცას ეპოტინები: ეს კრივიო, ეს კალათბურთიო... ლექსებს წერ, ჭიმისის შემსწავლელთა წრეში დადიხარ, ავიამოდელის-ტთა წრეში... შენი გაკვეთილები კი...

— დედა, მე გაკვეთილებსაც კარგად ვამზადებ.

— ვიცი, მაგრამ უკეთესად შეგიძლია. მიკვირს ყველაფერი როგორ გიტაცებს! ათას საქმეს ეპოტინები, გული კი ვერაფრისათვის დაგიდვია...

— მე მხოლოდ გატაცებული არა ვარ... მე ვეძებ... — თქვა დათომ.

— ეძებ?! რას?

— ...ჩემს მოწოდებას...

— დრუნჩი რომ გაგხეტქეს, მაშინაც შენს მოწოდებას ეძებდი?

— დედა!.. კაცი უნდა ეძებდე... ყველაფერი უნდა გამოსცადო და ბოლოს ისეთი საქმე შეარჩიო, სადაც ყველაზე მეტად გამოვლინდება შენი ნიჭი, შენი პიროვნება...

დედა არ მოელოდა. გაოცებული შეპყურებდა თავის უმცროს ვაჟს, რომელსაც აღზნებისაგან თვალები უბრწყინავდა.

— შენ რისი გამოვლენა გსურს? — ჰკითხა ხმადაბლა.

— ჩემი თავის! — იყვირა დათომ. — როგორ არ გესმის, მინდა გავიგო, თუ რა საქმისათვის ვარ გაჩენილი...

სალამოს, როცა ირაკლი მაგიდასთან იჯდა და გაზეთებს ათვალიერებდა, მასთან დათო მივიდა, ხელში გაშლილი წიგნი ეჭირა.

— ირა, გცალია?

— რა გინდა, დათო?

— წაიკითხე აი ეს ადგილი.

ირაკლიმ წაიკითხა: „ცხოვრებაში მთავარია მიაგნო შენს საქმეს. მიგნება კი ხშირად შემთხვევაზეა დამოკიდებული“. ირაკლიმ წიგნი გადმოაბრუნა და ყდაზე დახედა: პ ა ს კ ა ლ ი. გაუკვირდა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— კითხულობ?

— დიდი ხანია წავიკითხე. ხომ ნახე, რას ამბობს. მთავარია შენს საქმეს მიაგნო, ხოლო მიგნება კი ხშირად შემთხვევაზეა დამოკიდებულიო. დედამ კი...

ირაკლიმ გაზეთი განზე გასწია და წიგნი გადაათვალიერა.

— თუ არ გჭირდება, იყოს ჩემთან, წავიკითხავ.

ირაკლიმ ტანი აიჭნია და ფანჯრის რაფაზე შეჯდა. მშვენიერი დღე იდგა. სასიამოვნო, გრილი ნიავე უბერავდა. აკაციები აყვავებდას იწყებდნენ და ჰაერში უკვე იგრძნობოდა მათრობელა, საამო სურნელება.

...უეცრად იმ გოგონას მოჰკრა თვალი, რომელიც ბიჭმა აატირა და მერე თვითონ გამოექომაგა. გოგონა ირაკლისაყენ იყურებოდა და, როგორც ჩანდა, სალმის მოცემას აპირებდა. „რა სასაცილო გოგოა,“ — გაიფიქრა ირაკლიმ.

— ირა, არ გესმის, ირა!

— რა იყო, ხათუნა? — ირაკლიმ მოიხედა.

— უკვე მეორედ გეძახი, ძლივს გაგაგონე. ოცნებობდი?

— ნეტავი შემძლოს ოცნება, — თქვა ირაკლიმ და ქუჩისკენ გაიხედა, მაგრამ გოგონა უკვე გასცილებოდა მის ფანჯარას. „მგონი მომესალმა. მე კი ვე-

ღარ მოვასწარი მისაღება. ალბათ ძალიან ეწყინა. პატარები დიდ ყურადღებას აქცევენ ასეთ რამეებს“.

— ირა, რა დაგემართა? დღეს სულ არ მისმენ!

ირაკლიმ მოიხედა.

— ისეთს ვის უყურებ ქუჩაში, რომ მე გელაპარაკები და არ გესმის?

— არავის. — ირაკლის გაელიმა. „ძალიან სასაცილო გოგონაა. რა ჰქვია? მგონი თათია... არა, ნათია, ნათია“. — გისმენ, ხათუნა, რას მეუბნებოდი?

— იცი, შეიძლება კინოში გადამიღონ... დღეს კინოსტუდიაში ვიყავი და ბარებული. — თქვა ხათუნამ და ფანჯარასთან დადგა.

— კინოში?!

— ჰო, მომავალი ფილმის რეჟისორს მოვეწონე და მიმიწვია...

ირაკლიმ არაფერი თქვა.

— ირა, შენ არ გიხარია?

— შენ თუ გიხარია, მაშინ მეც მიხარია...

— იცი, მგონი მთავარ როლში უნდათ მათამაშონ. ირა, წარმოგიდგენია დებიუტი კინოში და ისიც მთავარ როლში!

— წარმომიდგენია, ხათუნა.

— ოღონდ კი მართლა მათამაშონ! შენ როგორ ფიქრობ, მიიღებს ეკრანზე ჩემს სახეს?

— მე მგონი მიიღებს. აუცილებლად მიიღებს... — ირაკლიმ გაიცინა. დაინახა, რომ ნათია უკან მობრუნებულიყო და კვლავ მოდიოდა მისი ფანჯრისაკენ.

— ო, რა ბედნიერი ვიქნები, ირა!

ნათია ფანჯარას გაუსწორდა. ირაკლიმ გაუღიმა და მიესალმა. მაგრამ ნათია უცნაურად იქცეოდა. იგი თითქოს შეჩერდა და განცვიფრებული, თითქმის გაოგნებული სახით დიდხანს იყურებოდა ფანჯრისკენ.

— დმერთო ჩემო, ირა, დააკვირდი, როგორ მიყურებს ეს გოგო! — თქვა ხათუნამ. — ვინ არის?

— როგორ გითხრა... ნაცნობია. — ირაკლის გაეცინა. — ძალიან უცნაური და სასაცილო ნაცნობი.

ირაკლი ხათუნას ხელს დასცქეროდა. ხათუნა მის ზურგს უკან იჯდა და ხელი მხარზე დაედო. ირაკლი დასცქეროდა ამ თეთრ, საოცრად ნაზ და გამჭვირვალე პატარა ხელს. კანის ქვეშ წვრილი, ცისფერი ძარღვები მოჩანდა. თითები გაეშხვართა ხათუნას—მოგრძო, სწორი და ბოლოებში დაწვრილებული თითები. ირაკლი გრძნობდა ხათუნას სხეულის სურნელებას. იგი გრძნობდა ხათუნას სუნთქვას და მისი სიახლოვით საოცრად მშვიდდებოდა...

ასე გაატარებდა თავისი სიცოცხლის დიდ ნაწილს და ბედნიერი იქნებოდა. ბედნიერი იქნებოდა, რომ ხათუნა მუდამ გვერდით უჯდეს ისე, როგორც ახლა უზის, მხარზე ხედავდეს მის პატარა, გამჭვირვალე ხელს და იყნოსავდეს მისი ტანის დამამშვიდებელ, უზომოდ ტკბილ და მაცოცხლებელ სურნელებას...

— ირა, თუ გიფიქრია, რომ დიდი ხანია ჩვენ აღარსად ვყოფილვართ ერთად?

ირაკლის ესმის სიტყვები, მაგრამ აზრი ვერ აღწევს მის გონებადღე. ხათუნას ლაპარაკი ჩაესმის როგორც მუსიკა. იგი უზომოდ ბედნიერია და ეშინია განძრევის, რომ ხათუნამ არ იფიქროს ადგომა, ან არ მოაცილოს თავისი პატარა და ვარდისფერი ხელი მხრიდან. ირაკლის არ სჯერა, რომ თვითონ განიცდის ამ ბედნიერებას. რატომღაც ჰგონია, რომ ეს მოჩვენებაა და მალე გაქრება. მაგრამ



იგი მოჩვენებებშია ც საშინელ სურათებს ხედავდა... კარგია სიცოცხლე... ასე სიცოცხლე... ასეთი ბედნიერების რამდენიმე წუთი გამოისყიდის ყველა ტანჯვას...

— მინდა, სადმე ერთად წავიდეთ, როგორც ძველად... რამდენი ხანია აღარ-სად ვყოფილვართ...

ირაკლი უსმენს და გატრუნულია. წათქვამის აზრს ჯერ კიდევ არ მიუღწე-ვია მის გონებაში.

— სადაც უნდა ვიყო, როგორც უნდა ვმხიარულობდე, ვიცი, რომ შენ აქ მართო ხარ და ყველაფერი მამწარდება... ისე მინდა ყველგან ერთად ვიყოთ, ერთად ვმხიარულობდეთ... როცა მე ვიცი, მინდა შენც იცინოდე...

ირაკლი ხათუნას ხელს თავისას უსვამს. ხათუნას ბაგეები სულ ახლოა მის ყურებთან და მისი სუნთქვა ოდნავ უღიტინებს... თურმე როგორი ყოფილა ბედნიერება...

— ისე მინდა, ირა, თეატრში, კინოში, გასართობებზე სხვები და სხვები კი არ მახლდნენ, არამედ ჩვენ ვიყოთ ერთად, მე და შენ. ისე მინდა, ირა...

რა სულელი იქნებოდა, რომ თავი მოეკლა. მაშინ ხომ ვერასოდეს გამოც-დიდა ამ ბედნიერებას, ვერ გაიგონებდა ამ სიტყვებს... ოღონდაც უცბათ არ შეწყდეს, ცოტა ხანს კიდევ გაგრძელდეს...

— მახსოვს, უკანასკნელად რუსთაველის თეატრში ვიყავით ერთად. და ისე მინდა, ირა, წავიდეთ ისევ რუსთაველის თეატრში. მე უკვე ვიყიდე ორი ბილეთი იმ კვირისათვის...

ირაკლი ახლა მიხვდა, რას ეუბნებოდა ხათუნა და დაეთანხმა.

— აუცილებლად წავიდეთ რუსთაველის თეატრში. მარჯანიშვილის თე-ატრშიც წავიდეთ და არც ერთი ახალი ფილმი არ დავტოვოთ უნახავი. შენ ხომ ძალიან გიყვარს კინო?

ირაკლი ყველგან გაჰყვება ხათუნას, თეატრშიც და კინოშიც, სამხატვრო გამოფენებზეც და სიმფონიური მუსიკის კონცერტებზეც, ოღონდ ეს ბედნიე-რება კიდევ გაგრძელდეს...

— ისე მიხარია... შეიდი წელია ერთად არსად ვყოფილვართ. მხოლოდ აქ შენს ოთახში თუ ვხვდებით ერთმანეთს. კვირას ერთად წავალთ თეატრში...

— ცხადია, წავალთ, ხათუნა, ყველგან წავალთ, სადაც შენ გაგეხარდება.

— მე ნაფტალინისფერ კაბას ჩავიცვამ, ისრებივით გაგრძელებული ვერც-ხლისფერი წინწკლებით. შენ არ გინახავს ის კაბა, ყველას ძალიან მოსწონს. — ხათუნა წამოდგა. — შენს ნაჩუქარ ყელსაბამს და სამაჯურს გავიკეთებ...

ირაკლიმ საოცარი სიციარიელე იგრძნო იქ, საიდანაც ხათუნამ ხელი აიღო. ბედნიერების ბურუსი თანდათან გაიფანტა. იგი გონს მოვიდა.

— არსადაც არ წამოვალ. — თქვა მან.

— ჰა?

— არსადაც არ წამოვალ. — ახლა უფრო რბილად თქვა ირაკლიმ.

— რატომ? ახლა არ დამპირდი?

— როგორ შეიძლება... როგორ წამოვალ... ეგრე როგორ გამოგყვები...

— მე ყველაფერი მოვიფიქრე, ირა. ყველაფერს ისე კარგად მოვაწყობ! ყველაზე ადრე შევალთ თეატრში და ყველაზე გვიან გამოვალთ. საგანგებოდ ავიღე ბენუარის ბილეთები, პირველ რიგში. ვიჯდებით ჩვენთვის და ვიქნებით. ყველაფერს ისე კარგად მოვაწყობ...

— ვერა, ხათუნა, ვერ გამოგყვები, არ შემოძლიან...

— ძალიან გთხოვ, ისე მინდა, კვლავ ერთად ვიაროთ ყველგან...



ირაკლიმ იცოდა, რომ ხათუნას უამრავი ნაცნობი ჰყავდა, უამრავი მეგობარი. ისინი ირაკლისაც იცნობდნენ და უთუოდ მიაკითხავდნენ ბენუარში... მან იცოდა, რომ არც თავი ჰქონდა და არც მოთმინება ეყოფოდა შეხვედროდა ამ ძველ, გადავიწყებულ ნაცნობებს.

შემდეგ ირაკლი ფიქრობდა იმაზე, თუ რატომ სურდა ხათუნას, რომ ერთად წასულიყვნენ თეატრში. „შეიძლება ხათუნას კვლავ ვუყვარვარ, შეიძლება იგი გულწრფელია... ვინ იცის! ხეიბარ მამაკაცს მხოლოდ იმ ქალის თვალში შეიძლება ჰქონდეს ფასი, რომელსაც იგი დასახიჩრებამდე უყვარდა“.

იმ ღამეს სიზმარი ნახა ირაკლიმ. წყალი სწყუროდა, წყურვილით იღრჩობოდა. მერე მაგიდაზე ჭიქა გაჩნდა. ჭიქა წყლით იყო სავსე. სტაცა ხელი და მოიყუდა. ვერ დალია. ჭიქა სავსე იყო წყლით, თვითონაც ისე სწყუროდა, ღამის დაეხრჩო წყურვილს, ჭიქაც პირზე ჰქონდა მოყუდებული, მაგრამ მაინც ვერ დალია.

საოცრად იტანჯებოდა, წყურვილი აღრჩობდა, მაგრამ ვერ სვამდა... ნეტავ ეს წყლით სავსე ჭიქა მაინც არ ჰქონდეს მოყუდებული...

ბოლო ხანს ირაკლი ბევრს ფიქრობდა, რომ აუცილებლად საჭირო იყო მუშაობის დაწყება. უსაქმობა აუტანელი შეიქნა. ასე ცხოვრება აღარ შეეძლო. ატყობდა, რომ სულ უფრო და უფრო უძნელდებოდა შინ დარჩენა, რადგანაც გასაკეთებელი არაფერი ჰქონდა... თანაც, როცა გარეთ გავიდოდა, როცა ხალხში იყო, საკუთარ უბედურებაზე ფიქრის დრო და საშუალება არ ეძლეოდა და თავს უკეთესად გრძნობდა.

თავისი პირობების შესაფერი რაიმე პროფესია უნდა შეერჩია. მეგობრები, ნათესავები დატრიალდნენ, მიიკითხ-მოიკითხეს. მესაათეობა, ხარაზობა, თერძობა... აი ასეთი სამუშაოები შესთავაზეს. ერთხელ ირაკლი გარეთ გავიდა და ნახა, რომ მასავით ინვალიდს ავტოკალმების შემკეთებელი სახელოსნო გაემართა პატარა ჯიხურში, ხოლო ერთი ვერის ბაზრის შესასვლელში იჯდა და ქაღალდის პარკებს ჰყიდდა...

შეიძლებოდა ბუღალტერიის შესწავლაც. ირაკლი ამ უკანასკნელზე შეჩერდა. საქმე გაუჩნდა — მეცადინეობა დაიწყო. ცხადია, ეს არ იყო ირაკლის საყვარელი საქმე. მას არასოდეს უფიქრია, რომ ბუღალტერი გახდებოდა... მაგრამ მას სხვა ბევრ რამეზეც არ უფიქრია და დაემართა. მას არც იმაზე უფიქრია, ხეიბარი გავხდებო, მაგრამ გახდა...

მის პირობებში შეუძლებელი იყო საყვარელ პროფესიაზე ლაპარაკი. უნდა ეკეთებინა ის, რის გაცემებასაც შესძლებდა. მორჩა და გათავდა. ამოარჩიე, თუ ამოსარჩივია, მაგრამ დროს ტყუილად ნუ დაკარგავ, როცა სხვა გამოსავალი არ არსებობს. ბუღალტრობა კი მართლაც საქმე იყო. ირაკლი იცნობდა მრავალ ბუღალტერს. მათ მეტად საჭირო და სასარგებლო ხალხის გამომეტყველება ჰქონდათ. ისინიც, უთუოდ, აკეთებდნენ თავის საქმეს; საჭირო, სასარგებლო საქმეს.

არჩილმა თქვა:

— უბუღალტერიოდ წარმოუდგენელია მეოცე საუკუნეში ცხოვრება.

ირაკლის გაახსენდა ფრაზა თავისი საყვარელი მწერლის წიგნიდან: „მეოცე საუკუნე ბუღალტრების საუკუნეა“. არ ეთანხმებოდა თავის საყვარელ მწე-



რალს, ყოველთვის ეცინებოდა. „მეოცე საუკუნე ბულალტრების საუკუნეაო“... ჰმ...

საქმე!

ირაკლისათვის აუცილებელია საქმე, როგორც უნდა იყოს იგი. საესებით მართალი უთხრა არჩილმა, უსაქმურობა და თავისუფალი დრო გაგიყებს და გტანჯავსო... მართლაც, გამუდმებით ფიქრობდა ათასგვარ საშინელებაზე... ახლა კი ამისათვის დრო აღარ ექნება.

და თუ ბულალტრობა აირჩია და არა, ვთქვათ, მესაათეობა, იმიტომ, რომ უნდოდა ხალხში ყოფილიყო, კოლექტივში და არა მარტო — სადმე პატარა ჯიხურში შეკეტილი...

ირაკლი თავის თავს გაურბოდა, მარტოობის ეშინოდა. იყოს კოლექტივში, ხალხში და თუ გინდა ეს კოლექტივი ბულალტრებისა და ეკონომისტებისაგან შედგებოდეს...

ხათუნა ამტკიცებდა, რომ ბულალტერია ჩარხია, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს... მოძრაობაში მოჰყავს...

— რა მოჰყავს მოძრაობაში? — ჰკითხა ირაკლიმ.

— რა მოჰყავს, არ ვიცი, მაგრამ ბულალტერია მაინც ჩარხია... — თქვა ხათუნამ და გაიცინა.

ჯიბომ კაკლის ხის შესანიშნავი საანგარიშო მოიტანა და დიდის ამბით უსახსოვრა ირაკლის... არჩილმა კი ყვითელი ტყავის ვეებერთელა პორთფელი აჩუქა, რომელშიც თავისუფლად ჩაეტეოდა კურორტზე გასამგზავრებლად საჭირო ბარგიბარხანა.

ირაკლის სიცილი აუტყდა.

— რა გაცინებს? — უთხრა არჩილმა. — ჩემ მეზობელ ბულალტერს სწორედ ასეთი პორთფელი აქვს... თუმცა სამსახურის შემდეგ მას ბაზარში უყყვარს შეველა და ოჯახისათვის საჭირო მთელ ხორაგს პორთფელით ეზიდება.

ისე გამოდიოდა, თითქოს ყველა აღფრთოვანებული იყო ირაკლის ახალი პროფესიით... ყველა, გარდა ირაკლისა. თავად მას მწარედ ეღიმებოდა და არაფერს ამბობდა.

ან რა უნდა ეთქვა?

არსებობდა უკეთესი გამოსავალი?


მაგიდა საბულალტრო წიგნებით გაივსო.

(გაგრძელება იქნება)





# ოცნეკს



ქვეყანას ეძინა, ისვენებდა. მაგიდაზე ლამაზ იდგა, ლამაზში ნელა იწვოდა ხაგთი და მესმოდა როგორ შიშინებდა იგი.

გარეთ უინტლავდა. რალა დროს წვიმა იყო, მაგრამ იმ წელიწადს ზამთარ-მა ძალზე დაიგვიანა. წვიმა მოდიოდა ნელა, მშვიდი ხმაურით, წვეთები ეცემოდნენ ხეთა ფოთლებს და მათი ხმა ისე ისმოდა, თითქოს შარაზე ნახირი მიდისო.

ახლადგაღვიძებული ვიყავ. შუალამისას წყურვილმა გამაღვიძა. წყურვილი მოვიკალ და არ იქნა აღარ ჩამეძინა.

ვიწეკ და ვუსმენდი წვიმის შრიალს. მოპირდაპირე საწოლზე ლიას ეძინა. გულამა იწეა. თავი ბალიშიდან ჩამოვარდნოდა და დრო და დრო ხვრინავდა. საბნიდან გამოყოფილი ხელი აკვნისკენ გაეწოდებინა. ალბათ ბავშვს ლამით ძილი გაუტოლოქდა და დაძინებამდე არწევდა აკვანს. დაძინებისას ბუნდად მესმოდა მისი სიმღერა: დედის ტკბილი ძუძუ შხამად შეერგოს, ვისაც მამულისთვის სიკვდილი დაეზაროსო. მე ეს სიტყვები სიმღერად არასოდეს მსმენია, სიმღერა ძალიან მეამა და ვიფიქრე, ყველა დედა ასე უნდა მღეროდეს-მეთქი.

ბოლოს მას ალბათ ძილი მოერია და ხელი ასე დარჩა გაწვდილი.

აკვანი შეტოკდა. ბავშვი რატომღაც შეიშმუშნა, ღრმად ამოისუნთქა და ისე განავრძო ძილი. მე გადავხედე მას, პირსაფრის ქვეშ ფეთრი და მსუქანი ყვრიმალი მოუჩანდა.

„რათ შეიშმუშნა? — გავიფიქრე და დავაცქერდი. სადაც იყო აკვნის რიკულებს მიაბჯენდა ფეხებს, — გვიან იზრდება ადამიანი, ამბობენ, დღე-ღამეში

ერთი ხორბლისტოლა ემატებაო. ალბათ ამაღამაც მოემატება ერთი პურის მარცვლისტოლა. რამდენი დღე და ღამე უნდა გავიდეს კიდევ?!“

აკვანს თვალი მოვაცილე და დავხუტე. ვცადე დაძინება, მაგრამ ფიქრებმა ძილს არ დაძანებეს. გავახილე თვალი და მივაჩერდი ფანჯარას. შავი შუშა ირეკლავდა ღამას, ირეკლავდა მთელ ოთახს თავისი საგნებიანად. ვარეთ ისევ შრიალებდა წვიმა, შრიალებდა თანაბრად, დინჯად და ძაან წაავავდა შარაზე მიმავალი ნახირის ფეხის ხმას. ეს ხმა მახლობელი იყო ჩემთვის, ვუსმენდი სიამოვნებით. მხოლოდ და მხოლოდ ეს ხმა არსებობდა მთვლემარე ქვეყანაზე, დანარჩენი ყოველივე დუმდა. არც ყეფა ისმოდა და არც ყვივლი.

ლიამ გვერდი იბრუნა, ხელი საბანში შეყო, გრძლად ამოისუნთქა და განაგრძო ძილი. ამქამად იგი აღარ ხვრინავდა.

ბავშვი ისევ შეიშმუშნა. აკვანმა საგოგავებზე გადაიწია, დაირწა, შეირხა კამარაზე დაკიდებული ღინჭილა. გადავხედე აკვანს, ზაზამ ტუჩები რამდენჯერმე გააცმატუნა, თითქოს ძუძუს სწოვსო, ეტყობოდა შიოდა, მაგრამ ძილმა წაართვა თავი.

მე ვიბრუნე გვერდი და გავყე ფიქრს.

კიდევ რამდენი წელი უნდა გავიდეს მის დავაქაცებამდე?! ვთქვათ თხუთმეტი წელი. თხუთმეტი წლის შემდეგ მე ორმოცის ვიქნები, ორმოცი წელი არაფერიც არ არის, ორმოცი წლის კაცს შეიძლება ჰქონდეს არა ჰქონდეს, მაშინ ზაზა მერვე თუ მეცხრე კლასში იქნება.

და ფიქრი ოცნებად გადაიქცა. თვალწინ უცებ გაირბინეს წლებმა. ვარ ორმოცი წლის კაცი, ქუჩაში მივდივართ ერთად და ჩვენი შემხედვარენი ამბობენ, ძმებს გვანანო, ზაზა ჩემზე მაღალია, არის ძალზე ეშხიანი და სიხარბით უყურებენ. კიდევ ხუთი წელი ვარბის და აქა-იქ მებარება ჰქონდა, გული მაინც ძველებური გზნებით მიცემს. ზაზას ამოსდის შავი უღვაშები და აქვს ხუტუტი თმა, იგი სტუდენტია, ჩვენ დიდი ქალაქის ქუჩაში მივდივართ. მოდიან ვიღაც ძალზე ლამაზი ქალიშვილები, აცვიათ თეთრი შუბები და მხრებზე ასდით პირველი თოვლის სუნი. ისინი ესალმებიან ზაზას და ერთმანეთს ეჩურჩულებიან.

— ის ზაზას მამაა.

მერე უკან იხედებიან და კვლავ ჩურჩულებენ.

— როგორი ახალგაზრდა მამა ჰყოლია, ხედავთ?!

— მე რას მახარბებთ, — ამბობს ერთი, — აი მზიას უხაროდეს.

მზია წითლდება, მე ვგრძნობ, რომ აღმური ასდის და კრინტს არ ძრავს.

ზაზას არაფერს ვეუბნები, ვითომც ვერაფერი გავიგე. იგი ჩუმ-ჩუმად იღიმება და მაცქერდება, უხარია, რომ მამამისი მართლა ახალგაზრდაა.

უცებ ქრება ქალაქი თავისი ხმაურით. ზაზა არასოდეს ყოფილა სტუდენტი. ისწავლა შოფრობა და დიდი ათთვლიანი მანქანით ეზიდება მორებს. იგი ყველაზე კარგი შოფერია. არა ჰგავს წარამარა შოფერებს. მანქანას აჩერებს ჩვენ სახლთან, შემორბის და სახლში სტოვებს ქალაქში გახვეულ ნივთს, რომელიც მას გზად უყილია ოჯახისათვის.

თვლიდან მანქანაც ქრება. ვზივარ სავარძელში და ვკითხულობ ვიღაც უცხოელის წიგნს მოგზაურობაზე. ვარ ჰქონდა და მიკეთია სათვალე. ოთახში შემოდის ზაზას ცოლი, რომელსაც ჰქვია მზია. აცვია გრძელი ლამაზი ხალათი და აქვს ჰკვიანი თვალები. იღიმება სათნოდ და რაღაცას მეკითხება.

უნებურად შევკრთი, გული მეტკინა, გადმოვბრუნდი და გადავხედე აკვანს, მომესურვა დამეხედა შვილისათვის. ოცნებისგან უცებ დავიცალე და ავივსე შიშით, იმაზე შიშით, რომ ვიღაც უცხო შვილის სიყვარულში შემეცილებოდა.




დ. ერისთავი—საბავშვო ბაღი.





ՀԱՅԿԵՐԱՆ  
ՊՈՒՇԻՆԻ  
ՀԱՅԿԵՐԱՆ  
ՊՈՒՇԻՆԻ



გ. ქუთათელაძე—პეიზაჟი

ზ. წერეთელი—კიათურა





დ. ცუცქერიძე — „ალუდა ქეთელაური“-ს ილუსტრაცია.



მაგრამ რათ უნდა იყოს ასე, სიყვარული ხომ უზომოა, უკიდევანოა სიყვარული, ყველას და ყველაფერს სწვდება. სიყვარული მთელ ქვეყანას დაიტეცს. მე შეილზე მეტად მეყვარება რძალი, ვუყიდი ძვირფას თეთრ შუბას და არასოდეს არაფერს ვაწყენინებ, მასაც ვეყვარები, ვეყვარები საკუთარ მამაზე უფრო.

და ისევ პაერით შემოიჭრა ოცნება. მე უკვე მყავს ასეთი რძალი, მოვემგზავრები მოსკოვიდან და მომაქვს მისთვის თეთრი შუბა, შეილიშვილისათვის კი ტრელი ბეწვიანი პალტო. ზაზა იღიმება და მეუბნება: მე რაღა მომიტანეო, ვითომდა წყენით მეუბნება, მაგრამ მან კარგად იცის, რომ ყოველივე მას მოვეუტანე, მხოლოდ მას.

აივანზე რაღაც ვარახუნდა. მაგიდიდან იატაკზე გადახტა კატა და დააცხიკვა. მან გააფრთო სიჩუმე და ტკბილი, ძალზე ტკბილი ოცნება. სიჩუმე დაბრუნდა კვლავ, ოღონდ აღარ დაბრუნდა ოცნება, გაქრა სავარძელი და თეთრი შუბა. ვიყავ ჩემს ოთახში და მაგიდაზე ბეუტავდა ლამპა. გარეთ აღარ წვიმდა, აღარ ხმაურობდნენ წვეთები ფოთლებზე და შარაზე აღარ მიდიოდა ნახირი. მხოლოდ კანტი-კუნტად ისმოდა ფოთლებიდან ჩამოწურული წვეთების ხმა. წამოვიწიე და ბიჰს ფრთხილად ავხადე პირსაბურთი. ის იწვა მშვიდად. მაგრად მოეკუმა პაწია ტუჩები და სუნთქვისას ნელა უტკავდა ცხვირის ნესტოები. უკმაყოფილება ვიგრძენ, ის კვლავ იმოდენა იყო, რამოდენაც იყო გუშინ, გუშინწინ, რატომღაც მეგონა, რომ ის უფრო დიდი იქნებოდა.

ფრთხილად წავაფარე პირზე და დაეწეკი.

— გვიან ვიზრდებით ადამიანები, ძროხა რათ იზრდება მალე, თუმცა ადამიანი დიდხანს ცოცხლობს, მაგრამ სიცოცხლე მაინც ხანმოკლე გვეჩვენება.

მე ძალიან ვამჟღავნებ შეილის სიყვარულს, მეზობლები გრძნობენ და ალბათ ჩემი ახალგაზრდობით ამართლებენ ამას.

მეზობლებიდან უშვილო ნუცა გამახსენდა, უცნაურად დამაშტერდება ხოლმე და მკითხავს:

- შეილი ძალიან გიყვარს?
- ძალიან.
- ჰოდა, ასე უყვარდი მამაშენს.

მე მწყინს, ამას რომ მეუბნება, ამით ვითომ და რაო, რა უნდა თქვას. ოთხის თუ ხუთი წლის ვიყავი, როცა მამაჩემი ომში წავიდა. მახსოვს მეზობლის დალაქმა ერთხელ ნიკაპი გაუჭრა, მე თვალნამიანი ვუყურებდი მამაჩემის სისხლიან ნიკაპს. დალაქმა ცეცხლზე ნავთი გადამისხა, მითხრა — მამაშენი დაგჭერი, რატომ არ ტირიხარო. მამა კი დალაქის დიდ სარკეში იყურებოდა და უხმოდ იღიმებოდა. მისი მოლიმარე სახე და სისხლიანი ნიკაპი სამუდამოდ დამეხატა გულზე, ასე შემორჩა ის ჩემს მეხსიერებას. დალაქი ერთხანს მძულდა, მერე კი ყველაზე მეტად ის მიყვარდა.

საწოლიდან ფრთხილად წამოვდექი და აივანზე გავედი. იატაკმა ნელა გაიჭრიალა ჩემ ფეხქვეშ.

ვიდექი აივანზე და გავყურებდი მძინარე ქვეყანას. ასფალტიანი თემშარა გადარეცხილიყო და შავი ფერი ედო. ალაგ-ალაგ თეთრად გამოკრთოდნენ გუბურები. მიწა რუხი ფერის იყო, გაქლენთილიყო წვიმით და ასდიოდა ნესტის გრილი სუნი. ასეთი სუნი აპრილის წვიმაში ასდის ხოლმე მიწას, ზამთრის პირზე კი არასოდეს. და ეს წუთი ყველაფრით მაგონებდა აპრილს.

ცა მოწმენდილიყო და ედო ლურჯი ფერი, მთები მკაფიოდ არა ჩანდნენ, რადგან მათაც ლურჯი ფერი ედოთ, ამიტომ მწვერვალებზე გადაყოლებული



თოვლი ისე ჩანდა, თითქოს ცა მთელ ჰორიზონტზე თეთრი ბრტყელი ზოლით გადაუხაზავთო.

ეძინა სოფელს და ეძინა ქვეყანას. მე უცებ შიში ვიგრძენი ამ უხმაურო ქვეყნის წინაშე, ავმა წინათგრძნობამ გამიარა, უცებ წარმოვიდგინე, რომ სოფელს ეძინა სამუდამო ძილით და აღარასოდეს დაბრუნდებოდა დღე თავისი ხმაურით. ტანში გამზრზნა. დავაყურე მძინარე სოფელს და თვალით თუ გულით სიჩუმეში უცებ ვიგრძენ სიცოცხლის ხმაური. მხოლოდ ეძინა სოფელს, ისვენებდა სოფელი, ეძინათ აკვნის ჩვილებს და ყოველ მათგანს ამ ღამით ერთი პურის მარცვლისტოლა მოემატებოდა.

ვიდექი და მინდოდა ჩემი ბატარა აივნიდან ვადამეძახა შორს, ძალიან შორს: ნუ გაუფრთხობთ ძილს მძინარეთ, ნუ დაუშლით ოცნებას, ნუ ასტეხთ განგაშს და ნუ შეაშფოთებთ!



ოპერის წინ იდგა სამიოდე მგზავრი და უცდიდა ტროლეიბუსს. პროსპექტზე კანტი-კუნტად ჩაიჭროლებდნენ ხოლმე მანქანები და ფანტავდნენ მტერისა და დამწვარი ბენზინის მკვეთრ სუნს.

არა ვარ ქალაქის მკვიდრი. მოვედი შორეულ სოფლიდან და გავქალაქელდი. თუმცა იქიდან რალაც წამომყვა და მას ვერც ერთი ქალაქელი ვეღარ წამტაცებს.

საღამო კარგი იყო. ვიდექი გაჩერებასთან და ვუყურებდი დაცარიელებულ პროსპექტს, რომელზედაც სწრაფი მოკლე ნაბიჯებით გადარბოდნენ ადამიანები.

ტროტუარზე ვიღაც ქალიშვილმა ჩაიარა, იქნებოდა თხუთმეტი წლისა, ეკეთა ბანტი, ბუკლეს ხორკლიანი პალტო ეცვა და ხელში გასაღებს ათამაშებდა. ქალიშვილს თვალი გავადევნე. თავი გვერდზე ოდნავ გადაეწია და ხელში გასაღების თამაშით მიდიოდა ნელა და არხეინად, როგორც ამ ქალაქის ერთადერთი მფლობელი.

თეატრიდან ქალ-ვაჟი გამოვიდა. კიბე სწრაფად ჩამოირბინეს და ჩემს მოშორებით გაჩერდნენ. თეატრიდან მილიციელიც გამოვიდა, პირიდან გამო-  
ორთქლა და ჯიბეებში ხელუბრალოებილი სადარბაზო კარებთან აიტუხა.

ჩამოდა მეექვსე ნომერი ტროლეიბუსი, შთანთქა მგზავრები და რაღაცანი-  
რი კმაყოფილებით დაიძრა. გაჩერებასთან ვიღაც პატარა ტანის ქალიღა დარჩა. გულგრილად გადახედა მეექვსე ნომერ ტროლეიბუსს და კვლავ ფართო პროს-  
პექტს ჩააყოლა თვალი.

გადავქერი ჯორჯიაშვილის ქუჩა. დავექი გაჩერებასთან და თვალი გავა-  
ყოლე ქალიშვილს, სანამ ის არ მოეფარა ქალაქელ ადამიანთა ზურგებს. გა-  
ჩერებასთან ამჟამად ბევრნი იყვნენ. დაიქმინა ტროლეიბუსმა და მოხვეტა ხალ-  
ხი. მანქანაში მეც შევედი. ტროლეიბუსი შრიალით გაქენდა პროსპექტზე.  
თვალწინ ჩამოირბინეს მალაზის ვიტრინებმა, მერე ისინი ჩაიძირნენ ნაცრისფერ  
ბინდში და თვალწინ გაკრთა ქალიშვილი, პალტოს აწეული საყელო.

„რა აქვს მას ლამაზი, ასე რომ მომწონს, აბა რა აქვს ლამაზი“ — გავიფი-  
ქრე და გაჩნდა ექვი.

ისევ გაიელვა ჩემს თვალწინ ქალიშვილის ფერმკრთალმა სახემ, კამკამა  
თვალებმა და გრძელმა ვნებიანმა ფეხებმა, რომელნიც მას ძალიან მიწიერს  
ხდიდნენ.

„მას აქვს რაღაც მარილი, და მიმალული სილამაზე, რომელიც თანდათან  
თვალმისაწვდენი ხდება“ — გავიფიქრე და გაიფანტა ექვი.

გაიარა რამდენიმე თვემ. ხელში ჩემოდნით სამუდამოდ მივედიოდი ქალა-  
ქიდან. ციოდა. საღამო უქმური იყო და ქუჩაში ცოტა ხალხი მოძრაობდა.  
შორიდანვე დავინახე ქალიშვილი, მისი სიარული ჩემთვის მახლობელი და  
ნაცნობი იყო. მოდიოდა მარტო. სახე პალტოს აწეულ საყელოში ჩაემალა და  
ნელი, გრძელი ნაბიჯით მოდიოდა.

იგი სავსებით გამოცვლილიყო, ცხვირი დაგრძელებოდა, სახეზე ძიძიბები  
დაჰყროდა, ფეხები კი, ის ლამაზი ფეხები თითქოს უფრო მეტად გაპლუნოდა და  
წვივებზე ემჩნეოდა ენდროს ფესვებივით ლურჯი და წვრილი ძარღვები. ნა-  
ღვლიანი თვალებით უყურებდა სივრცეს და მიდიოდა ნელა, მე დაეაკერდი,  
მან არ იგრძნო ეს, ჩემოდანი დავედი და გავაყოლე თვალი, სანამ რომელიღაც  
მოსახვევში არ გაქრა. ვიღაც მძიმე კაცმა გაიარა და გაცივებით დამაკეკრა.

გავედი სადგურზე და ჩავექეი მატარებელში. მატარებელი ნელა დაიძრა.  
მან წაიღო პატარა ცხოვრება, მატარებლის ამ პატარა და ხანმოკლე ცხოვრე-  
ბასაც სხვადასხვა ფერი და ზომა დასდებოდა. ფანჯრიდან გავყურებდი ქალაქს,  
ანთებული ნათურებით სავსე ქალაქი თანდათან მშორდებოდა. ქალაქი ახლა ისე  
ჩანდა, როგორც ჩანს ხოლმე ზღვა, მხოლოდ თავისი ზედაპირით, რომლის ქვეშ  
შთელი ბობოქარი ცხოვრება არის დამალული.

გავყურებდი ქალაქს და ვფიქრობდი. რატომ გამოიცვალა ასე უცებ ქალი-  
შვილი, ნეტავ ახლა სად არის. შეიძლება ახლა ქუჩაში დადის და დაეძებს ვინ-  
მეს, ან რაიმეს. ნეტავ რაზე ფიქრობს ახლა?!



საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის განცხადება

გუგამ გომიანობილი

*[Handwritten signature]*

თქმისხვედლებიასთვის ყველაზე დიდი მდინარე ქვეყნიერებაზე თქამია, რომელიც „გა-  
მოსდის ქვარებსა და თორის საშუალს მთასა და დედა-ციხემდონ დის აღმოსავლით, მერმე დის  
ჩრდილოთკენ და მიერთვის მტკვარს სამხრიდამ. აქ მტკვარის კიდეს არს მონასტერი ყოვლად-  
წმიდისა, გუნბათიანი, დიდი, მეტეხი, კეთილშენი გორგასლისაგან...“

თქამი რწყავს აქაურ ვენახებს და მინდვრებს.

თქამისა სვამს აქაური მიწაცა და კაციც.

თქამზე უამრავი წისქვილია. ამ წისქვილებში ფქვავენ თქმისხვედლები სიმინდსა და  
ბორბალს.

არ ვიცი, ააშენებენ თუ არა თქამზე ჰიდროელექტროსადგურს.

თქამი მეტად პატარა მდინარეა...

\* \*

უშატის ყვავილობის დრო იყო.

მოდიდებულმა მტკვარმა ნაფოტოვით აათამაშა ბორანი. მებორნემ ძლივს უშველა თავს.  
მეტევე ნავროზამ ორთაყვირი მიაწოდა და როგორც იყო გამოიყვანა ნაპირზე.

— ნამდვილი ბარნაბა ხარ, ეშმაკი.

იციონოდა მეტივე ნავროზა.

გალმა ადამიანები იდგნენ — მეტეხელები, ახალქალაქელები, ასალციხელები, ნოსტელები.  
მატარებელს ჩამოხულოდნენ თბილისიდან. ერთი, ყველაზე მაღალი, წინ წამომდგარიყო და  
ყვიროდა, მაგრამ ხმა ამ ნაპირს არ აღწევდა. მერე ხელების ქნევა დაიწყო მაღალმა... შანი, ბარ-  
ნაბავ, ბარნაბავ, რა უყავი ბორანი, გამოიდი და გაგვიყვანეო.

ბარნაბა საცვლის ამარა იდგა. დაგრებილი შარვლის ერთი ბოლო თვითონ ეჭირა, მეორე—  
ნავროზას და სწურავდნენ.

— ბარნაბა თქვენა და ღვთის ცეცხლი, — ბურტყუნებდა უშარვლო მებორნე, — შეუთვა-  
ლეთ ნიკოლოზ მეფესა და ააშენებინეთ ხიდი. როდემდე უნდა იყოთ ბარნაბას იმედზე...

მერე ხალხისკენ მიბრუნდა და ანიშნა: ბორანმა თქვენი ჭირიც წაიღო და ჩემიცაო. რას  
იზამთ, სანამ არ დაღამებულა, შორი გზით მოუარეთ. გრაკლის ხიდით მაინც გადაადითო.

ხალხმა კი ახვ გაიგო: გაგოებულა უბედური ბარნაბა, შარვლი გაუხლიდა და ისე ცეკვავსო.

\* \*

მაღალმა მგზავრმა გრაკალი აიარა და ბარნაბიანთ-კარისკენ გადაუხვია... ბარნაბიანთ-კარი  
პაწაწინა სოფელია გრაკალსა და ზემო ხანდაკს შუა, თავისი ბაღ-ვენახებით თითქმის მტკვარს  
შიბჯენილი.

„ახლა ასულიც უნდა ვიყო ცხირეთში“.

ფიქრობდა მგზავრი.

მაგრამ, ნათქვამია, კაცი წყალს მიჰქონდა, გზაც ის იყოო. მგზავრს ამ პაწაწინა სოფელში  
ზიდაწვილი ჰყავდა, სახელად მიშას ეძახდნენ, გვარად უანჩელი იყო.

უანჩელის ძაღლმა ლამის ცხვირ-პირი ჩამოაჭამა მგზავრს.

„გიგო, შე ოხერო, ჩვენი გიგო... მაღალანთ გიგო“,  
იციოდა ყანჩელი და ფერღმი წიხლს ურტყამდა ნაგაზს.  
„შენი ბრალია, მამიდაშვილო, შენი ბრალი, მეტად იშვიათი სტუმარი ხარ... ძალღმა კი  
არა, მეც ძლივს გიცანი“.

„რა ცნობა დაგეკარგა, ბიჭო!“  
თქვა გიგომ და ერთი ისეთი უნიავა ბომბორა ქოფაკს, რომ მიუხლში ტკივილი იგრძნო.  
ყანჩელმა ბოხჩა ჩამოართვა მამიდაშვილს და შინ შეუძღვა.

„მეფეს უჯანყდები, ბიჭო, და ერთმა ქეციანმა ძალღმა შეგაშინა?“  
„შედი, შედი, მასპინძელი ხარ, ბევრს ნუ ლაპარაკობ“.  
კუთხეში მიღგმულ ტახტზე ჩამოსხდნენ.

„ბოროანი წყალმა წაიღო ის ოხერი. მეტეხიდან ფეხით ამოვედი“, — თქვა გიგომ.  
„თბილისში ყოფილხარ, გეტყობა“.  
„გულის უნდა ჩამოგუსლიყავი და ვერ ჩამოვედი. ალექსანდრე დიასამიძეს ზომ იცნობ,  
ეკიმს?“

„მერე?“  
„გუშინღამ შემახვედრა გაბუნიას“.  
„რომელს?“

„ერთი ახალგაზრდა კაცია, ქიმიკოსი, ალექსანდრე ჭყვია. პარიზში დაუშთავრებია ინსტი-  
ტუტი. დამეთანხმა, წამოვა ჩვენი რაზმში. ზვალ საღამოთი მეტეხში უნდა დავხვეთ ბიჭები“.  
„აღარა ბუმბარობთ, აი... იმ დღეს ტიტო მაღალაშვილიც ძაან საიმედოდ მეღაპარაკა“.

„ერთი ასი ბიჭი მომიცა ტიტოსთანა და“... — ჩაურთო გიგომ და განაგრძო: „საფეტქე-  
ბელს ნინო გამოიტანს ზოლმე სადგურში, ყიფიანის ქალი“.  
„თოფებს აღარა სჯერდებით, ძმოსან“.

„თოფი მაინც თოფია, ბიძაშვილო, დღეს დილით იროდიონ ევლოშვილმა კიდეც ორ  
შაშხანა გამოიტანა. ღმერთივით კაცია დალოცვილი“.  
„ბარემ ის თოფებიც მომავორეთ, თუ ძმა ხარ, რა ვიცი, კაცნი ვართ“, — თქვა ყანჩელმა  
და წამოღდა.

„მიიტომ შემოვიარე სწორედ“.  
„ცხირეთში უნდა ახვიდე?“ — ჰკითხა ყანჩელმა.  
„მეორე დღეა ბიჭებს თვალი გზისკენ უჭირავთ“.

„შენ მაინც ძველებურად უყარავ, ჩემო ძმავ“.  
„მართლა არაფრად არ ვარგა ნიკოლოზი, თორემ ამდენს გაფაფხურებთ, ბიჭო... მიგიშვით  
ნებაზე და აღარ იცით რა ქნათ. ცოლშვილიანი მაინც არ იყო, რაღა დროს შენი ეგეთებია“.

„მიდი შენ ის თოფები გამოიტა, ბევრს ნუ ლაპარაკობ“.  
„მე მოთქვამს და ახლა შენ იცი“.  
გიგომ იცოდა, რომ ყანჩელი ყანსღად ლაპარაკობდა, სცდიდა, უნდოდა გულის სიღრმეში  
ჩასწვდენოდა მამიდაშვილს.

\* \*

ერთაწმინდასა და ახალციხეში აქა-იქ შუქი აანთეს.  
გიგო უსტარაულს დაეწაფა, ყინულის ნაფურივით ცივ წყაროს.  
ცხირეთამდე ოციოდე წუთის სავალიღა დარჩა.  
ცხირეთი ქართველ მეფეთა საწაფხულო დასასვენებელი ადგილი იყო ოდესღაც. აქ ერთ  
დროს კარგა ხანს იღვა სვიმონ მეფე. ყირიმელმა თათრებმაც ამ ციხეს დაადგეს თვალი სააკა-  
ძის სიძის, ლუარსაბის ხელში ჩასაგდებად. ამ ციხე-გალაფნის ჩვენება უზრდველ თევდორე  
მღვდელს... და გიგოს თბილელის ნათქვამი მოაგონდა, მამისაგან გაგონილი:

„ველთას თევდორე შეაპყრეს,  
მცოდნე და კარგი მღვდელია;  
ლახტითა სცემდეს: წაგვიძებს,  
გზა რომელ გარდამსვლელია?“

ერთაწმინდაზე ჩაუძღვა,  
გზა ჩავლო ქვენადრისანი;  
ცხირეთზე დიად შორს დარჩა,  
მხარი ვლო სხვის სამძღვრისანი,  
მღვდელს თავი გააგდებინეს,  
წამებით სისხლთა ღვრისან“.



ცხირეთში ახლა ლელაშვილის რაზმი იდგა, ასამდე კაცი. მტკვრის მარჯვენა მხარე ამ რაზმს ებარა, მარცხენა ნაპირს კი გიორგი მაჩაბელი დასტრიალებდა თავისი რაზმით.

რაზმელებს პატარა ცეცხლი დაენთოთ დაბალტერიან სენაკში, ხელებს ითხოზდნენ. ცეცხლი-არც ჩანდა, წედ ხელები ეწყო, ყოველი მხრიდან გამოწვდილი დაბუხული ხელები და თითქოს ისინი სჩრლოვდნენ.

„ამ ერთმა დღემაც ჩაიარა“, — თქვა ალექსი ბეჭაურმა.

„ხვალ თუ ჩვენებს არ ჩავხედე, არ იქნება“, — ჩაიბურტყუნა მეტეხელმა ლადა გუგულაშვილმა, რომელსაც ძველი ჯარისკაცული ხალათ-შარვალი ეცვა და თუშური ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა.

„ერთი ახლა ხელმწიფის გულში ჩამხედდა, მეტი არაფერი არ მინდა. ჰა, რას იტყვი?“

„ჰო... ჩაიხედდავ თუ არა, ქვეყნის ამბავს გაიგებ. ალბათ ისიც უწერია მეფეს გულში, ერთი ამ ცხრაასსუთმა ჩაიაროს და მერე მე ვიცი და ლადა გუგულაშვილიმაც.“

„რას ეტყუდი, ლადა, ნიკოლოზმა რომ დიდი ამბით დავიბაროს?“

„რა ვიცი, რას ვეტყუდი“.

„ღიზაროს ახლა ეგეცა, სულ ლადას დარდი აქვს, რასა სჯამს და რასა სვამსო“.

„ხელმწიფესაც თავისი დარდი აქვს, ბიჭო“.

„დარდი ახლა, იმასაც ცოლ-შვილი უტირის“.

„მაი დედასა, იმას აუტირებენ ცოლ-შვილს თუ აუტირებენ, თორემ პატარა კაცს რა უჭირს“, — ჩაიბუხუნა ვანო გოგოლაურმა და გვერდზე ფიჩხს გადასწვდა.

„ქვეყანას ვერაფერი ვერ გაასწორებს, ბარც იქნება და მთაცა“.

„მა რაღასა ვწივართ ამ ცხირეთშია?“

„რა, ჰაერი არ მოგწონს, გუგულაშვილმა ბიჭო, მეფეთა სადგომში ხარ და მაინც არ მოგწონს?“

„კიდევ კარგი ჰაერიც მიწასავით გასაყოფი არ არის, თორემ ლადა გუგულაშვილს ვინ მომაოხრებდა“.

„ჰოდა ისუნთქე, შე რაღა გენადღებდა“.

„ის მენადღებდა, ძმოსან, რომა თუ გამოვიღვართ, გამოვიდეთ“.

„გამოხვიდე რა, საცეკვოდ კი არ გამოდიხარ, სულსწრაფი ნუ ხარ, გუგულაშვილმა ბიჭო, ყველაფერს მოესწრები“.

„თუ არ მოვესწრები და არც ეგ მაშინებს, ჩემი შვილები ხომ მოვესწრებიან“.

„მოვესწრებიან კიდევცა და შეტეხში ძეგლსაც დაგიდგამენ“.

„ძეგლი არ მინდა, ერთი ხიდი ააშენონ როგორმე, ურემი გაიყვან-გამოიყვანოს კაცმა“.



ციცხლის პირას ორნიღა იხდნენ, ისაკა ლელაშვილი და გიგო მაღალაშვილი. რაზმელები დასაძინებლად წასულ-წამოსულიყვნენ.

ლადა გუგულაშვილსაც გულიანად ეძინა. ის ამ ქვეყანას აღარ ეკუთვნოდა. სიწმარის ცხადად ექცა ფიქრი... აი, ლადა დიდი ამბით ჩავიდა პეტერბურგში. ჩასვეს ოქრო-ვერცხლის მოჭედოლ ეტლში და სახახლისაკენ გააქანეს. ნიკოლოზი ეწოში შეეგება.

„აქეთ მოზრძანდით, აქეთ, ლადა ბატონო“, — უთხრა ნიკოლოზმა.

„ნუ გეშინიან, ლადას გზა არ აეზნევა“, — დაამშვიდა ლადამ და ილღია მოიფხანა.

„აბანოს ხომ არ ინებებდით, ბატონო ლადა?“ — შკითხა დედოფალმა, რომელსაც ოთხი ფარშევანგი დასტრიალებდა თავს.

ლადას ეწყინა დედოფლის ნათქვამი, მაგრამ აღარაფერი უთხრა, გულში კი იფიქრა, ჩემს იქით მაინც გზა არა აქვთ, მერე ამოვიყრი ჯაგრსაო.

„აი ტახტი, ბატონო ლადა“, — უთხრა ნიკოლოზმა და ხელი გადმოუსვა ტახტს, თითქოს გადმოუსვოდა. ლადა ავიდა ტახტზე და მამაპაპურად მოირთხა ფეხი.

„გაუმარჯოს ლადასი“ — დაიძახა მორთულ-მოკაშმულმა ხალხმა, ლადას წამიერი ტარაბუა დაესხა თავს და ყველაფერი დაავიწყდა ამ ქვეყნად.

ბოლო არ უჩანდა ნაზირ-ვეზირთა რიგს.

ბოლოს ერთი ცხენოსანი კაცი შემოიჭრა და მოახსენა:

„მეფეო ლადა, მეტეხელები და ახალქალაქელები დიდ აჯანყებას აპირებენ თქვენს წინააღმდეგ. აშუამად ასამდე კაცი ცხირეთის ციხეშია ჩასაფრებულნი. იმ დღეს კაკოლა ოდოშა-შვილმა თქმის პირას კრება გამართა. „გაუმარჯოს ერთობას, ძირს თვითმპყრობელობას!“ — იძახდა კაკოლა. გიგო მაღალაშვილი და ისაკა ლელაშვილიმაც კვერი დაუკრეს. გიგო თბილისიდან თოფებსაც ეწოდება მეტეხში, იარაღს სანა გუგულაშვილითან ინახავენ!“

„რაიო, რაიო?!“.

„ღიან, მეფეო ლადა!“

„აქარეთ მთელი გორის მარა და ჩამომიყვანეთ აქა“, — ბრძანა ლადამ და ერთ წუთში აუსრულეს ნათქვამი.

ლადა, ლადა, ლადა — ყვიროდა ხალხი.

„ეინ არი თქვენი ლადა ხომ არ გეპატარავებით თვალში? სუყველას ციმიბირში გიყრავთ თავსა“.

„მაი დედასა, როგორ გადიდაცებულხარ, გუგულაანთ ბიჭო!“ — შესძახა კოკლმა ხარაზმა ალექსი მირზაშვილმა.

„ცივი მჭალი გენატრებოდა და გაქვსი“ — შეუყვირა მიხა აბუაშვილმა, მერე ქალამანი გაიძრო და ესროლა. ქალამანი სახეში მოხვდა ლადას, ემწარა და, ხმალი მომართვით, ბრძანა... მაგრამ ახლა კეთი მოხვდა თავში, მერე ჭვა, ლოდი, და ყვირილით წამოვარდა გუგულაანთ ბიჭი.

„რა იყო, ლადა?“ — ჰკითხა გიგომ.

„ოხრობა, რა არ დაესიწმრება მამლარ კაცსა, ეშმაკად ღორის ხორცი ვჭამე ამ საღამოთი“... — თქვა ლადამ და თვალეზი მოიფშვინტა.

„როდის ჩამოხვედი, გიგო?“

\* \* \*

მეორე დღეს ექვსიოდე ცხენოსანი კალოუზნისა და ზენადრისის გავლით სამაჭალოს ხევისკენ მიდიოდა.

გიგო მალალაშვილს ადრე დაეჭირა თადარიგი. სოფელ თეკენელაში თავის მოხუც მეფელსთან ერთად ცხოვრობდა ბასილა აფციაური, რომელიც ერთადერთი მოსახლე იყო ამ სოფლისა. გიგო მალალაშვილმა სწორედ აქ, ბასილა აფციაურის სახლში მოაწყო „საყუმბარე“.

მეტეხიდან თეკენელამდე თითქმის ერთი დღის სავალია.

ბილიკი ვიწრო იყო და წინ გიგო მიდიოდა, მერე ალექსი ბეჭაური, ვანო გოგოლაური, მიხა ზარიძე, რომელსაც ჩაღბუნასაც ეძახდნენ, ალექსანდრე გაბუნია და ბოლოში ილიკო თუხარელი მიაჩქაქებდა თავის ზერდაგს... იგონებდნენ ლადას უცნაურ სიზმარს და იცინოდნენ.

თეკენელაში რომ ავიდნენ, უკვე ირიფრაფა. ბასილა აფციაურმა უბიბატურით შეახურა ბიჭები, მოხუცმა სალომემ კი ხელდახელ ზავიწი და ხაჭაპურები მოართვა.

მეღუმეღე გოლა და სანდრო თუხარელი წინა დღით ასულაყვენ თეკენელაში, უკვე მოეწყვით და მიელაგ-მოელაგებინათ „საყუმბარე“.

„აბა, ბასილა, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ, არაფერი მოაკლო ამ ბიჭებს“.

„რას ამბობ, გიგო, ჩემი თავი ამით ენაცვალოს“, — თქვა აფციაურმა.

„დღეს რკონიდან ბარძემაც ამოვა, შიკრიკ, ის იქნება“.

„რომელი, ზენადრისელი?“ — იკითხა აფციაურმა.

„ჰო. ძველი მონადირე კაცია, კარგად იცის აქაური ასავალ-დასავალი, თვალყურს დაიჭერს. ხან წასვლა იქნება საჭირო, ხან წამოსვლა“.

... და შუადღისას უკვე აგუგუნდა „საყუმბარე“. სანდრო თუხარელმა საბერველს დაჭნია, მეღუმეღე გოლამ საყალიბეს წამოავლო ხელი.

„ამ ხალხს ყველაფრის გაკეთება შეუძლია ქვეყნად“, — ფიქრობდა მკლავებდაკანიწებული ჭიმიკოსი, რომელიც ზემდა თბილისისა და პარიზის შემდეგ სოფელ თეკენელაში მოახვედრა.

გიგო მალალაშვილი კვირაში ორჯერ ჩადიოდა თბილისში. მერე კალოუზნისა და ზენადრისის გავლით კვლავ თეკენელაში ბრუნდებოდა. მიბჭონდა დამწადებული ტყვია-წამალი, თითო-ოროლა ყუმბარაც, და უკან ასაფეთქებელი მასალა ამოჭონდა. ახალქალაქისა და ხოვლის მიღამოებში მეფის ჯარები იდგნენ, ხესაც თვალი მჭონდა და ქვასაც. ამიტომ დღისით კი არა, შუალაშისას დაადგებოდა ხოლმე გიგო გზას. გზა დიდი და მწელი იყო, მაგრამ ამ გზაზე დიდი იყო ფიქრი იმ კეთილ ცხოვრებაზე, როცა ადამიანებს თანაბრად შეეძლებოდათ სიხარულის განაწილება.

ზენადრისელი ბარძემა სულმდაბალი კაცი აღმოჩნდა. ფულზე გაყიდა თავისი სინდისიცა და კაცობაც. ახალქალაქის ბოქაულს გაენდო ბარძემა და თეკენელასკენ თემის ხეობით დაიძრა ჯარი.

გიგომ მოკლე გზით აასწრო თეკენელაში. ხელდახელ დაშალეს „საყუმბარე“, წამოიღეს მთავარი ხელსაწყო-იარაღები და მიტებსში, გუგულაანთ სამკედლოს ეზოში ჩაფლეს.



მოსუც აფციაურებს სახლი დაუწვა ბოქაულმა, და დარჩა ნასოფლარი თეცნელა თავისი ძველთაძველი ქვეტიკრის ეკლესიით.

ბოქაულს შეეძლო არც სახლი დაეწვა და ხელიც არ ეხლო მოსუცი აფციაურებისათვის, მაგრამ ბოქაულს ალბათ არც არასოდეს უფიქრია სიბერეზე, სიკვდილზე, არარაობაზე და აღამიანი მხეცად იქცა...

„თქვი, აფციაურო, თქვი, ამოდენა ნაცარი რათა ყრია აქა?“

„ლეცი მკალავები იდგნენ, ბოქაულო“.

„ერთი მკალავი მაღალაშვილიც ხომ არ იყო?“

„მაღალი კაციც ერია ერთი, მაგრამ მაღალაშვილი ლეცი ხომ არ იქნებოდა, ბოქაულო?“

„იტყვი, ისე იტყვი, მზე მაღლა იქნება“.

„სანამ მზეა, ნაცარიც იქნება, ბოქაულო“.

\* \*

ახლაქალაქში მეფის რწმუნებული კრიმგირი ჩამოსულიყო. იყო ერთი ფაციფუცი და ქოთქოთი...

ბერი დაიბირეს, ზოგს სად უკრეს თავი, ზოგს სად.

გიგო მაღალაშვილს აეკრძალა თბილისის გუბერნიაში ცხოვრება. გამოეთხოვა გიგო ცოლ-შვილს და დროებით ბათუმში დასახლდა თავის დასთან, რომელიც ერთ-ერთ საავადმყოფოში მსახურობდა.

ცხრაასიანი წლების ბათუმში.

ცხრაასიანი წლების ცეცხლი.

ცხრაასიანი წლების შემართება.

და აღამიანი ეძმო ბათუმს, ცეცხლსა და შემართებას.

მერე 1917 წელი. 1921 წელი...

და ახლა ოთხმოცდაოთხი წლისა ხარ, ძია გიგო, მაღალი, ბრგე, კვლავ ვუქაცურად თვალბანთებულნი...

ალბათ მეთათხედოც ვერ ვთქვი იმ გრძელი ცხოვრებისა, რომელსაც ოთხმოცდაოთხი წლის კაცის ცხოვრება ჰქვია.

იმ საუკუნის შვილიცა ხარ და ამ საუკუნისაც, ძია გიგო! მაგრამ თუ მართალს ვიტყვი, უფრო ამ საუკუნეს ეკუთვნი.

ბარის დრო იყო და ბარი გეჭირა ხელში, თოფის დრო იყო და თოფი გეჭირა... მშვიდობისთვის პური გიქმევია, მწყურვალისთვის წყალი დაგილევინებია, დაჭრილისთვის იარა შეგისვეცია, დაცემული წამოგიყენებია, შეცივებული გაგითბია, ამ კეთილი გულით გივლია ქვეყანაზე კაცს.

ცხოვრებისთვის არასოდეს შორიდან არ გიყურებია, სოფელში იყავ და სოფლისათვის ზრუნავდი... მეტეხელებს ყველაფერი ახსოვთ, ბარნაბას ძველი ბორანიცა და ახალი ხიდის აგების მოთავენიც, მოსუცი აფციაურის დამწვარი ქობიცა და მეტეხის საშუალო სკოლის საძირკვლის ჩამყრელიც, ის პირველი ტრაქტორიც, რომელიც 1924 წელს საქართველოში, მეტეხში, პირველმა შეაჭიღე ქართულ მიწას. იმ დღეს სერგო ორჯონიკიძეც ჩამოვიდა მეტეხში, ძმურად გადაგებვია და მაღლობა გითხრა მეტეხის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის თავმჯდომარეს.

\* \*

მტკვრის წყალს აღარ ეტყობა, რომელი — მტკვრისა და რომელი — თეძმისა, რომელი — ლიხვისა და რუმელი — ქსნისა... ყველას მტკვარი ჰქვია უკვე.

არა, ცხოვრებას ტყუილად ადარებენ მდინარეს. ცხოვრებაში არაფერი არ ფარდება, ცხოვრებას ყველაფერი ეტყობა.



იაკინთა ღისაშვიდი

ხუც და მონა

მოგონება

საბჭოთა საქართველო თავისი არსებობის  
ორმოც წლისთავს დღესასწაულობს და ამ  
სახეიმო თარიღთან დაკავშირებით მიიღა თვა-  
ლი გადავავლო განვილო ვზას, მოვიგონო ზო-  
გი რამ.

საქართველოს მენშევიკური ხელისუფლება  
იკვებინდა, თითქოს მან საქართველოს მოუ-  
ტანა დამოუკიდებლობა. სინამდვილეში კი  
ნამდვილი ბატონები მაშინდელ საქართველო-  
ში იყვნენ უცხოელი იმპერიალიზტები; ჯერ  
გერმანელები, შემდეგ ინგლისელები. მენშევი-  
კები იკვებინდნენ, რომ მუშათა კლასსა და  
გლეხობას მიანიჭეს თავისუფლება. სინამდვი-  
ლეში კი მოწინავე მუშებსა და გლეხებს აღ-  
ბობდნენ ციხეებში, უსაბუნდუნ სიცოცხლეს.

ამ მხრივ საყურადღებოა თუნდაც ჩემი პი-  
რადი გამოცდილება. მე, როგორც მუშა-ასოთ-  
ამწყობი, მენშევიკური მთავრობის დროს ვმუ-  
შაობდი თბილისში და ვიცი, თუ როგორ ცხოვ-  
რობდნენ მუშები, როგორ დევნას, მატერიალ-  
ურ და უფლებრივ შევიწროებას განიცდიდ-  
ნენ ისინი. იმის მაგიერ, რომ დაეცვათ მუშათა  
ინტერესები, უგულვებელყოფდნენ მუშათა  
ხმას, მათს მოთხოვნილებას, პროფესიულ კავ-  
შირებში გვარდიელების დახმარებით, ძალის  
გამოყენებით გაჟავდათ თითო-ორილა გაბიუ-  
როკრატებულა მუშა, ხოლო შეგნებულ, რევი-  
ლუციური სტლისკვეთებით გამსჭვალულ მუ-  
შებს ამწყვედებდნენ ციხეში. ამიტომ ციხე არც  
მე ამწორდა. ჯერ მეტეხის, შემდეგ ჭუთაისის  
საყარობილეში ეელოდი ოქტომბრის გამარჯ-  
ვებას საქართველოში. ციხის ციხესა და ბნელ  
კედლებში მრავალი მოწინავე ამხანაგი გაეი-  
ცანი, ბევრი რამ გაეიგე, შევისწავლე ახალი  
მუშათა მოძრაობის თეორიისა და პრაქტიკისა.

ამიტომ, რაც უფრო ბნელი და ვიწრო იყო  
საყანი, მით უფრო ფართოვდებოდა, ნათღ-  
ბოდა გონება ქვეყნის შესახებ შექმნილი ცოდ-  
ნით.

ათას ცხრაას ცხრამეტსა და ოც წლებში  
ხშირად მეტეხის ციხის ერთადგილიან საყანში  
მამწყვედებდნენ ხოლმე. ზოგი კირი მარგებე-  
ლიაო, ასეთი განცალკევება ჩემთვის სასარ-  
გებლოც იყო, რადგან აქ ვკითხულობდი ყო-  
ველგვარ წიგნს, რაც კი ხელში მომხვდებოდა  
ან ამხანაგებს მოჰქონდათ.

ღენიკინის განადგურების შემდეგ მენშევიკე-  
ბი იძულებულნი იყვნენ მოლაპარაკება ეწარ-  
მოებინათ საბჭოთა რუსეთთან, რასაც მოჰყვა  
დილომატიური ურთიერთობის დამყარება საბ-  
ჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს  
შორის. საქართველოში, როგორც საბჭოთა რუ-  
სეთის წარმომადგენელი, ჩამოვიდა ს. მ. კირო-  
ვი. ამ ხანებში დაიწყო საქართველოს კომუ-  
ნისტური პარტიის ორგანოს „კომუნისტის“  
გამოსვლა. გაზეთმა დიდი როლი შეასრულა  
იმ ქორების გაფანტვის საქმეში, რაც მენშევი-  
კებმა გააგრძელეს ბოლშევიკებზე. „კომუნის-  
ტი“ თანაშრომლობდნენ ჩვენი პარტიის ისე-  
თი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორც იყვნენ  
ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია და მამია ორა-  
ხელაშვილი. გაზეთში ფართოდ იბეჭდებოდა  
მუშათა წერილები. მეც ამ გაზეთში პირველად  
ი. ლისაშვილის ფსევდონიმით მოვათავსე სტა-  
ტია ქართველ მუშათა ცხოვრებიდან. ამან გა-  
ზეთთან უფრო დამახლოვა და სტამბის მუ-  
შათა შორის გაზეთის სასარგებლო თანხების  
შეგროვებაც დაიწყო.

იმ ხანებში მბეჭდათა პროფკავშირის გამ-  
გობის არჩევნები მოეწყო. წამოყენებულს

იყო კანდიდატების ორი სია. პირველი ნომერი ისა წამოაყენეს მენშევიკებმა, ხოლო მეორე — ბოლშევიკებმა. როცა ბოლშევიკების მიერ წამოყენებულ სიაში მეც აღმოვჩინდი, ჩემს განცვიფრებას ბოლო არ ჰქონდა. ვამბობ — განცვიფრებას-ნეტქი, რადგან სიაში შეტანილ ძველ ბოლშევიკებთან შედარებით მე ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. არჩევნები მოეწყო. ჩვენ გავიმარჯვეთ, გამგეობაში გავიყვანეთ რვა კაცი, ხოლო მენშევიკებმა — შვიდი კაცი. ამ ამბავმა მენშევიკური მთავრობა მეტად აღაშფოთა. იშოვნეს რამდენიმე სულმოკლე მუშა და გახეთ „ერთობაში“ მოათავსებინეს შენიშვნა — მბეჭდავ მუშათა პროფკავშირის გამგეობის არჩევნები მოხდა უკანონოდ, საჭიროა დაინიშნოს ხელახალი არჩევნებით. რამდენიმე მუშის მხრივ პრესაში ასეთმა მოღალატურმა გამოსვლამ ჩვენებში აღშფოთება გამოიწვია. დაუყოვნებლივ „კომუნისტში“ მოვითავსეთ საპასუხო წერილი, რომელშიც ვკიცხავდით „ერთობაში“ მოთავსებული შენიშვნების ავტორებს. მიუხედავად ამისა, მენშევიკებმა ეს არჩევნები უკანონოდ გამოაცხადეს და საარჩევნო კრება მოიწვიეს სახალხო სახლში (ახლანდელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობაში), სადაც მრავლად შეკრიბეს გადაცმული გვარდიელები, რათა მათი ხმების მითვლით უზრუნველყყოთ მენშევიკი კანდიდატების გამგეობაში გაყვანა. მაინც ხმების დათვისი შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბოლშევიკების კანდიდატებმა ხუთი ხმით მეტი მიიღეს. ეს კი გვარდიელებმა ვეღარ მოითმინეს, ატეხეს ხმაური, აიჭრნენ სცენაზე და ბოლშევიკი კანდიდატების სასარგებლოდ მიცემული ექვსი ხმის ბიულეტენი იქვე დახიეს, ვითომ როგორც ყალბი და უკანონო. ამით მათ მოახერხეს გამგეობაში გაყვანათ 8 კაცი, ხოლო ჩვენ 7 კაცი მაინც გავიყვანეთ. ძველ ბოლშევიკებთან — ვანო ბოლქვაძესთან, სანდრო იაშვილთან და მარტვი კარპთან ერთად მეც მბეჭდავთ პროფკავშირის გამგეობის პრეზიდენტში გავდი. მენშევიკები ამ ჩემს ამხანაგებს კარგად იცნობდნენ, მაგრამ მენშევიკური მთავრობის წევრებიც მეტად გააოცა იმან, თუ საიდან გამოჩნდა ახალგაზრდა, ახლად გამოჩეკილი ბოლშევიკი და ისიც ისეთი გვარით, რომელიც ბოლშევიკების რიგებში ყოფნით „ჩირქს სტებლად“ მენშევიკური მთავრობის ასეთივე გვარის ერთ-ერთ წევრს, კერძოდ ნ. ხომერიკს. დაიწყო რეპრესიები. ჩვენი ამხანაგების ნაწილი დააპატიმრეს. ამ დროს ჩემთან მოდის მბეჭდავთა პროფკავშირის თავმჯდომარე დობორჯაძენი და მეუბნება:

— შენ, ყმაწვილო, ხომერიკი გეძახის და თუ ხვალ ათ საათზე მასთან არ მოსულხარ, შერე რაც მოგევა, თავს დააბრალო.

მე კარგად მივხვდი, თუ რატომ მეძახდა ხომერიკი. მივხვდი იმასაც, თუ არ გამოვცხადებოდი, რაც მომელოდა. რადგან ხომერიკთან მისვლაზე ფიქრიც ზედმეტი იყო, გადავწყვიტე ამხანაგებთან მომეთათბირნა, თუ როგორ მოექცეულიყავით — გადავსულიყავით არალეგალურ შემობრუნებაზე, თუ მოგვეცადა, სანამ დავგაპატიმრებდნენ. ამ კითხვაზე ვანო ბოლქვაძემ გადაჭრით მითხრა:

— დავრჩეთ სტამბაში, დავგაპატიმრონ, ერთად ვიქნებით.

მართლაც ვანო და სტამბის მრავალი მოწინავე მუშა იმავე ღამით დააპატიმრეს. მე კი მეორე დღეს სტამბაში ველოდი ათი საათის შესრულებას, როცა მოვიდოდნენ და წამიყვანდნენ. მართლაც სრულ ათ საათზე ვიღაც უცნობი მოვიდა სტამბაში.

— გამომყვი, — მითხრა და წინ წამიძღვა. მუშები მიხვდნენ, თუ ვინ იყო ის, საიდან გაჩნდა ეს დაუპატივებელი სტუმარი და მიესივნენ:

— სად უნდა წაიყვანო, რა დაუშავებია, ან შენ ვინა ხარ? — ბაყარეს კითხვები.

— ცოტა ხნით მიმყავს და მალე გამოვუშვებთ, — ღპასუხა უცნობმა.

მუშები მაინც უნდობლად უქაერდნენ უცნობს და რაღაც მუქარის გუგუნნი იღვა სტამბაში. მალე სტამბის კანტორიდან გამოცვივდნენ თანამშრომელი ქალები და უცნობს გულუბრყვილოდ შესთხოვდნენ:

— გვედრებოთ, დასტოვოთ, ჩვენი ხათრისთვის, აპატიოთ თუ რაიმე შეცდომა ჩაუღწინია. თქვენც ხედავთ, ტანზე თითქმის არაფერია აცმია.

— არაფერია, ახლავე მოვა, — არწმუნებდა უცნობი.

— მხოლოდ თხელი ხალათი აცვია, მაზარას გამოუტანთ, გათხოვთ დიციადოთ! — სთხოვდნენ ქალები.

— ჰო, კარგი, მოიტათ, — როგორც იყო ყოყმანით უთხრა მათ უცნობმა.

იმავე სტამბის მესამე სართულიდან, სადაც მე ვცხოვრობდი, ქალებმა ძველი, რამდენიმე ადგილას გამოხუტული „ბუშლატი“ გამომიტანეს. ამ „ბუშლას“ რაღაც მამინაბურთად ხავავდნენ ჩემს და გზას გავუღებო.

— ღამე სად იძინებთ? — მკითხა უცნობმა.

— სტამბის თავზე, საერთო საყაზარმო ოთახში, ზოგჯერ კი ჩემს უმცროს ძმასთან, მთაწმინდაზე.

— მის მიჩვენეთ თქვენი ეს ოთახი, ჰო, მთაწმინდაზე!

თხინვალის ქუჩაზე ერთი ძველი სახლის ეზოში შევედი და კედელზე მოზარდილი ყუ-



თვით მიქედელი ოთახი ვუჩვენე უცნობს.  
— აი, ამ ოთახში ეცხოვრობთ,  
— ეს ოთახია?  
— დიახ.

მობრძლები სამშენებლო „ოთახში“ შევედი.  
— მართლა პრიორიტარი ყოფილხარ, — ჩილაპარაკა უცნობმა და ჩხრეკა დაიწყო. წიგნები და ნივთები აპყარ-დაპყარა, მიმოაბნინა, მისთვის საჭირო ვერაფერი იპოვნა და გამობრუნდა.

მენშევიკური ქანდაკების ეგრეთწოდებულ „საკანგებო განყოფილებაში“ მიმიყვანეს. წინა დამით დაპატიმრებული ამხანაგები ყველანი იქ დამიხვდნენ. ბევრი უცნობი ამხანაგიც იყო. მეორე დღეს ქუთაისში გადასაგზავნად მიგვიყვანეს ვაგზალში. ვაგზალს უკან შეგვეკრიბეს და საათობით ქაფიანი ზეგვიყვით. მერე ისევ უკან დაგვაბრუნეს არა იქ, არამედ სისხლის სამართლის დამნაშავეთა შენობის სარდაფში. თხუთმეტ მეტრიან ოთახში ორმოცამდე კაცი ჩაგვყარეს. სული გვეხუთებოდა, კაცი კაცზე ელაგა. აქ რაიმე მოსვენებაზე ფიქრიც გი ზედმეტი იყო და გვახრჩობდა წყურვილი. მეორე დღეს ისევ ვაგზალისკენ გაგვრეკეს. აქ ჩემი უმცროსი ძმა გორდისი მოვიდა. რაღაც ნაკრავი ეჭირა ხელში. ჩურჩულთ მითხრა:

— ამ ცხვირსახოციში ფულია; სტამბის მუშებმა გამოგიგზავნეს.

მე ფულმა კი არა, ჩემი ამხანაგების ყურადღებამ გამახარა, გამამხნევა, რაღაც შუქმა გაანათა მთელი ჩემი არსება. ფულის მიღებაზე კი უარი განუცხადე ჩემს უმცროს ძმას. ის იმეამად სწავლობდა და ჩემი ასოთამწყობი ჯარისკაცის ლეკმაპურით ცხოვრობდა ჩემთან.

— ეს ფული, ძმაო, შენ დაიტოვე. აქ არავინ ვყავს. მე კი არ მეჩრდება, — ვუთხარი. არასოდეს არ დამაიწყებდა, თუ როგორ იმოქმედა ჩემს უმცროს ძმასზე ჩემმა სიტყვებმა და აღმათ გამომეტყველებამაც. იგი აცრემლდა, შემდეგ შეყაყმანდა. მიხვდა შეპატივება ზედმეტი იყო, იცოდა, რაც ვთქვი, აღარ გადაეშვებოდა.

სატუსალო ვაგონებში მოგვათავსეს და ქუთაისის მატარებელი მძიმედ დაიძრა. შემით გულვიებული ორთქლმავლის ოხვრა-ხენემა გვესმოდა მხოლოდ. დაღამდა. სატუსალო ვაგონის საკანში სიბნელე იყო. ამ საკანში ოთხნი ვიყავით: ვანი ბოლქვაძე, კოწია ზომერიკი, მე და ერთი ავადმყოფი, ახალგაზრდა კაცი, სევტიანი საღრამე. შუქი არ იყო. სიბნელემ ხმა მთლად ჩაუწყვიტა პატიმრებს. მატარებელი გულსაკლავად ოხრავდა, ღრქიალებდა, მირახრახებდა. მოწყენილობა ძლიერდებოდა.

უცერად ზედა საწოლიდან სიმღერა გაისმა: „ქედან და ბაქო...“ ამ სიმღერამ ყველა გაა-

ცინა, გამოეცოცხლდით, სიძველე სიტყვები გაჩნდა.

— დიდხანს ველარ იბოგინებენ. შუქი ჩავიქრეს, მაგრამ რევოლუციას ვერ ჩააქრობენ.

— ბუზი უფრო მწვეველ იქნებება შემოდგომამდე, სიკვდილის წინ.

დღით ქუთაისში ვიყავით. ქუთაისი რომ მივყავდით, ალბათ სარკმლებში თავგამოყოფილი მუშჩანი დედაკაცები გაიძახოდნენ:

— ჩაპეტეთ, დალაპეთ!

ჩვენ უხმოდ მივაბიჯებდით, ჩვენი საქმის სიმართლეში ღრმად დაწმუნებულნი და ისიც კარგად ვიცოდით, თუ მომავლი ვის ეკუთვნოდა. მაღე ქუთაისის ცენტრალურ ციხეში ჩვენთვის წინასწარ გამოხატებულ საკანში შევიყვანეს. მოწინავე ბოლშევიკებთან მეხუთე კამერაში აღმოვჩნდი. აქ იყვნენ თენგიზ ქლენტი, ძმები ანდრო და თედორე დოლიძეები, ვანი ბოლქვაძე, კოწია ზომერიკი, მასწავლებელი ფილკოვსკი. მერე მოიყვანეს მალაქია ტოროშელიძე, სანდრო თუმანოვი, რაქდენ კალაძე და სანდრო ეული.

ციხეში აუტანელი პირობები შეგვიქმნეს, დღეში ორას გრამ დაობებულ მჭადს და ცოტაოდენ ლობის წვეს გვაძლევდნენ. პური კი თვალათა არავის უნახავს. ისე ვიჭროდ ვიყავით, დასწოლად ნარც არ გვეყოფნოდა. მე ერთ პატარა, ქანგოდებულ რკინის საწოლზე ვიწევი, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ქვეშაგები სულაც არ გამაჩნდა. ერთადერთი ჩემი საგები და სახურავი იყო მთლად დახუთი მოკლე „ბუშლატი“. როცა რკინაზე წოლით გვერდებოდა მეტკინებოდა, ამ „ბუშლატს“ ქვეშ მოვიტყვევდი, ხოლო როცა შემცივდებოდა, გვერდების ტკივილს ვივიწყებდი და „ბუშლატს“ ზემოდან გადავიხურავდი. ასე დაუსრულებლად გრძელდებოდა ჩემი და „ბუშლატის“ ბრძოლა, ზოგჯერ მე ვიყავი ქვეშ, ზოგჯერ კი „ბუშლატი“. დამეხა შარვალი, ჩიჩილაკით დამეწეწა ერთადერთი პიჯაკი. გამოცვლა საცვლები, მაგრამ ამხანაგებმა გადაწყვიტეს ცოტაოდენი ფული შეეგროვებინათ და ჩემთვის ერთი შარვალი და ერთი ხელი საცვალი მაინც ეყიდათ. ასეც მოხდა. ახლა თავს არჩეინად ვგრძნობდი. სხეულს მაინც დავიფარავდი. დღისით ყურს მუგდებდი უფროსი ამხანაგების საუბარს, კამათს ურთიერთ შორის, ღამით კი, როცა ყველა წეებოდა, კითხვას ან წერას ვიწყებდი, ვმეცადინებოდი. აქ შეიღჯერ გადაგივითხე და თითქმის დავიზიპირე ლენინის წიგნი „სახელმწიფო და რევოლუცია“, რომელიც ქართულად თარგმნა მალაქია ტოროშელიძემ. დღისით დარკინულ სარკმელში ვიხედებოდი და ციხის კედლებს იქით, ერთსართუ-



ლიან სოფლურ სახლსა და ეზოს მიეჩერებო-  
 დი. ამ ეზოში ზოგჯერ ვიღაც ახალგაზრდა  
 ქალი გამოჩნდებოდა, მსუბუქად გაივლიდა  
 ხოლმე მთელ ეზოს და ისევ იმ სახლში შებრუნ-  
 დებოდა. ეს ახალგაზრდა ქალი, ალბათ, არც  
 თუ ისე ლამაზი იყო, მაგრამ მე ნამდვილი  
 მზეთუნახავი, მეგობა, ცის ასული, რომელიც  
 შემთხვევით დატრენდა მიწაზე ალბათ იმი-  
 ტომ, რომ გვავარძობინოს რაა სიცოცხლე,  
 სიყვარული, თავისუფლების ჯადოსნური მიმ-  
 ზიდველობა. როცა ქალიშვილი თვალს მიეფა-  
 რებოდა, მერე მას ოცნებით გვხდავდი იმერე-  
 თისა და გურიის მთაგრებილთა სხეშფერქვე-  
 ულ მწვერვალებზე. მის სახეს დიდხანს თვალ-  
 თვან ვერ ვიშორებდი და თითქომ საალერსო  
 სიტყვებს დიდის სათნოებით ჩაჭურჩულვდები.  
 ასეთი ოცნებით სადღაც სხვა სამყაროში გა-  
 დავდიოდი და შევხვას ვგრძნობდი, მაგრამ  
 უცერად სარკმლის ცივი რკინა მომაგონებ-  
 და, რომ ეს ყოველივე ჩვენგან ძლიერ შორ-  
 საა, რომ სინამდვილე ამ რკინაზე უფრო ცი-  
 ვია, ბნელი და შემშლაველი.

ზანტად, უსიკოცლოდ გადიოდა ცივი ზამ-  
 თარი. გარედან კანტიკუნტად ჩვენამდე მოლ-  
 წეული ამბები იმედს გვაძლევდნენ, რომ ციხის  
 ცივ კედლებს თავს მალე დავაღწევდით და  
 საქართველოს განთავისუფლების დღეს მოვეს-  
 წვებოდით. მოწყენილობისათვის რომ თავი  
 დაგვეღწია, რაედენ კალამქმ ახალგაზრდა პა-  
 ტიმრების პატარა წრე მოაწყო და ჰდარაჯის  
 თამაშს დიდი მონდომებით გვასწავლიდა მოხუ-  
 ცი. ჰდარაჯის დაფა მაგინაზე დახატა, ფიგურე-  
 ბის მაგიერ ქვის კენჭები იმოვნა და ზედ დაა-  
 წერა რომელია მეფე, ლაზიერი, მხედარი თუ  
 პაიკები. მაგრამ ბევრი ჩვენგანი ამ თამაშსაც  
 გულს ვერ უღებდა. რაედენი გვიყვიროდა,  
 გვიციხავდა.

რეპრესიები ძლიერდებოდა. ს. მ. კირიკი  
 რუსეთში ვაგმზავებდა, ხოლო მისი მოადგილე  
 სერიოჟა ქვთარაძე დაპატიმრეს. მალე ისიც  
 ჩვენთან, ქუთაისის ციხეში შემოიყვანეს.

შენშვებიების აღსასრული ახლოვდებოდა,  
 თბილისი წითელმა ჯარმა დაიკავა, ხოლო თბი-  
 ლისიდან გამოქცეული მენშევიკური მთავრობის  
 წევრები და მათი მცველები ბათუმს მიაწვდნენ.  
 შეიარაღებული ბანდის ნაწილი ციხეში გა-  
 მოწყვედულ ბოლშევიკების დასარბევად ქუ-  
 თაისსაც ესტუმრა.

დღის პირველი საათი იყო. გაიღო ჩვენი  
 საკანის კარი და ციხის უფროსი რადაც ქალა-  
 ლით ხელში შიგ შემოვიდა. მან ხელის კანკა-  
 ლით ბათუმში გასაგზავნი მოწინავე ბოლშევი-  
 კების სია გადაიკითხა. ამ სიაში ჩემი გვარიც  
 იყო, მაგრამ სახელი შეშლოდათ. იაკინთეს  
 მაგიერ ივანე წაიკითხეს. ამხანაგების რჩევით

უფროსის თანაშემწეს ხმა არ გავეცი, სიაში  
 ამოკითხული ამხანაგები წაიყვანეს. ჩვენ კი  
 ნარებზე აქა-იქ ვისხედით თავჩაქინდრულნი და  
 ხმაგაქმნილი ველოდით, თუ გაბოროტებუ-  
 ლი მენშევიკები კიდევ რა ახალ ვერაგობას  
 მოიგონებდნენ. და მართლაც, ერთი საათიც არ  
 გასულიყო, რომ ისევ ახალი სიით მოგვადგნენ,  
 ახლა ციხის უფროსის მოადგილემ გაიღო კარი  
 და შემოვიდა. ეს იყო ყოვლად ვერაგი, ცხიერი  
 და ბოროტი კაცი. ბათუმში გასაგზავნად ახალ  
 სიაში 24 კაცი აღმოჩნდა. ციხის პატიმრებმა  
 გადაწყვიტეს წინააღმდეგობა გაეწიათ და საბ-  
 ყრობილიდან არ გასულიყვნენ. ასეც მოხდა.

გაფიცულები უხმოდ ისხდნენ ნარებზე. ლო-  
 დინი გრძელდებოდა.

კარების მკაცრმა ხრილმა მოულოდნელად  
 შეწყვიტა დუმილი. საკანში წინ ისევ ციხის  
 უფროსის მოადგილე, თვალმოწყურული შემო-  
 ვიდა. მას თორმეტი მაუზერისმომარჯვებული  
 მენშევიკი შემოჰყვა. ამ მაუზერისტებს ადამ-  
 მიანის სახე არ ჰქონდათ. თვალებს გვიცივთ  
 აქეთ-იქით აბრიალებდნენ და, ეტყობოდა,  
 მსხვერპლს უდიდესი წყურვილით ეძებდნენ.

ციხის უფროსის მოადგილემ ისევ იმ სიის  
 წაიკითხა დაიწყო, მაგრამ არა ისეთი სხაპასუ-  
 ზით, როგორც პირველად; პირიქით, პაუზით,  
 ალბათ იმ მოსაზრებით, რომ მაუზერისტებს  
 პატიმრების დარბევა მოესწროთ. წაიკითხავდა  
 თუ არა რომელიმე პატიმრის გვარს, ჩერდებო-  
 და, მაუზერისტები კი დაიძახებდნენ:

— რომელია, რომელი!  
 პატიმარი ხმის ამოღებას ვერც კი ასწრებდა,  
 რომ მიესვოდნენ. აქეთ-იქიდან მაუზერის ტარს  
 დაუშენდნენ თავში და სისხლში გასვრის  
 გამერიდან გარეთ გაათრევდნენ.

ავადმყოფი ანდრო დოლიძე, რომელიც იმ-  
 ვამად ლოგინად იყო ჩავარდნილი, ნარიდან  
 ძირს ვადმოადგეს და მაუზერები დასცხეს აქეთ-  
 იქიდან.

— ავად ვარ, განა ვერ ხედავთ? — შესძახა  
 ანდრომ, მაგრამ ხმა მალე ჩაუწყვიტეს, სისხლ-  
 ში გასვრილი გარეთ გაათრევს. ასეთივე ბედი  
 ეწია ტუბერკულოზით დაავადებულ ფილკოვს-  
 კის და ყველას, ვინც საყინად გაჰყავდათ.

ლამდებოდა, ციხეში ჩამიჩუმოც არსაიდან  
 ისმოდა. შემეჩხრებული პატიმრები ბუჩქებში  
 მიმაღული ჩიტებივით ციხის კუთხეში და  
 ნარებზე გატრუნულიყვნენ. ვარედან მხოლოდ  
 ძალის უფრო ისმოდა. კარი ისევ გაიღო. ახლა  
 ციხის უფროსი შემოვიდა. მისი განკარგულე-  
 ბით ვტოვებთ ამ ციხეს. გადავდივართ სხვა  
 ციხეში.

როცა კარგად დაღამდა, საკანში ნაძალადევი  
 ღმილით ისევ ციხის უფროსი შემოვიდა და  
 გვაცნობა, მენშევიკებმა დატოვეს ქალაქი

ციხის კარი ღიაა და შეგიძლიათ წახვიდეთ აქიდანო. მაგრამ ვერ გენდეთ, ვინ იცის, მგლის ღიმილი რას მოასწავებდა, თუმცა ჩვენც ვხვდავდით — კარები ღიად იყო დატოვებული. იქნებ პრაფოკაციას გვიწყობენ-თქო, ვამბობდით, თავს ვიცავებდით. მოთინიერებული ციხის უფროსი კი მთლად ჩვენთან ჩამოსახლდა, ღლიმებოდა, ქებას გვასახამდა, არ გვშორდებოდა. დღე იწურებოდა. უეცრად ციხის ეზოში ყიყინა და ცხენების თქარათქური გაისმა. ახლა კი თავი ვეღარ შევიკავეთ და ეზოში ხელგამლილნი გამოვიფანტეთ.

ცხენოსანი წითელარმიელები დავინახეთ ეზოში და მათ მივესიეთ. ვეხვეოდით, მხურვალედ ვკოცნიდით ერთმანეთს. ამ გარშობიერი შეხვედრის წუთები რომ დასრულდა, ახლა ცენტრალური ციხისაკენ გავემართეთ. ფართოდ გავადეთ ციხის კარები და აღფრთოვანებულ პატიმართა ყიყინაც გაისმა. შევექეროდი წვერ-მოშვებულ, განაწამებ ადამიანთა, ფერმიხდილ სახეებს, აღფრთოვანების ყიყინას რომ აღარ წყვეტდნენ, და ახლა უფრო ნათლად ვხვდავდი, თუ რას ნიშნავს თავისუფლება.

ქალაქის ცენტრისაკენ გავემართეთ. სახლების ფანჯრებიდან ტაშს გვიკრავდნენ და წითელ ცხვირსახოცებს გვიქნევდნენ.

ვიღაც ახალგაზრდა ვაჟი წითელი ნაჭრით ხელში მოვიდა ჩვენთან და მოგვამახა:

— აიღეთ, გაშალეთ, ძმებო!  
ჩვენ ეს ნაჭერი გოგზე დავამაგრეთ და მაღლა აღვმართეთ. ამან თითქმის ძალა შეგვმატა; მეტი ხალისით გავსწიეთ წინ. ამ დროს აქეთკენ წამოსული წითელი ჯარის ცხენოსანი ნაწილი შევინახეთ, მთელი გაქანებით ჩვენსკენ მოჰქროდნენ. რომ მოახლოვდნენ, სამხედრო კომისარი ლისოვსკი ცხენიდან ჩამოხტა და ჩვენთან ხელგამლილი მოიჭრა. ყველას სათითაოდ მოგვეხვია, დაგვეკოცნა...

რამდენიმე საათის შემდეგ ეს დიდი სიხარული მოგვიწამლა ახალმა ცნობამ: მენშევიკებს პირველ პარტიაში გაყვანილი ორი ამხანაგი სალორის ტყვეში დაეხვებოდათ და იქვე დაეწყათ.

ქუთაისში სამ დღეს დავრჩით. სიტყვებით გამოვდიოდით მიტინგებზე და მუშათა კრებებზე. ჯარიდან ლისოვსკი, ხოლო ციხის ამხანაგების სახელით მე გამოვდიოდი. მესამე დღეს გამოვმგზავრეთ თბილისში. გორში რომ მოვალეწიეთ, იქ ჩვენს შესახებდრად მოსულ ხალხს სახელდახელოდ მიტინგი მოეწყო. აქ მხოლოდ მე გამოვედი სიტყვით და ტანშემობივლი, გაქვალტყავებული, სულ რაღაც ოც-

დაორი წლის ბიკი ხელების ქნევით გავიძახოდი:

— გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!  
ისევ დაუბრუნდით საყვარელ თბილისს. აქ ახლა ყველაფერი სხვანაირად გვეჩვენებოდა: თითქოს სახლებიც კი თავისუფლად გამოიყურებოდნენ. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს საკუთარ სახლში ვიყავი. პირველად მშვედეთა პროფკავშირში მივედი. ჩვენებმა რომ დამინახეს, უცბათ ვერ მიცნეს: გაოცებული შემომყურებდნენ და ვერაფერი გავგოთ, თუ საიდან გაჩნდა ეს ძონებუმი გახვეული მაწანწალა, რომლის გაფითრებული სახე და სიღრმეში ჩაცვენილი თვალები რაღაც დიდი სიმშვილით გამოიყურებოდა. ცოტა კიდევ და ამხანაგებმა თითქმის ერთხმად წამოიძახეს:

— ნუთუ ეს შენ ხარ?!

ნამდვილი ადამიანური ცხოვრება აქედან დაიწყო.

მას შემდეგ რამდენად წავედით წინ წინ მიდიოდა ჩვენი ქვეყანა, ჩვენც მივყვებოდით მხარდამხარ; უზარალო მუშაში დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი და მეტი ცოდნით აღჭურვილი შევეცადე მეტი მიმეცა ისევ ჩვენი ქვეყნისათვის.

სამწერლო მოღვაწეობა კი დავიწყე ჯერ კიდევ მენშევიკურ საქართველოში და ჩემი პირველი ნაწარმოები დაიბეჭდა 1919 წელს. ამიტომ საპრობლის ზნელ კედლებშიაც ვწერდი ლექსებს, მოთხრობებს და ვიწოდებოდი როგორც მწერალი. მაგრამ სამწერლო ასპარეზზე შეუდარებლად უფრო ვრცელი სარბიელი მომეცა ჩვენს პირობებში. თუ მნიშვნელოვანი რამე შევქმენი, ეს მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში. ჩვენ პირველად ძალზე სუსტნი ვიყავით, სულ საშიოდვ კაცს დაეაარსეთ საქართველოში პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, ახლა კი საბჭოთა მწერლობა თავის რიგებში ზამას კაცს ითვლის. აი ზრდა! ასეთივე პროპორციით წავიდა წინ ჩვენი მეცნიერება, ხელოვნება, მთელი კულტურა და ეკონომიკა.

და, აი, ჩვენი დეაფაკაცებისა და აღორძინების ორმოც წლისთავს ეუახლოვდებით. საკითხავია, რით ხვდება ქართული საბჭოთა მწერლობა ამ ღირსშესანიშნავ თარიღს? რა შექმნა, რით შეუძლია იამაყოს? მე ეუახსუხებდები: ხვდება მრავალი რომანთა და მოთხრობით, ლექსებისა და პოემების წიგნებით, ლიტერატურული კრიტიკის მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით და აღორძინებული დრამატურგიით. მხატვრული ლიტერატურის ყველა თანას მიეცა ისეთი გაქანება, რომელზედაც წინათ ოცნებაც არ შეგვეძლო.





ქანსულ ჩაკვიანი  
გაიონე ჭანგუჩია

ყვარული, შენ...  
გზადღაგზა

გზადღაგზა

მარტის სუსტი მზე ათბობს მიწაში თესვს. ყვავიან ჭერებში. გადახული ველები ფერს უცვლიან ალაზნის ვრცელ ველს. ღრუბლის ნაგლეჯი გადაფარებია მზეს და ველზე ჩრდილის ვეება ხალიჩა გაფენილა, ჩახახა ნათელი შემოკალული. ეს ჩრდილი ნახნავის გაკრძელება ეგონება კაცს. და ეს ჩრდილიანი სივრცე გულს უკეთებს თაქარაში მომუშავე ტრაქტორისტს, რადგან ჩრდილიც ნახნავი ეგონება კაცს. ახლა ეს ჩრდილი განხორციელებულ სურვილად ეჩვენება ტრაქტორისტს. ჩვენ გზად მივდივართ. არავის არაფერს ვეკითხებით. არ ვიცით, ამ ნახნავეში რას დასთენენ, მაგრამ ეს ალბათ სულერთია. სიმინდი, პური, მწესუმწირა... თითქოს თანაბრად სჭირდება და უხდება ამ ბარაქთან მიწვევებს.

გზის გადაღმა მწვანემორეული ხეები აყვავილებულა. არ ვიცით რა ხეა, მაგრამ გვრცხდენია და არ ვკითხულობთ. უხნავეი ნიაფი წამოხებრვანე ბიბინებს კოჭამდე ბალახი. არც ამ ბალახის სახელი ვიცით, მაგრამ გვრცხდენია და არ ვკითხულობთ. მადლობა დმერთს, სოფელში შესვლისას მაინც ვიგებთ, სადა ვართ. „უფლისციხე“, — ვკითხულობთ ბოძვე გაკრულ აბრაზე. აივნივით ერთმანეთზე მიშენებული სახლები ქალაქს ამსგავსებს უფლისციხეს. იმერელი კაცა რომ პირველად მოხვდება აქ, ძნელად ირწმუნებს უფლისციხის სოფლობას. მთელი სოფელი მუსტი-ვითაა შეკრული. ეს წარსულის კარნახია, მწარე და სისხლიანი წარსულის კარნახი. ქართველს მხარში ქართველი უნდა დგამოდა. უფლისციხე, ეს ვეებერთელა ქართული სოფელი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, თუ რა ძლიერი აყო ქართველებში ერთად ყოფნის სურვილი. ამ ერთად ყოფნამ გადაარჩინა ისინი, ამ ერთად ყოფნამ გადაარჩინა უფლისციხე. ახლა უფლისციხე შექმნილი და ბედნიერი სოფელია. მშვენიერი, მაღალი, ნათელი. სახლები მჭერმეტყველურად დაპარაკობენ უფლისციხელების შექმნებზე. სიმდიდრეზე.

მისველ-მოხვეული ქუჩა მოთავდა და უკან მოვიტოვეთ უფლისციხე. თითქო შეგვეგვიანდა კიდევ გზაში. ჩქარა მივდივართ ახლა და უცებ მოვარდა ალაზანი. ალაზანი თითქოს იმის საბუთა, რომ ნამდვილად კახეთში ხარ. რიყეზე ხბოები ქვების ძირებში წიწწიან ბალახს. ჭადა გავიარეთ, მერე ისევ ჭადა. მზით გაჩახახებულ ველზე პაწია ჩრდილი ადგია.

— ნეტავ შორსაა კიდევ ყვარული? — იმ დროს იკითხა ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა, რომ ყველა მიხვდა, პირველად მიდიოდა ყვარელში.

ნელი წვიმა წამოვიდა და ყვარელმა ფართოდ გაგვიღო ცისარტყელის შეიღფერი ქიშკარი.

უკვამლო

მოდან სტუმრები ყვარელში, მოდიან, რათა იხილონ პოეზიის წმიდა ადგილი, გლეხკაცის პირთამდე საცხე ბელლებს შეავლონ თვალი, ვაზის ხმაური ისმინონ, მწესუმწირების მთვარეებით განათებულ მიწვევებს გახედონ, თოხის ტარებზე დაბჯენილ ბიჭებს გაესაუბრონ, მრავალამიერივით დაგებნილ მთებში განთქმული კულიგორა გამოარჩიონ და მერე ფონი ეძებონ ალაზანში, რადგან ძლიერია გაღმა ნაპირის ძახილი, რომელიც გეპატიუება, გიხმობს...



მოდან სტუმრები ყვარელში, მოდიან თვითმფრინავებით, ავტობუსებით, მანქანებით. ტელეფონორის მაწა ეკრანებით მშრომელთა ოჯახებში შედიან განთქმული მეცნიერები, ცნობილი მწერლები, საყვარელი ფეხბურთელები, ნაცნობი მსახიობები. ისინი თითქმის ამ ოჯახების წევრები არიან, მანქანები მოუთხოვენ ყვარლის მშრომლებს ჩვენი დიდი სამშობლოს დიად საქმეებზე, მის დღესასწაულზე, სიხარულზე, გამირობაზე, მომავალზე.

ყვარლის მშრომლებზედაც ბუფებით ეს ჩრდილის კაცები და ქალები, მათს შრომას აქებენ, მათს მოსავალს, მათს მარჯვენას.

ჩვენც ასეთმა სურვილმა მოგვიყვანა ილიას მიწაზე. გვიდა უფრო ახლოდან შევხედოთ დღევანდელი დღის გმირებს, მათი ხახები და სახელები დავიმახსოვროთ და მთელს საქართველოს გავავებინოთ მერე.

კომკავშირის რაიკომის წინ ვდგავართ და პირველ მდივანს სანდრო სეფაშვილს ველოდებით. მალე „კოლხოსნიკი“ მოადგა რაიკომის შენობას. შოფერი მაღალი, ქოჩორა ბიჭია. მალე ვიკებთ, რომ ეს „შოფერი“ სანდრო სეფაშვილია. გახარებული, გულწრფელი ღიმილით სავსე გვეგვებება და გვეცნობა. ცოტა ხანიც და სანდრო კახეისათვის უჩვეულო დუქნებით ვეპატიება შინ.

ს ა ნ დ ა ლ ა

- გამარჯობა, სანდალ!
- იცოცხლე, სანდალ!
- შენთან პატარა საქმეცა მაქვს, სანდალ!

სანდროს ყველასთვის ყოფნის თბილი ხიტყვა, კაი საღამო, გულწრფელი ღიმილი, მოსწრებული ხუმრობა. იგი ყველასთან შინაურია, მახლობელი. აი ეს ბიჭები, ეს გოგონები, ეს გათეთრებული გლეხები უიშისოდ ღზინს ღზინად არ თვლიან და ჭირს ჭირად. სანდრო მათთვის სანდალაა. ეს მეტსახელი რადია. „სანდრო“ უფრო ოფიციალურია, „სანდალა“ მეტ საყვარულს იტევს, მეტ სიხალავეს გაგრძნობინებს.

- ნიკაც იყო, გოგიაც, სანდროცა.
- რომელი სანდრო, სანდალა?

და ყველაფერი უფრო ნათელია. ვინც „სანდალა“ არ იცის კარგად, იგი „სანდროსაც“ არ იცნობს კარგად.

თავის სამ მმსთან ერთად ტოლებში გაეროდა სანდრო. დეღებებს წურავდნენ, ლიფსიტებს ტირიფის ტოტზე ასამდნენ, ბზოს მწყემსავდნენ, ჩვრით გატენილ ბურთს დასდევდნენ. ჭილის გვირგვინებს წნავდნენ, პეპლებს იქერდნენ, ძლივს შემოსული ტყეშილით კბილებს იკეთავდნენ, ყვავილს კრფდნენ, თივის ზვინებში კოტირალობდნენ, ნახნავში ჭიპყელას აგროვებდნენ, ან დათოვლილ ფერდობებზე მიატურებდნენ ცივას.

1956 წელს ყვარლის საშუალო სკოლა დაამთავრა სანდრომ. იმავე წელს დაუსწრებლად ჩაირიცხა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღე-მევენახეობის ფაკულტეტზე. მოწინავე მისიმიდის სახელი დაიგდო, ფრენბურთელთა რესპუბლიკური ნაქრების წევრი გახდა, მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მოინახულა, ყამირ მიწებზეც გახლდათ თავის მმსთან ერთად, კომკავშირის რაიკომის პირველ მდივანად აირჩიეს, მსოფლიო ფესტივალის დღეეგატის მანდატიც მისცეს, და მინც:

- აქეთ მომავოდე, სანდალ!
- შენ გაიხარე, სანდალ!
- სანდალა ბიჭო, სად დაგეკარგე!
- სანდალა! აუ, სანდალ! — ისმოდა მერეც.

მაღალი, კუნთმავარი ბიჭია სანდრო. ღამაზეც რომ ვვთქვა, არაფერი დაშავდებოდა. ასე-





თი ვაჟაკები ორ სახელსაც ადვილად უპატრონებენ, არც ერთს არ შეარცხვენენ, აუგს არავის ათქმევინებენ.

დედ-მამის სახლი გვერდითაა. ეს კი საკუთრივ ხანდროს სახლია. მისმა ბიჭმა, წლინახერის ბადრიმ „ჩაყარა“ ორსართულიანი სახლის საფუძველი: მომუშაული ბუნჩულა თითები ძლივს გაუხსნენ პატარას და სახლის საძირკველში ხურდა ფული და აგურის ნაფხვენები ჩააყრევინეს. — ასეა, ახა! მშენებელი უნდა გამოვიდეს ჩემი ბიჭი! — ღიმილით ამბობს ხანდალა. მერე მუხლებზე ისვამს ბადრის და ოჯახის დიასახლისის სადღეგრძელოს გვათავაზობს.

ხანდალა თავისი რაიონის, თავისი ოჯახის ერთგულია. შრომა უყვარს და სურფარცე, გიყვარდეს, თავისი სიტყვა აქვს. განსაკუთრებით უყვარს ყვარელი. ჰოდა, არ უნდა სხვა რაიონებს ჩამორჩეს. ღმერთმა ქნას, სხვებმა არანახული მოსავალი მოიყვანონ, ზღვა ღვიონ ჩაახან ქვევრებში, სიმინდით აავსონ ქვეყანა! ღმერთმა ქნას! მაგრამ ყვარელმა სხვაზე მეტი უნდა მოიწიოს! და აღდგერძელებს ხანდალა რაიონის მშრომელებს, რაიონის ახალგაზრდობას, იმ გოგონებებს, რომლებიც ცხოვრობენ და შრომობენ, უყვართ და იბრძვიან, რომ ჩვენს წუთისოფელს მეტი ფასი ჰქონდეს, რომ სამშობლოს შორს გაუყვარდეს სახელი, რომ მომავალმა საქართველომ დიდებით მოიხსენიოს თავდადებული, გმირი ადამიანები. ეს ის ახალგაზრდებია, რომლებიც სწავლასთან ერთად შრომობენ, ჩვენი მაღლიანი მზით ფავსე ძიწის ყოველ მტკაველს ნაყოფით ავსებენ, სხავებივით შეესევან მინდვრებს, თხლს გააღვიებენ, ვაზებს ჭიკობადა შეუდგებიან, ზრუნვას არ მოაკლებენ სიმინდის თვითფულ ღერს, მამულს ჯეჯილისფრად ხატავენ, მერე მკლავმოუღებელი მთას მივარდებიან და შიგ მთის გულში შვიდი კილომეტრის სიგრძის გვირაბს გაიყვანენ. ეს გვირაბი მალე ერთი პირველი ღვინის დამამკვებელი მარანი იქნება ჩვენს ქვეყანაში, რომელიც 2000 000 დეკალიტრ ღვინოს დიბიტვს.

ემაყება ხანდალას თავისი ბიჭები. მათს სიბეჯითეზე ყვება, კაიკაცობაზე, ასეთები არიანო, გაჩერებულს ვერ ნახავთო. მერე გვარებს და სახელებს ამბობს. ამაზე აუცილებლად დაწერეთო, ისიც უთუოდ ახსენეთო.

ჩვენი არჩევანი აკაკი ჯალალიშვილზე შეჩერდა.

— როდის წახვალთ შილდაში? — გვეკითხება სანდრო.

— დღესვე.

„ვოლგა“ ჩერდება.

— ამ ბიჭებს შილდაში ჩაიყვან.

— თუნდაც სტამბოლში.

გვეცინება. მერე მანქანაში ადგილებს ვიჭერთ და ჩვენს მასპინძელს დროებით ვეთხოვებით:

— ნახვამდის, ხანდალ!

— აბა, თქვენ იცით!

— ჩვენ მალე დავბრუნდებით, ხანდალ!

— არა, მე თვითონ ჩამოვალ შილდაში!

### „შილდაში გლარის დედას ლეკანა“

შილდა ულამაზესი სოფელია. არ ვიცით, როგორი იყო ის მაშინ, როცა დედას ლეკანა მღეროდა და აქებდა მის მშენებას. მაინც ეტყობა სოფელს ცვლილებები, რომელიც უკანასკნელ წლებში განუცდია. მაღალი, ლამაზი სახლები ერთმანეთზე მიჯრილიან. წითელი, ამობურცული კრამიტითაა დახურული ამ სახლების მეტი წილი, და ეს ფერი საოცრად უხდება მის ღრმად ჩავარდნილ ხევებსა და გარშემოწყობილ მთებს. აქ ვერ გეგარჩევ თავმჯდომარისა და ბუღალტრის სახლებს სხვებისაგან. ვისაც კარგად უშრომია და გემოვნებაც ჰქონია, კარგი სახლიც მასვე აუგია. სახლებზევე ეტყობა, აქა-იქ ზარმაცებიც რომ გარეულან სოფელში.

ჩვენი „ვოლგა“ კოლმეურნეობის კანტორის ეზოში გაჩერდა. აკაკი ჯალალიშვილი ვიკითხებო. დედამისს მარგო ვარდოშვილს უკვე ცოდნია ჩვენი ჩამოსვლის ამბავი. გულთბილად შეგხვდა და თავმჯდომარის კაბინეტში მიგვიწვია. კაბინეტი სუფთა და ლამაზია. ძველბურთი ავეჯითაა მორთული, მაგრამ ახალი ცხოვრების მაჯისცემას მაინც გაგრძობინებთ გარდამავად დროსა და კიდელზე გაკრული სიგელები. — ადრე სამი კოლმეურნეობა იყო შილდაში, — გვიხსნის აკაკი ჯალალიშვილის დედა. კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობას შენაკადებივით შეუერთებია კიროვისა და მესვეურის კოლმეურნეობები. ახლა სამივე ერთად კუბიშევის სახელს ატარებს. კოლმეურნეობას სათავეში სოციალისტური შრომის გმირი ვახილ ცისკარიშვილი უდგას.



— აკაკი თელავშია, მალე დაბრუნდება, — გვეუბნება ქალბატონი მარგო, — მანამ კი ჩვენს ოჯახში მობრძანდით, სხვებზე ნაკლებად არ გვიყვარს სტუმარი.

მალღობ, ორსართულიანი სახლის კიბეებზე აგვიძღვა დიასახლისი. აკაკის ველოდებით. სოფელი ცარიელია. ყველა სამუშაოზეა გაკრული. ახლა გლეხი თუ მოსამსახურე ავად უნდა იყოს, რომ შინ დაგინდეს. ახლა ყველა გლეხის ეზო ცარიელია და ხავსვა, ხავსვა ქათმებით, ინდაურებით, გოჭებით, და ყველა ეზოს თავის ბომბორა მურა ჰყავს. მარგომ თავისი უმცროსი ვაჟიშვილი გაგვაცნო. ირაკლი თბილისში მამიდასთან ცხოვრობს. მერვე კლასის მოწაფეა და ახლა არდადეგებზეა ჩამოსული დედ-მამასთან. ამ შუადღისას ალბათ მარტო ირაკლის აქვს მთელ სოფელში დასვენების უფლება. ირაკლი თავის ტოლებთან თამაშობს. ყველა მინდვრის სამუშაოზეა ახლა გასული. სოფელი ცარიელია და სოფელი ხავსვა მომავალი კომუნურებით. მომავალი ინტელიგენტებით, მასწავლებლებით, აგრონომებით, ინჟინრებით, ექიმებით, ისინი ახლა უდარდელად დარბიან ორღობებში და დამლობანას თამაშობენ.

გარეთ შრომაა, დიდი შრომა. საკომუნურნო მინდვრები ხავსვა ხალხით, შინ კი, სოფლის ორღობებში უდარდელად დატანალებენ ყვარლის რაიონის მომავალი აგრონომები, მომავალი ინჟინრები, მომავალი მასწავლებლები.

ჩვენ აკაკი ჯალალიშვილს ველოდებით...

### ა კ ა ძ

ბოლოს და ბოლოს ჩვენი მასპინძელიც დაბრუნდა, მაგრამ რად გინდა: „დავთესე — მოვიყვანეს“ არ გაშორდა მისი მოწყალო. ეს გამხდარი, ფერმკრთალი, პირტიტველა ბიჭი ყველაფერს აიოლებს. 1959 წელს 4000 კგ სიმინდის ნაცვლად 12 702 კგ სიმინდი მოუწვია. 1960 წელს აკაკი ჯალალიშვილზე გაპროგნოზებული ნაკვეთი ორჯერ დაუსტევეია. მაინც ბექტარზე 60 ცენტერი სიმინდი მოუწვია და გვიგმა ოცი ცენტრით გადაუტარებია, მაგრამ გულდაწყვეტილი დარჩენილა — თურმე დიდი ვალდებულება ჰქონდა ნაქისრი და ვერ შეუსრულებია. ნაყოფიერი ყოფილა 1958 წელიც — ამ წელს ოთხის ნაცვლად 12 ტონა სიმინდი ჩაუბარებია აკაკის სახელმწიფოხათვის. ეს წარმატებები კომპაგვირის ცენტრალურ კომიტეტს სიგელებით აღუთმნავს.

1961 წლის თებერვალში შილდის კუბიშვიცის სახელობის კომუნურნობაში მესიმინდეთა რგოლი ჩამოყალიბეს და მერგოლურად აკაკი აირჩიეს. რგოლი 15 კომპაგვირებს აერთიანებს. აკაკი სხაპახუბით ასახელებს მათ გვარებს: ილია ნიკოლოზიშვილი, გიორგი ხინჩაიაშვილი, ნოსრიცან მიჩილაშვილი, ბაადურ პეტრუშაშვილი, შიაა შქედელიშვილი, შიაა შქედელიშვილი, ნელი ასახაშვილი, კოლია ცისკარიშვილი, ლიპა დედიქსიშვილი, მერა უტურაშვილი, ელდარ ასახაშვილი, გოგი ასახაშვილი, ვაჟა იმერლიშვილი, ნელი ჩიქოვანი, ლეონა კაკონაშვილი...

1960 წელს კომპაგვირის ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს აკაკი. იგი ყვარლის კომპაგვირის რაიკომის შტატგარეშე ინსტრუქტორიცაა.

აკაკი რგოლს 15 ბექტარზე ფართობი აქვს გაპროგნოზებული. ახალგაზრდებს გადაწყვეტილი აქვთ ბექტარზე 31-ის ნაცვლად 140 ცენტრის სიმინდი მოიწვიან.

შეასრულებენ პირობას? უსათუოდ!

გაზეთს გაშლი და ნახავ, ვის როგორ უშრომია. ყოველდღე ქვეყნდება გაზეთში ბაწია ცნობები. ამ ინფორმაციებში ხშირად წააწყდებით ყვარლის რაიონის მშრომელებს. „ყვარელი. შილდის კუბიშვიცის სახელობის კომუნურნობის ბრიგადამ, რომელსაც ნახუიდა კურდღელაშვილი ხელმძღვანელობს“... და მერე გრძელდება, თუ რა გააკეთა ამ ბრიგადამ დიდი დღესასწაულის დირსეულად შესახვედრად.

გაზეთს გაშლი და ნახავ, თუ რა გაკეთდა ყვარელში შენი წამოსვლის შემდეგ, როგორ შეასრულეს ბიჭებმა დანაბრები.


მაგრამ მაინც სხვაა, როცა შენი თვალთ ხედავ ამ აღამიანებს. მათთან საუბრობ, მათთან ერთად ქიქა ღვინოს სვამ, იცინი, ხუმრობ. მათ ავიწყდებათ, რომ მოწინავენი არიან, ავიწყდებათ, რომ გმირები და განსაკუთრებულად აღამიანები არიან, ან საერთოდ არ ფიქრობენ ამაზე. უბრალოდ, ჩვეულებრივად საუბრობენ ისინი შენთან, მხარზე ხელს გირტყამენ, ოჯახის ამბავს გეკითხებიან, თავისას მოგითხრობენ და ხელდაც არაფერს ამბობენ შრომაზე. არც გაემტყუენებათ. ისინი ამ დროს ისვენებენ. შენ გაინტერესებს მათი ნაკვეთი, მათი ხარები, ისინი კი ისვენებენ და არაფერს ამბობენ არც ხარებზე, არც სიმინდზე, არც მწესუმწირაზე. უბრალოდ, ჩვეულებრივად საუბრობენ, მხარზე ხელს გირტყამენ, ოჯახის ამბავს გეკითხებიან, თავისას მოგითხრობენ, ისვენებენ და გახვენებენ.

გვიან დავტოვეთ აკაკი ჯალალიშვილის სტუმართმოყვარე ოჯახი. შვე ჩასულიყო, და ლურჯად მოსული საღამოს სიჩუმე ისმოდა ისე, თითქოს ათახი დედას ლევანა ერთად მღეროდა და აქებდა შილდელს გლეხის მოუღლოდ შარავენას.

გვ. გეგეჭორი

# ქვირუასი ქლაქიანები

სახაყები  
ს ნიყარაძისა  
და დურქისთავისა



ზღვა ახლა აღარ ხმაურობს ახლოს, აღარ ეხეთქება დაჟანგებულ ქვებსა და კენჭებს. იგი ხმაურობს შორს და მე მახსენდება მშით განათებული ქალაქი ზღვის პირას, სადაც მაშინ ჩემთვის ყველაფერი უცნობი იყო.

პარკის ბილიკებზე ეყარა ხრეში, რომელიც ხმაურობდა ფეხქვეშ. ბილიკებზე მიდიოდნენ უცნობი ადამიანები. ცრიდა შეუსვენებელი და წვიმის წვეთებიც იყო უცნობი. ისინი ეცემოდნენ უცნობი ქალაქის შენობების სახურავებს, უცნობ ადამიანებს, უცნობ მანქანებს. მჭე ანათებდა მხოლოდ შეადლისას. დილა უფრო ხშირად ღრუბლიანი იყო. მზეც უცნობი იყო. იგი სხვანაირად აცხუნებდა, უფრო მცხუნვარე იყო, უფრო სამხრეთული. იღვწალი შეუთ ანათებდა უცნობი შენობების ფანჯრებს, ფრანგთა ეკლესიის გადაღუნულ ჯვრებს, ოქროსფერი თევზის ვერცხლისფერ ფარფლებს, იგი მალე აშრობდა უცნობ ქუჩებს, რომლებიც ზღვისკენ მიემართებოდნენ და მერე ისევ უკან ბრუნდებოდნენ. იგი ანათებდა უცნობ ზღვას, რომელიც ნაპირთან ბრაზობდა და იმღვრებოდა, ხოლო შორს ხან ცისფერი იყო და ხან მშუქლურჯი. იგი ანათებდა პატარა მუუდრო ქუჩებს, პატარა არხებზე გაღებულ პატარა ხიდებს, პატარა ტროებს, სადაც თოქზე გასაშრობად ეკიდა თეთრეული და უცნობი დედაკაცები ხმაალა ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ. იგი ანათებდა ძველებური შენობების ნესტიან კედლებს, დაღლილი სვეტების ჩუქურთმებს და მანსარდების სამკუთხოვან ფანჯრებს...

ყველაფერი იყო უცნობი. უცნობი ადამიანები მიდიოდნენ ნავსადგურისაკენ, ადიოდნენ საზღვაო სამმართველოს შენობების კიბეებზე, შედიოდნენ ნავსადგურში, სხდებოდნენ ამწეების კაბინებში, ტრიუმიდან ამოქონდათ უქვილით დაკვირებული ტომარები, ნავსადგურში შემოხაყვით დათ გემები, იცინოდნენ, ოხუნჯობდნენ, იგინებოდნენ, ისინი ლოკატორებთან, სენიერებთან გაჰყავდათ ზღვაში, ისროდნენ ბადეს, აშენებდნენ ახალ თბომავლებს და ერთნაერთან ადუღებდნენ ფოლადის ფურცლებს...

**გამომთხენელაზი**

ისინი ახლა ჩემთვის ძვირფასი ადამიანები არიან, ძვირფასი და ძლიერი ადამიანები. ჰერონი გაწვდილ რკინის რელსებზე, რომლებსაც ნელა ეტყალაშუნებოდა დაღლილი ზვირთი, ისინი და ყვიროდნენ თოლიები. უცნობი ადამიანები მიათრევდნენ ფოლადის ფურცლებს, ადიოდნენ დაუშთავრებელი კატერის გემბანზე, ღებავდნენ სალონის კედლებს... გრუხუნებდა და ჭრალბებდა ამწე, რომელიც გადაბრუნებული თბომავლის კორპუსის გადმობრუნებას აპირებდა. ფოლადის ფანჯისფერ ფურცლებს ასველებდა წვიმა. წვიმა ასველებდა უცნობი ადამიანების მხრებსა და ზურგებს, ქულებსა და ქოლგებს და ჰაერში გაწვილ რკინის რელსებს.

— შეი, ივან, ივან! — ყვიროდა კატერის მოაჯირზე გადაყუდებული წითური რუსი. მას პატარა, წვრილი თვალები, თხელი ყურები და წვეტიანი ცხვირი ჰქონდა და ხაქისფერი პლაშჩი ეცვა. პლაშჩი გრძელი იყო და კოჭებამდე დასთრევდა. რუსი დაძაული იყურებოდა ნაპირისაკენ და კატერის მოაჯირზე უფრო ისრებოდა.

ზღვის ტალღები ნელა ეალერსებოდა ფანჯისფერ ქვებსა და კენჭებს, კატერის კედლებს და ომ კაცის ხელებს, რომელიც დახრილიყო და დიდ ლოდზე მოდებული რკინის მსხვილი ბაგარის განთავისუფლებას ცდილობდა.

— შეი, ივან, ივან! — ყვიროდა კატერის მოაჯირზე გადაყუდებული წითური რუსი. კაცი, რომელიც რკინის მსხვილ ბაგარს ეგაჯგურებოდა, წელში გაიმართა, ხელი მოიჩრდილა, ჩვენსკენ გამოიხედა, რა გინდაო, წითურს ანიშნა და ისევ წყლისკენ დაიხარა.

ცრიდა.

კატერი ნელა ირწეოდა ზღვის ნაპირთან. იგი ხმელეთთან დაკავშირებული იყო პატარა ხილით, რომელიც ხრიგინებდა და კატერის გემბანსა და რკინის მოაჯირს ეხეთქებოდა. კატერი ირწეოდა და ჩვენ თავის შეკავებას ცდილობდა. იგი არც თუ ისე დიდი ხანი იყო, რაც ზღვაში ჩაემვათ და ტალღები მხოლოდ ცარიელ კორპუსს აქანავებდა. ტენტის ქვეშ ვიდევით. სალონი ახლადშედებილი იყო. შუშის მიღმა ერთიმეორეზე მოწყობილი სავარძლები ჩანდა. მე თავის შეკავებას ცდილობდი, მაგრამ ერთხელ მაინც გავეხაზუნე სალონის თეთრად შედებილ კედელს და იდაყვი დავიხვარე.

ცრიდა და წვიმის წვრილი წვეთები ძალზე მომაბეზრებელი იყო.

მიღე ახალი კატერი უნდა ჩაემვათ ზღვაში და ნავსადგურიდან მოსული ბუქსირი ნაპირთან თუხთუხებდა. ბუქსირი ზევით ყვითლად იყო შეღებილი და ამ მომაბეზრებელი წვიმის ფონზე რაღაც მხიარულ სანახაობას წარმოადგენდა. ბუქსირზე ვიღაც ხელებს იქნევდა და ისიც მშკაც უყვიროდა, რომელიც დიდ ლოდზე მოდებული რკინის ბაგარის განთავისუფლებას ცდილობდა. ბაგარის ერთი ბოლო ბუქსირზე იყო გამოხმული, ხოლო მეორე — ახლახან აგებულ კა-

ტერზე. კატერი ვატერზაის ქვევით ცისფრად იყო შეღებილი, გადახურულ საამქროში იდგა და ზღვაში ჩაშვებას ელოდა. ჩვენ სხვა კატერზე ვიდექით და ბუქსირზე იმ კაცს ვუყურებდით, რომელიც ხელებს იქნევდა.

ისევ ცრიადა.

ბუქსირი ნაპირისკენ წამოვიდა. გაქიმული ბაგირი მოეშვა და იმ კაცმა, რომელსაც ბუქსირიდან უყვიროდნენ, რკინის ბაგირი გაათავისუფლა.

ბუქსირი ისევ დაშორდა ნაპირს და ბაგირი დაიჭიმა.


ჩვენი კატერის გემბანზე მდგარმა პირტიტელმა ახალგაზრდა ინჟინერმა ხმამაღლა გაიცი-  
ნა და შემომხედა:

— ახლა თქვენ იმას დაინახავთ, რისი დანახვაც გინდოდათ, — მითხრა და ბუქსირს გახედა.

წითური რუსი, რომელსაც პატარა წვრილი თვალები, თხელი ყურები და წვეტიანი ცხვარა ჰქონდა, ჩვენს კატერზე ამოვიდა და იმანაც ბუქსირს გახედა.

ყველანი ბუქსირისკენ იყურებოდნენ.

ისინი ჩემთვის უცნობი აღამიანები იყვნენ. ახლა კი მახლობლები არიან, მახლობელი და ძლიერი აღამიანები.



მე კარგად მახსოვს მათი ღიმილი, მათი საუბარი, მათი სიხალისე და სიზიზარული.

მე კარგად მახსოვს ერთი ტანმორჩილი ბიჭი, რომელსაც ამხანაგები შემოკლებით აფრას ეძახოდნენ. აფრასიონი ერქვა, გვარად დარასლია იყო, ლანჩხუთელი, ზემო ჩიბათელი. გემთ-მეკორაუსედ მუშაობდა, საშუალო სკოლა დაემთავრებინა, მერე სამი წელიწადი ოდესაში საზღვაო ფლოტში ემსახურა. აქ, ბათუმში, საერთო სა-

ცხოვრებელში ცხოვრობდა. იმ კატერს, რომელიც მეორე დღეს ზღვაში უნდა ჩაემვავთ, ცხვირწინ ნიჩბით ზვას უსუფთავებდა. ღონიერი ბიჭი იყო, ნიჩბსაც მარჯვედ იქნევდა. არკადიას ტიპის თბომავალი მშვიდად იდგა და ზღვაში ჩაშვებას უცდიდა. იგი მისი ნახელავი იყო, მისი და მისი ამხანაგებისა. ალალი ღმილი ჰქონდა. ხელი სწრაფად ჩამოშართვა, მერე სწრაფადე გაშორდა, ისევ თავის საქმეს მიუბრუნდა და მხოლოდ ხანდახან გამოშვებვდა და გამიღიმებდა ხოლმე.

მე კარგად მახსოვს კიდევ ერთი კაცი, რომელიც სამონტაჟო-მექანიკურ საამქროში გაიცანი — ნიკოლოზ გიორგობიანი. ქარხანაში გვართ არავინ იცნობდა, ძია კოლას ეძახდა უფროსი და უმცროსიც.

ძია კოლას ლურჯი თვალები ჰქონდა. ლურჯი თვალები არა ჰქონდა, ზღვაზე გაულურჯდაო, ასე ამბობდნენ თურმე. ნამდვილი ამბავი იყო თუ ტყუილი, კაცმა არ იცოდა. ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო. მთელი თავისი ცხოვრება ზღვაზე გაეტარებინა. შავ ზღვაზე, აზოვის ზღვაზე, კასპიის ზღვაზე... კასპიის ზღვაზე ტანკერზე ცურავდა. ტანკერს ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე ნავთი გადაჰქონდა. მერე აქ მოვიდა. მაშინ აქ ერთი პატარა შემკეთებელი სახელოსნო იყო, პატარა სამჭედლო იდგა, მერე სახელოსნო გემთშემკეთებელ სახელოსნოდ გადაიქცა, ახლა კი გემთშემკეთებელ ქარხანას ეძახიან. მაშინაც აქ იყო ძია კოლა და ახლაც აქ არის. კიდევაც დიდხანს იქნება. არსად არ ეჩქარება, არსად არ უგვიანდება, ზღვასთან ჯობია. არც ქუდს მოითორებს, არც პაპიროსს მოითორებს. თუ პაპიროსს არ მოუყიდა, საუბარი საუბარს არ ემგვანება, დაცადე მოუკიდოს. მერე გიყვარდეს, მოგიყვება. შენც მოგისმენს, ცალ ყურთან ხელს მიიტანს და ყურს ახლოს მოგიტანს, ზღვა ახლოა, ხმაურობს...

კასპიის ზღვას გაიხსენებს, ნავთსაც გაიხსენებს, თავის ორ ქალიშვილსაც გაიხსენებს, ერთი ფეოდალისიაში ჰყავს გათხოვილი, მეორე — აქვე, ბათუმში. პატარა შვილიშვილსაც გაიხსენებს,

ომსაც ვახსენებს, ბშირად ზედისეად სამი დღე და ღამე არ გვეძინაო, ღამითაც ვმუშაობდითო. მაღალეულიან ჩემებზე დაირტყამს ხელს, თვალებს მოკუტავს, დაფანჩულ წარბებს ერთად შეიგროვებს და მეწვავურულ ტყუილსა და მართალს აურევს. თუ დაიჯერებ—დაიჯერებ, თუ არა და შენი ნებაა, არავინ დაგმედურება...

თავისი საქმე იცის ძია კოლამ.

კატერზე ძრავის დამონტაჟება და ღერძის ხაზის შეერთებაა მისი საქმე.

ზეთში გახვრილი ძია კოლა ქარხნის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა ენვერ მაღაზო-ნიამ გაამცნო. მაშუთით დასვრილ ხალაზე სხვადასხვა ფერის ღილები ეკერა. კაშენიშხვეული ღდა და დაბნეული შემომცქეროდა. დაბნეულობა მალე გაქრა და ერთმანეთს მალე გავუშინა-ნურდით.

კატერის გემბანი ნელა ირწოდა. ზღვის ზედაპირზე ამოდიოდნენ მედულები. ცრიდა. ყვიროდნენ თოლიები. ფოლადის უანგისფერ ფურცლებს ასველებდა წვიმა, წვიმა ვავსებლებდა ჩვენ. და მე მიხაროდა, რომ ჩემს გვერდით იდგნენ ძლიერი ადამიანები.

ჩემს გვერდით იდგა ენვერ მაღაზონიაც. იგი თითქმის ჩემი ტოლი იყო. კარგი ჩამწკრი-ვებული კბილები ჰქონდა და სიცილი უხდებოდა. უმადლესი სასწავლებელი თბილისში დაემთავრებინა. ძალიან ნაცნობი სახე ჰქონდა. ვერაფრით ვერ ვავიხსენე, სად შენახა. იქნებ არც არსად შენახა, მაგრამ მაინც ძალიან ნაცნობი სახე ჰქონდა. ძალიან კარგი ბიჭი იყო. რაც მაინტერესებდა, პირდაპირ ვუთხარი. ქარხანა დამთავალიერებინა, მუშები გაამცნო. კომკავშირის კომიტეტის ოთახშიაც კარგახანს ვისაუბრეთ. მართლა კარგი ბიჭი გამოდგა. მერე მითხრა: კატერის ჩაშვებას რომ დავაპირებთ, უსათუოდ დაგირტყავ, საინტერესოაო. მეორე დღით და-შირტყა სასტუმროში, ამა და ამ სათზე მოდიო.

ახლა, როდესაც ისინი შორს არიან, მე ტკბილად ვიხსენებ სიხარულითა და დიდი სინათ-ლით გაბრწყინებულ მათ სახეებს. ტკბილად ვიხსენებ მარტის იმ ცვალებად დღეს, როდესაც ჩვენ კატერის გემბანზე ვიდექით და ახალი კატერის დაბადებას შევეყურებდით.

ისინი ჩემს გვერდით იდგნენ. ბუქსირმა გაიწია და ბაგირი დაიჭიმა. კატერი საამქროდან დაიძრა და ზღვაში ჩაეშვა. წყალმა ჩაიწია და მერე, გამოფხიზლებული, ისევ კატერის ცისფრად შეუღებო კედლებს მიაწყდა.

ისინი ახლა შორს არიან და მე ტკბილად ვიხსენებ იმ ახალგაზრდა ინჟინერს, რომელიც ასე ვეღვლიად მესაუბრებოდა. ვიხსენებ ტანმორჩილ ბიჭს — აფრასიონ ღარსალიას, რომელიც გემთსაკობაშუსო საამქროში ნიჩაბს მარჯვენდ იქნევდა და კატერს ცხვირწინ გზას უსუფთავებდა. ვიხსენებ ლურჯთვალეზიან ძია კოლას, რომელიც მერე წყალში ჩაშვებულ კატერზე ძრავს დააბონტებდა და ღერძის ხაზს შეაერთებდა, და ბოლოს, ვიგონებ ენვერ მაღაზონის, ქარ-ხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანს, რომელთანაც მე ძალიან ბევრი რამ ვამოგვანებ საერთოდ და რომელსაც ძალზე უხდებოდა სიცილი.

ყველანი სიყვარულით შესცქეროდნენ წყალში მოქანავე კატერს, რომელიც სულ მალე გავიდოდა გაშლილ ზღვაში და ივლიდა ბათუმიდან ციხისძირამდე და ციხისძირიდან ბათუ-მამდე, ან გაგრიდან ბიჭვინთამდე და ბიჭვინთიდან სოხუმამდე, დაირწოდა ზღვის უწარმაზარ ტალღებზე, მის გემბანზე გადაივლიდა უწარმაზარი ზვირთი და გემბანის მოაჯირზე ჩამოსხდე-ბოდნენ ქართან ჭიდილით დაღლილი ფრინველები...

ახლა ისინი შორს არიან და მე ტკბილად ვიგონებ მათ, ოდესაც ჩემთვის უცნობ ადა-მიანებს, რომლებიც ახლა ესოდენ მახლობლები არიან...

### მითხვებები

მზე ეაღერსებოდა მოხუცის ძვლებს. იგი აცხუნებდა მხრებზე და ზურგზე, ნაოქიან კისერ-ზე და დასერილ და მშთი დაწვერა ხელებზე. ზღვის პირას იჯდა მოხუცი. იქვე სენიერებო ქანაობდნენ და ერთმანეთს ეხსუნებოდნენ.

თბილი იყო გაზაფხულის მზე. თბილი იყო ის დიდი ქვაც, რომელზედაც მოხუცი მე-თეფზე იბრაპიმ სეიდიშვილი იჯდა და იღიმებოდა.

მოხუცი მხოლოდ ახლა არ იღიმებოდა. იგი იღიმებოდა, როცა შვილიშვილები მუხლებზე ეხვეოდნენ და პირისხეზე თითებს უყვარებდნენ, იღიმებოდა მამისადა, როცა ბადე სხვებთან ერთად ზღვიდან ამოქონდა და სენიერის გემბანზე ფართხალედა ცოცხალი თევზი.


სიტყვაძვირია იბრაპიმი. მისი სიტყვა ღიმილია. ზღვასავით მუნჯია და ზღვასავით ხმაურია-ნი. ზღვა არის მისი სიმღერა და თვითონაც ზღვა არის.

ზღვა მისი მეგობარია, მისი შვილია, მისი მამაა, მისი მკურნალია. თუ რაიმე ასტკივდა, ზღვასთან მიდის, წამალს და ექიმს არ გაიკარებს, ზღვა უშველის, ზღვა მოარჩენს.



ცოტა ლაპარაკი იცის იბრაჰიმმა. ახლა ცოტა შინაც იცის, წინათ სულ არ იცოდა. ახლა დაბერდა და ლაპარაკიც გაუტკბა. ამ ბოლო დროს ბურანში წასვლაც დასჩემდა. ვერავის ძახილს ვერ გაიგონებს, თავს არ მოაბრუნებს, ყურს არ შეიბერტყავს. მხოლოდ წღვის ძახილი ესმის. ბავშვობიდან ეყურება ეს ძახილი. ამ ძახილმა თავისდროზე ხმელეთის ძახილს აუჯობა, წურჭი შეაბრუნებინა და წღვასთან ჰქიდილი და წღვაზე ცხოვრება აარჩევინა. შეიღმა ვერ გაუძლო და უღალატა იბრაჰიმს, წღვიდან გამოექცა. ბევრი ეძუდარა, ჩემთან დარჩი, ნუ მიმტოვებო. მაგრამ მუდარამ არ გაჭრა, არ დაუჯერა. ვერ აიტანა შეიღმა მკაცრი და ხასტიო წღვა, ვერ გაუძლო წღვასთან ჰქიდილს და გაექცა. სადღაც არტელს შეაფარა თავი და წღვას არ ეკარება. წღვისა არასოდეს არ შინებია იბრაჰიმს. ვინც წღვაზე ძლიერია, იმას არ ეშინია წღვისა, წღვა მისი მეგობარი იყო, მისი სიყვარული.

უყვარდა იბრაჰიმს ეს მლაშე წღვა და ბადეში აფართხალებული თევზი, ქარი და ქარაშოტი, რყევა და რწყევა, ჭრიალი და გრიალი, დაწყვეტილი ბაგირები და წღვაზე გაფენილი ბადეები, რომელშიაც მზე იხლართებოდა.




ახლა მისი სიენერი წღვისპირას ისვენებდა. ამხანაგებიც ისვენებდნენ. მოხუცი ბრიგადირი კი დიდ ჭვანტ იჯდა და მზეს ეალერსებოდა. იგი აცხუნებდა შუბლზე და მოკლედ შეკრილ ვერცხლისფერ თმაზე, რომელიც მზეზე ბზინავდა და ბრწყინავდა, აცხუნებდა მარილიან სახეზე და გაუხეშებულ კანზე. თვალებს ჭუტავდა მოხუცი და ილიმებოდა.

ვის უღიოდა მოხუცი? წარსულს? წღვას? მზეს? — არავინ იცოდა.

წინარები სოუქსუს სასაფლაოზე იწვენენ. მათი ბადეები, რომლებიც შავ წღვაში მიჭონდით და თევზაობდნენ, სარდაფში ეკიდა დამონძილი და დაფხავებული. ახლა სხვანაირი ბადეები იქსოვებოდა, კაპრონისა, და თუთიის ნაცვლად პენომლასტებს ხმარობდნენ, უფრო მჩატე იყო, არცა ტყდებოდა და არცა ლებოდა. იბრაჰიმის მამის დროს შავ წღვაში სტავრიდულა არ შემოდიოდა. სულ რამდენიმე წლის წინ შემოვიდა. შემოვიდა და გასაქირში ჩავარდნენ ბათუმელი მეთევზეები. ის ბადეები, რომლებითაც ისინი თევზაობდნენ, ვერ იჭერდნენ სტავრიდულას. მაშინ კრებანზე გამოვიდა იბრაჰიმი: თქვენ ბადე მომეცით და მე ხელაწლა მოვქსოვო. ბევრი იკამათეს, აწონეს, დაწონეს და მისცეს. თორმეტტონიანი ბადე მოქსოვა მაშინ ხელით იბრაჰიმ სეიდნევილმა, და დაიჭირეს სტავრიდულა ბათუმელმა მეთევზეებმა. დაიჭირეს და მერტ რამდენი.. იბრაჰიმის მოქსოვილი ბადის სქემა რომელიღაც რუსულმა უურანლმა დაბეჭდა, რედაქციამ უურანლიც გამოუგზავნა და მოხუცმა სადღაც შეინახა. გუშინ ეტება და ვერ იბოვა. ამაღამ მოაძებინებდა ბავშვებს, მქონდეს ოჯახში, რატომ უნდა დაიკარგოს..

ხვალ დილაშდე დიდი დრო იყო.



ამაღამ შვილიშვილები აღბათ კინოში წყევანას დაუპირებდნენ, მაგრამ იგი როგორმე თავს დაიძვრენდა, კინო არ უყვარდა მოსუცს. კინოში ხანდახან ზღვასაც აჩვენებდნენ ხოლმე, მაგრამ ზღვა ისეთი არ იყო, ზღვას არ ჰგავდა, ზღვა სულ სხვანაირი იყო. გუშინ რომელიღაც ფილმი ენახათ ბავშვებს. მოსუცებული მეთევზე დიდ თევზს დიდხანს მისდევდა, მერე დაპირილ თევზს ზვიგენები ესწოდნენ თავს და ნახსადგურში თევზის ჩონჩხილა მოჰქონდა თურმე. მოხუცი სახითაც და ტანითაც შენა გვავსო, — შვილიშვილებმა უთხრეს. მაშინ გაიცინა და არაფერი თქვა. ვითომ მართალი იყო? იქნებ მართალიც იყო, მაგრამ ამის გასაგებად ამაღამ კინოში მიიწვ არ წავიდოდა.

ხვალ, გარეგარეუნი, როცა ბინდში გახვეულ მთვლემარე ქალაქს ზღვაური დაუბერავდა, იგი აღგებოდა და ისევ აქ მოვიდოდა. მთვლემარე სენიერება, რომლებსაც გააღვიძებდნენ ნამძინარევი მეთევზის ხელები, გამოფხინდებოდნენ და ზღვაში თამამად შევიდოდნენ.

ეს იქნებოდა ხვალ დილას. ხვალამდე კი დიდი დრო იყო.

მიხუცი იჯდა დიდ ქვაზე და იღიმებოდა.

იგი იღიმებოდა, როცა შვილიშვილები მუხლებზე ეხვეოდნენ და პირისახეზე ხელებს უცაცუნებდნენ, და იღიმებოდა მაშინაც, როცა ხაღე სხვებთან ერთად ზღვიდან ამოჰქონდა და სენიერის გემბანზე ფართხალებდა ცოცხალი თევზი.

ხვალ დილით ზღვაში შალვა მეგრელიძის სენიერიც გავიდოდა.

გარეგარევის მთროლღვარე ბინდში სენიერზე ავიდოდნენ მამაცი და ძლიერი მეთევზეები, ჩემი მახლობელი ადამიანები. მათ ისევ დარწევდა ზღვა და ისინი კვლავ შეუდგებოდნენ თავის საქმიანობას. ხვალ აქ ისევ მოვიდოდა სიმპათიური შესახედაობის კაპიტანი შალვა მეგრელიძე, რომელიც ასე ძლიერ უყვარს სენიერის მთელ ეკიპაჟს, ისევ მოვიდოდა კაპიტანის თანაშემწე ვლადიმერ აფხაზავა, უფროსი მექანიკოსი საშა გორიაჩიკოვიც, რომელმაც სენიერზე მეთევზეებისათვის ახანო გააკეთა, ისევ მოვიდოდნენ მეზღვაურები ომარ აბუსერიძე და დურსუნ ფატალიძე, თავის რადიოს ისევ მიუჯდებოდა ქერა რადისტე ვალოდია გლეგოვი და თავის სამზარეულოს ისევ მიაშურებდა მძალი და პირხმელი მზარეული ივანე შაკა...  
ამ ახალგაზრდებს აკავშირებდა ეს სენიერი, ეს ზღვა, ეს წვიმა, ეს ქარიშხალი, ერთად გატარებული დღეები და ღამეები, ზუმრობა და დარდი, ღელვა და სიმშვიდე, და ბოლოს თევზი, რისთვისაც ისინი ვადიოდნენ ზღვაში და ერთად ატარებდნენ მშვიდ და ქარიშხლიან დღეებსა და ღამეებს. ეს თევზი ხან ხამსა იყო, ხან ღორჯო, ხან სტავრიდულა, ხან პელამილა, ხან სკუმბრია...

ამ ახალგაზრდებს აკავშირებდა ეს სენიერი, ეს ზღვა, ეს წვიმა, ეს ქარიშხალი, ერთად გატარებული დღეები და ღამეები, ზუმრობა და დარდი, ღელვა და სიმშვიდე, და ბოლოს თევზი, რისთვისაც ისინი ვადიოდნენ ზღვაში და ერთად ატარებდნენ მშვიდ და ქარიშხლიან დღეებსა და ღამეებს. ეს თევზი ხან ხამსა იყო, ხან ღორჯო, ხან სტავრიდულა, ხან პელამილა, ხან სკუმბრია...

ხამსასა და სტავრიდულას შავი ზღვის სანაპიროზე იქერდნენ, ბათუმიდან ქერჩამდე, პელოპონდის — ყირიმისა და ჩრდილოეთ კავკასიის ნაპირებთან და გაშლილი ზღვის ნეიტრალურ წყლებში, სკუმბრია — ოდესსთან და შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ღორჯოს აზოვის ზღვაზე... ზღვის დაწყნარებამდე ხან გელენჯიკში აფარებდნენ თავს, ხან სოსუმში, ხან ქერჩში, ხან იალტაში...

სულ რამდენიმე დღის წინ დიდი ქარიშხალი ამოვარდნილიყო ზღვაზე. ფოთის იქით ყოფილიყვნენ, ანაკლიასთან. ამინდის ბიუროს ცნობა წინასწარ ბქონდათ მიღებული, მაგრამ დავალებს სასწრაფო იყო. ძლივს შეესწროთ ფოთის პორტში და ნადავლი ძლივს გადაერჩინათ. რამდენიმე სენიერი, მათ შორის, გვიც უკლებას სენიერიც ვერ შესულაყო ფოთის ნახსადგურში და ბათუმისკენ წამოსულიყო. ბათუმის პორტიდან წარმოებას დასახმარებლად გემები გაეგზავნა, მაგრამ დახმარება აღარ დასპირებიათ და თვითონვე შემოსულან ნახსადგურში, თუმცა თევზი კი გადაუყრიათ ზღვაში. რას იზამ, ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე!..



შარშან ანაპასთან, ქერჩის რაიონში, თევზჭერის დროს შალვა მეგრელიძის მეთევზეებს შუუნისწავთ, რომ სენიერი „საფორონი“ ყურადღების მისაკცევად მამხალეებს ისროდა და რა-



დიოთი გადმოსცემდა, რომ ცულ დღეში იმყოფებოდა და იძირებოდა,—თურმე ომის დროს ჩაძირული გემის ანძებზე გაენგროა ფსკერი. შალვა მეგრელიძის ბიჭებმა მამინ დიდი ვაჟაცოცხლა გამოიჩინეს, ხალხიც გადაარჩინეს, თევზსაქერი ბადებებიც, რადიოსადგურიც, ელექტროსანავიგაციო მოწყობილობაც...

ბევრი რამ ახსოვდათ შალვა მეგრელიძის სეინერის მეზღვაურებს. ბევრი რამ იყო ტკბილად მოსაგონებელი. თვითონ სეინერის კაპიტანიც საყვარელი კაცი იყო. ბათუმი იყო მისი შობლიური ქალაქი. ბათუმში დაემთავრებინა საზღვაო ტექნიკუმი, გემბზეც დიდხანს ემსახურა კაპიტანის თანაშემწედ, რამდენიმე წელი ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელში პედაგოგადაც ემუშავა, ერთი წელი პორტის კაპიტანიც ყოფილიყო, მერე ამ სეინერზე მოსულიყო...

დღეები დღეებს მისდევდა. ხან წვიმდა, ხან ნისლი იყო, ხან მზე აცხუნებდა. მეთევვეები ხან ზღვაში იყვნენ და ხან ზღვის ნაპირს უბარუნდებოდნენ. ბრუნდებოდნენ ნადავლით დატვირთულნი, ბრუნდებოდნენ შობლიურ ქალაქში, სადაც მათ ელოდნენ მათთვის ძვირფასი ადამიანები, მოსტუცი დედები, ცოლები, შვილები... კაპიტანმა ყველას აჯარგი იცოდა. იცოდა, რომ დურსენ ფატლამ ახლა აშენებდა სახლს და მოუთმენლად ელოდა ბათუმში დაბრუნებას. იცოდა, რომ ოცი წლის ომარ აბუსერიძეს საცოლზე ჰყავდა და მალე ცოლად მოიყვანდა კიდევაც. სოკში კაპიტანს ფული დაესხსა. კაპიტანმაც ხელი გაუმართა და ომარმა საცოლეს საქორწინო ბეჭედი უყიდა. ჩემს ქორწილში თამადა შენ უნდა იყო, — წინდაწინ მოურჩიდა კაპიტანს, მაგრამ კაპიტანმა იუარა, — გურულ ოკუნებს ბევრს ვერ დავლევ, თამადობას ვერ შევძლებ, სხვა მონაბეო. ფიცზე გურულს ამის ვაგონებაც არ სურდა. ცხადი იყო, რომ კაპიტანს ახლოხანში თამადობა არ ასცდებოდა...

მოიღებდნენ მეთევვეები...

სიმღერას წამოიწყებდა ქერა რადისტის ვალოდია გლებოვი. ვალოდიას აპყვებოდნენ მხიარული მეზღვაურები და თავის ხელობით ქორწილში თავს მოიწონებდა მაღალი და პირსმელი მხარეული ივანე შაქა...

ხვალ დილით კი სეინერი ზღვაში გავიდოდა.

იხტე დაირწეოდა სეინერი ზღვის ტალღებზე გარიჟრაჟის მთვლემარე ბინდში. მერე სადღაც, ანაკლიასთან თუ ანაპასთან, ზღვაში ჩაუშვებდნენ კოჭზე დახვეულ ბადეს. წყალში ჩაშვებულნი ნავი ერთ ადგილზე გაჩერდებოდა, სეინერი წრებს მოხაზავდა და როცა ბადის ჩაშვებას მოათავებდა, ნავთან მოვიდოდა, ბადის მერე თავსაც ნავთან მოიტანდა, მერე ბადის ფსკერი შეიკვრებოდა, გემზე ბადეს აიტანდნენ და გემბანზე იფართხალებდა ცოცხალი თევზი...

და მამინ, როდესაც მოვიდოდა საღამოს ბინდი, და, როცა, სადღაც, ანაკლიასთან თუ ანაპასთან, დაისვენებდნენ დაღლილი მეთევვეები, ბათუმის ნაწივმარი და სველი ქურჩების ტროტურარებს აკომიცილებოდა გაჩირაღდებულნი ფანჯრებისა, ვიტრინებისა და მანქანის ფარების ანარტელი, შენობებისა და გაშლილი ხეების ბუნდოვანი და გაურჩეველი სილუეტები... ქურჩებს აახმარებდა ახალგაზრდების სიცოლი, მოხუცებულები ერთ ჭიჭა ყავაზე გაიხსენებდნენ 1902 წლის მარტის დაუფიწყარ და გმირულ დღეებს, როცა მეფის უანდარბები როტშილდის ქარხნის გაფიცულ მუშებს მუხანათურად უსწორდებოდნენ, ვახსენებდნენ ბათუმიდან მენშვიეკების გაქცევას... კინოს ეკრანებზე მაჟორებელთა გულისტეგრაში და ტანკების გრუნუნში თავის საქმროს ომში გააცილებდა ტატიანა სამოილოვა და ზვიგენებთან ორთაბრძოლაში დაიქანცებოდა ჰელიფულელი მსახიობი სპენსერ ტრესი...

პ ო რ ტ ი


ახლა შორს არის ზღვა და ნავსადგური, ჩემი ბავშვობის განუყრელი ოცნება, დიდი სატვირთო და საოკეანო გემები, წელამდე შეშველი მეზღვაურები, რომლებიც კაიუტებში თამაშობდნენ დომინოს, საღამოობით ერთობოდნენ მეზღვაურების კლუბში და ქურჩებში მიდიოდნენ რწევით, თითქოს გემბანზე მიაბიჯებდნენ.

ახლა შორს არის ზღვა და ბათუმი, ნავსადგურის მოაჯირი, რომელსაც ვეყრდნობოდით და დიდხანს შევცქეროდით სატვირთო ტანკერებს, დახვებულ ბარკასებსა და პატარა ფელუგებს...

შორს არის დიდი ნავსადგურის ხმაური და სუნთქვა, ტელეფონების გაბმული წკრიალი, მავთულების წრიალი, ნავსადგურში შემოსული საბარგო მატარებლების ვაგონების ჯახჯუხი და გრუნუნი. ტრიალებდნენ ამწეები. ნავსადგურის მისადგომთან იდგა სატვირთო გემი, რომლის ტრომინდანაც ამწეებს ფქვილით სავსე ტომრები ამოჰქონდათ. ახლა შორს არის კომპლექსურ-მექანიკური ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი ნოდარ რამიშვილი და ფქვილით გათეთრებული მუშები ნოდარ ჯანელიძე, ნოდარ ჩხეიძე, ჭუპა დელია, რომან კეკელიძე...

ახლა შორს არის საშუალო ტანის ხილისთაველი ბრიგადირი, რომელსაც ნავსადგურში ზედ-მეტსახელად „პერსიანას“ ეძახოდნენ.

ამწებებს გემის ტრიუმიდან ამოჰქონდათ და ვაგონის კარებთან მიჰქონდათ ფქვილით სავსე ტომრები, გემბანის მოაჯირზე გადმოყუდებული ვაბტურმანი თვალს ადევნებდა გემის განტვირთვის. მზე ხანდახან ამოდიოდა და მერე ისევ ღრუბლებს ეფარებოდა. სადღაც შორს ფარფატებდნენ თოლიები. ნავსადგურში შემოდიოდა ლევანტის სავაკრო გემი „სანტა ანტონია“, პორტში მის შემოსავანად რამდენიმე ხნის წინ ნავსადგურის საღისპერეოდან გამოვიდა მთავარი ლოცმანი მიშა ისკანდერაშვილი, რომელსაც სალოცმანო კურსები ოდესაში ჰქონდა დამთავრებული, კარგი ვაჟკაცი იყო, ასე ოცდათხუთმეტი წლისა. ინგლისური იყოლა კარგად ახლა მიშა ისკანდერაშვილიც შორსაა.




ჩვენ ორნი ვიყავით — მე და უზნის უფროსი სერგეი კოტილაროვი. გურული კაცი, ხანშიშესული, ორი ბიჭის მამა. უფროსი მოსკოვში სწავლობდა თურმე, უმცროსი — ლენინგრადში. უმცროსი სუსტი იყო და ხშირად ავადმყოფობდა. მამას საუბარზე ეტყობოდა, ძალზე დარდობდა, ერთი წლით უნდა ჩამოვიყვანო, ზღვის ჰაერი მოუხდებოდა.

ჩვენს შორიანლოს პორტის კაპიტანი ხალილ ფშანავა იღვა. აფხაზი, ცისფერთვალბიანი, შავი ხეუტე თმა ჰქონდა, შავი კოსტუმი ეცვა, შავი ყელსახვევი ეკეთა. ბათუმის საზღვაო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, ვეშაბთშეკერი გემის კაპიტანიც ყოფილიყო ერთხანს. სამივენი საღისპერეოში შევედი.

„სანტა ანტონია“ ნავსადგურში შემოდიოდა.

საღისპერეოში ნავსადგურის დისპეტერი გიორგი არჯევანიძე იჯდა და დავთარში რაღაც იწერდა, როცა შევედი, სათვალე შუბლზე აიწია, კალმისტარი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა, ხელი ჩამოგვართვა და ისევ დავთარს მიუბრუნდა. ხანშიშესული კაცი იყო, 1888 წლიდან აქ მუშაობდა თურმე. იქვე მაგიდასთან ახალგაზრდა ბიჭი იღვა. ღუმელი ჩამოვარდა. ყველანი ხელექტორს მივჩერებოდით. თერთმეტი საათიდან საღისპერეო თათბირი იწყებოდა. ხელექტორებს მიუხსნებოდნენ ბათუმსა და ტუაფხეში, ნოვოროსიისკა და ოდე-ლაში...





ახლა შორს არიან სერგეი კოტლიაროვიც, ხალილ ფშანავაც და გიორგი არჯვანიძეც, შორს არის ის ახალგაზრდა ბიჭიც, რომელიც სადისპეტრო ოთახში დარცხვენილი იდგა და ხმას არ იღებდა. წინაღამეს ტანკერ „უფგროდიდან“ ავადმყოფი უნდა გამოეყვანა თურმე. დიდი ღელვა ყოფილიყო. ბუქსირით ვერ მიუახლოვდა გემს. გადაწყვეტილება თვითონ უნდა მიეღო და გამობრუნებულიყო, მაგრამ მიახლოვება მაინც ეცადა და ბუქსირი დაეშინებინა.

ახლა შორს არის გემები, რომლებსაც ბათუმიდან ფოთში მიაქვთ მადანი, ქერჩიდან ბათუმში მიაქვთ ფქვილი, ბათუმიდან ხრეში და ქვიშა მიაქვთ ოდესაში... შორს არიან მეზღვაურები, რომლებიც გემიდან გადადიან გენუასა და ამსტერდამში, სტამბოლსა და ალექსანდრიაში, კვიპროსზე და ვანკუვერში...


ახლა ბათუმში ცახცახებენ პალმის ფოთლები. ფანჯრის გადაღმა ელურტულბენ შეციებული ბედურები და მაღალი ზეგბის მიღმა გემი ისე მიცურავს, როგორც ბურანში. ჩემამდე აღწევს დიდი ნავსადგურის სუნთქვა, ტელეფონების გაბმული წკრიალი, მავთულების ზრიალი და ნავსადგურში შემოსული მძიმე სატვირთო მატარებლების ჯახაჯუსი და გრუხუნი. ახლა სადღაც თვლემენ სეისმოგრაფები და მუშაობენ სელექტორები. ინთება და ქრება ლურჯი და წითელი ნათურები. ვიდაცის მკვეთრი ხმა არღვევს სელექტორის მყუდროებას და გაჩირადნებულ ნავსადგურში შემოდის გემი, რომელსაც ქართველი ლოცმანი მოუძღვება...

მე ახლა ტკბილად ვიგონებ მათ სახეებს. ისინი ჩემთვის მახლობელი ადამიანები არიან.

ისინი ბელს მართმევდნენ, ჩემთან ერთად ადიოდნენ თბომაველის გემბანზე, ჩემთან ერთად შეექცეოდნენ ყავას, ჩემთან ერთად აწვიმდათ, ჩემთან ერთად უხაროდათ ახალი კატერის ჩაშვება ზღვაში. და ისინი აღარ იყვნენ უცნობები, ისინი ჩემთვის მახლობელი ადამიანები იყვნენ. აღარც ქალაქი იყო უცნობი, ყველაფერი ნაცნობი იყო. პარკის ბილიკებზე ეყარა ხრეში. ბილიკებზე მიდიოდნენ ნაცნობი ადამიანები, წვიმა და წვიმაც ნაცნობი იყო. წვიმის წვეთები ეცემოდა ნაცნობი ქალაქის შენობების სახურავებს, ნაცნობ ადამიანებს, ნაცნობ მანქანებს, მზეც ნაცნობი იყო და ანათებდა ნაცნობი შენობების ფანჯრებს, ფრანგთა ეკლესიის გადაღუნულ ჯვრებს, ოქროსფერი თევზის ვერცხლისფერ ფარფლებს. იგი ანათებდა ნაცნობ ზღვას, რომელიც შორს ხან ცისფერი იყო და ხან მუქლურჯი. იგი ანათებდა პატარა მყუდრო ქუჩებს, პატარა არხებზე გადებულ პატარა ხიდებს, ძველებური შენობების ნესტიან კედლებს, დაღლილი სვეტების ჩუქურთმებს და მანსარდების სამკუთხოვან ფანჯრებს...

ნაცნობი ადამიანები მიდიოდნენ ნავსადგურისაკენ, ადიოდნენ საზღვაო სამმართველოს შენობების კიბებზე, შედიოდნენ ნავსადგურში, სხდებოდნენ ამწეების კაბინებში, ტრიუმიდან ამოქონდათ ფქვილით დატვირთული ტომრები, ნავსადგურში შემოჰყავდათ გემები, იცინოდნენ, ოხუნჯობდნენ, იგინებოდნენ, ისხდნენ ლოკატორებთან, სეინერები გაჰყავდათ ზღვაში, ისროდნენ ბადებს, აშენებდნენ ახალ თბომაველებს და ერთმანეთთან ადუღებდნენ ფოლადის ფურცლებს...

ისინი ახლა შორს არიან და მე ტკბილად ვიგონებ მათ, ოდესღაც ჩემთვის უცნობ ადამიანებს, რომლებიც ახლა ეხოდნენ მახლობლები არიან...



პიკეტი

# კომუნისტური

გაზაფხულზე, შრომისა და მშვიდობის ზეიმის დღეებში, ჩვენს დედაქალაქში, მთავრობის სასახლის ნათელ დარბაზში, რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარგზავნილებს მოეყარათ თავი. კომუნისტური შრომის ბრიგადების თათბირზე გაწეული შრომის შედეგებს აჯამებდნენ და შვიდწლედის მეორე წლის ზღუდეების ასაღებად გზებს სახავენდნენ ნათელი მომავლის მზვერავები.

მრავალთა შორის აქ იყო ერთი ცალხელა კაცი, რომელიც მისალმებზე თავაზიანად და მკვირცხლად პასუხობდა ნაცნობებს თუ ახალგაიცნობილებს. იგი გულისყურით უსმენდა თათბირის მონაწილეებს, იზიარებდა ორატორთა საგულისხმო ნათქვამს... იგი სიტყვით არ გამოსულა, მაგრამ თავისი შრომის ნაყოფით აქტიურად მონაწილეობდა თათბირის მუშაობაში, გონებით უერთდებოდა თანატოლთა გულით ნათქვამს და ჩუმად თავისთვისაც სახადა შესაფერის გეგმებს.

რესპუბლიკის ბელმძღვანელებმა ქებით მოიხსენიეს ახალგაზრდათა შრომითი სანაქებო საქმეები, სასახელო მაჩვენებლებისათვის კომუნისტური შრომის ბრიგადებიც ახსენეს და წარჩინებულთა შორის მისი რაიონიც დაასახელეს. ეს მაღლობა და ღირსება მასაც გვუთვნოდა და მრავალთა შორის მასაც ანთებდა სიამაყის გრძნობით. ეს იყო ახალგაზრდა კაცის შრომის ღირსეული დაფასება.

შესაძლოა ბევრს არ შეუშინებია ეს ცალხელა ვეჯკაცი, თანატოლთა შორის ღვაწლმოსილი დღევანდლობითა და წარსულით. ისიც სხვებთან ერთად ღირსეულად შრომობს და ცხოვრობს როგორც მშვიდობის ერთგული ჯარისკაცი. მე მას შორიდან მოვკარი თვალი, დიდი ხნის უნახავი ვეღარ ვიცანი, მეორე დღეს კი გავიგე, ვინც იყო იგი. და, აი, კვლავ

აღღვა ამ თერამეტი წლის წინათ ნანახი და განცდილი, აღღგნენ აღამიანები და მოვლენები...

ისინი ხუთნი იყვნენ... ხუთი ჩვეულებრივი საბჭოთა ახალგაზრდა სამშობლოს ძახილზე თითქმის ერთდროულად მოვიდა ჩვენი არმიის რიგებში. ეს იმ მძიმე დროს მოხდა, როცა შავი ღრუბელი ჩამოწვა სამშობლოს ნათელ ცაზე. თვითეული ერთი აზრით, ერთი მიზნით ეძებდა თავის კუთვნილ ადგილს მამულის დამცველთა შორის. ეს ადგილი მათ მალე მონახეს ახლად შექმნილ ნაწილში. ისინი ერთად მოხვდნენ მესამე ბატარეის იმ საქვეშეხო გუნდში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მათგან ახალგაზრდა, კომკავშირელი, უფროსი სერჟანტი ოთარ მგალობლიშვილი.

ეს ქვეშეხი და ეს გუნდი მამაცთა საქმისათვის იყო განკუთვნილი. იგი გამანადგურებელი-ტანკსაწინააღმდეგო დანიშნულებისა იყო. იმხანად მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში მსროლელთა ერთგული თანამონაწილე და საიმედო დამრტყმელი ძალა ჩვენი არტილერია იყო, ხოლო ცეცხლის ხაზზე მოწინააღმდეგის ტანკებთან შერკინებაში მთავარი დასაყრდენი ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის მეომრები იყვნენ. მათ გადაქმნადათ მტრის სატანკო ძალების წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი სიმძიმე. სწორედ მათ გააჩნდათ ამის შესაძლებლობა: მანევრის დიდ უნართან ერთად, მათი ქურტყები ჯავშანგამხვრეტი იყო და ფაშისტთა ჯავშნიან ურჩხულებს უტყუარად ურტყამდა.

მომავალ ბრძოლებში ამ სახის იარაღის უნარიანი გამოყენებისათვის საჭირო იყო ჯეროვანი მომზადება: იარაღისა და ტექნიკის საფუძვლიანი ცოდნა, მაღალი მორალი და საბრძოლო თვისებების გამომუშავება. ამიტომაც ქვეშეხის გუნდის მეომრები ბეჯითად ეუფლებოდნენ ჯარისკაცული ბელოვნების საფუძვე-



ლებს, იწრთობდნენ ფიზიკურად, იძენდნენ სიმტკიცესა და უშიშროებას, რათა მომავალ ბრძოლაში მომზადებულნი შეხვედროდნენ მტერს.

მართლაც, სანამ ბრძოლაში ჩაებმებოდნენ, ქვემეხის გუნდი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებული გახდა. ყოველმა ნომერმა საუცხოოდ იცოდა თავისი მოვალეობა, ურთიერთშენაცვლება და, რაც მთავარია, ყოველმა მათგანს შეეძლო მეშინის — გუნდში ამ ყველაზე საჭირო მოვალეობის შეცვლა. ქვემეხთან ერთად ყველამ კარგად იცოდა პირადი იარაღი, მისგან ზუსტი სროლა, შეხამება-ჩასანგრება, აუტენდენელი ცეცხლის დაშენა.

— არტილერიის ძალა ცეცხლი და მანევრია, — ზშირად მოაგონებდა უფროსი სერჯანტი მგალობლიშვილი თავის ხელქვეითებს, — ჩვენი ამოცანაა კარგად შევისწავლოთ ამ ცეცხლისა და მანევრის ხელოვნება, რათა ბრძოლაში დაუბრკოლებლად ვიმოქმედოთ როგორც დახურული, ასევე განსაკუთრებით დიდი პოზიციიდან, დღისითა და ღამით, ყოველგვარ ამინდში შეგვეძლოს ზუსტი სროლა, ადვილმდებარეობის შერჩევა და სწრაფად შეცვლა, საცეცხლე პოზიციის მოწყობა, მიზნების სწრაფად და ზუსტად პოვნა და მისი უძველესი მოსპობა.

არტილერიის ახალგაზრდა უფროსი სერჯანტს სწორად ესმოდა გუნდის მოვალეობა; ამასთან უნარი შესწევდა ამ მოთხოვნის საფუძველზე მოეწყო გუნდის სწავლება. ყოველდღიურმა ბეჯითმა და გვეგმაროშიერმა მეცადინეობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. მგალობლიშვილის საქვემეხო გუნდი მტკიცე, ბრძოლისუნარიანი საბრძოლო კოლექტივი გახდა და მალე შენაერთთან ერთად ფრონტზე გაიგზავნა 1942 წლის ზაფხულში.

ეს იმ დროს იყო, როცა გერმანულ ფაშისტთა ჯარები დიდი მსხვერპლის ფასად წინ მოიწვედნენ, კავკასიის მისაღმომებისაკენ. მტრის სატანკო დივიზიები საპაერთ შენაერთებთან ერთად დიდ საშიშროებას ქმნიდნენ, მაგრამ ხალხისა და სამშობლოს ერთგული საბჭოთა მომარბე გასაოცარ მამაცობას იჩენდნენ მტერთან პირისპირ შეხვედრისას. «უშმაკი ისე საშიში არ არის, როგორც მას გვიხატავენ», — ზშირად გაიგონებდით ამ მახვილ თქმას იმ ხანად ჩვენს მეომართა შორის. და მართლაც იმ სასტიკ დღეთა საბრძოლო სინამდვილე, საბჭოთა მეომარების საბრძოლო საქმე ამაზე მიგვიითიებდა. გამოცდილი, ცბიერი და კარგად შეიარაღებული მოწინააღმდეგე მრისხანე ძალას წარმოადგენდა, ხოლო მის წინააღმდეგ მუდგარი შეტაკება სულთ ძლიერი და უნა-

რინი საბჭოთა ადამიანებისაგან მოხერხებასთან ერთად თავგანწირვას მოითხოვდა.

გულმართალი, უწყინარი ახალგაზრდები იყენენ უფროსი სერჯანტ მგალობლიშვილის ქვემეხის გუნდის მებრძოლები: პირველი ნომერი მიმზინე არსენ შეროზია და მეორე ნომერი ვარლამ კალანდია, გამტენი პროკოფი ცოპია და მიმწოდებელი მიხეილ ჩიგოშვილი. სულ ახლახან ისინი მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, საბრძოლო ვითარებას მიუჩვენებენ. მაგრამ საქმით გახდა ვაგველოთ ომის გზაზე მრისხანე პირველი დღეები და კილომეტრები, რომ საკუთარი თვლით ენახათ მშვიდობის მტრისა და აგრესორის — გერმანელი ფაშისტის მხეცური სახე. მათ ნახეს ფაშისტ დამპყრობთა მიერ მხეცურად ნაწამები საბჭოთა ადამიანების, თავიანთი თანამოიარაღე მებრძოლების გვეფერიძისა და ახმეტელიანის ნაწამები სახე... ამ ახალგაზრდების ჯვარცმული სახე სამაგიეროს მოითხოვდა.

1942 წლის შემოდგომის პირველი დღეები იყო 20 სექტემბრის საღამოს ქვევანყოფების მეთაურებმა საბრძოლო ამოცანა მიიღეს დივიზიონის მეთაურისაგან. მოსალოდნელი იყო წინა დღეებში სასტიკ ბრძოლებში უკუგდებულ მტერს კვლავ ეცადა დაკარგული პოზიციების დაბრუნება. მსროლელებთან ერთად თავიანთი კუთვნილი ამოცანა მიიღეს ჩვენმა არტილერიისტებმა. მათ შორის უფროსი სერჯანტ ოთარ მგალობლიშვილის გუნდსაც ხედა წილად ფრიად პასუხსაგები მოვალეობა. ქვემეხის მეთაურმა მოკლედ, ნათლად გააცნო ხელქვეითებს ამოცანა: მათ მსროლელებთან ერთად შეტევაში უნდა ემოქმედათ იმ ზღუდებზე, სადაც მამდვილად მოსალოდნელი იყო მტრის ტანკების გამოჩენა.

როცა დილაადრიან ჩვენმა მსროლელებმა შეტევა დაიწყეს, მათთან ერთად არტილერიისტებიც ამოქმედდნენ, ქმედით დახმარებას უწყედნენ შეტევე ქვეითებს და გზის უკავადდნენ თანაბოლქელებს. მალე მოწინააღმდეგე გონს მოვიდა და სცადა შეეჩერებინა ჩვენების წინსვლა. ამ მიზნით მტერმა ტანკები შემოიყვანა ბრძოლაში და სცადა კონტრდატყმით გამოესწორებინა მდგომარეობა. სწორედ აქ მოხდა პირისპირი შეხვედრა ჩვენს ტანკაწინააღმდეგე არტილერიისა და მოწინააღმდეგის ტანკებს შორის, და ჩვენი არტილერიისტების სასახელოდ ამ შეხვედრაში გამარჯვება ჩვენებს დარჩათ, მტრის ტანკებმა პირი იბრუნეს, ბრძოლას თავი აარიდეს და უკუიქცენ. იქნებ ეს მისი მანევრი იყო, რათა მოედუნებინა ჩვენების სიფხიზლე და მერე მოულოდნელად დაერტყა გულუბრყვილოთათვის, მაგრამ მორიგე საბრ-

ძოლო ღღის გამოცდილებამ მთლიანად ჩაფუშა გერმანულ ფაშისტთა ვარაუდი.

მეორე დღეს, 22 სექტემბერს, ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. ყოველი სახის იარაღი ამოქმედდა ორივე მხრიდან. ქვეშევსი ქუხილი, არტილერიისტთა ყოველი უნარიანი მოქმედება ჩვენებისათვის იმედისა და სიმბნევის მომტანი იყო, რადგან არტილერიის იყო მათი ძირითადი ძალა მტრის ჭარბი სატანკო ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ უბანზე არაერთი მამაცი საბჭოთა არტილერიისტი მოქმედებდა, არაერთი ტანკაწინააღმდეგო ქვეშევსი ისროდა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინშნოს, რომ ოთარ მგალობლიშვილის ქვეშევსის გუნდის სამოქმედო უბანი ყველაზე საშიში იყო და პასუხსავეუბი. ეს იყოდენ ამ გუნდის კომკავშირლებმა და ამიტომაც მეტი თავდაღებითა და მრისხანებით მოქმედებდნენ საბჭოთა ტანკაწინააღმდეგობლები.

უღრეად იდგნენ საბჭოთა მეომრები. ბრძოლის ველზე ქაის ქვაზე არ ტოვებდა მტრის ტანკების ცეცხლი, მაგრამ საბჭოთა მეომრები მდგრად მოქმედებდნენ, წინ წამოწყების საშუალებას არ აძლევდნენ მოწინააღმდეგის და ყოველ ხელსაყრელ მომენტში თვით გადადიოდნენ შეტევაზე.

მალე მოწინააღმდეგის თვითმფრინავებმა იწყეს ჩვენის პოზიციების დაბომბვა. სულ დაბლა ჩამოდიოდა „ფოკე ვულფი“, რათა ტყვიამფრქვევის ცეცხლითა და ცეცხლითა მამაცთა რიგებში,

ორმხრივ ცეცხლში კვლავ შეუჩერებლივ და შეწყობილად მოქმედებდა უფროსი სერჟანტ მგალობლიშვილის ტანკაწინააღმდეგო ქვეშევსის გუნდი. ხუთი მეომარი იყო მის საქვეშეხოვათვლაში. ხუთივე ერთად ქმნიდა ერთიან საბრძოლო ერთეულს, რომლის შეწყობილი მოქმედება უზრუნველყოფდა სისწრაფესა და სიზუსტეს, ერთიანობას საბრძოლო ამოცანის შესრულებაში. აქ ერთის დაკლებაც აღნაშლურებოდა იქნებოდა, რადგან გათვლის ეს ნომრები წესდებით იყო ნაფარადვეი როგორც აუცილებელი ერთეული. ამრიგად, ტანკაწინააღმდეგო ქვეშევსის ხუთივე მეომარი ერთიანი აზრითა და მისწრაფებით იბრძოდა ბრძოლის ველზე და სისახლოდ ასრულებდა მძიმე, მაგრამ საპატიო საბრძოლო ამოცანას.

გმირულ, უთანასწორო ბრძოლაში მოწინააღმდეგის თვითმფრინავის უწყისროგო ცეცხლის პირველი მსხვერპლი გახდა პროკოფი ცოშაია — ქვეშევსის გამტენი. ეს დიდი დანაკლისი იყო გუნდისათვის, მნიშვნელოვანი ძალა გამოაკლდა საბრძოლო მწყობრს. იგი თვალის დახმამაშვამაში შეცვალა მიმწოდებელმა მიხეილ ჩიგოშვილ-

მა. თითქოს არ დატყობია გუნდს გამტენის შეცვლა, მაგრამ მორიგი გასროლა—და გამტენის შემცვლელიც მძიმედ დაიჭრა, ახლა კი შესაძლოა შეფერხდეს ცეცხლი, ეს იმას ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგის გამოთხოვილი ტანკი უვნებელი დარჩეს, ის კი წინ მიზობდავს და მალე ჩვენს ქვეითთა საბრძოლო მწყობრის განლაგებაში შემოიჭრება... მაგრამ არა, ქვეშევსის გუნდი კვლავც საბრძოლო მხადყოფნაშია. ბრძოლა კვლავ შეუჩერებლივ გრძელდება. რადგან დარჩენილმა სამამ მამაცმა შექლო ხუთის მაგივრობის გაწევა. თითქოს მთლიანი გახდა საქვეშეხოვა გათვლა. სამი მეომარი კისრულობდა ხუთეულის მოვალეობას, დაძაბულად, პირნათლად ასრულებდა საბრძოლო ამოცანას.

უცებ მარჯვად და მოუსვენარი ახალგაზრდა არსენ შეროზია შეტორტმანდა. იგი მარცხენა გვერდში დაჭრეს, მაგრამ არ შედრკა ვეჯაკიც, ცეცხლი წინასწარობის შენარჩუნება და ქვეშევსითან დგომა. მინც არ დასცილდა გულოდ მეომარს. ახალი, კიდევ უფრო მძიმე ჭრილობა ხვდა წილად—მტრის ტანკის ყუმბარის ნაშესხვებმა მარცხენა მკლავი მოსწყვიტა იდაყვითან, და მემიზნე, გუნდის მახვილი თვალი გამოაკლდა საბრძოლო რიგებს...

ამ მძიმე ვითარებაში პირველი ნომრის — მემიზნის მოვალეობა ქვეშევსის მეთაურმა უფროსმა სერჟანტმა მგალობლიშვილმა „შეითავსა“, ზოლო მისი თანაშემწისა და დანარჩენი ნომრების მოვალეობა მერიგე ვარლამ კალანდიამ იკისრა.

ახლა ქვეშევსითან ხუთის მაგივრად მხოლოდ ორი მეომარი იყო: კომკავშირლები ოთარ მგალობლიშვილი და ვარლამ კალანდია, მაგრამ კომკავშირულ გუნდს ბრძოლა არ შეუწყვეტია, ცეცხლი არ შეუჩერებია. იგი კვლავ მოქმედებდა შეწყობილად, ორგანიზებულად. ისინი ორიენტირსაც აყენებდნენ, ყუმბარებიც მოჭონდათ, ტენინდნენ ქვეშევსს და ცეცხლს განუწყვეტლივ გზავნიდნენ მტრის განლაგებაში, დაჭრეს ამხანაგებსაც შევლოდნენ; ყველაფერს ასრულებდნენ დიდი გარჯისა და გაიკრეების ფასად.

კომკავშირული ქვეშევსის გუნდი თითქოს კვლავ მთლიანი იყო, კვლავაც შეუფერხებლად მტემედებდა, არ წყვეტდა ცეცხლს, ცეცხლს დამიზნებულსა და ეფექტურს.

სწორედ ამით ვლინდებოდა საბჭოთა ჯარისკაცის ღირსება და ერთგულება. მოვალეობა და ერთგულება აღანთებდა მათ სულიერად. და მტრის ტანკებთან პირისპირ შეხვედრაში, როცა სისხლი იღვრებოდა, როცა სიკვდილს თვალს უსწორებდნენ ახალგაზრდები, ფოლადის ურჩ-

ხელთან შერკინებში იმარჯვებდა საბჭოთა ადამიანი!

ძველი ჯარისკაცული ანდაზა — ერთი ბრძოლაში მეომარი არ არისო, საბჭოთა ჯარისკაცების ცხოვრებამ ამ თქმამი არსებითი შესწორება შეიტანა: ერთიც ბრძოლაში მეომარია, თუ ის საბჭოთა მეომარია... ამ შესწორების ქვეყნარტების ცოცხალი მავალითი იყო უფროსი სერჟანტ მგალობლიშვილის საქვემეხო გუნდის საბრძოლო ისტორია და მისი გათვლის თავგადასავალი.

მათს საბრძოლო გმირობასა და მამაცობაზე იუწყებოდა საფრონტო ვახუთი: „ნაღიკიან წარმოებულ ბრძოლებში თავიანთი საგმირო საქმით სახელი გაითქვეს ახალგაზრდა ქართველმა მეომრებმა — უფროსმა სერჟანტმა მგალობლიშვილმა და წითელარმიელმა კალანდიამ, რომელთა პოზიციას მიბრუნეთ ესროდა გერმანელთა თერთმეტი ტანკი. ქვემეხის საცეცხლე პოზიციას ბომბებს და ტყვიამფრქვევებს უშენდა მტრის რამდენიმე თვითმფრინავი. საბჭოთა მეომრებმა დაჭირდა ამხანაგები თავშესაფარში გაგზავნეს, თვითონ კი განაგრძობდნენ სროლას. ამ მამაცმა არტილერიტებმა პირდაპირი დამიზნებით მოსპეს ფაშისტთა სამი ტანკი და თავისი ქვემეხის ცეცხლით დანარჩენ ტანკებს უკან დაახვეინეს“.

ასე იუწყებოდა მათი საბრძოლო ეპოპეის მოწმე და პირველი დამფასებელი: შემდეგში მათ არაერთ ბრძოლაში მიუღიათ მონაწილეობა და სახელოვნად უმრავლებიათ წინა ბრძოლებში მოპოვებული სახელი და ღირსება.

გერმანულ ფაშისტ-დაპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის ქვემეხის მეთაურს უფროს სერჟანტ ოთარ მგალობლიშვილს გადაეცა წარჩინების მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი, მერივე ვარლამ კალანდია დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენითა და ჯარისკაცული მამაცობის ნიშნით — მედლით „მამაცობისათვის“, ხოლო არსენ შერაზია სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით იქნა დაჯილდოებული.

მათს გმირობას გულით უმღერა მაშინ კომკავშირელმა მებრძოლმა ბორის შეწირულმა; მან მხურვალე ჯარისკაცული სტრუქტურები უძღვნა სახელოვან თანაოლკელს ვარლამ კალანდიას, მაგრამ ეს გულწრფელი თქმა თანაბრად ეხებოდა კომკავშირული საქვემეხო გუნდის თვითველ წევრს. არ შეიძლება კმაყოფილებით არ გავიხსენოთ ეს სტრუქტურები:

„ტანად არ გავხარ ზღაპრულ გოლიათს, მაგრამ ვაგაკის გუგუნის იერი, შენ მთების ძალა გამოგყოლია და მკერდი — კლდეზე უფრო ძლიერი.“

იღა გრივლი სიკვდილის მთესი, სიბნელე ნათელს დაჯახებული, დანაცრე სამი ურჩხული — მხეცი და გამოხვედი გამარჯვებულ“.

ასე შეეძლო მართალი, გულიდან მომდინარე სიმღერა ეთქვა თანაოლკელისათვის მისი ცხოვრების თანაზიარს და. ამ გულწრფელ სიტყვაში გამოეხატა თავისი გულისხმადები. ამ ჯარისკაცულ სტრუქტურებში მთელი კომკავშირული საქვემეხო გუნდის საბრძოლო საქმეა ნაწილი და ქებაშესხმული. ხალხისა და მამულის ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილმა ახალგაზრდებმა ნამდვილად დაიმსახურეს ეს ღირსება.

ამ ჩანაწერების გმირთა გალერეაში იყო შესანიშნავი ქაბუცი, რომელიც მამაცურად იბრძოდა საბჭოთა სამშობლოსათვის, მაგრამ შინ არ დაბრუნებულა... მასაც შეეძლო თანაბრად მათთან ერთად გამხდარიყო შვილიშობიანი შემოქმედებითი ცხოვრების თანაზიარს, შეეძლო ყოფილიყო კარგი მამა და ღირსეული მოქალაქე, ნათელი მომავლის მზებრავი, შეეძლო ყოფილიყო ფოლადის მდნობელი მუშა თუ ინჟინერი, მეცნიერი... გამრავლებინა ქართული ოჯახი, ჩვენი მიწა-მამულის ზეაგი და ბარაქა, მოეყვანა პური და ყურძენი, ჩაი და სიმინდი, ეშენებინა ელექტროსადგურები და ციტრუსოვანთა პლანტაციები... მან მოასწრო მხოლოდ ჯარისკაცად გახდომა და სპეტაკად ატარა მამულიშვილის წმინდა სახელი, რათა თავისი სისხლისა და სიცოცხლის ფასად კვლავ დემკიდრებინა ქვეყნად მშვიდობა და მომავლის გზები გაეკაფა თანატოლთა და თანამომეტეთა შვილებისა და შვილიშვილებისათვის. მისი ურყევი მრწამსი იყო — იცოცხლე და იბრძოლე სამშობლოსათვის, ხალხისათვის.

მათს საბრძოლო მწყობრში იყო უფროსი ძმა და ღირსეული მამა, რომელმაც ვაიზიარა თავდადებულ ქაბუციას ზეადრი, მაგრამ მის ოჯახში ცეცხლი არ ჩამჭრა, კვლავ ვრძელდება სიცოცხლე და გმირობა, რადგან ჯარისკაცის შვილი თუ შვილიშვილი მოწინააღმდეგეობით ინახავს შინაოლკელის სახელსა და ღირსებას, აგრძელებს მის საქმეს დედამამშობლოს საკეთილდღეოდ, ხალხის გახედნიეროდ.

როცა დაპყრო დიადი გამარჯვების ზარმა, ბევრი, ძალიან ბევრი, დიდებით მოსილი შინ დაბრუნდა და კვლავ მიაშურა თავის საყვარელ დაზვას, ტრაქტორის საქმეს, სამეცნიერო ლაბორატორიას, სტუდენტის მერხს თუ პედაგოგის კათედრას და პატრიოსანი საქმითა და შრომითი მამაცობით ზრდის ჩვენი ქვეყნის ძალასა და დიდებას და ბრძოლაში მოპოვებულ ღირსებას, თავდადებულად იღწვის კომუნისმის მშენებ-

ღობის დიად ხარაჩობებზე. მშვიდობიან შრომაში ჩაბმულ ყოფილ ფრონტელებს თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის ძლიერების, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობაში, კაცობრიობის ნათელი მომავლის დიადი შენობის აგებაში. სამამულო ომის ვეტერანები მშვიდობისა და კომუნისმის მამაცი ჯარისკაცები გახდნენ.

ამ ჯარისკაცთა შორის არიან წალენჯიხელი კომუნისტები — არსენ შეროზია და ვარლამ კალანდია, ტანკაწინააღმდეგო ქვემეხის ყოფილი მებრძოლები. მარცხენა მკლავი დაკარგა არსენ შეროზიამ ბრძოლაში, მაგრამ მარჯვენა და სიმარჯვე არ დაუკარგავს ამ მხნე და ყოჩაღ კაცს. მოიშუშა თუ არა ომით მოყენებული შიმშიე ჭრილობა, იგი აქტიურად ჩაება სოფლის ცხოვრებაში. შრომასთან ერთად იგი ოჯახის თავია და ხუთი შვილის მამა, საზოგადოებრივი საქმიანობის ერთ-ერთი ბურჯი. სწავლასაც არ ივიწყებს და ახლა ზოოტექნიკურ სავეტერინარო ტექნიკუმის დაუსწრებელი ფა-

კულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტია. ასე კომუნისტურად შრომობს და ცხოვრობს ომგადაბდილი კაცი, რათა კიდევ უფრო ძლიერი იყოს ჩვენი ქვეყანა, რათა მისმა ხუთმა შვილმა არ ნახოს ომის ხანძარი, არც მკლავი დაკარგოს, არც სინათლე, იხაროს და იზარდოს მამულის მშვენებამ, ჩვენმა იმედმა და სიხარულმა.

ისინი ხუთნი იყვნენ... ხუთი ჩვეულებრივი საბჭოთა ახალგაზრდა. თანატოლებთან ერთად ისინიც ერთგულად ემსახურებოდნენ საბჭოთა ხალხის ინტერესებს, ჩვენი ცხოვრების დიად იდეალებს. მარად იცოცხლებს დიდება ჩვენი ხალხის მამაცი შვილებისა, რომლებმაც დაღვარეს სისხლი სამამულო ომის დროს დედასამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მამაცთა შორის ამ ხუთეულის სახელიც ღირსეულად აღინიშნება.



## თინა ზაკონიძე

# ქართული ცეკვის მოაზრება

1939 წელი, მოსკოვი

„უზარმაზარი ფარდა ნელინელ იწვეა. დარბაზს ეფინება ქართული მუსიკის სასიამოვნო ხმა: ხან ნიავეით მსუბუქი, კაცის გულს გასახარად რომ ესაღბუნება, ხან მთის მდინარესავით მშფოთვარე, სულს რომ აღლევებს და სისხლს ატოკებს, ხანაც ზვავივით დაქანებული და ზღვასავით ბობოქარი...“

დარბაზი სულ განახულა... სცენაზე არიან სათითაოდ დარჩეული ქალ-ვაჟები, საქართველოს კუთხე-კარის ეშხი და მშვენიება. სრულდება ცეკვა ქართული. ცეკვას იწყებს ვაჟი. ცის კამარაში მოსრიალე ორბივით გაუშლია ფრთები და წრეს უვლის. მშვენიერთა შორის გულის ტოლს ეძებს... აი, მიუახლოვდა თავის რჩეულს, მიიბატივა, ქალმა მიიღო პატივი...

ცეკვა გრძელდება... ტაშის ხმამ გამოარკვია. რამდენჯერმე გამოიხმგეს. მაშასადამე ყველაფერი კარგად დამთარდა. მაშასადამე მან თავის პარტნიორთან ერთად უტყუერად მიიტანა მოსკოველ მაყურებელამდე ამაღლებული სიყვარულის უსიტყვო სიმღერა, ცეკვის ენაზე სრულყოფილად მოუთხრო დარბაზს სპეტაკი მიჯნურობის უკვდავი ლეგენდა.

რა დაიტევდა იმ ღამეს 22 წლის ქაბუჯის ბუხუტი დარბაზელის პირველ დიდ სიხარულს, პირველი სასახლო გამარჯვებით მოგვირღო უსაზღვრო კმაყოფილებას...

1959 წელი, მოსკოვი

კერკის ბაქანზე ხალხი ირევა. უკვე ჩამომდგარია მატარებელი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში უნდა ჩაიყვანოს. იქ, სიუბუტისა და სიხარულის დღესასწაულზე, მათ უნდა მოუთხრონ ყველა ქვეყნის ახალგაზრდობას მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და მეგობრობის შესახებ,

მოუთხრონ პლასტიკის ენით, მუსიკის ენით, შებვედრებით, საუბრებით.

ვის არ ნახავს დღეს აქ კაცი, რა ენაზე მოლაპარაკესს ტკბილი ქართულიც ისმის აქ, მაღლიანი, მშობლიური ქართული. დღესასწაულზე მიემგზავრებიან ბუხუტი დარბაზელის გამოზრდილი ცეკვის ანსამბლის მონაწილე ტანლერა ქართველი ქაბუჯები.

ოცი წლის წინ ამ ბაქანს პირველ მიღწევებზე გაუბედავი ფიქრებით დაადგა ფეხი ბუხუტი დარბაზელიმ. ოცი წლის შემდეგ დიდი გამარჯვების მოსაპოვებლად აქედანვე ისტუმრებდა იგი თავის შევარდნებს.

— ბიჭებო, გახსოვდეთ, თქვენმა ცეკვამ მსოფლიოს ახალგაზრდობას უნდა მოუთხროს ქართველთა მეგობრობისა და ერთგულების, სიყვარულისა და თავდადების ამბავი. თუ შესძლებთ და ქართული მიწა-წყლის ადათ-ჩვევებს ნათლად მიიტანთ მაყურებელამდე, ამაზე წმინდა საქმე რაღა იქნება.

ამ სიტყვებით ისტუმრებდა თავის ოლბრდელეს შორეულ მხარეს თბაშევერცხლილი, ამაგდარი მასწავლებელი.

მინც რაოდენი ამაგი უნდა ყოვილიყო ვაწეული, რა ჯაფა და გარჯა იყო საჭირო იმისათვის, რათა იმ ღირსსახსოვარ დღეებში, პატარა ანსამბლი ასეთი დიდი წარმატებით გამოჩენილიყო მსოფლიო ახალგაზრდობის ზღვაში.

ოქროს მედალი, საყოველთაო პატივისცემა, ქართული კეთილშობილური ქცევით გამოწვეული აღტაცება... ბელორუსიის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სმირნოვმა აღტაცებით წამოიძახა:

— როგორც ყოველთვის, დღესაც ქართველებმა გვასახელეს!



რკინიგზის კულტურის სახლთან არსებული ეს ანსამბლი თითქმის არაფრისაგან შეიქმნა. დიპ, სწორედ რომ არაფრისაგან ზოგჯერ არის ხოლმე, არსებობს ჯგუფი, წრე, რომლის ვახლეს, ვადარჩევს შემდეგ დავება და სივრცე-ხლეს იწყებს ანსამბლი. ბუბუტი დარაბველი-ტეს თავიდანვე არ სწყალობდა „ბუბი“ ამ საქმეში. მუდამ არაფრისაგან იწყებდა და თავს იმით იმწვიდებდა, რომ მხოლოდ სიძნელეებით მოპოვებული ბუნდობლობა ნამდვილი.

ჰოდა, შეიქმნა ანსამბლი. გულმოდგინედ შერჩეული, ცეკვისათვის აუცილებელი მონაცემების მქონე ახალგაზრდა მუსიკისაგან, მოსამსახურეებისაგან, სტუდენტებისაგან, საშუალო სკოლის ახალწარსმადობებულებისაგან, ადამიანებისაგან, რომელთაც ესმით და სჯერათ ქართული ხელოვნების მაგიური ძალისა.

დაიწყო მუშაობა. ყოველი საათი გზომილი, ყოველი წუთი განეუბნებოდა. ერთ ხანს, ფესტივალზე გამგზავრების წინ, ანსამბლს მუშაობა მოუხდა ბორჯომის თვალწარმტაც ხეობაში, დაწესებული იყო მკაცრად განსაზღვრული განრიგი. სისხამ დღით წამოდგომა, შემდეგ საუზმე, ვარჯიში, მუშაობა, ისევ მუშაობა, მუშაობა თავსამაშიც, როცა ბორჯომის პარკის ღია ვსტრადაზე მოცეკვავების სახეში ხვდებოდა წვიმის შეხვედრა და ფეხქვეშ იატაკის სისველე ხელს უშლის მოძრაობას; პაპანაქევაში, როცა მტერის ბუდი თვალს გიბრმავებს...

ბორჯომის მცხოვრებლები და დამსვენებლები სიამოვნებით ადევნებდნენ თვალყურს მათს შემხატებულ საქმიანობას.

ხელმძღვანელის გარჯას ამაოდ არ ჩაუვლია. აქ ყველა ერთსთვის და ერთი ყველასთვის ცოცხლობდა. როცა შოთა გიგაური სკოლაში გამოცდებს აბარებდა, მათემატიკაში ერთობ გაუჭირდა. მას მეგობრული დახმარების ხელი გაუწოდა ანსამბლის წევრმა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიპლომანტმა ოთარ შენგელიამ. როცა ანსამბლში ახალბედა ფრიდონ სულაბერიძეს „ფარეაობისა“ და „სალზინის“ რთული ილეთების ათვისება გაუძნელდა, ყველანი დაეხმარნენ და ისიც ცეკვის სხვა ოსტატებს ამოუდგა გვერდში.

ასე, ერთმანეთის გვერდით, საქმის სიყვარულით ანთებულნი ოთარ პაპანაქელი, ზურაბ გამგზავრევილი, რევაზ ჭოხონელიძე, შოთა ხოფერიძე და სხვები ყოველდღიურად ეუფლებოდნენ ხალხური ცეკვის რთულსა და სიანტირესო ილეთებს.

ანსამბლის წევრი ერთადერთი ქალიშვილი ლატერა ფონიანი (სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია, ფგი კარგი მოცეკვავი და შესანიშ-

ნავი სცენური მონაცემების მქონე გოგონა), პირველად თავადრეჟილი და შორიდებული, უკვე შეეჩვია მამაკაცთა გარემოს. ამ ჯანსაღმა კოლექტივმა იგი დაღ და მეგობრად შეითვისა.

ერთხელ მორიგი შესვენება იყო. ბიჭები ერთად იდგნენ და მასლაათობდნენ. უცებ მათ ხელში გაჩნდა ლამაზ კოლოფში ფაქიზად შეფუთვილი სიგარეტი „დებრი“. მწვევლი ბიჭების თვალი და გული მოიტაცა პაპირისმა, მაგრამ მოხდა ვასაოცარი: კოლოფიდან ამოღებულმა ერთმა სიგარეტმა ყველას ხელში გაიბრა, მაგრამ ისევ კოლოფს დაუბრუნდა.

ბუბუტი დარაბველიც, თავშეკავების ამ საამო სურათის მწახველმა, კმაყოფილებით ჩაიღიმა და დაიძახა:

— დაეწყეთ!

წერთნის ასეთივე სკოლა ჰქონდა გავლილი ლენინური კომკავშირის სახელობის ცეკვის ანსამბლს, რომელსაც ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალზე წარმატება ხვდა წილად. ვის არ ახსოვს მამინ მისკოვის მხიარული დღევები! რამდენი ათასი თელი და ყური იყო მიპყრობილი ჩვენი ქვეყნის გულსაყენ. ყველა აღტაცებაში მოყავდა საბჭოურ სტუდენტთა მოყვარეობას, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის გულთაოდ დახვედრას. რამდენი აღტაცების გამოხმატეული აზრი გამოითქვა და დაიწერა საქართველოს წარგზავნილებზე, ხელოვნების ახალგაზრდა წარმომადგენლებზე, მათ შორის ლენინური კომკავშირის სახელობის ანსამბლზეც.

18 ივლისს ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გამართულ საკავშირო კონკურსში ანსამბლსა და მის ხელმძღვანელს სრულიად საივეშირო ფესტივალის ლაურეატობა მიენიჭა და I ხარისხის დიპლომი და ოქროს მედალი გადაეცა.

აღტაცების ვერ ფარავდნენ ეიურის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი იგორ მონიევი და ქალთა ანსამბლის „ბერიოვკას“ მთავარი ბალეტმეისტერი ნადეჟინა.

მსოფლიო ფესტივალის კონკურსამდე ორი დღით ადრე ყველა შეაშფოთა მოულოდნელმა შემთხვევამ: ანსამბლის წევრები ვირუსული გრიპით გახდნენ ავად. ბიჭებს მალაღი სიცხე ჰქონდათ. გულგახეთქილი დარაბველიძე საქართველოს მხატვრული დღეგაიცის ხელმძღვანელთან თ. ბაღურაშვილთან გაიქცა სამწუხარო მამის შესატყობინებლად. ჩქარა ისიც მოვიდა სინახავად და რა ნახა: სიცხიანი ბიჭები საკონკერტო ნომრებს იმეორებდნენ...

4 აგვისტოს სვეტებთან დარბაზში VI მსოფლიო ფესტივალის კონკურსში მონაწილე ქორეოგრაფიულ კოლექტივებს შორის ლენინური კომკავშირის სახელობის ანსამბლმაც გაიბრწყინა.

ნა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქვირიზე ცეკვების ვირტუოზულმა შესრულებამ და კოსტუმებმა.

სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, ახალგაზრდა მსაჯურებლები ვულწრფელ აღტაცებას გამოთქვამდნენ, ყოველგვარი სისაიმოვნო ეპითეტებით ამკობდნენ ქართულ ცეკვებს. თვით ინგლისელებიც კი, რომლებიც საქვეყნოდ განთქმული არიან თავიანთი თავშეკავებით, აღფრთოვანებული იყვნენ ვაჟაკური, ტემპერამენტური ცეკვებით და კომპოზიციითა მრავალფეროვნებით.

ანსამბლმა მაშინ ვერცხლის მედლით გაახარა თავისი ხალხი და ამავდარი მასწავლებელი.

უნდა გენახათ ბუხუტი დარახველიძის გაბრწყინებული სახე, როცა მოსკოვში, სასოფლოსამეურნეო გამოფენაზე, საქართველოს პავილიონში მსოფლიო ქორწილი გადაუხადეს ანსამბლის წევრებს — სოფიო იაშვილსა და ჯემალ კიკნაველიძეს. 124 ჩაყენის წარმომადგენელმა სიხარული და ბედნიერება უსურვანეფუ-დედოფალს. ანსამბლის წევრები, ძმაცეცხები, სასახლო მსაჯურებად ამოსდგომოდნენ გვერდში დაქორწინებულთა და ქართული სილარბაისლით, მადლიანი ცეკვითა და კეთილშობილური ქცევით აჯადოცდნენ სტუმრებს.

საქართველოს საკავშირო და მსოფლიო ფესტივლებზე ცეკვის ანსამბლის მიერ მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების საქმეში გაუქუელი უდიდესი შრომისათვის ბუხუტი დარახველიძის, ყველა ამ ფესტივალის ლაურეატს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

ანსამბლს მუშაობა არ შეუწყვეტია. ნებაყოფლობით შეიქმნა იგი და ასევე ნებაყოფლობით, მაგრამ დიდი ენთუზიაზმით განაგრძობდა მუშაობას.

იმ კოლექტივებთან ერთად, რომლებსაც ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე სსრ კავშირის ეროვნულ დელეგაციებში უნდა მიეღოთ მონაწილეობა, ბუხუტი დარახველიძის ანსამბლიც შეარჩიეს.

გამგზავრების წინ აეროდრომზე მან ასე მიმართა გამცილებლებს:

— ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ნათლად მივითანოთ ბელგიელ მსაჯურებლამდე ჩვენი ხალხური ცეკვების სინაზე და მრავალფეროვნება...

ცდას ამოდ არ ჩაუვლია. ამ შესანიშნავ კოლექტივს ყველგან აღფრთოვანებით ხედეზბოდნენ, იგი ყველა გამარჯვების მოზიარე და მონაწილე იყო; გრანდ აუდიტორიაში, ნატოგი ხელოვნების სასახლეში, ჭალაქის რატუშაში მიღებაზე, ყველგან ტაშის გრიალითა და აღტაცებით იღებდნენ.

...გრანდ პლასის მოედანი თავსმა წვიმის მიუხედავად მაყურებელს ვერ იტევდა. უნდა გენახათ მაყურებელთა აღტაცება და აღფრთოვანება ხალხისიანი და პლასტიკური „სალხინოთი“, ქართულთა მამაცობისა და სიმარდის გადმომცემი „ფარიკაობით“; „ხორუმიითა“ და „განდავანით“ ხომ სამუდამოდ დაიბურეს მაყურებელი!

ბრიუსელში ეროვნული დელეგაციის დღეებში წარმატებით გამოსვლისათვის და ხალხგაზრდა შემსრულებელთა აღზრდის საქმეში თვალსაჩინო მიღწევებისათვის სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ ანსამბლი და მისი ჭორეგორად ბუხუტი დარახველიძე.

ლენინური კომკავშირის სახელობის ანსამბლის შემდეგ დაულაღვი მუშაობის შედეგად ბუხუტი დარახველიძემ მოამზადა რკინიგზის კულტურის სახლთან არსებული ცეკვის ახალგაზრდული ანსამბლი, რომელიც აგრეთვე წარდგა მსოფლიო მაყურებლის წინაშე.

ვენა აღტაცებული იყო, ვენა აღფრთოვანებული იყო...

მოგვეყვას ადგილები ანსამბლის ერთ-ერთი მონაწილის ე. შვებელიძის ჩანაწერებიდან:

„27 ივლისი. შტატალე (ვენის სპორტის სასახლე) — განკუთვნილი 18 ათასი მაყურებლისათვის მაყურებლებით აივსო. აქ გაიმართა საერთაშორისო კონცერტი. საბჭოთა დელეგაცია გამოვიდა ორი კოლექტივით: უკრაინისა და საქართველოს მოცეკვავთა ანსამბლებით. უკრაინულ „გოპაკს“ დიდი წარმატება ხვდა წილად. ხოლო ჩვენს მიერ შესრულებული ცეკვა „სალხინო“ განსაკუთრებით კარგად იქნა მიღებული. 10 წუთზე მეტ ხანს შტატალეს დარბაზი ტაშისგან ზანზარებდა.

28 ივლისი. დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებმა შეხვედრა მოგვიწყვის. მართლაც იშვიათი დღე იყო ჩვენთვის. ჩვენამდე არც ერთ კოლექტივს არ ღირსებია ტყეში ცეკვა. ჩვენ მიერ შესრულებულმა გზნებაზე ცეკვებმა ვენის ტყეში მოსულ მაყურებლებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ქართულმა ცეკვამ და მუსიკამ გააცოცხლა ვენის ტყე.

იმვე საღამოს ვენის საკონცერტო დარბაზ „კონცერტაუზში“ საბჭოთა დელეგაციის კონცერტი გაიმართა. კონცერტმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა. ტაშის გრიალი შევასრულეთ ცეკვა „სალხინო“, რომელიც ორჯერ გავამეორებინეს. კონცერტს ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები, ავსტრიის ფედერალური კანცლერი იულიუს რაბაი, ავსტრიის სავარეო საქმეთა

მინისტრი ბრუნო კრაისკი, სსრ კავშირის ელჩი ავსტრიაში ლიამინი, ავსტრიის მთავრობის მინისტრები და სხვები.

**30 ივლისი.** საფესტივალო კონცერტში მონაწილეობა მეტისმეტად სერიოზული გამოცდა იყო ჩვენი ანსამბლისათვის. ქუთუბის წევრები მეტად სერიოზული გამომეტყველებისა და, ეპიგრაფულა, ხელოვნების დიდი მცოდნე სპეციალისტები იყვნენ, მაგრამ მათ წუნი ვერ უბოვნეს ვერც ერთ ჩვენს ნომერს.

კონცერტში ორი ცეკვით — „ზემოხვედრითა“ და „სალხინოთა“ გამოვიდით. საერთოდ, საკონცერტო კონცერტებზე ტანის დაჯერა აკრძალულია, მაგრამ რა გულდაეულ სცემდნენ ტანს ქუთუბის წევრები! ამ კონცერტის შედეგი ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლისათვის უმაღლესი ჯილდოს — ოქროს მედლის მიკუთვნება იყო.

**3 აგვისტო.** 1-2 აგვისტოს ეწვებოდა ჩვენი დელეგაციის წარმომადგენელთა შეხვედრები ინდოეთის, ესპანეთის, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების დელეგატებთან. ქართული მოცეკვავეები ფესტივალის დღეებში დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. „კავკასიელი შევარდნები“ შეგვიარქვეს. სადაც ჩვენ გამოვიდოდით, დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. „ბრავო ქორეიენ“, გვესმოდა ყოველი მხრიდან.

საბუთა კავშირის ახალგაზრდობამ საზეიმო კონცერტი გამართა შტაბალის სასახლეში. აქ, როგორც ყველგან, კვლავ დიდი წარმატება ხვდა წილად ჩვენს ანსამბლს. ყოველ ნომერს გვაქორობინებდნენ. საღამო გვიან დამთავრდა. დღიად გავგახარა იმ ამბავმა, რომ სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდები თავიანთ ენაზე შესანიშნავად მღეროდნენ „სულიკოსა“ და „ციცი-ნათელას“. საერთოდ, ეს სიმღერები ფესტივალის დღეებში მეტად პოპულარული იყო...

საბუთა დელეგაცია მოსკოვს დაბრუნდა. ბუხუტი დარახველიძე ანსამბლს მოსკოვში დაუხვდა. ისევ სათითაოდ ჩაიკრა გულში თავისი შევარდნები. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გამართა გრანდიოზული კონცერტი. აქვე მოხდა მედლის გადაცემა. ოქროს მედალი და ფესტივალის ლაურეატობა ანსამბლსა და მის ხელმძღვანელს ტანის გრილით მიულოცეს. მიქებმა ოქროს მედალი თავის საყვარელ მასწავლებელს მკერდზე მიუმარგეს და გულთბილად გადაიკონეს.

ბუხუტი დარახველიძე რამდენიმე წელია პირნათლად ემსახურება საყვარელ საქმეს — მხატვრული თვითმოქმედების განვითარების ამბოღებასა და განმტკიცებას.

ხშირად მოიგონებს ხოლმე გარდასულ წლებ-

საც, განვლულ გზას და მეხსიერებაში ცოცხლდება ომის მრისხანე დღეები. მიწა ზანზარებს, ირგვლივ სიცოცხლისა და სიკვდილის გადამწყვეტი ქილილია. ჯარისკაცის მანარაში გახვეული უმცროსი ლეიტენანტი ბუხუტი დარახველიძე გამარჯვების მტკიცე რწმენას უნერგავს მათურებელს მშვენიერი ქართული ციკვის მეოხებით.

იმ დროს ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიულ გაზეთ „მებრძოლში“ სიმღერისა და ციკვის წითელარმიული ანსამბლის ბალეტმეისტერი და სამხატვრო ხელმძღვანელი ი. არბატოვი წერდა: „განსაუთრებით მინდა აღვნიშნო ხორუმი უმცროსი ლეიტენანტის დარახველიძის დადგენილი, დამდგენი და შეძლო ხალხური ცეკვა ხორუმი დაეახლოვებინა ჩვენს სინამდვილესთან. მივიღეთ წითელარმიული ხორუმის ახალი სახე, რომელიც საუცხოოდაა შეხამებული იარაღის ილეთებთან და პოზირებასთან“.

თბილისის სამხედრო ოლქის მე-20 სპარტაკიდის გახსნის დღეს საჩვენებელი გამოსვლის შესანიშნავად მოწყობისა და თვითმოქმედი კოლექტივის წარმატებით მომზადებისათვის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის ბრძანებით ბუხუტი დარახველიძე დაჯილდოვდა სიკვლითა და ფსიანი საჩუქრებით.

მშვიდობიან შრომას, ახალ ყოფას ქართულ ცეკვაშიც ესაჭიროებოდა ასახვა. ბუხუტი დარახველიძის სურვილიც ეს იყო.

იგი ერთხანს ცენტრალური კულტურის სახლის ციკვის ანსამბლს ხელმძღვანელობდა. შემდეგ ვაჭრობის, კომინკავშირის, კულტურის სახლების ქორეოგრაფიულ თვითმოქმედ ანსამბლებს ედგა სათავეში. რაიონებსაც მისწვდა მისი ცეკვა; ჩხოროწყუსა და გორში დადგმულ მის ციკვებს რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე დიდი წარმატება ხვდათ.

საერთოდ, დათვლიერებაზე, ოლიმპიადებზე თუ კონცერტებში მისი ნახელავი უკანა რიგებში არასოდეს არ მდგარა, მუდამ პოპულარდა აღვიღს აღამიანთა გულებში.

— თუ ჩემს მიერ დადგმულმა ცეკვამ კაცის გულს სიამე მოგვარა, სიხარულის ცეცხლით აღანთო, ამაზე დიდი ბედნიერება ჩემთვის არ არსებობს, — ამბობს ბუხუტი დარახველიძე.

ტრამევი-ტროლიბუსების სამმართველოს ციკვის თვითმოქმედ ანსამბლთან გულმოგვიც მუშაობაზე ნაყოფი გამოიღო. რესპუბლიკებში აღიარებული ანსამბლი მოსკოვს ვაიმეზავრა, კავშირების სახლის სექტებიან დარბაზში გამართულ გამარჯვებულთა ოლიმპიადაზე პირველი ადგილი დაიკავა, პირველი ხარისხის სიგელი და ფულადი ჯილდოები მიიღო. მოსკოველები სიამოვნებით იწვევდნენ მას თა-



ვიანთი ფაბრიკა-ქარხნების კლუბებში გამოსასვლელად.

ქუთაის დადგენილებით ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვის დიდ თეატრში გამართულ დასკვნითს კონცერტში. განსაკუთრებული წარმატება ზედათ წილად „სალხინოს“, რომელიც მშრომელი ადამიანის დღესასწაულს გადმოგვცემს, და „ფარკაობას“, რომელიც ქართველი კაცის სიმარტეს, მოქნილობასა დეკორაციას ასახავს.

ქვემოთხატად ხალხური ხელოვნების ზემო აწევა მიყურებულმა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქორეოგრაფიულმა თეითმოქმედმა ანსამბლმა ბუხუტი დარახველიძის ხელმძღვანელობით.

ამ ანსამბლმა წარმატებით მიიღო მონაწილეობა კრემლში, ვლადიმირის დარბაზში გამართულ კონცერტში, რომელშიაც მონაწილეობდნენ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც: რუმინელები, ჩინელები და სხვ. ეს უბრალო კონცერტი კი არა, მეგობრობის დღესასწაული იყო. იმ საღამოს ქართველთა მიერ შესრულებული ცეკვის გამოწვეული აღტაცებული ტემი დიდხანს არ დამცხრალა, კვლავ გამარჯვებულნი დაბრუნდნენ შინ.

ამ კოლექტივთან მუშაობის გვირგვინი, ბუხუტი დარახველიძის აზრისა და ფანტაზიის ნაყოფი იყო მონტაჟი — „დღეს ზემოთა საქართველოში“. მას კეთუთვონდა ლიბრეტოც და დადგმაც. ეს მონტაჟი ნათლად და მართლად გადმოსცემდა ქართველი ხალხის ვაჟკაცობას, მეგობრობასა და სიყვარულს, შემატებებს ბრძოლაში და სიხარულს — გამარჯვებით გამოწვეულ ზემოში. იგი ლირიკული ლექსივით ეწერა და მაყურებელს განადიდებდა ქართველ წინაპართა ვაჟკაცობით, გმირობითა და თავდადებით გამოწვეულ აღტაცებას.

გულმოდგინედ მუშაობდა იგი ცეკვების დადგმაზე ლ. გვარამაძისთან ერთად მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი — „სასახლეობა რაინდისა“, და დიდი კეთუთვებითა და მაღალი ოსტატობით დადგმული ცეკვებით მაყურებელთა გულწრფელი მოწონება დაიმსახურა.

ბუხუტი დარახველიძე არასოდეს არ ყოფილა პროფესიული ანსამბლის ხელმძღვანელი, მუდამ თვითმოქმედ კოლექტივებს ედგა სათავეში, მაგრამ არც ერთი ეს კოლექტივი შესრულების ოსტატობითა და კომპოზიციითა მრავალფეროვნებით პროფესიულ ანსამბლებს არ ჩამორჩენია. მისი გამოზრდილები, თვითმოქმედ კოლექტივებში დაეხეცავენ, პროფესიულ ანსამბლებში წამყვან სოლისტებად და კარგ მოცეკვავეებად ითვლებიან. ეს არის დარახველიძის დაუღალავი მუშაობის ყველაზე

დიდი შედეგი. მხატვრული თვითმოქმედების განვითარების საქმეში უდიდესი დამსახურებისათვის ზგი რამდენჯერმე იქნა დაჯილდოებული სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელბათ.

ერთი დავთარი აქვს მას, ძველისძველი დავთარი, ვინ იცის, როდის შექმნილი, გაყვითლებული ფურცლებით, ფერგამკრთალი ჩანაწერებით. ცეკვის რამდენ ვარიანტს არ ნახავთ იქ ჩახაზულს, ჩაწერილს, ჩახატულს. პირობითი ნიშნებითაა აღნიშნული მოცეკვავეთა წყობა, რაოდენობა, სოლისტთა განლაგება. რა ზუსტადაა გამოკვეთილი ყოველი ნახაზი! „ხორე, მიც“ პირველად ამ დავთარში „დაიდგა“. „ხორედი“ აქარული, „ხორედი“ თიფებით (ჯარისკაცული), „ხორედი“ გვირგვინული... აქ ჩამოთვლილია 60-მდე ქართული ცეკვის სახე. დადგმული ცეკვების სია ცალკეა, დასადგმელი ცეკვებისა — ცალკე. ოცზე მეტი ცეკვაა ჩახაზული, ჩახატული. მათ ჯერ არ უნახავთ სცენის სინათლე. ბუხუტი ამჟამად ამ ცეკვებზე მუშაობს.

და იცით კიდევ რაზე მუშაობს?! ახალი დიდი თვითმოქმედი ანსამბლის შექმნაზე, ისეთი ანსამბლისა, რომლის პროგრამაშიც იქნება ორი საკონცერტო განყოფილებისათვის საჭირო და საქმარისი ხალხური ცეკვები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ ხალხის მესხიერებაში ცოცხლობს; ქართველ ხალხს ზომ ძველთაგანვე გააჩნდა რთული წყობის საცეკვაო ხელოვნება. ამ ანსამბლის რეპერტუარი უნდა დაამშვენოს იმ ცეკვებმაც, რომლებიც მხოლოდ დამდგმელის ფანტაზიის ნაყოფი იქნება.

დიდი სიხარულით დათანხმდა ბუხუტი დარახველიძე ემუშავა პატარებთან, მათი ზნეობისა და ოსტატობის აღზრდაშიც შეეტანა თავისი წვლილი. კარგი მოცეკვავისა და კარგი აღამიანის აღზრდა უდიდეს სულიერ სიამოვნებას ანიჭებს მას.

იგი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელი და მასწავლებელი გახდა.

რომ იცოდეთ, რა გულმოდგინებით მუშაობს, როგორ ახარებს პატარებთან ყოფნა.

წინ კიდევ რამდენი ახალგაზრდული დღესასწაულია, რამდენი საერთაშორისო შეხვედრა, ფესტივალი, კონკურსი! სანამ გული უტყვის, მკლავში ღონე ერჩის, სრულიდაც არ სურს ამ შემთხვევაში მონაწილეობისათვის ახალგაზრდული ცეკვის ანსამბლის მომზადების საპატიო საქმე ვინმეს ვაღააბაროს.

ჯერ კიდევ მთის გულივით მაგარია ბუხუტი დარახველიძე.

ჯერ კიდევ ბევრს მოვლიან მისგან ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების მოყვარულნი.

# მეზობლის თვლით

საქართველოს მრავალენოვანობის კულტურა, გამრავ და მშრომელი ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობა და საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიღწეული წარმატებები მრავალი უცხოელი სტუმრის ყურადღებას და აღტაცებას იწვევს. მის დაბრუნებული ტურისტები პრესის ფურცლებზე უზაარებდნენ შეთხვევებს საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებს. ვბეჭდავთ რამდენიმე ნაწევრს ამ შთაბეჭდილებებიდან.

ალექს ვოკლავსკი

პოლონელი ჟურნალისტი

## „შეველსი და მხვენიერი ქალაქი“

(აწერილია თბილისის ისტორია ქალაქის დაარსების დღიდან დღემდე, აურაცხელ მტერთა შემოსევა ოღათგან, ქართველთა ვაჟკაცობისა და პატრიოტიზმის წყალობით ეროვნული სახის შენარჩუნება, სამრევლო თუ კულტურული მიწვევებები ძველად და ახლა, თბილისის, და მთლიანად საქართველოს, ყოველმხრივი ზრდა-განვითარება საბჭოთა ხელისუფლების წლებში).

.....ჩაატარდა ქალაქის რეკონსტრუქცია. ბევრი ქუჩა გააწორეს და გაფართოვეს. დაიმორჩილეს მტკვრის კალაპოტი. ქალაქის ენერგეტიკული ბაზა განვითარდა. დაიწყო გაზის გამოყვანა უარაგანდიდან.

გაშენდა ახალი პარკები. თბილისი ჩაფლულია სიმწვანესა და ყვავილებში. შეუდგნენ ქალაქის ირგვლივ მდებარე ბუნების გარდაქმნასაც. გაშენდა ახალი ტყეები და ირწყვება სამგორის ველი.

სამგორის ველის ისტორიას თითქმის სიმბოლიური აზრი აქვს. მისი მორწყვა ხცადეს ჯერ იდეე XII საუკუნეში, მაგრამ უშედეგოდ. ამ განზრახვას კვლავ დაუბრუნდნენ XIX ს-ში. რუსმა და უცხოელმა ინჟინერებმა მრავალი პროექტი დამუშავეს, მაგრამ არც ერთი არ განხორცილებულა. არ იყო სამაო სახსრები, პროექტებშიც საკმაოდ ვერ იყო გადპირილი ბევრი ტექნიკური საკითხი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ინჟინრმა მამარაძემ ჩაატარა დეტალური კვლევითი სამუშაოები და დამუშავა თბილისის ახლოს წყალსაცავის შექმნის პროექტი. ომის დროს შეწყდა მოსამზადებელი სამუშაოები. მაგრამ 1948 წელს მუშაობა ჩქარი ტემპით წარიმართა. ათასობით თბილისელები გამოდიოდნენ სამუშაოზე. 1951 წლის 4 ნოემბერს იორის წყალი დაიძრა არხებით. წყალთან ერთად მიცურავდა ენთოზოოზით აღვსებული თბილისელების ყვავილები. ორ წელში წყალსაცავი გაივსო და შეიქმნა „თბილისის ზღვა“, საიდანაც, სარწყავი სისტემის მეოხებით, წყალი მიედინება სამგორის ველზე. შეიქმნა ახალი კომპერტნივობები და საბჭოთა მეურნეობები; აქ ჩამოსახლდნენ საქართველოს მთიანი რაიონების გლეხები. თბილისის შეემატა ახალი ბოსტნეული და საუცხოო ხილი. განზრახულია „თბილისის ზღვაზე“ აიგოს საცურაო სპორტული აუზი, დასავცენებელი სახლები, სანატორიუმები, პირადი ავარაკები. სამგორის ველზე იგეგმება ალუბი ორი წყალსაცავის აგება.



თბილისი უძველესი, მაგრამ მარად ჭაბუკი ქალაქია.

საქართველოს დედაქალაქი ჩამოსულ ადამიანს მაშინვე თანაბრად მოხიბლავს თავისი ხელმანით ჭვევითაც: უძველესი ციხე-სიმაგრის ნაშთით, მეტეხის ციხით, ტაძრით, აივნაიანი თუ ახალი ტიპის სახლებით, — და ზევიდანაც (მამადავითის მთიდან): ხიდეებით გადაკვეთილი მტკვრის ელვარე სარტყელით, ფართო პროსპექტებითა და ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული პანია ქუჩებით, კედლებისა და სახურავების ფერადი მოზაიკით, რომელსაც ლაფვარდი შეცა ახურავს ზემოდან...

ძნელია არ შეიყვაროთ ეს ქალაქი...

ქალაქის ისტორიის დრამატიზმი, მისი ბუნების ფანტასტიკა, მისი მცხოვრებლების მომ-



ხიზღველობა ეუფლება ჩამოსულის ფიქრსა და გონებას, გასაოცარ ქართულ ღვინოსთან ერთად შედის სისხლში და უხსოვარი დროიდან მოქმედობს :ღამიანის ღანტაზაზე...

„პშიზანა“, № 46, 1958 წ.

ტექსტს ახლავს ავტორისავე ფოტოები — ძველი და ახალი თბილისის ხედები.

შვილ იასენსკი

პოლონელი კურნალისტი

### ჩინაწმირში საქართველოდან

...შევივარო მთებში ჩამგდარ ქალაქში... გადავდივართ ხილს, რომელსაც კლდეებში გაუთხრია კალაპოტი. მისი ერთი ნაპირია 15-20 მეტრის სიმაღლეზე დაკიდული კლდე, რომლის კიდეზე, ზედ ზრამთან, საცხოვრებელი სახლები წამოსკუპულა; ბოლოში აღმართულა ფეცილი ეკლესია-ციხესიმაგრე.

ამეტყველდა ისტორია. თანამედროვეობასთან ერთად ის თან გააყვებათ საქართველოში მთელი თქვენი მოგზაურობის განმავლობაში.

დიდი ქართველი პოეტის რუსთაველის ხეივანი ქალაქის მთავარი ქუჩაა. აქ განლაგებულია მინისტრთა საბჭოს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის, კულტურის სამინისტროს, თეატრების, აგრეთვე სასტუმროების მშენებელი შენობები. სასტუმრო „ინტურისტის“ წინ მდებარეობს მინისტრთა საბჭოს შენობა, ნაგები ქართული სტილით, საუცხოოდ მოჩუქურთმებული თაღები, ენოში ამავალი მაღალი კიბეებით. ეს შენობა ებჯინება 700 მ სიმაღლის მთის ძირს, ამ მთის წვერზე კი წამოკიშულია სატელევიზიო ანტენა. ეს ანტენა მსუბუქი კონსტრუქციისაა, ეიფელის კოშკზე მაღალია და მოქნილი.

ზვიედან რომ გამოხედავთ ქალაქს, დაინახავთ ქუჩებს შორის ზიგზაგებით მიმდინარე მტკვარს, აუარება სიმწვანეს და თითო, ორ-ორ და სამ-სამ სართულიან სახლებს, რომელთა შორის აღმართულან მრავალსართულიანი შენობები — მშენებელი ურბანიკული და არქიტექტურული პუნქტები, მაგალითად, უნივერსიტეტი, ცირკის მრგვალი შენობა გმირთა მოედანზე, სამეცნიერო დაწესებულებები, მუზეუმები, სტადიონები, აგრეთვე ახალი მაგისტრალები — თუნდაც ვარაზის ხევი — სტალინის სახ. სანაპირო, ღვინის ხეივანი, ქართულ სტილში ნაგები ახალი სახლები, ვრცელი, პარკთა სიმწვანეში ჩაულღული გარეუბნები, ამ გარეუბნებში წამოკიშული ქარხანა-კომბინატები, მაღალი კვადრატული ბლოკები; შორს, მტკვრის უკანასკნელ მუხლთან, მოჩანს ცნობილი „ქართული ფილმის“ კინოქალაქი; შორისონტზე, საითაც კი თვალი მიგიწვდებათ — მოჩანან მარადიული თოვლითა და ყინულით დაფარული თეთრად მოვლვარე ვეება მთები.

საკმარისია შეხვიდეთ მუზეუმში, რომ დარწმუნდეთ, რაოდენ ძველი, მდიდარი და დიდებულია ქართული კულტურა, და ამავე დროს, რა დიდი მოწინებით ეპყრობა საბჭოთა საქართველო თავისი წარსულის ძეგლებს. შებრძანდით ქართული ხელოვნების მუზეუმში. გადახედეთ უძველეს ქართულ ნაბეჭდ დოკუმენტებს..... არქეოლოგიურ მონაპოვართა აუარაცხელი კოლექციები მოგითხრობენ ქართული კულტურის უძველეს დროებზე. თქვენ ნახავთ კოლხეთში ნაპოვნ ქვის, რკინის, ოქროსა და მინის ნაკეთობებს, საოცრო ოსტატობით ნახელავ, ნამდვილი სიფრთხანა ბადის მსგავს ყელსაბამს, ბეჭდებს, ქართველ მინაქურთმითა ხელით ნაკეთებ დიდებებს, ძვირფასი ქვებით შესრულებულ, ობობას ქსელზე უფრო ნაწ ნახატებს, — და ყოველივე ეს იქმნებოდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე ათასი წლის უკან. IV ს-ის ქართული კულტურის მუზეუმში თქვენ ნახავთ ვერცხლის მოქედილობას, წმინდა ქართულ ორნამენტს—ვაზის ფოთოლს, ნატიფად ნაკეთებ ხატებს, უმშვენიერეს მინაქარს, რომლის მსგავსს ვერ იპოვებთ მსოფლიოში. კინოეკრანზე გაივლის თქვენს თვალწინ ცხოვრება მამაცი, ნიჭიერი, კულტურული ხალხისა... რომელიც თავისი ისტორიის გარიჟრაჟიდან მოყოლებული ებრძოლა მტერს, მაგრამ, ნაომარი და ნაწამები, მარად ამაყი და თავისუფალი რჩებოდა...

...თბილისს აქვს თავისი ახალი გუტა, რომელსაც ეწოდება რუსთავი. აქ უკვე მუშაობს მათი მეტალურგიული ქარხანა. ახალ ქალაქში 100.000 მცხოვრებია უკვე. ისინი ცხოვრობენ მშვენიერ, სუფთა, ეროვნული სტილით ნაგებ და ხეებით გარემორტყმულ სახლებში, ოღონდ ეს ხეები სანერგებიდან კი არა, პირდაპირ ტყეებიდანაა მოტანილი...

...ღამაში, მოხდენილი ხალხი დადის თბილისის ქუჩებში... ძალზე ბევრია ახალგაზრდობა... ბევრმა იცის ენები — მეტწილად ინგლისური და გერმანული... ქართველებმა იციან ჩვენი

ქვეყნის ისტორია, ანტიერესებთ ჩვენი ცხოვრება, დიდი და გულწრფელი სიმპათიით გვეპყრობიან. იცნობენ ჩვენს ხელოვნებას, უყვართ ჩვენი ფილმები...

...ძალზე თავაზიანი და სტუმართმოყვარე ხალხია. მათი გულითადაც ნამდვილად არნახულია. ყველას უნდა გაგიმასხმინდეს... (მერე, აღტაცებული, ვრცლად აღწერს ქართულ სუფრას თავისი სასმელ-საქმელით, წეს-ჩვეულებებით).

სტუმართმოყვარეობითა და გულითადობით ქართველებს მხოლოდ პოლონელები თუ შეედრებიან, მაგრამ სუფრაზე საუბრის წარმართვაში, ვფიქრობ, პოლონელები ქართველებთან ვერ მოვლენ. ქართველების საზრისიანობას და ენამახვილობას სუფრაზე ვერავინ შეედრება... მათი საუბრისა და თბრობის მანერა შეუდარებლად მომგადოებელია.

მაგრამ ქართველები — უწინარეს ყოვლისა არიან ღრმა, მგრძნობიარე პატრიოტები, რომელთაც უწინარეს ყოვლისა უყვართ თავიანთი ქვეყანა. ღრმად და მრავალმხრივად უყვართ ქართველებს საბჭოთა კავშირი და საბჭოთა მთავრობა.

ქართული ხელოვნება სათუთია, ნატიფი, დახვეწილი, ხალასი და თან რაღაცნაირად ქედმაღალი და ამაყი. ეს თვისებები მფლანგდება ხელოვნების ყველა დარგში. არქიტექტურაში — სადა დეტალი, ნაზად ჩახატული რაიმე სახე თანამედროვე შენობას შეუცდომლად ანიჭებს ნაციონალურ ხასიათს. თავით ბოლომდე, მთელი თავისი შემოქმედებით, ნაციონალური მხატვარია არა მხოლოდ დიდი პრიმიტივისტი ფიროსმანიშვილი, არამედ ნამდვილად თანამედროვე მხატვარი ლადო გუდიაშვილიც; მთელი თავისი ფანტასტიკურობის, აღეგორებისა და პერსონაჟთა თითქმის ელ-გრეკოსული დეფორმაციით — ყოველ უმცირეს დეტალშიც კი ქართველია, ოღონდ ამას აკეთებს ნაზად, და არა მოსახერხებელი აკვიატებით...

საქართველო განსაკუთრებით მახლობელია პოლონეთისთვის: მრავალი ისტორიული მანალოგიები, მრავალი ერთნაირი განცდა და საზრუნავი, ერთნაირი შეხედულებანი ცხოვრებაზე, ხელოვნებაზე და სილამაზეზე...

გაზ. „ტრიბუნა ლიუდუ“, № 264.  
23 სექტემბერი

ვლადარ კუში  
გერმანელი მწერალი

## თქვენი გაზარჯვეზის იყოს!

თბილისიდან გორამდე ჩქარი მატარებელი ორ საათს ანდომებს. საავტომობილო გზატკეცილს, რომელიც მტკვრის გაყოლებაზე მიემართება, ბევრი მისახვევ-მოსახვევი აქვს და უთუოდ რკინიგზის ხაზზე უფრო გრძელია.

აქაური შოფრები ძალზე გულადი ხალხია. ჩვენმა შოფერმა ხელი გადაისვა თავის ლამაზ შავ ქორხისა და პატარა ულვაშებზე და დინჯად დაიკავა თავისი ადგილი. მან თავაზიანად მრგვითთა მანქანის გვერდებზე მიმაგრებულ სახელურებზე. მერე გაისმა რაღაცნაირი სტვენით აღხვსე სმურის, და აკი გორში არ ამოუყავით თავი! რაკეტა-ავტომობილმა მიგვაქროლა გორის ახლოს მდებარე მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში... ირგვლივ ყველგან ვამეფებულა მწვანე ფერი, ხოლო მეღვინეობის სისტემა ამ დაბლობს ნაყოფმარაქიანს ხდის... კოლმეურნეობაში, რომელსაც ჩვენ ვეწვიეთ, მხოლოდ ყურძენი მოჰყავთ... რაციონალური მოსაზრებებით ღვინოს სხვა ადგილას ამუშავებენ. კოლმეურნეობას მხოლოდ საკუთარი საჭიროებისათვის აქვს რამდენიმე მარანი, რომლებზეც ვერაფრით ვერ იტყვით, პატარა ზომისააო. რა თქმა უნდა, აქ მხოლოდ ყურძენს როდი ჰყავთ, — ყოველ ოჯახს აქვს საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთი, სადაც მოჰყავს მარცვლეული, ბოსტნეული, სხვადასხვა საკვები; გარდა ამისა, მათ ჰყავთ ძროხები, ცხვრები, ღორები და ფრინველი...

... შრომა აქ დაიანგარიშება შრომადღებით, და ყოველი ადამიანი მიიღებს ფულადი და ნატურის სახით იმდენს, რამდენსაც გამოიმუშავებს. შრომადღეზე ანგარიშსწორება ხდება კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის შესაბამისად... აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მიიღება ის შემოსავალი, რომელსაც იღებს კოლმეურნი საკუთარ ნაკვეთზე დაკრეფილი ხილის გაყიდვით...

... აქაური ხალხი ლამაზია, მშვენიერი ტანადი, მზემოკიდებული. თვალში გეცემათ ღირსების თანდაყოლილი გრძნობა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამაცხობს თავიანთი წარმატებით. რითი მოსწონს მას თავი? ნწ. კომლიან კოლმეურნეობაში ბევრი ბავშვია. კოლმეურნეობას აქვს თავისი დწყებითი და ხაშუალო სკოლები, სადაც 41 მასწავლებელი ასწავლის. აქვთ კლუბი, დიდი ბიბლიოთეკა



სამკითხველოთი, კი, რომელიც ყოველდღე მუშაობს, თან ფილმებს 2-3 დღეში ერთხელ ცვლიან; აქვთ ამბულატორია, მცირე თეატრი, სადაც გამოდიან ხოლმე თბილისიდან ან გორი-დან ჩამოსული თეატრალური კოლექტივები, ანდა კოლმეურნეობათა დრამატული წრეები. კოლმეურნეობას ჰყავს ავტომანქანები; ბევრ კოლმეურნეს საკუთარი ავტომანქანა შეუძენია...  
...ღვინის სარდაფში ვსინჯავთ წითელ მაჭარს; ბერიკაცო ჭვევრში ჰყავს ტრადიციულ, ხისწუჭურთმიან კობსს. თავმჯდომარე გვიხსნის:

— ეს მხოლოდ მოგვიანებით დაღვინდება. აი ეს გასინჯეთ, უკვე დადუღებულია. თქვენი გამარჯვებისა იყოს!

თქვენი გამარჯვებისა იყოს! საქართველოში, როცა ღვინოს სვამენ, ზუსტად იცავენ ტრადიციას. ერთ ყულუბ ღვინოსაც არ დაღვევენ უსადღეგრძელოდ, ხოლო სახმისს მაგიდაზე მხოლოდ მაშინ დაგავენ, როცა დაცილიან. აქ აქვთ კლასიკური ქართული ჭიქები, რომლებსაც ფეხი არა აქვთ და ვიღერ არ დასცილი, ვერც დადგამ...

... გასეირნებამ დაგვარწმუნა, თუ რა საუცხოო მოსავალია წელს. ყურძნის მძიმე მტევნები მიწაზე დახრილან, ხოლო ვარდისფერი ატამი ისე ნაზია, რომ ენაზე ადნება კაცს. წამდაუწუმ გვასინჯებენ ყველაფერს. თავმჯდომარე, თუ საჭიროდ თვლის, თავაზიანად, მაგრამ დაბეჭითებით გვართმევს ხელიდან ყურძნის: არ ვარგა, უხვიროა, მთავეოა, და ძირს აგდებს. მკითხველში ნეტავ გენახათ, რა ყურძნის ეძახდა უხვიროს.

სიტყვებში იკლო. შეღვინებმა მცირე სადილზე მიგვიწვივს. ხეხილის ჩრდილში, პლანტაციების ახლოს, გაეშალათ სუფრა, იქვე კი, რამდენიმე ნაბიჯზე გაჩაღებულ ღია ცეცხლზე მზადდებოდა ხორცის ნაირ-ნაირი კერძი...

...თქვენი გამარჯვებისა იყოს! ერთ-ერთი ამ თავაზიან მასხინმელთაგან მთელი სადილის განმავლობაში მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ განუწყვეტლივ ავსებდა და ცილილ ბოთლებს. წარმოიჭვა მრავალი სადღეგრძელო სამ ენაზე: ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე, და თავიდანვე გულითადი ატმოსფერო შეიქმნა. ეს განსაკუთრებით მომეწონა. ჩვენში ზშირად რადი შეხვედებით ასეთ რამეს. ჩვენი ადამიანთა გულითადობა მეტწილად უკუპროპორციულია იმისა, რაც ბოთლებში დარჩა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენთან, გერმანიაში, მხოლოდ მაშინ იქმნება სასიამოვნო ატმოსფერო, როცა ბოთლები დაცილილია და ადამიანები გვარიანად შეზარბოვნიან. სულ სხვაგვარად იყო მთელი ამ ქართული სუფრის მანძილზე. (მერე აღვრთვანებთა ადრერილი ქართული ეროვნული კერძები და სუფრის წესები)...

...როცა ჩამავალმა შევქმნი თანდათან მუქწითლად შეაფერადა ცის ღაფვარი, გაგვასხენდა, რომ დროზე უნდა დავბრუნდეთ თბილისში, დავტაცოთ ხელი ჩვენს ბარგს სასტუმროში და მივუსწროთ მატარებელს. კოლმეურნეებმა ჯერ იჩუნიეს... მერე კი დაგვეთანხმნენ, რომ, რა თქმა უნდა, უნდა ენახათ საქართველოს სხვა წარმტაცი ადგილებიც, — და ერთმანეთს დაგვშორდით, როგორც ძველი კეთილი მეგობრები.

ჩვენი მანქანის საუკეთესო მგდომმა უზომოდ მამაცმა რაინდმა დაგვამშვიდა: ნუ გეშინიათ, ყველაფერს მოასწრებთო. აქეთობისას ჩვენი მგზავრობა ისევ რაკეტით გაფრენას ჰგავდა, ოღონდ ამჯერად თითქოს ზეთანამედროვე რაკეტაში ვისხედით...

...ამ თავისუფალი რესპუბლიკის მცხოვრებნი თურქების თვალუხიზელი შეზობლებია. ესაა უთავაზიანესი ხალხი, რომელსაც ვერ დაივიწყებ, თუ ერთხელ მაინც გინახავს. მაგალითად, ზემოთ ხსენებული შოფერი, თუ აუცილებელი იქნებოდა, საათში 250 კმ სისწრაფით გააქროლებდა მანქანას, ოღონდ კი დროზე მივეყვანეთ სადგურზე. წარმოადგენა არა მაჭვს, რანაირად მოახერხებდა ამას, მაგრამ დარწმუნებული კი ვარ, რომ ასე იქნებოდა! იმის გამარჯვებისა იყოს, მისი თანამემამულეების გამარჯვებისა იყოს!

გერმ. თურ. „დი ველტბიუნე“, № 48, 1957 წ.

ალინა რიგანი

ყურნალისტი.

ქალთა თურ. „სარკის“ რედაქტორი.

მოგონებანი კოლხეთში

„მე შინავენი ტახურის წყალი“

როდესაც საქართველოში ერთი თვით მოგზაურობას აპირებ, გგონია, ეს ძალზე ბევრიაო. მაგრამ როდესაც ჩახვალ, დარწმუნდები, თუ რა მცირეა, დიან, ძალზე მცირეა ერთი თვე. ეს ქვეყანა იმდენად საინტერესოა და ისე მშვენიერი, რომ მომსვლელმა აღარ იცის, რაზე შეინა-

როს თვალში, და მალე ცხადი ხდება, რომ იმის მხოლოდ ნაწილს თუ ნახავს, რისი ნახვაც უსოდენ ეწვია.

ასე რომ გვემის შედგენისას იმთავითვე ერთბაშად უნდა დაიწყო... შეკვეთით. აბა რას იზამ. ამჟერად ვერ ვნახავ ვერც რიწას ტბას, ვერც სახელგანთქმულ ქალაქ-კურორტს სოხუმს და საქართველოს ვერც სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს. სამაგიეროდ მე გავცენობი თბილისის ძველთაძველ ქუჩაბანდებს, ვიხილავ ამ კურთხულ ქვეყანაში ასე უხვად გაფანტულ ტაძართა და ციხე-სიმაგრეთა სუტყობა არქიტექტურას, დავსწრები კახეთის რთველს და მაღალ მთებში ჩაწოლილ ზეგსურეთის სოფლის ბაზრობას. მაგრამ, რაც მთავარია, მე მოვინახულებ კოლხეთს.

— კოლხეთს? აბა რა გინდათ იქ, — მეუბნებიან ზოგიერთები, — ეს ხომ არცთუ ისე ღამაში მხარია, სახვე დაქაობებული ველებით, რომელიც უფრო პოლესიეს ახასიათებს, ვიდრე საქართველოს. ნუთუ არ გინანებათ ტყუილუბრალოდ დაკარგული დრო?

არა არ მინანება, მინდა ვიხილო, რანაირია ამჟამად უძველესი ფაზისი. აქ სწორედ კოლხეთის სანაპიროებიცენ მოეშურებოდა არგონავთების ხომალდი. სწორედ ამ მხარეში პპოვა იაზონმა მითურეი ოქროს ვერძი, და მშენეიერი მედეაც ხომ ამ მხარის მკვიდრი იყო.

— გნებავთ მოვითხროთ მეფე აიტიისა და მისი ასულის მედეას ამბავი? ვახედეთ აი იმ მთას, სწორედ იქ იყო აღმართული კოლხეთის მეფის ციხე-დარბაზი. მოშორებით კი, გაუვალ და ატეხილ ტყეში, უზარმაზარი დევი დარაჯობდა ოქროს ვერძს.

ზმელ-სმელი და ჯანმავარი მოსუცი მსუბუქი ნაზივებით მიმიძღვება და მიიკვლევს გზას ეკლნარში, თან მომითხრობს ძველ კოლხურ ლეგენდებს. აი ვათავლიერებთ მთის ფერდობზე შიშოფანტულ ძველ შენობათა ნანგრევებს. აქედან ხედისგულივით მოსჩანს კოლხეთის მთელი დაბლობი. შემდეგ თავქვე ვეშვებით, მივყვებით მიწისქვეშა გასასვლელს და გავდივართ მღინარის ნაპირზე.

— აი შესვით ამ მღინარის წყალი და აღარასოდეს არ დაგაფიყდებთ კოლხეთი, — მეუბნება ჩემი მეგზური. — ვინც ერთხელ მაინც იგემებს ტეხურის წყალს, უსათუოდ კიდევ მოინახულებს აქაურთაბას. ასე იტყოდნენ ჩვენი წინაპრები. შესაძლოა კიდევ მოვიხედოთ კოლხეთის ხილვა, მაგრამ სამიღროსოდ აქ ჭაობის ნახაბიც აღარ იქნება. აქაურთა მალე აუვავებულ ბაღნარად იქცევა...

...ათასეული წლების წინათ ეს მხარე კულტურის კერად იყო მიჩნეული. ოდესღაც აქ იყო სამეფო კოლხთა — ამ მხარის უძველეს მკვიდრთა ადგილსამყოფელი. შემდეგ ბერძენებმა დაისკუთრეს იგი, მათ რომაელთა ბატონობა მოჰყვა. კოლხები აუჯანყდნენ რომის ტირანებს, თავისუფლება მოიპოვეს, მაგრამ ახლა არაბთა და სპარსთა ურდობმა გადათელეს ეს მიდამოები, მოსრეს ყოველი და დაიწყო უკელაწე ძლიერი და მრავალსაუწყუნოვანი მტრის — ჭაობის შემოტევა. მოსახლეობისაგან დაცარიელებული მთის თხემებიდან დაიძრა მღინარეები და დაშურა ეს ტაფობი. მარტო მღინარე რიონს ყოველწლიურად მილიონობით ტონა შლამი ჩამოჰქონდა. წლითწლიობით იზრდებოდა ჭაობი, ჩნდებოდნენ ტბები, ჭანჭრობები. გაუვალ ტყეებსა და ღიანჭველში შთაინთქა აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი კაცთსამყოფელი და მალე ეს მხარე იაგრინება და გაუკაცურდა. მეგრელები — კოლხთა შოამოშავალინი, მალარიითა და ნატიო ხაშვით ქანცმიდეულნი — აქა-იქ შემორჩენილ სოფლებს შეეხიზნენ. ფოთი, რომელმაც შესცვადა ძველი ფაზისი, მხოლოდ პატარა საზღვაო დაბად იქცა...

რევოლუციის შემდეგ, ოციან წლებში, დაიწყო ბრძოლა ახალი კოლხეთისთვის. ბუნების გარდასაქმნელად საქირო იყო ჭაობების ამოშრობა. ეს სამუშაო მრავალი წლის დაუღალავ შრომას მოითხოვდა. უნდა ამოეძირკვათ გაუვალი ტყეები, გაეყვანათ წყალსარქები არხები. აეგოთ ჯებირები, დაერგათ ათეული ათასი ევკალიპტის ზე, რომელიც კლანტაციობი, საუკეთესო ბუნებრივი საშუალებაა ნიადაგის ზედმეტი ტენიანობის წინააღმდეგ, რადგან აუარება წყალს ისრუტავს დღეღამის განმავლობაში...

თავდადებულმა და გეგმავანიერმა შრომამ მალე გამოიღო სასურველი ნაყოფი. დღეს მრავალი ასეული ბექტარი მიწისა მოჩითულია მანდარინის, ფორფობლისა და ლიმონის ბაღებით. თვალს ახარებს იაბონური ფიციხობა, ტუნგოს ხისა და ბამბუკის პლანტაციები.

ფოთი დაბა ფოთი კი დიდ სამრეწველო ცენტრად და მნიშვნელოვან სავაჭრო ნავთსადგურად იქცა. მის ახლანდელ მკვიდრთ უკვე აღარ ახსოვთ, რა არის მალარია. ეს საშინელი სენი საბოლოოდ დამარცხებული იქნა სულ რაღაც თხუთმეტი წლის განმავლობაში.

...და აი ახლა მოსუცი გოგოლაშვილი მეგზურთაბას მიწევს კოლხეთში.

ამ მხარეში ეს მოსუცი ფრად პოპულარული პიროვნებაა და განთქმული მონადირე.



მთელი კოლხეთი ფეხით აქვს შემოვლილი. არქეოლოგები და ტოპოგრაფები კარგად იცნობენ მას... ბესარიონ გოგოლაშვილი სოფლის მასწავლებელი გახლავთ, რომელიც დიდი ხანია გატაცებული ყოფილა არქეოლოგიით. ამჟამად იგი ფოთის მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებას განაგებს. ამ პიროვნების ნიშანდობლივი თვისებებია — მშობლიური მხარის ღრმა სიყვარული, ნადირობის ტრფიალი და კოლხეთის მშვენიერი მომავლის რწმენა...

აი ჩვენ ნავით მივცურავთ პალასტომის ტბაზე. ორღელთან თოფზე დაყრდნობილი გოგოლაშვილი ჩაიჭიკრებული ვასცქერის მახლობელი ზღვის ნაპირებს.

— წინააღმდეურადაც გელარ ვნადირობ ცხოველებზე. გაუვალი ტყეები და ჭაობები იყო ოდესღაც მათი თავშესაფარი. მათ ადგილზე ახლა ბაღები და დასახლებული ადგილებია გაშენებული. როცა ძალიან მომინდება ნადირობა, კარგა შორი გზა უნდა გავიარო, ხანამ ტყესა და ჭაობს წაუფრუდებოდე. მაგრამ არც ეს მშველის. ექსკურსანტებისა და ტრაქტორების ხმაურმა დააფრთხო ნადირი და ძნელი საპოვნელი გახდა. რას იხამ. უნდა დავმორჩილდე ბედს და ნადირობის პროფილი შევცვალო. ახა შეხედეთ, რამდენი წყლის ფრინველია ირგვლივ. დღეს შემიძლია იხვიც ხორციით გავიმასპინძლო.

ის ნაზად უხვამს თავზე ხელს შოკოლადისფერ ძაღლს, რომელიც ერთგულად მისჩერებია თვალბეზში.

მოტორიანმა ნავმა ნახევარწრე შემოავლო, ტბაში ჩამავალი მდინარისაკენ აიღო გეზი და აღმა აპყვა მის დინებას. მალე დაბურულ ტყეში აღმოვჩნდით. გადავედით ხმელეთზე. ნიადაგი აქ შავია და წებოსავით ეფლობი შივ. შუაღელე, მაგრამ ირგვლივ მწუხრი ჩამოგდა. ფეხის გადაღვმა ჭირს და მიწა თითქოს თრთის. მღუმარება გაუმეებულა. ფოთოლიც კი არ შრიალებს. აი თურმე რა ყოფილა ჭაობი.

— ამის იქით წასვლა აღარ შეიძლება, — მიუბნება გოგოლაშვილი, — აქ იწყება საშიში ჭაობების ზონა. თუ გენებათ დარწმუნდეთ, რამდენად აფასებენ არქეოლოგები აქაურობას, გავიდეთ უკვე ამომშრალ ფართობზე. იქ შესძლებთ კი არ წაიკითხოთ, არამედ თვალნათლივ იხილოთ კოლხეთის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი ისტორიის რამდენიმე სტრიქონი.

და აი ჩვენ ფეხი შევდგით მიწაზე, რომელიც ახლანამ გამოვლიჯეს ხელიდან ჭაობს. შარაგზის გასწვრივ ჩამწყრივებულან ახალგაშენებული სოფლები, სახლები ჰუვავებულ ბაღანარებში ჩაფლულან. სოფელს ეკვრის სახნავ-სათესი ფართობები, ნარინჯოვანთა პლანტაციები. აქა-იქ ზოლად გასდევს მურყნარი.

გოგოლაშვილმა მანქანა პატარა ბილიკთან შეაჩერა. გადმოვიდით და ფეხით განვავარძეთ გზა. აქ ნიადაგი ჯერ კიდევ მთლად არ გამოშრალა. ალაგ-ალაგ მოშვავ წყლით სავსე გუბებები გვხვდება.

გოგოლაშვილი ქარაქშიდან იღებს ხანადირო დანას, ჭრის ხეს ტოტს და ამწვეტებს. — ამა, გამოშრთვით და ამოჩიქნეთ მიწა სადაც გენებთ.

ტოტი რბილ ნიადაგში ადვილად ერჭობა. ცოტა ხნის მერე რადაც მაგარს ხვდება. თიხის ჭურჭლის ნატეხი განვავარძობ თხრას და მიწიდან ამოვადე შევმიწამიკრული რომელიღაც ჭურჭლის ყური. იგი რომელიღაც ცხოველის თავს გამოსახავს და ორნამენტებითაა შემკული.

— ვინ იცის რამდენი საუკუნე იყო იგი აქ ჩაფლული? — დიმილით მეუბნება მოხუცი. — ალბათ ოთხი-ხუთ ათასწლეული წელიწადია. თქვენ რომ ახლა დაწეროთ, თუ რა იოლად ამოთხარეთ, თქვენი მკითხველები ალბათ არც კი დაიჯერებენ...

ახლა კი მესმის რატომ მოისწრაფოდნენ აქეთკენ არგონავთები.

ქურ. „ზვერციადლო“, № 40, 1960 წ. 4 ოქტომბერი

ნორმან კაზინსი

საზოგადო მოღვაწე. ქურ. „სეტერდი რევეუს“ რედაქტორი

საღმრთო სასაქონლო

მთელი დღე გადაუღებლად წვიმიდა... მანქანით მივდიოდით... თბილისიდან 120 კმ მდებარე საბჭოთა მეურნეობაში... სამი საათის მგზავრობის შემდეგ ჩვენი შოფერი მიაგდა ერთ მთის ძირას მოსახვევს. მან მანქანა გააჩერა და თავი გადაიქნია. ზიდი არ იყო... ხერიოთოდ აქ არაფერი აბრკოლებათ ზოლმე, რადგან მდინარე შარშანს აქეთ ამომშრალი იყო... და მანქანები თავისუფლად გადიოდნენ ქვის კალაპოტში. მაგრამ ახლა, წყლის მოულოდნელი მოვარდნის გამო.

რამდენიმე ღრმა მდინარეა მოედინებოდა კალაპოტში. ამასობაში სულ ჩამონდნა... ჩვენს წინ შეჩერებულიყვნენ სხვა მანქანები. შოფრები ერთ სტოპობაში იყვნენ, რა ადგილას სჯობია გადასვლა...

...ჩემი თანამგზავრები იყვნენ ქართველი მასწავლებელი და თარჯიმანი იგორი. იგორს ვუთხარი, იქნებ თბილისში დაბრუნება სჯობდეს-მეთქი. საუკულებრიტ შემომხედა: „თქვენ უთუოდ დაგვიწყდათ, რომ მანქანა ქართველს მიჰყავს!“ — მითხრა და არც კი უთარგმნია ჩემი ფრთხილი შენიშვნა.

ის, რაც იგორმა მითხრა ქართველების შესახებ, ფუჭი სიტყვები როდი იყო, — ვინაიდან საუკუნეების მანძილზე ქართველები ებრძოდნენ ჩინგიზ-ყაენს, მონღოლებს, თურქებს, სპარსელებს, რომაელებსა და გერმანელებს თავისი ქვეყნის, სახლ-კარისა და ცოლ-შვილის დასაცავად. ამჯერად პრობლემა მხოლოდ ის იყო, რომ ხიდი არ დაგვხვდა და კოკისპირული წვიმებისგან მდინარე ადიდებულიყო. მდინარესთან შებრძოლება ხომ ბევრჯერო თამაში იყო!

სუნთქვა შემეკრა, როცა დავინახე, როგორ გაქანდა ერთ-ერთი წინა მანქანა გაძმა ნაპირი-სკენ... მალე მშვიდობით გადაიარა მდინარე. „ჩვენც გავალთ“, — თქვა ჩვენმა შოფერმა...

...ჩემი შიში შეცვალა ქართველი შოფრით აღტაცებამ, როცა ხან სამი მდინარეა გადალახა. ტალახმა დაფარა მანქანის კაბოტი, საბურავებისგან ავარდნილი ქვები ქვემოდან ეხლებოდა მანქანას, მაგრამ ჩვენ მაინც განვაგრძობდით გზას. როცა მეოთხე მდინარეებსთან მივდით, უკანა ბორბლები ჩაიფლო და გაჩერდით... ქართველმა შოფერმა ხელისგულეზე დაიფურტოხა, მაგრამ ჩავვლო ხელი საჭეს და წინ და უკან ქანახა დაუწყო მანქანას. მალე საბურავები გრუნტს შეეხო და დავინახე, რანაირად ჩაივინა შოფერმა... მანქანამ საკმაოდ დიდი სისწრაფით გადალახა რამდენიმე მდინარეა და გზა განვაგრძეთ. სიტყვა არავის დაუძრავს. იგორს მუხვებზე და ნელა დავუსტავი — ამ სტრენით გამოვხატე შეერული გრძნობები, რომელიც მასში დამეფულა: შვება, და შოფრის ვაჟაკობით გამოწვეული აღტაცება... მალე ქართველმა მასწავლებელმა მანქანა გაჩერებინა და წავიდა დამის გასათვვის საშოვნად. (მერე აწერილია, თუ რა ღირსებები და გამძლეობა აქვს საბჭოთა მანქანას, რამდენად სჯობია ამერიკულს იმ მხრივ, რომ მაილთა კაცი შიგ თავისფლად აღმავლობისკენ მიდის, იზრდება საშუალო მომხმარებლის მსყიდველობითი უნარაზნობა — კერძო მანქანების უმარავ მელობელებთან დაკავშირების...) ...ამ მცირე გადახვევას უნდა ვუმადლოდეთ „ვოლგას“, რომელმაც ასე კარგად გადალახა მდინარის ქვაღორღიანი კალაპოტი. მაგრამ დაფურბუნდით ჩვენს ამბავს. მოვიდა ქართველი მასწავლებელი და თან მოიყვანა ადგილობრივი სოფლის მეთაური, შაქრო გოგიაშვილი. ეს სოფელი აღმოჩნდა კომუნურენობა, სადაც ძირითადად ღვინის დასაყენებელი ყურძენი მოჰყავთ.

ჩვენი მასპინძელი, რომელიც გავღვიძებინათ, გულთბილად მოგვესალმა. მან შარავნიდან გადაგვხვევინა ვიწრო ბილიკზე და მალე მივაღქვით მის ორსართულიან სახლს. გარედან მიშენებული ხის კიბით ავედით საცხოვრებელ ოთახებში. აქ დიასახლისი დაგვხვდა. თავაზიანად დაგვარწმუნა, მოხარული ვარ, რომ შემიძლია სტუმრებს თავი შევაფარებინო... მასპინძელი მშვიდ, თითქმის მორცხვი კაცი იყო, მაგრამ მასში იგრძნობოდა ძალა, რომელიც თავისი სიმტკიცით არ ჩამოუვარდება გრანაიტს. ეტყობა, შემთხვევით არ აურჩევიათ ხელმძღვანელად... დიასახლისმა თქვა, გეშეებათო, და თუმცა შუალაშე იყო, შეუდგა ვახშმის თადარიგს. ვახშმის მოლოდინში მე და ქართველი მასწავლებელი ქადაკს მივუსხედით, მაგრამ მალე მიგვიწვიეს სუფრასთან ჩვენცა და ჩვენი შოფერიც. ვახშამი ნამდვილი ქვიფი გამოდგა... ვახშმის თავისებური მხარე იყო სადღეგრძელოები. ქართული ჩვეულების მიხედვით ერთად უკრის ჭამა ნიშნავს კარგ განწყობილებას და მეგობრულ დამოკიდებულებას, რისი სიმბოლოცა სადღეგრძელო. თამადად მასპინძელი იყო. ტრადიციის მიხედვით პირველი ჭიქით ადღეგრძელა ყველა იქ დამსწრის მშობლები, მათი ამავი, თავდადება და მსხვერპლო, რააც ჩვენი გულისხთვის გაულიათ სივანთ სიცოცხლეში, მათი კეთილშობილება, ჭკუა და სინდის-ნამუსი. იგორმა წამჩურჩულა. ეს საბატიო სადღეგრძელოა და უსათუოდ უნდა დასცალოთ სასმისიო...

...თამადად წარმოთქვა ორი განსაუტრები ერთი სადღეგრძელო. ერთი სადღეგრძელო იყო იმათი, ვინც მიწას ამუშავებს, ესმის მისი მადლი, უყვარს ბუნება, და ხალხს სარჩოს აძლევს. მერე მან ადღეგრძელა მშვიდობა, მეც შესაფერი სადღეგრძელოთი ვუპასუხე — ხალხებს მეტ სიმტკიცე გამოეჩინათ და მეტი მონაწილეობა მიეღოთ, რათა დამუარდეს საყოველთაო მშვიდობა და სამართლიანობა-მეთქი. თამადად ხელი გამომიწოდა. მეც მივწვი მის მარჯვენას და მაგრად ჩამოვარტო. ყველანი ბედნიერები ვიყავით, რადგან გადავჭირეთ ომისა და მშვიდობის პრობლემა. მე გავიფიქრე, მშვიდობის დასამუარებლად აუცილებლად საჭიროა კარგი ქართული ღვინო, თუნდაც მცირე რაოდენობით-მეთქი... როცა ავიშალეთ, მასპინძლებმა თავიანთი ორი საწოლი ოთახიდან უკეთესი ჩვენ დავიკეთეს. მე პროტესტი განვაცხადე, მაგრამ იგორმა დამამ-



შვიდა — ქართველებს ხელი არ უნდა შეუშალო სტუმართმოყვარეობის გამოჩენაში, ეს სადაურ-  
ოი ქცევააო. მეც დავმორჩილდი (მეორე დღეს ავტორი შეხვდა კოლმეურნეობის ხელმძღვანე-  
ლებს და კოლმეურნეებს. იმის დასახასიათებლად, თუ რანაირია კოლმეურნის ცხოვრება, მას  
მოჰყავს რამდენიმე ტიპური მაგალითი მათი ოჯახის გარჯა-საქმიანობისა და ცხოვრებისა.  
აწერილია წესი კოლმეურნეობის გამგეობისა თუ თავმჯდომარის არჩევისა, შრომადღებების  
აღრიცხვისა და ანგარიშსწორებისა; უფასო კულტურული და სამედიცინო მომსახურებისა და  
სხე.)...

უთქმელადაც მიხვდებით, რომ წამოსვლისას ერთხელ კიდევ მივუსხედით სულხას... და  
კვლავ აღმოჩნდა, რომ ქვეყნად ცხოვრება კარგი რამაა. ძალზე ადვილად შევთანხმდით, რომ თუ  
მოიწვევენ კონფერენციას უშაღლეს დონეზე, ეს კონფერენცია უნდა ჩატარდეს საქართველოში.  
ღვიწო, რა თქმა უნდა, ამ კოლმეურნეობისა უნდა იყოს.

ჟურ. „სეტერდი რევიუ“, 8 აგვისტო, 1959 წ.

აი უ  
ჩინელი მწერალი

### მასპრამეში

დილით რომ გამეღვიძა და ვაგონის ფარდა გადავწიე, დავინახე მწვანე ნოხით დაფარული.  
მთის ფერდობი. მივხვდი, რომ ეს საქართველოს სუბტროპიკული ზონაა. ხელად ჩავიცვი... და  
გამოვედი ტამბურზე. აქედან შეიძლებადა ადამიანებზე დაკვირვებაც და მშვენიერი ზუნებით  
დატკობადაც. წვიმადა, ზეგების სველი ფოთლები ბრწყინავდნენ მთის შორეული ფერდობიდან.  
...მაღე ვაგონში ამოვიდა ქართველი გლეხკაცი, რომელსაც მაღალი, მთლად ტალახში ამოგან-  
გლული ტუავის ჩექმები ეცვა. ტამბურზე გაჩერდა და მანდარინის გაღვქვენა დაიწყო. მე რომ  
დამინახა, რუსულად მკითხა: „ჩინეთი ხართ?“. მეც ვუპასუხე, მსიარულად ჩამომართვა ხელი,  
ჯიბიდან მანდარინები ამოიღო და გამომიწოდა. უარის თქმა რომ დავაპირე, ძალით ჩამიწყო  
ჯიბეში. მან ხელი ვაიშვარა მწიფე ნაყოფით დახუნმალული მანდარინის ბისკენ და თავაზიანად  
თქვა: „მანდარინი“, და მკითხა, ჩინეთში თუ არის მანდარინიო. რადგან მოგზაურობაში შევეჩვიე  
უესტ-მიმიკით ლაპარაკს (როცა თარჯიმანი ახლოს არ იყო), კარგად გავუგე და ვუთხარი, ჩვენ-  
შიც ძალიან ბევრია-მეთქი. ასევე ვისაუბრეთ ტუნგვოს შესახებაც...

...სადგურზე ხალხი დაგვხვდა. წვიმის გამო სახელდახელოდ გავიცანით ერთმანეთი და  
მანქანებში ჩავსხედით. ჩვენს მანქანაში იჯდა მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ამბ. შოთა  
ქანუყვაძე. მისგან შევიტყვე, რომ მახარაძის რაიონის ძირითადი კულტურაა ჩაი, მაგრამ აქ  
უნდად მოჰყავთ მანდარინი, ლიმონი და სხვ. აქვეა სსრკ სუბტროპიკულ კულტურათა შემსწავ-  
ლელი ცენტრი. წელს ჩაისა და ციტრუსების დიდძალი მოსავალი მიუღიათ და გეგმა გადაჭარ-  
ბებით შეუსრულებიათ...

...ჩაის ფაბრიკაში რემონტი მიმდინარეობდა, რამაც გავგიადვილა მანქანების უკეთ დათვა-  
ლიერება. ფაბრიკაში არის ლაბორატორია ჩაის ხარისხის შესამოწმებლად. ჩვენ მოვკარითვეს  
ჩაის ტაშნიკი. ვინაიდან უკვე ნამყოფი გახლდით ხანჯაოუს ჩაის კოოპერატივებში და ნახული  
მქონდა სხვადასხვა ჯიშის ჩაი, ერთგვარად კომპეტენტური ვიყავ ამ დარგში და შემქმლო სპე-  
ცილისტებთან ლაპარაკი ჩაის თაობაზე. ქართველები ძალიან კარგად იცნობენ ჩინურ ჩაის და,  
თუმცა ჩინეთში არ ყოფილან, ჩემზე მეტი იცოდნენ და ჩემზე უკეთ ერკვეოდნენ მის ღირსე-  
ბებში... სსრკ კავშირში ჩაის წარმოების 97% საქართველოს ჩაიზე მოდის. ყოველწლიურად  
9.000 ტონა ჩაი იგზავნება სსრკ სხვადასხვა რაიონში, 8.000 ტონა კი ჩინეთის სახალხო  
რესპუბლიკაში მიდის. მათ ანგარიში გაუწიეს ჩვენს გემოვნებას და მწვანე ჩაით გავვიმს-  
პინსლდნენ... შევეჩვიოდით ჩაის და ტკბილად ვსაუბრობდით. ჩაის სმის დროს მე შემქმლო  
ფანჯრიდან დავმტკბაროყავ ბუნების ცქერით. მოჩანდა მწვანით დაფარული, გაღმა მდებარე  
მთა. მისი დამრეც სხივებში, რომელიც წვიმაში ჭიატობდა, მყოფოდ ჩანდა პეიზაჟი. ყველა-  
ფერს ფერაუზისფერი დაჰკრავდა. ეს სანახაობა ისეთი მომხიბველი იყო, რომ კაცი თვალს ვერ  
მოწყვეტდა...

...დავითალიერეთ მახარაძის მუზეუმში. აქ ენახეთ ბევრი საინტერესო მასალა, რომელიც  
აღსატრებებს, რომ ჯერ კიდევ ჰქვს ხანაში აქ მოსახლეობა ყოფილა. ზღვის სიახლოვის წყალო-  
ბით აქაურ ხალხს ჯერ კიდევ უძველეს დროში ურთიერთობა ჰქონდა სხვა სახელმწიფოებთან...  
აქ ნახავთ 2500 წლის წინანდელ და უფრო ადრინდელ ვერცხლის მონეტებს — ქართულ ფულს...  
მუზეუმში ინახება შავი ლაკით დაფარული და ნაირფერი მარგალიტის ორნამენტით შემკული



პატარა მრავალი მაგია, რომელიც ჩინეთიდან ჩამოუტანიათ 1826 წელს გარდაცვლილი გურული თავადისთვის...

...1841 წელს გურული გლეხები აჯანყებულან მჩაგვრელთა წინააღმდეგ. აქტიურად გამოხულან 1905 წლის რევოლუციის დროსაც. ყოველივე ამას ასახავს მუზეუმის მასალები. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა გურიის რევოლუციურ მოძრაობას. მუზეუმის დათვალიერების შემდეგ მიხვდებით, რომ მხარაძეს აქვს არა მხოლოდ უძველესი კულტურა, არამედ სასახელო რევოლუციური ტრადიციებიც...

...ნატანების ლენინის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე წითლიძე სიამაყით ლაპარაკობს გლეხების შეძლებულ ცხოვრებაზე და კოლმეურნეთა სასახელო საქმეებზე; აქ ბევრი მუაჟთ სოციალისტური შრომის გმირი, ლენინის ორდენითა და მრავალი სხვა ორდენით დაჯილდოებული კოლმეურნეები. ...ორი მანქანით გავემართეთ „მეგობრობის“ პარკის დასათვალიერებლად. ნელა ავუვეთო მთას, გზა კლაკნილი იყო, მანქანა ხან წვეთით მოექცეოდა, ხან ქვევით. უნდა აღინიშნოს, რომ გზა მხარაძიდან კოლმეურნეობამდე სწორია და ასფალტირებული. თავმჯდომარემ მიაშპო, რომ კოლმეურნეობამ საკუთარი ხარჯით გაიყვანა მთაზე 15 კმ სიგრძის გზა, რომელზეც თავისუფლად დადიან მანქანები, ასე რომ აღებული მოსავალი ხელად გადააქვთ ხოლმე; რაც ძალიან მოსახერხებელია. ახლა ამ პარკისკენ მიწავალი გზის ასფალტირებასაც აპირებენ.

„მეგობრობის“ პარკი მთის ფერდობზეა გაშენებული და სულერთიანად მანდარინის ხეებითაა დაფარული. აქ ამართულია ქვის მომცრო ზომის ობელისკი, რომლის ყოველ მხარეზე არის სახელმწიფო ღერებები — საბჭოთა კავშირისა, საქართველოსა, უკრაინისა და სომხეთისა — ოთხივე ენაზე წარწერით. ესაა ამ პარკის სიმბოლო. თურმე ნატანების კოლმეურნეობას შეეგებრება აქვს უკრაინისა და სომხეთის კოლმეურნეობებთან. დღევანდები უკველ წელს დადიან ერთმანეთთან და ამოწმებენ შედეგებს. აქ ხარობს მშვენიერი მანდარინის ხეები, რომლებიც ადამიანზე მეტი სიამაღისა ორდენა, ძალზე სწორია და ნაყოფიანი, ზოგი ხე დახარია კიდევ ნაყოფის სიმძიმისაგან. მანდარინს შევექცეოდი და ვტყებოდი საუცხოო ხედიო. ირგვლივ მთებია, მწვანე მცენარეები და ჩაის ბუჩქები. მთის ფერდობებს ამკობს სახლების წითელი სასურავები. ყველაფერი ჩაძირულია სიმწვანეში და მოვარგონებ აუარება სასახლით, ვილებითა და აგარაკებით სახედავნიჭული კურორტების პეიზაჟებს...

...საღამოთი დარეგან ტაქსითან ვიავხშმეთ. სუფრაზე იყო აუარება გემრიელი, ქართულად შემწადებული საქმელი...

...საქართველოში ირჩევნ სუფრის მეთაურს — თამადას. მისი მითითებით იღებენ ქიქებს და ადღეგრძელებენ იმას, ვისაც თამადა დასახელებს. ამ წესს სუფრაზე მკაცრად იცავენ. თამადა სრულუფლებიანი განმგებელია სუფრისა.

ქართველი ხალხი უძველესი კულტურის ხალხია, რომელიც დღემდეც მოწიწებით იცავს თავის ტრადიციებს...

...მეორე დილით დიასახლისს ვთხოვეთ ეამბნა თავისი შრომითი საქმიანობის შესახებ. ჩაის ფოთლის მოკრეფაში საუკეთესო მანქნებლებისთვის მას 1948 წ. მიუღია სოციალისტური შრომის გმირის წოდება... თუ არ იცით, ვინაა ეს ქალი, ვერ იფიქრებთ, რომ ესაა შრომის გმირი, ლენინის ორდენისა, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ XX ყრილობის დეპუტატი — იმდენად მოკრძალებული და უბრალო ადამიანია — საქართველოს მშრომელ ქალთა ექსტრაორი წარმომადგენელი...

...ნაშუადღევს ერთმა ახალგაზრდა კოლმეურნემ მანქანით წავიყვანა სოციალისტური შრომის სხვა გმირთან... მასწინებელი გიორგი გეგეციშვილი ცოტათი კოქლობდა — ხამამულო ომის ინვალიდი გამოდგა. მისი კული ლელა — სწორედ ესაა შრომის გმირი — ტანსრული, ჯანსაღი, შევგერმანი ქალია... 1949 წ. ჩაის გეგმაზე გადაქარბებით მოყვანისათვის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, რისთვისაც დააჯილდოვეს ლენინის ორდენით. 1950 წ. ისევ გადაქარბა გეგმას და ლენინის მეორე ორდენი მიიღო...

...მისი მამამთილი რევოლუციამდე დარბი გლეხი იყო, ოჯახს გაჭირვებით ინახავდა... 1929 წ. შევიდა კომუნისტურ პარტიაში. კარგი შრომისათვის დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. მსუბუქად ეცვა, მაგრამ სულ არ სციოდა, ეტყობოდა, ჯანსაღი და ღონიერი კაცი იყო... ლელას და გიორგის უფროსი ვაჟი სამხედრო სამსახურშია... გავედანით მათი მრავალრიცხოვანი ოჯახის ცხოვრებას და წამოსვლა დავაპირეთ, მაგრამ არ გამოვიშვეს. საქართველოში წარმოადგენელია სტუმრის უპატივცემულად გაშვება... თამადად არჩინეს 82 წლის მოხუცი პედაგოგი ბოლქვაძე. ყოველ სადღეგრძელოზე წამოდგებოდა და ამბობდა მოსტე, მაგრამ მშვენიერ სადღეგრძელოებს. სხვებიც ასევე იქცეოდნენ. მერე ვინმე სიმღერას წამოიწყებდა და ყველა აუვებოდა. ქართველები ძალიან ემოციურად, შთაფენებით



მღერიან, დიდი სიამოვნებით ვუსმენდი, რადგან ხალხურ სიმღერებს მღეროდნენ...  
ლიან გამხიარულდნენ, ცეკვა დაიწყეს. ქართული ცეკვა ქალ-ვაჟისა ძალზე გრაციოზულია  
(აწერილია „ქართული“ და ვაჟთა ცეკვები)...

...სუფრამაც და ადამიანებმაც საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინეს ჩვენზე. ესაა ძალზე  
გულთბილი და გულღია, მხიარული ხალხი, რომელმაც თავდადებული შრომაც იცის, სუფრაზე  
მოლხენაც და, ამასთან, თავის წიგნებსაც მკაცრად იცავს...

ჩინელი და აზია-აფრიკის ხალხების მეგობრობა  
(სტატიების კრებული)

ვლადისლავ იილი

ჩეხი ჟურნალისტი

თბილისი

თბილისში შემოდგომა ვანსაკუთრებით ლამაზია. თოვლით დაფარული კავკასიის მთების  
მალალი სარტყელი თეთრად ქათათებს, ხოლო ზაფხულის სიცხეს ცვლის ნაიელი ზზიანი  
დღეები. ამჯერად წლის ამ უმშვენიერესი დროით ტკებოდნენ არა მარტო თბილისელები,  
არამედ მთელი საქართველოს მცხოვრებლები. ამ დღეებში თბილისი თავისი დაარსების 1500  
წლისთავს იხდიდა.

თბილისის საბჭოთა კავშირის ერთი უძველესი ქალაქია, არქეოლოგები აქ პოულობენ  
აუარება საბუთს იმისას, რომ ამ ადგილებში მოსახლეობა უხსოვარი დროიდან, ჩვენს წელ-  
საღრიცხვამდეც უყოფილა. (მერე მოყვანილია ლეგენდები თბილისის დაარსების შესახებ)...

...ათას ხუთასი წელი ღრმად ჩაიწერა ქალაქის ისტორიაში. თავისი არსებობის ამ ხან-  
გრძლივი დროის მანძილზე ჯერ მხოლოდ მტერთა რამდენი შემოსევა გადახდენია. დამპყრობ-  
თა შორის იყვნენ სპარსელები, არაბები, თურქები, მონღოლები, თათრები. და მაინც ნანგრე-  
ვებსა და ფერფლში ქალაქი ყოველთვის აღმდგარა ახალი დიდებისათვის...

...თბილისს, თავისი გოგირდის წყლების წყალობით, ძველთაგანვე სახელი ჰქონდა მოხვე-  
პილი ტყავის დამუშავებით. ზოგიერთი ტრადიციული ხერხი ტყავის დამუშავებისა გასულია  
საუკუნის მიწურულამდე შემორჩა. თბილისელი მეფეხსაცმელებს დღესაც კარგი სახელი აქვთ  
და მათ პროდუქციას ზშირად ნახავთ ბირველ ადგილზე საკავშირო გამოფენებზე... მაგრამ  
ძველად განთქმული თბილისის ტყავს ჩვენს დღეებში გაუჩნდა კონკურენტი — მანქანათმე-  
ნებლობა, ხოლო ამ ბოლო ხანებში — მეტალურგია და ქიმიაც...

„ქალაქის დასავლეთით ხელ რამდენიმე კილომეტრზე ცის ლავეარდი მოუხატავს მეტა-  
ლურგოული ქარხნის კვამლი... ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა  
თავისი სტრუქტურით, არსებითად, კომბინატია, ხოლო საგლინავი მასალებისა და მიღების  
ვრცელი სიის მიხედვით თითქმის უნიკალურია. საბჭოთა ადამიანები ამ ქარხნის ორეულს  
აგებენ ინდოეთში.

ქალაქის აღმოსავლეთით 12 კილომეტრზე, თბილისის გარეუბნის რაიონში, 12 წლის  
უკან საფუძველი ჩაეყარა მევენახეობის საცდელ საბჭოთა მეურნეობას. აქ თავი მოუყარეს  
მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ვაზს — 1.200-ზე მეტ ჯიშს. ხოლო როცა ლაპარაკია ყურ-  
ძენზე, არ შეიძლება არ გავიხსენოთ მეორე ღირსშესანიშნაობა — თბილისის № 1 ღვინის  
ქარხნის თავისებურად ერთადერთი კოლექცია ღვინობისა. აქ ნახავთ ღვინოს, რომელიც  
მომწერა ნაპოლეონის დროსა, მაგალითად, 1806 წლის „უგრული ღვინო“. კოლექციის  
ღვინოების გამუდმებით მეთვალყურეობას უწყევნ და ამოწმებენ, და რაც არ უნდა დიდი ხნის  
იყოს ღვინო, მაინც უშუხუნაა და კამკამა.

მესამედ ავღივართ ქალაქის თავზე. გაცდებით თუ არა ქალაქს, მტკვრის მარცხენა მხა-  
რეს აღმართულია მხათას მთა, მარჯვნივ კი ცოტა უფრო მაღალი მთაწმინდა. ვინ დაიკლებს  
ამ სანახაობას, რომელიც გეზმარება დანახო, თუ რას წარმოადგენს თბილისი! ეს ისეთი ვანა-  
ოცარი ქალაქია, რომლის მსგავსი იშვიათია ქვეყნად. ქალაქი ჩაქედლია მთებს შორის, მისი  
სიგანე ხუთი, ზოგან კი მხოლოდ ერთი კილომეტრია, და გგონია, კვა რომ ვტყორცნო, გაღმა  
დაეცემაო; სამაგიეროდ სიგრძეზე, მტკვრის მღვრიე-ყვითელი ტალღების გასწვრივ, თვრა-  
მეტ კილომეტრზეა გაქიმული. აქედან ქალაქი დღისით გაჯაღოვებთ სიმწვანით, ღამით კი —  
ნახანაა შუქით.

თბილისს გარს ერტყმის მოტიტვლებული მთები და ბორცვები. სამაგიეროდ თვითონ  
ქალაქი მწვანე ოაზისია არა მხოლოდ თავისი შრავალი ვეება ბაღებითა და პარკებით, არამედ  
ყოველი ჭუჩით. სიმწვანე — ქალაქის სიხარული და სიცოცხლეა.



ახლა თბილისის ჩახჩახა შუქი? ძნელია სიტყვებით მოყოლა, როცა ფოტოაპარატის მგრძნობიარე თვალსაც კი არ შეუძლია დაიჭიროს ვარსკვლავებით მოჭედელი ეს მეორე ზეცა, რომელიც ყოველ საღამოს განირთხმება ხოლმე მთების მუხლებზე და ირწყვია მტკვრის მჩქეფარე ტალღებში. არა, ეს მხოლოდ ქალაქის შუქი როდია, ესაა შუქი მთელი საქართველოსი და მთელი ნაბჭოთა კავშირისთვის ძვირფასი და საუფარელი ნამდვილი დედაქალაქისა, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტად ელვარებს.

ჩებ. ჟურნალი „სვეტ სვეტ“, № 42, 1958 წ.  
სტატიას ახლავს ფოტოები თბილისისა და მისი გარეუბნების ხედებით.

### თ. ბენაზადინოვა

ჩეხი ტურისტო

## საქართველოს ზღაპრები

უწინარეს ყოვლისა, უამრავი სუბტროპიკული საღამო. ეს კი ნიშნავს მხურვალე და ტროპიკულად წვიმიან, ხახხახა მწვანე, ფერადოვან და მეგობრულ, ძალიან, ძალიან გულთბილ საღამოს, რადგან ამ წერილს ვგზავნი საქართველოს სულ სამხრეთ კიდიდან, ზედ საქართველო-თურქეთის საზღვარზე მდებარე ქალაქ ბათუმიდან... ქართველი ხალხი ყველაფერს, რასაც აკეთებს, აკეთებს კეთილშობილი მოხდენილობით: იქნება ეს ჩაის კრეფა, მთის ჯოგში ცხენით სიარული, ეროვნული ცეკვა თუ სატრფიალო პაემანი. როცა ბათუმში დამე ჩამოწვება, ამ დროს ქუჩებში ხალხი ნიადაგად წამოედინება ხოლმე და ქართული ენის თანხმოვნების კონა უცხოელისთვის ისე უღერს, ვით ცხენთა ფლოქვების შორეული თქართული. ქართველებს უყვართ უესტიკულაცია, თვალები საოცრად უელავთ. გეგონებათ, რომელიღაც ზუსტად შესწავლილი დიდებული პიესის მონაწილენი არიან და საცაა პიესის კვანძიც გაისხნებაო. ჩებები ისე აწუდებთან ქუჩებს, როგორც ირფიკი სიზმარში. ცაზე გადმოცვიდა ქათამთა მთვარე, რომელიც ანათებს თეთრ აღმოსავლურ შენობებს. სადარბაზო კარი, ბინის კარი და ფანჯრები ღია. თბილი ხალაო გაუღენთილია უცხო სურნელებით, რომელიც გვიზიდავს და გვათრობს. ბათუმის ქუჩებს ორთავხორცე გასდევს ეგზოტიკური ხეები, ბუჩქები და ყვავილები. მაგნოლიები, პალმები, ოლენდრები, ალოე, აგავა და რაღაც გიგანტური გლადიოლუსები აქ ისეთი სისადავით ენაცვლებიან ერთმანეთს, როგორც ჩვენში წაბლის ან ცაცხვის ხეები.

და უცებ ჩვენ ვიგრძენით რაღაც ჩხეხური. „აა ახლა ნამდვილი ცაცხვის სუნია“, თქვა ვიღაცამ. დაქვევებით ავიხედეთ მაღლა, რადგან აბა საიდან უნდა გაჩენილიყო აქ ჩვენი ცაცხვი? მერე დიდხანს მივჩერებოდით უხვტოტებიან კენწეროს, ქუჩის ფარნით განათებულ ნაწ მოყვითალო-ოქროსფერ ცაცხვის ყვავილებს და სენტიმენტალურად მდუმარენი შევიქენით. სხვა ცაცხვი ქალაქში არ შეგვხვედრია.

სამაგიეროდ აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი ჯგუფიდან გაქაა ერთი ყმაწვილი კაცი. დავბრუნდით ჩვენსავე ნაკვალევზე, თან გულმოდგინედ ვიხედებოდით აქეთ-იქით. „ხომ არაფერი შევითხვეოდა?“ შეშინდნენ ქალიშვილები, როცა ძებნა უშედეგო გამოდგა. და უცებ დავიანხეთ: ის იღვკა ერთი პატარა ქუჩის განაპირას და მიჩერებოდა განათებულ სარკმელს.

„გამიგონე, ეს რა საქციელია, მთელი ეს ხანი დგებარ და უცნობი ადამიანების ბინაში იჭყიტები?!“ — მკაცრად შეტეოხა ერთი ქალიშვილი. ყველამ აღშფოთებით შევხედეთ ყმაწვილ კაცს, მერე კი სარკმელში შევიტეეთ. კედლებზე ეკიდა სპარსული ნოხები, დაბალ მაგიდას რბილ შუქს ჰფენდა ლამპა, ხოლო მაგიდასთან იჯდა ნაზაროფილიანი ქალიშვილი და წიგნს კითხულობდა; მუქი თმების ორი მსხვილი ნაწნავი ზურგზე ეყარა. ჩვენ მხოლოდ წამწამები ავახამსამეთ. ვინ იცის რამდენი დიდებული დეტალი აღმოაჩინა ახალგაზრდა მეთვალთვალემ, რომელიც ასე მოთმინებით შესცქეროდა და რომელმაც თავისი უხიბტყვო ვალთფანი დაასრულა ამოოხვრით: ნეტავ ასეთი ალაღინის ლამპა მომცაო!

ჩვენი ავტობუსი სწრაფად და უხმაურად მიდის ქალაქში. მზე ამოდის და გზა ზღვისპირს მიყვება. შურით შევცქერიო მოზანავეებს, ჩვენ კი ბათუმის ბოტანიკური ბაღის დასათვალთვრებლად უნდა წვიდეთ. „დღისით ვიბანავებთ“, გვანუგუმებს ჩვენი ვიდი. „დღისით რომ გაწვიმდენ? — საყუდლურით ამბობს ერთი ქალიშვილი: — ან საერთოდ რა გვინდა ბოტანიკურ



ბაღში? განა ირგვლივ ცოტა რამაა ლამაზი? წინასწარ ვიცი, რანაირად მოვიზრაკებთ ორანჟერეაში“.

ჩვენი გამყოლები არაფერს ამბობენ და ჩვენც ვჩუმდებით. ავტობუსი აღმართს შეუუვა, წარმოუდგენელ სერპანტინებს მისდევს და გველივით მიიკლანჯება სულ მალა და მალა-თვალწინ გველდება ახალ-ახალი სანახაობა — თვალუწვდენი ვენახები, ბაღები, მინდვრები და ჩაის პლანტაციები. ჩეხოსლოვაკები ნამდვილად მოაჯადოვა ჩაის პლანტაციებმა. რაღაც ძალზე საყვარელი და სასაცილოა ამ მწვანე პატარ-პატარა ხალიჩებში, რომლებსაც დაუფარავთ ზღვისპირეთის მთების ფერდობები. ალაგ-ალაგ ამ ნოსებს შორის აღმართულია წვეტიანი, თოქმის შავი კვიპაროსები ან ღია-მწვანე ბამბუკის ქალები, ჩვენს გაზაფხულის ბზას რომ მოგვაგონებენ.

ხანდახან მოჩანს ზღვა, მაგრამ უკვე აღარავინ არაფერს ამბობს. ბოტანიკურ ბაღში ზღვა სულ დაგვაიწყდა: არავითარი სათბურები, არავითარი ღობეები და გალავნები, არავითარი ცალცალკე დარგული მცენარეები — ყველაფერი ტყეების, ქალების სახითაა წარმოდგენილი. ამ ბაღში მთელი მხოფლიოს სუბტროპიკული ფლორაა (მერე აღწერილია, თუ რანაირი სანახაობა ბოტანიკურ ბაღში წარმოდგენილი სხვადასხვა სახის მცენარეები, რა ვამოყენება აქვთ, როგორ ხარობენ საქართველოში)...

„ეკვალიბტს ჩვენ ძალიან ვაფასებთ“, — გვიხსნის ბოტანიკური ბაღის თანამშრომელი და თან თვალს არ აშორებს ერთ ქერა ქალიშვილს ჩვენი ჯგუფიდან. ქალიშვილიც შესცქერის; მე ვიტყვდი, რომ მას გაცილებით უფრო ინტენსიურად აინტერესებს ამ ყმაწვილი კაცის შავგვრემანი სახე და ქათქათა კბილები, ვიდრე ეკვალიბტები. ჩვენ, ჩები და სლოვაკი ქალები, რახანა შევთანხმდით, რომ ქართველი მამაკაცები მომხიბვლელები არიან. ვერ გამოვივა ოლონდ, რატომ აინტერესებთ ასეთი თვალისმომჭრელი სილამაზის მამაკაცებს უღიმღამო ქერა ქალები?.. ერთმა შავთმიანმა ჩემმა ქალმა წამიურჩულა: „შემდეგში რომ ჩამოვალ საქართველოში, თმას შევიღებავო“.

მაგრამ გამოთხოვებისას ქართველმა ბოტანიკოსმა მიუდგომელი ნატიფი თავაზიანობა გამოიჩინა — ყველა ქალს მოგვართვა მშვენიერი მაგნოლიები.

ქალაქში დავბრუნდით მოჯადოებულნი.

ჩეხ. ჟურნალი „კვეტი“, № 37, 1958 წ, სტატიას ახლავს ფოტოები ჩაის პლანტაციების, ბათუმის ქუჩებისა და ბოტანიკური ბაღის ულამაზესი ხედებით.

დიდრე ჩავო

უნგრელი ჟურნალისტი

მემორის თვალით

ორი კვირა დაეყვია საბჭოთა საქართველოში — არა თქმა უნდა, ძალზე ცოტაა. თუმცა ამ ნიკორ დროშიც ბევრი რამ ვნახე, მაგრამ, ვშიშობ, ჩემი შთაბეჭდილება არაა სრული და ბევრ რაიმეში ზერტელეც იქნება. ამიტომ შევეცდები უბრალოდ მოგიხსნათ ის, რაც ყველაზე მეტად ჩამრჩა გულსა და მეხსიერებაში.

უპირველესად ყოვლისა თბილისზე. ეს საოცარი ქალაქია: ცოცხალი, ნაირფეროვანი და მუდამ თითქოს ახალპირდაბანილი. აქ ყოველ ნაბიჯზე მრავლად გვხვდება ახალგაზრდობა — მხიარული, ლამაზი, წარმოსადგები და კარგი გემოვნებით ჩაცმული ქალიშვილები და ქაბუკები. ქალაქმა ახლანა დადაბიჯა 1500 წლის ასაკს. ჰაერს, რომელსაც აქ სუნთქავ, თან ერთვის გარდასული თხოთმეტი საუკუნის სურნელება. იშვიათად თუ შეხვდებით სადმე ძველი ტრადიციების ანთის მარამონიულ შერწყმას ახალ ყოფასთან, თანამედროვე, სოციალისტურ ყოფასთან, როგორც აქ, თბილისში და, საერთოდ, საქართველოში.

მე ქართული ენა არ ვიცი, მაგრამ ეს სრულებითაც არ მიშლიდა ხელს მჭიდრო ურთიერთობა მქონდა ბაღთან. ამაზედაა ნათქვამი: მეგობრებს უსიტყვოდაც კარგად ესმით ერთნანეთის გულისთქმაო.

დიდად ვავიხარე და თანაც ვაკვირდი, როცა აქ ვავიციანი აღამიანები, რომელნიც გვარიანად ლაპარაკობენ ჩემს მშობლიურ უნგრულ ენაზე. თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში. რამდენიმე სტუდენტს სწავლობს უნგრულ ენას. მათთან საუბრისას დავრწმუნდი, თუ რაოდენ განსაცვიფრებელ წარმატებას შეუძლია მიადწიოს აღამიანმა უცხო ენის შესწავლისას, როცა მას ამოძრავებს მეგობრობისა და სიყვარულის გრძნობა.



თბილისის უნივერსიტეტში მაჩვენებს ჩემი თანამემამულის, ახალგაზრდა მეცნიერის მარტონ იშტვანოვიჩის დისერტაცია, დაწერილი ქართულ ენაზე. სამ წელს იყო იგი ამ უნივერსიტეტის ასპირანტი, წარბაქტებით დაიცვა დისერტაცია ქართულად და ახლა თავის მშობლიურ უნგრეთში მუშაობს ქართველოლოგიის დარგში.

საქართველოში იშვიათად შევხვდებით ისეთ ქართველს, რომელიც არ იცნობდეს შანდორ პეტუვის შემოქმედებას, ჩემი ქვეყნის ტრადიციებსა და მის ისტორიას, ხოლო აქაური ახალგაზრდობა, თუ გნებავთ, თითებზე ჩამოგითვლით ჩემს თანამემამულე უნგრელ სპორტსმენებს, როგორც კი გაიგებს ჩემი სადაურობა და ეროვნება, თბილისელებმა სეტყუასავით დამაყარეს კითხვები: როგორაა ესა და ეს სპორტსმენი, რას აპირებენ ცნობილი ფეხბურთელები გროშიჩი და ბოუიკი? მართალია გიფობრათ, ფეხბურთში არცთუ ისე კარგად ვარ გათვითცნობიერებული და, ჩემდა სამარცხვინოდ, მრავალ შეკითხვავე ორიანი დავიმხასურე. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთის გულშემმატკივარი არასოდეს ვყოფილვარ, ამ შემთხვევის შემდეგ გადავწყვიტე დავსწრებოდი თბილისის სახელგანთქმული „დინამოს“ მატჩს. როგორც წემოთ აღდენს, ამ თამაშის ბევრი არა ვამეგება რა, მაგრამ შეხვედრამ ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და ალბათ მალე მეც ამორტის ამ უადრესად ხანტერებსა სახეობის გულშემმატკივარი გავხდები.

სტალიონზე შევინხე რამდენიმე ათეული პატარა ხამფლიანი ავტომანქანა, რომლებიც თითქოს საგანგებოდ იყო განლაგებული სტალიონის პირველი რიგების წინ.

— ეს რა მანქანებია? — ვკითხე ჩემს თანამგზავს.  
— დიდი სამაშულო ომის ინვალითა ავტომანქანებია, — დაასწრო ჩემს თანამგზავს მარცხნივ მგდომმა დარბაისელმა ძიამ. — ისინი ამ მანქანებს უფასოდ ღებულობენ სახელმწიფოსაგან.

მე ვავიფიქრე, რომ მარტო ამისთვის ღირდა დღეს სტალიონზე წამოსვლა. ბოლოს და ბოლოს ფეხბურთის მატჩს ყველგან, ყოველ ქვეყანაში ნახავ კაცი, უფასო ავტომანქანებს ინვალიდებისთვის კი — მხოლოდ სოციალისტურ ქვეყანაში.

ახლა კურორტებზე მოვითხრობთ.  
საქართველოს საკუვირო ჯანმრთელობის კერას უწოდებენ. ეს მართლაც ასე ყოფილა: მე მოვიარე სოხუმი, წყალტუბო, გაგრა, ბათუმი და სხვა ქალაქები. ეს ქალაქები კი არა, მარგალიტებია, რომლებიც ერთობლივად შეუქმნიათ ბუნებასა და ადამიანის კურთხეულ მარჯვენას.

ყოველ ნაბიჯზე თვლით ტუბება ლამაზი, კარგად მოწყობილი სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და მათ ირგვლივ გაშენებული წალკოტის სიმშენიერით. ერთი შეხედვით ისიც კი მომჩიენა, რომ ზოგი მათგანი ერთობ მონუმენტურია და მდიდრულად მორთული. მე არც მშენებელი ვარ და, მით უმეტეს, არც არქიტექტორი, მაგრამ ახა რა საჭიროა სპეციალისტის იმის დასანახვად, რომ ასეთი მაღალტერიანი, ხშირად მარმარილოთი მოპირკეთებულ-კედლებიანი სახლების, ასეთი დარბაზებისა და პეროვანი კოლონადების აგება უთუთად არცთუ ისე იაფი ჯდება, — თუმიცა საამისოდ, ჩანს, ხასხრებს არ იშურებენ, რაც ბუნებრივია სოციალისტურ სახელმწიფოში, სადაც ხალხზე ზრუნვა პარტიისა და მთავრობის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა, მაგრამ უნდა დაგვინო ისიც, რომ არქიტექტორებს ყოველთვის როდი მოუხერხებიათ სიმშენიერისა და მიწანდასახულობის რაციონალურად შერწყმა. ბევრი მათგანი, როგორც ჩანს, უფალებიერყოფს ამ ზღაპრული ქვეყნის მომადლოებელი ბუნების განუმეორებელ რელიეფს — რომელიც ხშირად არაა ჯეროვნად გამოყენებული — აქ სომ უბრალო სახლიც კი სრასახსლის შთაბეჭდილებას შექმნიდა, თუ მას შესაფერის ადგილს მოუცხავდა არქიტექტორი. იმედია, ამ პატარა შენიშვნას მიუტკვებთ თქვენს მეგობარს, რომელიც დიდი სიყვარულით ეცნობოდა თქვენს ქვეყანას, ჩემო ქართველო მეგობრებო!

ახლა სკოლებზე.  
საქართველო განთქმულია არა მარტო კურორტებით, ხილით, ღვინოთა და საარაკო სტუმართმოყვარეობით, არამედ სასწავლო დაწესებულებებითაც. თბილისსა და სხვა ქალაქებში უნახე უამრავი საუსუბოოდ გამართული სკოლები. და არა მარტო ქალაქებში: ასეთივე შესანიშნავი სკოლებია ყველგან, თვით შორეულ სოფლებშიც კი. მე ვინახულე გარდაბნის სკოლა-ინტერნატი. იგი ობოლ ბავშვთათვისაა განკუთვნილი. ადსანიშნავია, რომ ბავშვებისთვის საბჭოთა კავშირში მშენიერი, სანიმუშო პირობებია შექმნილი. სახელმწიფო ხარჯავს აუარება სახსრებს სასკოლო მშენებლობისა და განათლებისათვის. მე განსაკუთრებით მიანტერესებდა სკოლა-ინტერნატები, რადგან ჩვენში, უნგრეთში, ამ მხრივ ძალიან ბევრის გაკეთება ვეშარებდა და საბჭოთა კავშირის მაგალითი და გამოცდილება დიდ დახმარებას გავიწევს.

თამაღის შესახებ.  
როდესაც საქართველოზე წერს კაცი, არ შეიძლება თამაღის გვერდი აუაროს. აღრიცხ



შქონდა გაგონილი, საქართველოში თამაღის კულტი არსებობსო. საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ ქართულ სუფრაზე ეს კულტი კი არა, ნამდვილი დიქტატურაა, ოღონდ ყველა აქამდე არსებულ დიქტატურაზე გაცილებით უფრო სასამო და ჭუმანური.

ქართული სტუმართმოყვარეობა და პურადობა ჭეშმარიტად ლეგენდარულია. თუ შეიძლება ასე ითქვას, აქ საამისო მატერიალური ზაზაც არსებობს. აქაური მკვიდრი გამრგვია, გულღია, სტუმართმოყვარე და ბუნებით ლაღი, ხოლო ჭეყუყანა — დოვლათი სავსე. აქ არ შეიძლება არ იყო სტუმართმოყვარე და პურადი. ამაში დავრწმუნდი, როცა ვიყავი კოლმეურნეობებში, ფაბრიკა-ქარხნების სასადილოებში, ქალაქის რესტორნებში და უბრალო ადამიანთა ოჯახებში.

გელათში ვნახე ძველთაძველი ფრესკები. მუზეუმებში — სურათები, მეფეთა, მხედართ-შთავართა და უბრალო მემოშართა პორტრეტები. მე გულდასმით ვაკვირდებოდი თანამედროვე ქართველების სახეხა და იერს. ისევე ის დიადი იერი, ვუკაცურად აღნაგობა და ომანიანი გამო-ხედვა. გარეგნულად ადამიანები თითქოს არ შეცვლილან. მაგრამ რაოდენ შეცვლილა მათი სულიერი სამყარო და რაოდენ შეცვლილა ჭეყუყანა, რომელსაც ამდენი რამ დაჯახდომია თავს! არ შეცვლილ მატროდენ ზღვის წყალი. იგი წინანდებურად მლაშეა. მაგრამ ზღვის სანა-პირობზე ახლა ისვენებენ იმათი შთამომავალნი, რომელთათვისაც არცთუ ისე უცნობი იყო საკუთარ ცრემლთა მლაშე გემო.

დღეს საბჭოთა საქართველოს მშრომელები საკუთარ „ვოლგას“ დააქროლებენ. იმ ადგი-ლებში, სადაც საუკუნეთა მანძილზე გაიხმოდა მტერთან ხელჩართული ბრძოლების ყიფინა, ახლა ელექტრომატარებლები დაჰქრან, ხოლო ციხე-სიმაგრეთა ნაცვლად აგებულა — და ყვავდ აგებენ — მრავალი სკოლა და სანატორიუმი. სოციალიზმის იდეები ჰარმონიულად შერ-წყვიან ვარდასიულ საუკუნეთა კეთილშობილურ ტრადიციებს, თავისუფლების სიყვარულად და მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სიყვარული სამარადისოდ შედუღებულან, სამშობლოს სიყვარულს შემოკატეხია სიყვარული და პატივისცემა მშვიდობისმოყვარე ყველა ზღლისა.

და შემიყვარდა მე საქართველო — ეს მშვენიერი კუთხე დედამიწისა. მიუვარს მისი კე-თილშობილი მკვიდრნი და მე რომ თამადა ვიყო, ავდგებოდი, ავაგებდი უძველეს ჭინჭი-დას შეუღარებელი ქართული ღვინით და შევსვამდი სადღეგრძელოს:

იბენიერე, მხარეც ქართლო,  
მაღაღებს შენი ტურფა იერი;  
ხარ საოცნებო, სასიქადულო —  
და შენი ზილვით ვარ ბენიერი!

დალოში

უნგრელი მწერალი

### „ბერიარლო... ჩემო სვეილო!“

თბილისური ჩანაწერებიდან

შხოლოდ ერთი წამით დავინახეთ ყაზბეგის თოვლით დღარული მწვერვალი, და თვით-შფრინავს კვლავ გარს შემოეხვია ღრუბლების ქულა. მერე ღრუბლები გაქრა. ჭვევით მტკვარია — შოყეთალო-ნაცრისფერი ზოლი; მის ორივე ნაპირას კი — ათას ხუთასი წლის დედაქალაქი — თბილისი...

სასტუმროს ვესტიბიულში ვხედავ რუსთაველის ილუსტრაციების რამდენიმე მოზრდილ რებროლუქციას. რა ნაცნობი სურათებია! ეს ხომ ჩვენი თანამემამულის ნამუშევრებია. ისინი დახატა მიხია ზიჩმა რუსთაველის მიერ შექმნილი გმირული პოემის „ვეფხისტყაოსნისთვის“... პოეტის ძეგლი აღმართულია მისივე სახელობის მოედანზე, ამ მოედნიდან იწყება რუსთაველის მროსპექტი. გზად წიგნების დიდი მაღაზია. რა კარგი იქნებოდა რუსთაველის პროსპექტზე „ვეფხისტყაოსნის“ ქართული გამოცემის ყიდვა!..

„არა“, — მეუბნება გამყოფელი ქართულად უარის აღმნიშვნელ სიტყვას; რუსულადაც ესავე ამბობს: სამწუხაროდ, ახლა არა გვაქვს. ამ წიგნს ისე ეძებენ, რომ თუ ორასი-სამასი გზემშლარი მიიღეს, მაშინვე იყიდება... გულდაწყვეტილი გამოვდივარ მაღაზიიდან, ჩემთან ერთად გამოდის ვიღაც ქალიშვილი, ხელს მკიდებს და მისხნის, რომ იცის ერთი ადგილი, სადაც არის რუსთაველის ტომი. შევდივართ ოფიციალური შესახედაობის შენობაში. პატარა კიოსკი აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსანი“. შუატანის შავგვრემანი, ნაზბავანი ქალიშვილი მე-ითხება ჩემს გვარს, ღია ბართზე მიწერს რამდენიმე სტრიქონს ქართულად, ხელს მართმევს, მიღმის და ვიდრე მაღლობის თქმას მოვასწრებდე წიგნისთვის, ქრება. აი რა დაუწერია მას:



„ჩვენს ძვირფას სტუმარს დალოხს — თბილისელი სტუდენტის ვერა თურქიასაგან“... ძვირფასო ვერა თურქია, მაღლოხს გიძღვნიტ რუსთაველისათვის და თქვენი თავჯანაოხმისათვის...

... „ფერ კიდევ V საუკუნეში...“ — რამდენჯერ გამიგონია ეს ფრაზა თბილისში ეს იყო დიდებული საუკუნე საქართველოს ისტორიაში. ამ საუკუნეში აშენდა ახალი დედაქალაქი, მანინაა აგებული მტკვარზე გადმოშტქირალ კლდეზე მეტეხის ციხე-სიმაგრეც. V საუკუნეში ჩამოდიოდნენ აქ ბერძენი ფილოსოფოსები მეცნიერებათა შესახსწავლად. მუხეუმშიც ნახავთ გასაოცარი სილამაზის ვერცხლის საგნებს ფაფურის ინკრუსტაციით — ეს ვახლავთ ნაყოფი მხატვრული მიმართულებისა, რომელიც V საუკუნეში უკვე დროშტქმულად ითვლებოდა...

ბირჟით, ფუნეკულორი და საბაგრო-სააერო გზა — ორივეს მთაწმიდაზე აუყვართ — აშენებულა XX საუკუნეში; ის სავატომობილო გზაც, რომელიც აქეთკენეე მიმართება მშვენიერ ნაძენარში, ტყით გამწვანებულ ფერდოზზე.

- რა ეწოდება ამ ლამაზ ავტოსტრადას?
- სიდერის ენა, — მეუბნება თარჯიმანი.
- რატომ?
- იმიტომ, რომ მსახვით გრძელია.

აი, აქაური იუმორის წვეთიც ვიგემით...

ზევით, როცა ტუბილიბენ, რომ უნგრელები ვართ, გულდია საღამით გვიჰახუნებენ ჭიჭებს ქართველები, რომელთაც დამახასიათებელი სახე და კოპწია უღვაშები აქვთ. ხოლო როცა დაბლა ვეშვებოდით, ერთი ქართველი სამხედრო და ერთიც ქართველი სამოქალაქო პირს კინაღამ წაიკიდნენ იმის გამო, თუ ვის აელო ბილეთები მთელი ჩვენი კომპანიისთვის! გვიწოდოდა ჩვენ თვითონ გადაგვებადა ფული, მაგრამ კონდუქტორმა, რომელიც თვალყურს ადევნებდა მათს დავას, არ გამოგვართვა. ბილეთებით ხელში ელოდა, რითი დასრულდებოდა მათი დავა. სამოქალაქო პირმა აუკობა...

სატელევიზიო ანძის მწვერვალდინ დაცქერით განათებულ ქალაქს. რა წარმტაცი სანახაობაა! შუალამისას ძირს მოვქროდით სააერო-საბაგრო გზით. კაბინაში ჩვენთან ერთად მოდიოდა მ — 7 ახალგაზრდა ქართველი. ისინი მღეროდნენ... მღეროდნენ გუნებით.

„მარიარალო...“ — ამ სიტყვას, რომელიც სიმღერაში სწირად მეორდებოდა, მღეროდნენ განბით, საამოდ, თან გვიცინოდნენ და ქართულად რაღაცას გვეუბნებოდნენ. ჩვენ მივხვდით, რომ გვთხოვდნენ აუყოლოდით მათს სიმღერას. სიხარულით! ქართველები და უნგრელები ზაფხულის გვიანს, ლბილს ღამეში სიამოვნებით გაიჰახოდნენ: „მარიარალო...“

ნეტავ რას ნიშნავს ეს სიტყვა? იქნებ „კარგია სიცოცხლე“ ან რამე ამდაგვარს?!. მერე ჩვენ დაიწყოთ სიმღერა, ისინი გაუაციციებით გვისმინდნენ:

„გაზაფხულის სიო ჰქრის, ჩემო ყვავილო...“.

და მათაც დაისწავლეს უცხო სიტყვები და არც მათ იცოდნენ, რას ნიშნავდა ეს სიტყვები. მაგრამ განა ამას ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა? ჩვენ ერთად ვმღეროდით:

„მარიარალო... ჩემო ყვავილო...“

უნგრ. ეურნ. „ორსაგ-ვილაგი“, № 45, 1959 წ.

როკულ კენტი

ამერიკელი მხატვარი

არსტმენლის პროსაქექვი — ირმის ნახტომი“ ...

... ვის არ მოეწონება ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა? ამაზე მომზიბდველი სანახაობა რალა იქნება ქვეყნად... თბილისი ამ სულწარმტაცი ზეცის გადმოზარუნებული ნაწილია. აი ის ორმის ნახტომი კი, თქვენ რომ რუსთველის პროსაქექტს ეძახით, ქეშმარტი ბედნიერების მომგვრელია...

...მე მინდა ენახო აქ ყველაფერი, მაგრამ საუბედროდ ბევრი დრო არა მაქვს. ეს ჩემი ბრალაა. თქვენს ტურთა ქვეყანაში არ შეიძლება ოთხი-ხუთი დღით ჩამოხვლა. აქ მთელი წელიწადი უნდა იცხოვრო. მაგრამ ჩვენ, მხატვრებს, ერთი გამოსავალი გვაქვს: როცა მხატვარს არა აქვს შესაძლებლობა დაათვალიეროს მთელი ქვეყანა, ის მიდის თავის კოლეგასთან, ნამდვილ მხატვართან, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, და მისი წრფელი შემოქმედების წყალობით ეცნობა მის ქვეყანას, მის ხალხს. ჩემი მიზანი რომ მხოლოდ მხატვრობა იყოს, მაშინ სახვითი ხელოვნების კრტიკოსი ვიქნებოდი, მაგრამ მე მანტერტერებს ხალხი, მისი ცხოვრება, მისწრაფებანი, სიცოცხლე, სუვარული, მისი კეთილშობილური ცხოვრება, გამო-



ხატული მხატვრის შემოქმედებაში... (როკულ კენტი ეწვია სახალხო მხატვრებს ლ. გუდია-შვილს და უ. ჯაფარიძეს მათს სტუდიებში).

...მე არ შევმცდარვარ ჩემს მოსაზრებებში. აი ქართული ხელოვნება. აი ქართველი ხალხი. ასეთი დიდი ხელოვნება აუცილებლად დიდი ცხოვრებიდან გამოდის. მე მხედველობაში მაქვს მთლიანი, ხალხის ცხოვრება. ცალკე ხელოვნება არაფრის მაქნისია. წმინდა ცხოვრება არის მათავი ხელოვნების წმინდა წყაროსი. დე პოლიტიკოსებმა და ყურნაღისტიებმა ადამიანთა გონებაზე იმოქმედონ, ჩვენ კი, შემოქმედებმა — ადამიანთა გულზე. ეს მათ უფრო მეტ სარგებლობას, უფრო მეტ ბედნიერებას მოუტანს.

— მე არ მივიჩნევ, რომ თქვენ უშაღღესი საბჭოს დეპუტატი ხართ (მიმართა მან უჩა ჯაფარიძეს), — ამერიკაში ეს უკვირთ. როდესაც მე გამოვდივარ ხოლმე რაიმე სიტყვით თუ შენიშვნით პოლიტიკურ სფეროში, ხშირად მეუბნებიან, ეგ მხატვრის საქმე არ არისო. მათ ავიწყდებათ, რომ მე უწინარეს ყოვლისა ადამიანი ვარ, ხოლო შემდეგ მხატვარი, და რომ შესაძლოა მე უფრო მალეღვებდეს ჩემი ხალხის ბედი.

სამწუხაროდ, ჩვენს ხალხს ძალიან ცოტა რამ სენია საქართველოს შესახებ. ალბათ მხოლოდ ის, რომ სტალინი ქართველი იყო, და ქართული ნაციონალური ციკლების ანსამბლი ნაზეს შეერთებულ შტატებში. მაგრამ ის კი ხშირად გამოგონია ჩემი მახლობლებისგან, როცა შეიტყვეს, რომ საქართველოში მოვდიოდი, — რა ბედნიერები ხართ, რომ შეგიძლიათ ნახოთ ეს ზღაპრული ქვეყანა და, რაც მთავარია, განიცადოთ ქართული გულდია, გულთბილი სტუმართმოყვარეობაო. მიხარია, რომ ძირითადად სწორი წარმოდგენა ჰქონიათ თქვენს შესახებ. აქ მინდა აღვნიშნო, რომ ამერიკა არ არის მხოლოდ პენტაგონი და მილიონერები. ამერიკა არის ველები, მთები, ტყეები, მდინარეები და კეთილი მშრომელი ხალხი. გარწმუნებთ — ეს არის ნამდვილი ამერიკა...

...აქ (ლადო გუდიაშვილის სტუდიაში) მე მარტო ქართველი ხალხის ცხოვრება როდენახე. მე ვნახე სხვა ხალხთა ცხოვრების ამსახველი სურათებიც, ისეთივე ლალი, წრფელი სიყვარულით შესრულებული, როგორც მისი სამშობლოს თემებისადმი მიძღვნილი ტილოები, აქ არაა საჭირო ენის ცოდნა. მე და ჩემს ძვირფას კოლეგას შეხასნიშნავად ვეცხმის ერთმანეთისა ხმისამოუღებლად. ნახატები თვითონ მეტყველებენ, მეტყველებენ ყველასთვის გასაგებ ენაზე. ბედნიერია ის შემოქმედი, რომელიც ამას მიაღწევს...

...მე მიმუხუბა არა მხოლოდ უძვირფასესი შთაბეჭდილებანი, არამედ ჩემს გონებაში მტკიცედ ჩაბეჭდილი უღამაზესი სურათები თქვენი მშვენიერი ქალაქისა. მე ხომ მხატვარი ვარ — მე შემიძლია ეს. ოღონდ გული მწყდება, რომ დრო არ მქონდა აქვე, თქვენს ქალაქში გაშეცოცხლებინა ტილოზე ეს სურათები.

აქ ჩვენ ძღვნად მოგვართვეს თითქმის ჩვენი ხნის ღვინო. ამ ღვინის ყოველ წვეთს მე შეტვხვამ ქართველი ხალხის, საქართველოს სიცოცხლის, წინსვლისა და ბედნიერების სადღერძრძელოდ...

თომ კეისი

ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მდივანი ქ. პარლოუში

ჩვენთვის მს სოუსტრიკი...

პატარა წიგნაკი — ქ. პარლოუს გამეკლვიე — ახლა ძალიან შორსაა ჩვენი პატარა ქალაქიდან. იგი რუსთავშია — მზიური საქართველოს ახალგაზრდა ქალაქში. აქ კი, ჩემს წინ, დღეს ალბომი ამ შესანიშნავი ქალაქის ხედებით. იგი მაჩუქეს, როდესაც ჩვენი საზოგადოების დელეგაციის შემადგენლობაში სამკვირიანი ვიზიტით ვიყავი საბჭოთა კავშირში და რუსთავს ვეწვიე...

მოგზაურობის დროს განსაკუთრებით მაინტერესებდა მშენებლობის საქმე საბჭოთა კავშირში. ამიტომ მიხილდა მენახა ახალი ქალაქები, ისეთები, როგორიცაა ჩვენი ქალაქი.

საქართველოში ვნახე ქალაქი რუსთავი და უნდა მოგახსენო, მან უღიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ამ ქალაქის მშენებლობა დაიწყო ათი წლის უკან, ესე იგი იმავე დროს, როდესაც ჩვენი ქალაქისა, და მისი მოსახლეობა მხოლოდ ოდნავ სჭარბობს ჩვენსას.

მე ვესაუბრე ამ ქალაქის მრავალ მცხოვრებს. მათ შიამბეს, როგორ აშენებდნენ თავის ქალაქს, როგორ წამოიშართა მათ თვალწინ გრანდიოზული მეტალურგიული ქარხანა, როგორ ააგეს საავადმყოფო ქარხნის მშენებლობის დამთავრებისთანავე, ამან გამოაცა, რადგან ჩვენი ქალაქი რუსთავის კბილაა და საავადმყოფო კი ჯერ არა გვაქვს. საავადმყოფოს გარდა რუსთავში არის პოლიკლინიკები, კლინიკები, საბავშვო ბაღები, ბავები.



და განა მარტო ეს — მათ აქვთ საცურაო აუზი, სპორტული სტადიონი, კულტურის სახალღე, მშვენიერი პარკი.

მე დათვალე მუშათა ბინები და გაცემული დავრჩი მშვენიერი საცხოვრებელი პირობებითა და ძალიან მცირე გადასახადით. ბინები ნათელია, ფართო, პარკების იატაკიანი. აქ ყველაფერია, არის გაზიც, — ბინის ქირა კი მთელი ზელფასის 2%-ს შეადგენს. ჩვენთვის ეს საოცარია.

ქალაქის შენობები და ქუჩები ღამაშია. არქიტექტურაში ვერ ნახავთ ზედმეტობებს. ყველაფერი უბრალოა და თვალს ახარებს. ყველგან ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც ძალიან მეგობრულად არიან განწყობილი ჩვენი ხალხისადმი, იბრძვიან მშვიდობისათვის... ჩვენი მშვენიერი მოგზაურობა მრავალი წლების განმავლობაში დაგვრჩება ტკბილ მოგონებად.

გაზ. „პარლოუ სიტინგს“, 12 ივლისი, 1957 წ.

### ბალვანთ მარტი

•ნდოელი პოეტ•

### ვინ იმის..

... თბილისი პენჯაბს მაგონებს. იგივე ცხოველმყოფელი ჰაერი, ისეთივე მტკუნვარე მზე, იმავე ტიპის მზემოკიდებული ადამიანები, რომელთა სახეც სპილენძივით ელვარებს. ზოგი სიტყვებიც („მავა“, „მური“) ერთი გვქონია. საქმელებიც — განსაკუთრებით მწვადი, ცხარე საწებელი, მწვანოლის სიუსხე, კეცზე გამომცხვარი მჭადი — სულ ისეთივეა, როგორც ჩვენში. აქ ხალხი ისევე კარგად და გემოვნებით იცვამს, როგორც ჩრდილოეთ ინდოეთში.

მე დავესწარი საქართველოს სახელმწიფო ცეკვის ანსამბლის კონცერტს. მუსიკა ჩემთვის აბსოლუტურად ნაცნობი გამოდგა. ქართული ცეკვები ზედმიწევნით ვუკაცურია და წარმატაცი. იგი მაგონებს პენჯაბური ცეკვის „ბჰანგარას“ ძალღონით ხავეც მოძრაობას. უნდა ითქვას, რომ პენჯაბური ხალხური ცეკვები და სიმღერები ქართულთან უფრო ახლოს დგანან, ვიდრე სამხრეთ ინდოეთის ცეკვებსა და სიმღერებთან. ვინ იცის, იქნებ რამდენიმე საუკუნის წინათ ქართველ ვებრებს გრძელი საქარავნო გზით ინდოეთთან მქონდათ მიმოსვლა. მათ არა მარტო საქონელი ჩამოქონდათ ჩვენს ქვეყანაში, არამედ სიმღერები და ცეკვებიც. შემდეგ, დროთა ვითარებაში, ნორმალური აღებ-მიცემობა შეწყდა, ხოლო სიმღერა, ცეკვა, ცალკეული სიტყვა, ესა თუ ის ჩვევა და მანერა ორივე ქვეყნის ხალხში ფესვებს იდგამდა და საუკუნეთა განმავლობაში ინახებოდა, იზრდებოდა, და ამრიგად შენარჩუნებული იქნა ცოცხალი კავშირი ორ, ერთმანეთისაგან დაშორებულ კულტურათა შორის... ახლა კედელი, რომელიც ამ ორ ქვეყანას ჰყოფდა, დაიანგრა. ჩვენთვის ფართოდ გაიღო მეგობრობის კარი და ამჟამად ამ კარში გაივლის ჩვენი სიმღერებისა და ცეკვების ქარავნები...

ვმშვიდობები საქართველოს უბრალო ადამიანებს. მათ ჩემზე დასტოვეს მოსიყვარულე, გულმუსრვალე, ნაზი, პირდაპირი, მხიარული, შრომისმოყვარე ადამიანების შთაბეჭდილება. მათ უყვართ მშვიდობა, რადგან უყვართ სიცოცხლე...

### ზემპირია ხმრთელი

თურქი მწერალი

### მიადწიონ აბასვი

...ასეთი რამ მე ჯერ არსად მინახავს. საბჭოთა ხალხმა უკვე მიადწია კეთილდღეობას. ეს გარემოება მით უფრო რელიეფურია და თვალსაჩინო, თუ მხედველობაში მივიღებთ თურქეთის შავი ზღვის სანაპიროთა ქალაქების ცხოვრებას. იქაც ხომ ასეთივე ღამაში და წარმატაცი ბუნებაა. მაგრამ ხალხი იქ ჯერ კიდევ პრიმიტიულ პირობებსა და სიღატაკეში ცხოვრობს, სულითა და გულით ვუსურვებდნ ჩემს ხალხს, მიადწიონ ისეთს კეთილდღეობასა და ბედნიერებას, რომელშიც ცხოვრობენ მისი უახლოესი მეზობლები — ქართველები...



**მარხელ პრინანი**

სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი

**თავს ვერ ვიკავებთ შედარებისგან...**

...თბილისის უნივერსიტეტის რექტორთან საუბარში შევიტყვევით, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია შეიქმნა 1941 წელს, როდესაც უნივერსიტეტის მიერ მომზადებული სამეცნიერო კადრების რიცხვი საქმათ ვახდა საამისოდ. დღესდღეობით აკადემიაში არის 42 კვლევითი ინსტიტუტი, სადაც 1.200 მეცნიერმუშაკი მუშაობს. აქაც თავს ვერ ვიკავებთ შედარებისგან, მაგრამ არა ჩვენს აკადემიასთან, რომელიც წმინდა დეკორატიული და სრულიად უმოქმედო ორგანიზაციაა, არამედ ეროვნულ სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან. შეფარდება ნათელია. ქვეყანას, რომლის მოსახლეობა 2.500.000 შეადგენს, ჰყავს 1.200 მეცნიერი, ხოლო მეორე მხრივ ქვეყანას, სადაც 40.000.000 სული ცხოვრობს — 1.600. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა ამ მხრივ ათჯერ უფრო ხელსაყრელ პირობებშია, ვიდრე საფრანგეთი.

**იოჰანეს ჰერდვინი**

ქ. პალეს უნივერსიტეტის პროფესორი, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის წევრი.

...ვუსმენდით მათ და გვრცხვენოდა... ეს იყო სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ჩვენ ვუსხედით სულრას კოლმეურნის სახლის ფართო აივანზე. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და სხვა ქართველმა ამხანაგებმა თავიანთ სადღეგრძელოებში აღნიშნეს, რომ საქირთა კიდევ უფრო განმტკიცდეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მეგობრობა. ვუსმენდით მათ და გვრცხვენოდა იმის გამო, რაც მოხდა წარსულში—სახელდობრ, 1941-45 წლებში. გვიან საღამოთი კოლმეურნეებმა მანქანით მიგვაცილეს სადგურამდე. გამომშვიდობებისას მაგარად ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი და ყველა ჩვენთაგანმა პირობა დახდო, რომ არაფერს დაიშურებს მშვიდობის შესანარჩუნებლად...

**მარაკობი ალ-კაიბალი**

არაბ მწერალთა კავშირის მდივანი

**...პირდ-ყავილეობით წამოსულიყვენ...**

...ჩემს გულში სამარადისოდ დარჩება ამქვეყნიური სამოთხის, საქართველოს წარმატაც სურათები... ჩემს სულში ქდერს ქართული ზიმღერის ბანგი, ჩურჩული შეყვარებულთა, სტალინის სახელობის პარკის დაბურულ ხეივანში რომ იხსდნენ... მე განვიცადე თბილისის მკვიდრთა გულკეთილობა, უზადლო სტუმართმოყვარეობა და მიკვირს, როგორ შეიძლება ადამიანები ეწოდოთ იმათ, ვინც ამ ქალაქზე მოდიოდნენ ტანკებით, ნაცვლად იმისა, რომ ვარდ-ყავილეობით წამოსულიყვენ... თბილისელი და დამასკელი ბავშვებისა და ახალგაზრდების ღიმილის გული-სათვის, ამ ქვეყნად ნამდვილი ცხოვრებისათვის, ადამიანთა და ბუნების სილამაზის გული-სათვის ვდგევარ მე სიცოცხლისათვის მებრძოლთა რიგებში, ვებრძვი სიკვდილს და ყველას, ვისაც იგი მოაქვს. მე მინდა, რომ ცხოვრება მდიდარი იყოს სითბოთი ყველა ხალხისათვის...

**ჟმრის ჰიუზი**

ინგლისის პარლამენტის წევრი

**ასალი, მშვენიერი ქალაქი**

საბჭოთა ქვეყანაში ყველგან ვხედავთ, რომ ადამიანები მშვიდობიან შემოქმედებით სრომას ეწევიან. ფართოდა გაშლილი მშვიდობიანი მშენებლობა საქართველოშიც. აქ მე დავათვალიერე სამგორის სარწყავი არხი და მისი დიდი და რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობანი. იგი გამოაცოცხლებს და ააყვავებს უნაყოფო მიწებს, ხელს შეუწყობს ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას. სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა ქართველ მეტალურგთა ახალმა, მშვენიერმა ქალაქმა არსთავმა და იქ აგებულმა მეტალურგიულმა ქარხანამ, რომელიც უახლესი ტექნიკათა აღჭურ-

ვილი. მისი პროლუქცია სამშვიდობო მიზნებს ხმარდება. ბედნიერი ვიქნებოდი, თუ მთელი ქვეყნიერების მძიმე მრევლელობის საწარმოები გამოუშვებდნენ ხალხის საკეთილდღეო პროლუქციას და არა აღმიათა შესამუსრავ იარაღს...

ამერიკის ახალგაზრდობის დელეგაცია

მშვიდობისა და მეგობრობისათვის

ძვირფასო მეგობრებო!

ამჟამად მსოფლიო ახალგაზრდობისათვის დგება ახალი ერა ისტორიაში. ერა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისა. ჩვენ გვესმის, რომ სამისოდ საჭიროა მთელი ქვეყნის ახალგაზრდობის ურთიერთგაცნობა, ურთიერთმატივისცემა და ერთმანეთისგან სწავლა.

თუ ახალგაზრდობა ამ გამოცდილებას მიიღებს, იგი უარს იტყვის ომის იარაღად, საწარბაზზე ზორცად გახდომასზე, ისინი უშუალოდ მშვიდობისათვის მებრძოლნი გახდებიან, ვიდრე ომის ჯარისკაცები.

ჩვენ, ამერიკელი ახალგაზრდები, ვიმყოფებით საბჭოთა კავშირში 1955 წლის შემოდგომაში. განსაკუთრებით გვახარებს ის გარემოება, რომ შესაძლებლობა მოგვეცა საქართველოში ჩამოსვლისა. ჩვენ ბევრი რამ შევიტყვეთ ქართველი ხალხის ცხოვრების, წინგვეულებისა და ტრადიციების შესახებ. წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საქართველოში კულტურისა და სპორტის განვითარებას, ქალაქების კეთილმოწყობასა და გამშვენიერებას.

ძალზე გვიინტერესება საქართველოს, როგორც მოკავშირე სუვერენული რესპუბლიკის განვითარება, და ამ განვითარების ნიშნებს ვხედავთ ყველგან. ჩვენ გავიგეთ, რომ სახელმწიფო ენად აქ აღიარებულია ქართული ენა, რომ საქართველოს ისტორიას გულდასმით სწავლობენ. ჩვენ მოვისმინეთ ქართული მუსიკა და სიმღერები, დავეწარით ქართული ცეკვის საღამოს, ხოლო ზოგიერთ ჩვენთაგანს შესაძლებლობა მიეცა შეხვედროდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებს...

ვიმედოვნებთ, რომ შეერთებული შტატებიდან კიდევ უფრო მეტი დელეგაციები ჩამოვა საბჭოთა კავშირში, თავის მხრივ საბჭოთა ახალგაზრდობაც უნდა ეწვიოს ჩვენს ქვეყანას...

მშვიდობისა და მეგობრობისათვის!

ლინდ მაკაი

ქართული ხანჯალი

სტატიიდან — „ეს ენახე ვენაში“

...ბრწყინვალე სანახაობა იყო ახალგაზრდობის მეჯლისი... აწია სიამოვნებით ცეკვავდა ამერიკისთან, აფრიკა — ავსტრალიასთან. დასავლეთგერმანელი ქალიშვილების ერთი ჯგუფი მთლიანად დაპატრონებოდა ქართველ მოცეკვავე ჭაბუკს, ცეკვის ანსამბლის წევრს, რომელიც ისეთი განსაცარი სიმარჯვით დაჰქროდა პაერში, იტყოდით — მიწის მიზიდულობის ძალა დაუძლეოდა.

შესვენებაზე ქალიშვილებმა ამ აშოლტილ, შავთმიან ქართველ ჭაბუკს გამოართვეს ქამარზე ჩამოკიდებული მამაპაეული პატარა ხანჯალი. ისინი ტკბებოდნენ ხანჯლის ოსტატურად აღესილი თხელი პირით, ფრთხილად უსვამდნენ ზედ თითწებს. მერე ქამარზე მიმაგრებულ პატრონტაშზე მიუთითეს:


„მანდ რაღაა?“ — ჰკითხეს გერმანულად ნელა და დაშარცვლით, რათა ჭაბუკისთვის გაეგინებინათ.

ჭაბუკმა გაიღმა, გახსნა პატრონტაში, ამოიღო იქიდან სიგარეტა და მოუკიდა, ფერფლი კი ხანჯლის ბუდეში ჩაუარა. მერე, ქალიშვილების განსაცვიფრებლად, ოღნავი წაბორძიკებით, გერმანულადვე მიუგო:

— სიგარეტა უყუთესია, ვიდრე ვაწნა. შე ვისურვებდი, რომ ყველა პატრონტაში მიხოლოდ სიგარეტა ინახებოდეს...

ორკესტრმა არგენტინული ტანგო დაუკრა და ქართველი ჭაბუკი და დასავლეთგერმანელი ქალიშვილი მოცეკვავეებს შეერივნენ.

უნგრული ჟურნალი „ორსაგ-ვილაგ“, № 31, 1959 წ.





თეატრ გუგუზილი

თაობათა ესთაფება

ქართული საბჭოთა თეატრი თავისი ორმოცი წლისთავს ზეიმობს. ამ ხნის მანძილზე მან განვითარების რთული და საინტერესო გზა განვლო. ამ გზაზე მას შემოქმედებითი გამარჯვებების ბევრი სიხარული უნახავს და წარუმატებლობის სიმწარეც განუცდია. მაგრამ რა მიმე და ეკლიანიც არ უნდა ყოფილიყო ეს გზა, ქართული თეატრი არასოდეს კარგავდა მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებასა და თავისი პროგრესული სოციალური მნიშვნელობის გვეგებს.

დიდა ტრადიციის ძალა. იგი ვერ გაანადგურა ვერც ძველი დროშოქმული სამყაროს ნგრევამ, ვერც „ძველ ფასეულობათა გადაფასებამ“, ვერც საქართველოში მენშევიკების ბატონობამ, რომელმაც ქართველი ხალხი რამდენიმე წლით ჩამოაშორა დიდი ოქტომბრის მონაპოვარს და მიიყვანა იგი ეკონომიურ-სახოგადობრივი და კულტურული ცხოვრების არნახულ კრიზისამდე. დიდი ქართველი მწერლების ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის მიერ ნაანდერძები პროგრესული შეხედულებები თეატრზე თავიანთი მოღვაწეობის საფუძვლად აქციეს რევოლუციამდელი ქართული თეატრალური ხელოვნების ისეთმა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა, როგორებიც იყვნენ ქართული რეალისტური კამსახიობო სკოლის ფუძემდებელი ვასო აბაშიძე და მისი განთქმული თანამედროვენი — მსახიობები ნატო ვაზუნია, მ. საფაროვი-აბაშიძე, კ. მესხი, კ. ყიფიანი, ვ. გუნია, ე. ჩერქეზიშვილი და სხვები; ეს განმათავისუფლებელი ტენდენციები განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა დიდი ქართველი ტრაგიკოსი მსახიობის ლადო ალექსი-მესხიშვილის შემოქმედებაში. ხელოვნების მგზნებარე, შთამაგონებელმა რევოლუციურმა პათოსმა და 1905 წ. რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობამ იგი ნამდვილ მსახიობ-ტრიბუნად აქცია. შემთხვევითი არაა, რომ ბოლშევიკური ვაზეთი „ვებერიოდე“ 1904 წელს

განსაკუთრებულად წერდა მახზე, როგორც მსახიობზე, რომლის შემოქმედებაც ხალხის რევოლუციურ შეგნებას აღვიძებს.

მენშევიკური ბატონობის წლებში, როცა ქართული თეატრი მიმე იდეურ-მხატვრულ კრიზისს განიცდიდა და მთლიანი მოსპობის საფრთხის წინაშე იდგა, მხოლოდ რეალისტური სკოლის წარმომადგენელმა მსახიობებმა შესძლეს ნამდვილად დაეცვათ და შეენახათ თეატრალური ხელოვნების საუკეთესო დემოკრატიული ტრადიციები. ეს ტრადიციები მთესთაფელტასავეთი გადასცეს ახალგაზრდა ქართულ საბჭოთა თეატრს, რომელსაც პირველ ხანებში არა მარტო დიდი მხატვრული შესაძლებლობანი არ გააჩნდა, არამედ სერიოზული შემოქმედებითი წინააღმდეგობების პირისპირაც აღმოჩნდა თანდათან ცხადი ზღვებოდა, რომ კრიზისი და რთული წინააღმდეგობანი თეატრალურ ცხოვრებაში, რომელიც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ მემკვიდრეობად მიიღო მენშევიკების ბატონობისაგან, სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნიდა თეატრის იდეურ-შემოქმედებითი განახლების გზაზე.

უნდა ერთბაშად და გაბედულად შეცვლილიყო თეატრის მუშაობის მეთოდები, რეპერტუარი და მისი ორგანიზაციის მთელი სისტემა. ამავე დროს საბჭოთა თეატრს უნდა კრიტიკულად აეთვისებინა წარსულის კულტურული მემკვიდრეობა, დიდი სიფრთხილითა და გულსყურით უნდა განეხორციელებინა „მოხუცებისა“ და ახალგაზრდების ის ცხოველყოფილი შერწყმა, უროლისოდაც წარმოუდგენელი იქნებოდა კემპარიტი წინსვლა.

დღის წესრიგში იდგა ცხოვრების მიერ ნაკარნახევი თეატრალური რეფორმა. საჭირო იყო რეფორმატორი, რომელიც შესძლებდა შემოქმედებითად განეხორციელებინა თეატრალური ხელოვნების დარგში კომუნისტური პარტიის პოლიტიკა და მიზანდასახულობანი.



ასეთ რეფორმატორად მოგვევლინა კოტე მარჯანიშვილი.

საქართველოში დაბრუნების ქაშს კოტე მარჯანიშვილი უკვე სახელგანთქმული რეცისორი იყო. ჯერ ქართულ, შემდეგ რუსულ და უკრაინულ სცენებზე მიღებულმა მდიდარმა გამოცდილებამ; შეხვედრებმა და შემოქმედებით-მა თანამშრომლობამ მ. გორკისთან, კ. ს. სტანისლავსკისთან, ვ. ი. ნემიროვიჩი-დანჩენკოსთან, ა. ი. სუმბათაშვილი-უყინთან და რუსული კულტურის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან, მხატვლთა დიდებულ კოლექტივთან ურთიერთობამ აქცია იგი რევოლუციური მიმართულების პროგრესულ რეცისორად, აქტიური ხელოვნების რეალისტური სისტემის თავდადებულ მომხრედ. მისი ბრწყინვალე ნიჭი და შემოქმედებითი გაბედულება არასოდეს უპირისპირდებოდა მასთან მომუშავე მსახიობების ინდივიდუალობას. მარჯანიშვილი თეატრში ხედავდა სიხარულსა და სახეიშო განწყობილებას წყაროს, მაგრამ არასოდეს არ უქცევია იგი თვითმინზად. მას შეეძლო თეატრალური სანახაობა ჩაეყვინებინა დიდი პროგრესული იდეებისა და თანამედროვეობის გამოშნატველი აზრის სამსახურში.

დაულალე ძიებებში, შეხედულებათა და მიმართულებათა რთული ბრძოლის ატმოსფეროში ყალიბდებოდა და იფინდებოდა ახალი ქართული თეატრის თავისებური შემოქმედებითი სახე, ირკვეოდა მისი ადგილი რესპუბლიკის ცხოვრებაში. მარჯანიშვილის მიერ შექმნილი სექტაკლები გამსქვალული იყო შემოქმედებითი პათოსითა და რევოლუციური სულისკვეთებით. ახალგაზრდა ქართული საბჭოთა თეატრის სცენაზე დამკვიდრდა გმირული თემა, იგი წამყვან თემად იქცა როგორც თანამედროვეობისადმი მიძღვნილ, ისე კლასიკურ რეპერტუარში, რომელსაც პირველ ხანებში უდიდესი ადგილი ეკირა არა მარტო ქართულ, არამედ მთელ საბჭოთა თეატრში.

უდიდესი საბჭოთა თეატრალური მოღვაწეები გორკი, ლენინარსკი, სტანისლავსკი, ნემიროვიჩი-დანჩენკო, სუმბათაშვილი-უყინი, ვახტანგოვი და მარჯანიშვილი კლასიკურ დრამატურგიაში ხედავდნენ და აღასებდნენ კრიტიკულ სიმძაფრეს, მებრძოლ ჰუმანიზმსა და ოპტიმიზმს. კლასიკური დრამატურგის საშუალებით ისინი ეხმარებოდნენ თანამედროვეობას. საბჭოთა თეატრს, რომელსაც ჯერ კიდევ არ გააჩნდა თანამედროვეობის ამსახველი პიესები, მებრძოლი კლასიკური დრამატურგია დაეხმარა. და შემთხვევითი როდია, რომ საბჭოთა თეატრის (და ნაწილობრივ, ქართული საბჭოთა თეატრის) პირველი დიდი და პრინციპული გამარჯვებები სწორედ კლასიკური პიესების დადგმებთანაა დაკავ-

შირებული. ამ წარმატებებში ერთ-ერთი საბაბო ადგილი უჭირავს „ცხვრის წყაროს“ კოტე მარჯანიშვილისეულ დადგმას, რომელიც მან ჯერ კიევის, ხოლო შემდეგ თბილისის სცენაზე განხორციელა.

გმირული „ცხვრის წყარო“, მებრძოლი, შინაგანი ექსპრესიით აღსავსე „დამაინი-მისა“ და „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, რევოლუციური „როგორ“, ვაჟაკური, პროტესტანტული „ურთელ აკოსტა“, პუბლიცისტური „პოემა ნაჯახზე“, და თვით „პაპულტიც“, რომელიც გამოხატავდა ადამიანის თრთოლვასა და ბედზე ღრმა ფილოსოფიურ ჩაფიქრებას ამ სექტაკლების განხორციელებით მარჯანიშვილი წარმოგვიდგა მძლავრი ტემპერამენტის, ნათელი, დიდი აზრისა და ფანტაზიის შემოქმედელი, რომელიც შეუცდომლად გრძნობდა რევოლუციური თანამედროვეობას და რომელსაც თამამი საბჭოთა მხატვრის მსოფლმხედველობა ჰქონდა.

კოტე მარჯანიშვილი ხელოვნებაში ახლის შესაქმნელად იყო დაბადებული. ამ ახალს იგი ეძებდა და პოულობდა ახალგაზრდობაში, რომელსაც იგი ეყრდნობოდა და რომლისაგ ღრმად სცნოდა. ამიტომ იყო, რომ იგი კავშირს არ წყვეტდა, ერთის მხრივ, ძველ თაობის საუკეთესო მსახიობებთან, ხოლო მეორეს მხრივ, ახალი თეატრის მწვენილობაზე იზიდავდა ახალგაზრდობას. მარჯანიშვილი ახალგაზრდობის ნამდვილი მეგობარი იყო. ამ დიდი შემოქმედების გზაზე მას მხარში უდგნენ მწერალი-დრამატურგები პ. კაკაბაძე, დ. შენგელაია, ა. ქუთათელი, კ. კალაძე, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ბუხნიკაშვილი, გ. ბააფიკო, პოეტები ი. გინეშაშვილი და ს. ჩიქოვანი, კრიტიკოსები ს. ამალობელი და ბ. ქლენტი, მხატვრები ლ. გულიაშვილი, ე. ახვლედიანი, პ. ოცხელი, დ. კაკაბაძე, კომპოზიტორები ა. ბალანჩივაძე, შ. მშველიძე, თ. ვახანიშვილი, კ. მელიკინეთ-უხუტუცი და ბოლოს მსახიობები. ყველაზე კარგად და სრულად მარჯანიშვილის სწრაფვა ახალგაზრდობისაკენ გამოჩნდა ახალგაზრდა მსახიობებთან მის მეგობრობაში. რეცისორმა-ნოვატორმა პირველმა იგრძნო და აღმოაჩინა თამარ ჭავჭავაძის გმირული ტემპერამენტი, უშნავი ჩხვიძის ღრმა სულიერი სიმძაფრე, ვერიკო ანჯაფარიძის ამაღლდებელი პოეტური ძალა, შალვა დამბაშვილის კეთილშობილური ვაჟაკური უბრალოება, აკაკი ხორავას ვნებათა უნაბირობა, აკაკი ვასაძის განმაცვიფრებელი სახასიათო ნიჭი, გიორგი დავითაშვილის სულიერი სიდიადე.

მარჯანიშვილი-რეცისორი კონკურენტის არ ვაუბრობდა. მას ესმოდა, რომ ახალგაზრდობა მხარდაუჭერას საკურობდა. ზრდიდა რა რეცისორთა ახალ ცვლას, იგი ხშირად (თითქმის ყოველთვის), უხვად აძლევდა მათ თავის დადგ-



მებს. მის მიერ დადგმული სპექტაკლის მუშა-  
ყებელ აფიშებზე ჩნდებოდა ახალგაზრდა დამწე-  
ვები რეჟისორი-ასისტენტის გვარი. კ. მარ-  
ჯანიშვილი რეჟისორთა მთელი თაობა აღზარ-  
და. მათ შორის უკეთესს სანდრო ახმეტელს —  
წილად ხვდა საბჭოთა ეპოქის თეატრის ისტო-  
რიამი განსაკუთრებული ადგილი დაეკავა.

იაკე ხორავამ ამასწინათ თქვა: „რომ არ  
ყოფილიყო მარჯანიშვილის სპექტაკლი „ადა-  
მიანი-მასა“, არ იქნებოდა ახმეტელის „რღვე-  
ვა“.

ამ აზრს არ შეიძლება არ დავეთანხმოთ.  
პირაქნის, შეიძლება უფრო გვაფიქრებოდეს. რომ  
არ ყოფილიყო მარჯანიშვილის სპექტაკლები  
„ტყვიანის წყარო“, „ჰამლეტი“ და სხვები, არ  
იქნებოდა „ყაჩაღები“, და „ოტელი“, „კიკიძე“  
და „დიდი ხელმწიფე“, „რიჩარდ III“ და „მარ-  
ია სტრატი“, „ოდიშის მეფე“ და „ბახტრი-  
ონი“, მაშასადამე, არ იქნებოდა ბევრი რამ  
იქედან, რაც დღეს საბჭოთა ეპოქის ქართული  
თეატრის დიდებასა და სიამაყეს წარმოადგენს.  
პირველ მარჯანიშვილისულ სპექტაკლებში,  
რომლებშიც თვისობრივად ახალი საფუძველი  
ჩაეყარეს ქართულ საბჭოთა თეატრს, იშვა  
თეატრალური დადგმების არა მარტო ისეთი  
აუცილებელი კომპონენტები, როგორცაა  
გმირთა მეკეთრი ინდივიდუალიზაცია და  
მწყობრი ანსამბლურობა, თეატრალური სანა-  
ხაობრიობა და რეჟისორის შემოქმედებითი  
აღმადგენა, არამედ ის რევოლუციური-გმი-  
რული პათოსიც, რომლებიც მთელი შემდგომი  
წლების მანძილზე ქართული საბჭოთა თეატრის  
სისხლად და ხორცად იქცა. სანდრო ახმეტელი,  
რომელიც აგრძელებდა და თავისებურად ავი-  
თარებდა თავისი მასწავლებლის კ. მარჯანიშვი-  
ლის ტრადიციებს, საბჭოთა დრამატურგიის  
მასალაზე ქმნის თავის რევოლუციურ პეროი-  
კულ მონუმენტურ ტილოებს „რღვევასა“  
და „ნაზარს“ და კვლავ აცოცხლებს ში-  
ღურის „ყაჩაღებს“, ირჩევს მის მეორე სა-  
ხელწოდებას „ინ ტირანოს“ და ამით ხაზს  
უსვამს თავის მებრძოლ სულისკვეთებას. იგი  
ცდილობს შექმნას ეპოქის ფართო სოციალური  
ფონი და ნათელ ეროვნულ ფორთაში მოაქციოს  
მისი გმირული სულისკვეთება.

ხელოვნებაში გმირულის, ამადლებულია, მო-  
ნუმენტურობის ძიება სრულიადაც არ ეწინააღ-  
მდეგებოდა სცენაზე სოციალისტური რეალიზ-  
მის მეთოდის დამკვიდრებისათვის ქართული  
თეატრის პრინციპულ ბრძოლას. პირაქით, ეს  
ძიებები ამ ბრძოლის ნათელი გამოვლენა იყო.

თაობათა ესთაფეტა გრძელდებოდა. თეატრში  
მოდიოდა ახალი შემოქმედებითი ნაყოფი, რომე-  
ლიც ხარბად ითვისებდა კოტე მარჯანიშვილის  
ნაანდერძევე შესანიშნავ რევოლუციურ-გმირულ  
ტილოებს. თანამედროვე ქართული თეატრის

ყველა გამოჩენილი რეჟისორი — დ. ალექსიძე,  
ა. ანთაძე, ვ. ყუშიტაშვილი, ა. ჩხარტიშვილი,  
ა. ვასაძე, ა. თაყაიშვილი, შ. აღსაბაძე, კ. პატა-  
რიძე, გ. ჭურული, პ. ფრანგიშვილი, ვ. ტამ-  
ლიაშვილი, ს. ველძე, გ. იოსელიანი, ნ. გოძია-  
შვილი ბ. გამრეკელი და სხვები, რომლებსაც  
მეტიერა შემოქმედებითი თანამეგობრობა აკავ-  
შირებდათ ისეთ მხატვრებთან, როგორებიც  
იყვნენ და არიან ირ. გამრეკელი, დ. კაკაბაძე,  
ე. ახვლედიანი, თ. აბაკელია, ლ. გუდიაშვილი,  
ს. ვიარაძე, დ. თაყაძე, ფ. ლაბიაშვილი, ი.  
სუმბათაშვილი, ი. ასკურავა და სხვ. მუდამ ცდი-  
ლობდნენ დამდგარიყვნენ უფრო და მოსა-  
წყვენ ყოფაცხოვრებით წვრილმანებზე უფრო  
მადლა და ექებდნენ მსახიობის — თავისებური  
მონუმენტური უბრალოების შემოქმედის განც-  
დათა სიმართლესა და უშუალობას.

ამ გზით მიჰყვდნათ მათ მსახიობები, რო-  
მელთა შორისაც ამ დროისათვის საბჭოთა აქ-  
ტიურული სკოლის პირველი ფუძემდებელთა  
პლადის მხარდამხარ ახალგაზრდობაც გამოჩნ-  
და. ოცდაათიანი წლების ქართულ თეატრში  
უკვე სერიოზულ შემოქმედებით ძალებს წარ-  
მოადგენდნენ ს. თაყაიშვილი, მ. დავითაშვილი,  
თ. წულუკიძე, ნ. ლაფაჩი, თ. ბაქრაძე, ნ. ალექ-  
სი-მესხიშვილი, თ. ჩარკვიანი, ხ. ჭიჭინაძე, თ.  
აბაშიძე, ბ. შავიშვილი, ა. თოიძე, ს. ეორჯოლია-  
ნი, ვ. გომიაშვილი, ს. ზაქარიაძე, ა. აფხაძე,  
ბ. კობახიძე, გ. შავგულძიძე, გ. სიღარძე, ა.  
კვანტალიანი, ზ. და ა. გომელაური, ა. ოშიაძე,  
გ. კოსტავა, მ. ჩიხლაძე, მ. მკვათია, მ. საჩაური,  
ს. და შ. ჯათარაძე.

ოცდაათიანი წლები ქართული თეატრის ცხოვ-  
რებაში მისი იდეური-მხატვრული დონის ახალი  
აღმავლობით აღინიშნა. სოციალისტური მშენებ-  
ლობის წარმატებებმა და სოციალიზმიდან კომუ-  
ნიზმში თანდათანობით გადასვლის დასაწყისში  
ქართული თეატრის მოღვაწეთა წინაშე ახალი,  
გაზრდილი მოთხოვნილებები წამოჭრა. ამ  
წლებში ქართულ თეატრში საგრძნობლად გაძ-  
ლიერდა ბრძოლა თეატრალური ხელოვნების  
იდეურობისა და ხალხტრობისათვის, დაისვა სკე-  
ნაზე თანამედროვე სინამდვილის ისტორიულად  
კონკრეტული, რეალისტური სურათების შექმ-  
ნის ამოცანა. ამასთან, ეს სინამდვილე ნაჩვენე-  
ბი უნდა ყოფილიყო მის რევოლუციურ განვი-  
თარებაში და მისები სოციალიზმის სულისკვე-  
თებით უნდა აღეზარდა. განსაკუთრებით დიდი  
ყურადღება დაეთმო თანამედროვე თემებსა და  
თანამედროვე საბჭოთა დრამატურგების მიერ  
ამ თემებზე შექმნილ ნაწარმოებებს. ახალი  
ძალით იჩინა თავი თანამედროვეობასთან თეატ-  
რის დაახლოვების შესახებ კ. მარჯანიშვილის  
ნაანდერძევე ტრადიციამ. იდგებმა რუსი დრ-  
მატურგების ნ. შოვოპონის, ა. აფინოგენოვის,  
ა. კორნეიჩუკის, ვ. კირსონის, ლ. სლავინის

ბიესები, აფიშებზე ჩნდება შ. ლდიანის, ს. შან-  
შიაშვილის, ვ. გაბესკირიას, ი. ვაკელის, ა. შა-  
შიაშვილის გეარები. ხოლო პ. კაკაბაძის ბრწყინ-  
ვალე კომედიის „კოლმეურნის ქორწინების“  
დადგმა საბჭოთა ეპოქის ქართული თეატრის  
ისტორიაში ნამდვილი მოვლდეს. ამ პიესაში  
მთელი ბრწყინვალებით გამოვლინდა ახალ-  
გაზრდა გ. შავგულაძის ნიჭი.

ქართული თეატრი, რომელიც სულ უფრო  
აფართოვდა თავის იდეურ-შემოქმედებით შე-  
საძლებლობებს, აღრმავება და სრულყოფდა  
თანამედროვეობის ამაღლებელი სახეების  
შექმნაზე მუშაობის მეთოდებს, ამ წლებში  
ხელს ჰკიდებს უაღრესად პასუხსაგებ ამოცა-  
ნას — სცენაზე რევოლუციის გენიალური ბელა-  
დის ვ. ი. ლენინის სახის მხატვრულ ხორცშეს-  
ხმას, რუსული თეატრის გამოცდილებაზე დაყრ-  
დნობით და, ნაწილობრივ, საბჭოთა ეპოქის  
დიდი მსახიობის ბ. ვ. შჩუკინის მიერ განსახი-  
ერებული ლენინს დაუეჩიწარი სახის შესწავ-  
ლის საფუძველზე ქართულმა მსახიობებმა  
დ. მეკვიამ (რუსთაველის თეატრი), პ. კობახი-  
ძემ, შ. გომეზაურმა (მარჯანიშვილის თეატრი),  
ა. ს. გრიგოლაძის სახელობის რუსული დრამა-  
ტიკული თეატრის მსახიობმა კ. მიუფქემ სპექ-  
ტაკლებში „ნაპერწყლიდან“, „თოფიანი კაცი“  
და „კრემლის კურანტები“ შექმნეს დიდი  
ლენინის შთაგონებული და ღრმად ადამიანური  
სახე. ამავე დროს ქართული თეატრის სცენაზე  
მ. გელოვანის, ა. კობალაძის, ა. ოშიაძის, ვ. გო-  
ძიაშვილის და ვ. ბრაგინის მიერ წარმატებით  
იქნა განხორციელებული ი. ბ. სტალინის სახე-  
ოცდაათიანი წლების ბოლოს ქართული თეა-  
ტრი ნამდვილ შემოქმედებით აყვავებას განიც-  
დიდა.

ქართულმა თეატრმა, რომელმაც თავისი გან-  
ვითარების გზაზე წარმატებით გადალახა ყვე-  
ლა დაბრკოლება და სიძნელე, თვალსაჩინო  
ადგილს დაიკავა მრავალეროვანი საბჭოთა კულ-  
ტურის განვითარებაში. უაღრესად განმტკიცდა  
მისი ავტორიტეტი ბრწყინვალე გასტრუქებით,  
რომელიც რუსთაველის თეატრმა მოსკოვში, ხო-  
ლო მარჯანიშვილის თეატრმა უკრაინაში მოაწ-  
ყვეს, აგრეთვე მოსკოვში ქართული ხელოვნე-  
ბის პირველი დეკადის დღეებში, როცა მოსკო-  
ველების წინაშე პირველად წარსდგა თბილისის  
ოპერისა და ბალეტის თეატრი და მაღალმომ-  
თხოვნ მსახურებელს თავისი ვოკალისტების,  
მოცეკვავეების, მუსიკოსებისა და რეჟისორების  
შესანიშნავი, თვითმყოფადი ხელოვნება აჩვენა.  
განსაკუთრებული სიმამფრთხე გამოვლინდა  
ქართული თეატრის რევოლუციურ-გამორღვევი პა-  
თოსი დიდი სამამულო ომის წლებში. სცენაზე  
მოვიდნენ ფრონტის გმირები — უბრალო საბ-  
ჭოთა ადამიანები, თავისი განუმეორებელი ინ-

დივიდუალური თვისებებით. მსახურებელს მოს-  
წონდა მათი სულიერი სიმტკიცე, გამძლეობა  
და გამბედაობა; მაღალი მოქალაქეობრივი თვი-  
სებები, ყველაფერი ის, რაც გამარჯვების რწმე-  
ნით ავსებდა ადამიანებს. გმირული პათოსი  
ნათლად ივარძნობდა აგრეთვე ისტორიულ  
თემებზე დადგმულ სპექტაკლებში. ნათლ,  
ეროვნულ ფორმაში მოქცეული ეს სპექტაკლე-  
ბი მსახურებელს კეთილშობილური, ამაღლებუ-  
ლი პატრიოტული გრძობებით ავსებდა.

საბჭოთა ეპოქის ქართული თეატრი დიდი  
განცდების, გაბედული აზრების, ნათელი ფორ-  
მისა და ფართო სოციალური განზოგადებების  
თეატრია. შემოქმედებითი სული და ახლის პა-  
თოსი განსაზღვრავს მის განუყოფელ კავშირს  
კომუნისტური პარტიის პოლიტიკასთან, რომე-  
ლიც საბჭოთა წყობილების მაკოსტლებელი  
წყაროა. ამიტომაც თანამედროვე ადამიანის  
შექმნაზე ხანგრძლივი და დაუღალავი მუშაო-  
ბისის ქართული საბჭოთა თეატრი ცდილობდა  
სცენაზე აესახა თავისი დროის მიღწევები,  
ველო ეპოქის მხარდამხარ. საბჭოთა სინამდვი-  
ლისადმი მიძღვნილი თავის საუკეთესო სპექტაკ-  
ლებში, როგორც თავი „შიში“, „კოლმეურნის  
ქორწინება“, „პლატონ კრეჩეტი“, „გმირთა  
თაობა“, „დაუმარცხებელი“, „ხარბატანთ კერა“,  
„მარიჩე“, „გაზაფხულის დილა“, „მისი ვარსკე-  
ლავი“, „რაიკომის მდივანი“, „ზეაი“, „ჩემი  
ყვავილეთი“, „ქარიშხალი“, და სხვ. ქართუ-  
ლი თეატრი ცდილობდა გამოეყენა თავისი  
გმირები ფართო საზოგადოებრივი ცხოვრების  
სარბიელზე. ამ სპექტაკლებში ერთმანეთს ეჯი-  
ხებინა ძლიერი ხასიათები, ერთნი იმარჯვებენ,  
მეორენი მარცხდებიან, სხვები იძულებულნი  
არაიან გადალახონ სიძნელე. ეს სპექტაკლები  
მსახურებელს არწმუნებს, რომ ჩვენი ცხოვრება  
მრავალფეროვანი და ლამაზია, რომ ბრძოლა  
მევენ გამომანათლებთან სწარმოებს არა რაიმე  
წვრილმანი მოსახრებების გამო, არამედ ჩვენი  
დაიდი მომავლის გამოქცევისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართვე-  
ლოში მუსიკალური და დრამატული თეატრე-  
ბის მთელი ქსელი შეიქმნა. ამჟამად ჩვენს რეს-  
პუბლიკაში ოცდაერთი პროფესიული თეატრია.  
სამართლიანად ამაყობს ქართველი ხალხი თავი-  
სი საოპერო-მუსიკალური კულტურით, თავისი  
შესანიშნავი კომპოზიტორებითა, ინსტრუმენ-  
ტალისტებითა და ვოკალისტებით. მათს შთა-  
გონებულ მგზნებარე ხელოვნებაშიც იგივე  
გმირულ-რომანტიული, ბრწყინვალე, აღმაფრ-  
თოვანებელი მოტივები უღრეს და იმავე ტემ-  
პერაქმენითა და ნათლად გამოხატული ეროვნუ-  
ლი თვისებებებით ხასიათდება, რაც ქარ-  
თულ ხელოვნებას განასხვავებს სხვა ხალხების  
ხელოვნებისაგან.



საქართველო სიმღერისა და ცეკვის ქვეყანაა — შემთხვევითი არაა, რომ ქართული სიმღერები მის საზღვრებს გარეთაც ისმის, ხოლო ქართული ოსტატების საცეკვაო ხელოვნება დიდხანია აღტაცების საგნად იქცა არამარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ვახტანგ ჭაბუკიანის, პეტრე ამირანაშვილის, დავით ანდლუღაძის, დავით გამრეკელის, ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის, ვერა წიგნაძისა და ზურაბ კიკაღვიშვილის სახელები დღეს მთელს მსოფლიოშია ცნობილი. ა. მკუეარიაანისა და ვ. ჭაბუკიანის ბალეტი — სპექტაკლი „ოტელი“ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის თაყვანისცემის საგნად იქცა და დამახასოებელი დიდება მოუტანა ქართულ თეატრს.

1958 წელს, მოსკოვში გამართულ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის მეორე დეკადის დღეებში გაზეთი „პრავდა“ წერდა: „ოცზე მეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი საშობლოს დედაქალაქში პირველად ჩატარდა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა. ეს იყო დიდი, დიდხანს დასამახსოვრებელი დღესასწაული ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მაგრამ რა პატარა გვეჩვენება დღეს მაშინდელი წარმატებები ხელოვნების ახლანდელ დონესთან შედარებით. ამ ხნის მანძილზე შეიქმნა მრავალი შემოქმედებითი კოლექტივი, რომლებმაც აღიარება ჰპოვეს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. გამოჩნდა შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებები, აღიზარდა ნიჭიერი საიზელო ახალგაზრდობა, რომელიც წარმატებით მუშაობს ხელოვნების ყველა დარგში“<sup>1</sup>.

„პრავდის“ ამ სიტყვებში ხაზგასმულია ქართული ხელოვნების, მათ შორის თეატრალური ხელოვნების შემოქმედებითი აღმავლობის დღევანდელი ეტაპი და ამჟამად, როცა ქართული საბჭოთა თეატრი ზეიმით აღნიშნავს თავისი ორმოცი წლისთავს, გვიჩნდა განსაკუთრებით აღენიშნათ ის ფაქტი, რომ ამ თეატრის ფორმირება ხდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს შემოქმედებით ცხოვრებასთან მჭიდრო და ურღვევ კავშირში. ქართული საბჭოთა თეატრი იქმნებოდა სოციალისტური მშენებლობისა და კომუნისტური მიმავალი ქართველი ხალხის შრომითი აღმავლობის, ზრდის ატმოსფეროში.

ოცი წლის განმავლობაში, რომელიც პირველი დეკადიდან მეორემდე გავიდა, ქართულმა საბჭოთა თეატრმა ნამდვილად არნახული წარმატებები მოიპოვა. და მიიწე მისი ყველაზე დიდი დამახასოებელი ქართველი ხალხის კოლტურის ცხოვრებაში არის ახალგაზრდა შემოქმე-

დებითი კადრების — თეატრის მომავლის აღზრდა.

თაობათა ესთაფეტა გრძელდება. ჯერ კიდევ ომისდამთავრებისთანავე ცხადი გახდა, რომ ქართული თეატრი შეივსო ახალი მსახიობებით, რომლებიც აღიზარდნენ შ. რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სახმატერო აკადემიაში და ვ. ჭაბუკიანის მიერ დაარსებულ ქორეოგრაფიულ სტუდიაში. შემოქმედებითი სასწავლებლების კურსდამთავრებულებმა თამამად შემოაღეს ქართული თეატრის კარი და მაშინვე წამყვანი ადგილი დაიკავეს. სასიხარულოა, რომ ომისშემდგომი წლების სპექტაკლებში ნიჭიერი ახალგაზრდების სახელები გვხვდება. და ეს თაობათა უბრალო ცეკვა როდია. თეატრში ახალგაზრდობის მოსვლა და ძველ გვარდასთან მათი შერწყმა შემოქმედებითად ამდიდრებს და ახალი სებს თეატრს.

როცა ახალგაზრდა ვიორგი გეგეკიორი რუსთაველის სახელობის თეატრში მოვიდა, მას მაშინვე მზრუნველად მოველინა ა. ხორავა, მან თამამად წაიყვანა ახალგაზრდა ხელოვანი შემოქმედების რთულ გზაზე, და აი დღეს გ. გეგეკიორი თეატრის ერთერთი წამყვანი მსახიობია, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის, დონ სეზარ დე ბაზანის, ჰამლეტის დასამახსოვრებელი სახეები შექმნა.

როცა ახალგაზრდა მედეა ჯგაფარიძე მარჯანიშვილის თეატრში მიიღეს, იგი თავიდანვე გარემოსილ იქნა ყურადღებითა და მზრუნველობით. მის გვერდით იღვა თანამედროვეობის დიდი მსახიობი ვერვიკო ანჯაფარიძე, რომელსაც თავისი დიდი და მრავალმხრივი ნიჭის წყალობით არასდროს შინებია ახალგაზრდობის კონკურენციისა. ვ. ანჯაფარიძე თამამად აძლევდა ახალგაზრდა მსახიობს თავის როლებს. ერთად თამაშობდნენ ისინი ლარისა ოგუდლოვას „მუშიტიკოში“. თამაშობდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

ასე იყო ყოველთვის, აკაკი ვასაძე ეხმარებოდა კოტე მახარაძეს „საკუთარი“ კიკიძის შექმნაში. ვ. ანჯაფარიძესთან ერთად ტემურაშენტიანად და ბუნებრივად ასრულებდა მარინე თბილელი მირანდოლინის როლს, ვასო გომიასვილი და ტარიელ საყვარელიძე ერთდროულად გამოდიოდნენ მეფე ერეკლეს როლში. მეფე ოიდიპოსის ურთულეს როლში სცენის სახელგანთქმულ ოსტატებთან ა. ხორავასა და ს. ზაქარაძესთან ერთად წარმატებით გამოდიოდა ეროსი მანჯგალაძე. ვახტანგ ჭაბუკიანმა კი თეატრი რიგი თავისი როლები უწყობანოდ ანლო ზურაბ კიკაღვიშვილს, ვახტანგ გუნა-

<sup>1</sup> „პრავდა“, 21 მარტი, 1958 წ.

შეილს, თენგიზ სანიძეს და რეზო მალაღაშვილს...

ჩვენ შეგვიქვამო გავგეგვარებდებინა შემოქმედებითი მეგობრობის ამგვარი მაგალითების ჩამოთვლა. მაგრამ საქმე მაგალითების რაოდენობაში როდია, არამედ პრინციპში — უფროსი თაობის გამოცდილების ვაზიარებით და მათთან მუშაობით ახალგაზრდობა აგრძელებს იმ საუკეთესო ტრადიციებს, რომელიც ქართული ეროვნული თეატრის სპეციფიკას შეადგენს. შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელი წლებში მინიჭებულ ჩვენი რესპუბლიკის თეატრების სცენაზე ახალგაზრდობის ძალებით შეიქმნა ისეთი ნათელი, ცოცხალი პორტრეტები, როგორცაა ნოდარ ჩხეიძის გიქო და ფრანც მოორი, სალომე ყანჭელის შირინი და ვალია, მადეა ჩახავას ლიდა მატისოვა, ელენე ყიფშიძის მიაი წყნეთელი, ბლერი კობახიძის ბუღალტერი ემოკრთე, ვახტანგ ნინუას — გაიოზი, ვუტუნა დღვლადის ქსენია, ეროსი მანჯგალაძის პეპო, ვერა წიგნაძის დეზდემონა, ზურაბ კიკაულიაშვილისა და ვახტანგ გუნაშვილის იაგო, ევგენია გელოვანის მზეთუნახავი (ბალეტი „სინათლე“), ზურაბ ანჯაფარიძის მაღნახა და ბევრი სხვა.

ღირსეული ცვლა აღიზარდა ამ წლების განმავლობაში რეჟისურაშიც. შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კედლებში აღზრდილი და დიდი სტანისლავესკის მოძღვრებით აღჭურვილი ახალგაზრდა ქართველი რეჟისორები ბრძალ როდო მიხედვით მსაწვაველის სისტემას, მათ ძალდობთ შემოქმედებითად გაიზიარონ ეს სისტემა, გაამდიდრონ იგი ეროვნული ფორმის მხრივ თავისებური საინტერესო ძიებებით. ისინი ცდილობენ თავიანთ საუკეთესო სპექტაკლებში დაამკვიდრონ ამაღლებული ნათელი თემამაგონებელი ძვრობისა და ფორმის ხელოვნება. დღესდღეობით ჩვენ შეგვიძლია თამამად ვილაპარაკოთ ახალგაზრდა რეჟისორთა მთელ პლუადაზე — ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შემოქმედებითი ინდივიდუალობით, მაგრამ მათ აერთიანებთ მსოფლგაგება და იდეური მიზანდასახულობა. ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მიხეილ თუმანიშვილის გაბედულ ძიებებზე, ლილი იოსელიანის ღრმა და მახვილ ფსიქოლოგიზმზე, მსახიობებთან აკაიე დვალისვილის, თენგიზ კანდინაშვილის, კოტე სურმაგასა და ოთარ ალექსიშვილის მუშაობის თავისებურ მეთოდზე, იური კაკულიას, მერი ოლშანიცკაიას და ასოკო გამსახურდიას მისწრაფებებზე ახალი ფერებისა და ტონების შესაქმნელად. ცხადია, რომ ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში თავის ღირსეულ ადგილს დაიჭერს ისეთი სპექტაკლები, როგორცაა მ. თუმანიშვილის „ესპანე-

ლი მღვდელი“, ა. დვალისვილის „ხალისიანი მეგობრები“, ლილი იოსელიანის „სიყვარული განთიადისას“, „რაიკომის მდივანი“ (მარჯანიშვილის სახელობის თეატრი) და „ზევი“ (გორის თეატრი), მ. ოლშანიცკაიას „იცივიკი“ (გრიბოედოვის სახელობის თეატრი) ი. კაკულიას „აბანო“ (სოხუმის თეატრი), თ. კანდინაშვილის „სიხარულის ძიებაში“ (გრიბოედოვის სახელობის თეატრი), კ. სურმაგას „ჩემი ყვავილეთი“ (მარჯანიშვილის სახელობის თეატრი) და ბევრი სხვა.

რამდენი ძალა და მიწიძველობაა ახალგაზრდობაში ეს ძალა მუდამ იმარჯუებს. ასეთი ბუნების კანონი და ვინც ამ კანონს ემორჩილება, მუდამ მოიპოვებს წარმატებებს. ხელოვნებაშიც ის ეჩვევ ცხადია, როგორც ცოდნის ყველა სხვა სფეროში. და დღეს, როცა თეატრების აღიშვებს ვათავლიერებთ, უსაზღვროდ გვახარებს ის გარემოება, რომ ამ აღიშვებზე სულ უფრო და უფრო მეტ ახალ სახელებს ვხვდებით და ჩვენ ვფიქრობთ იმაზე, რომ ესაა ქართული საბჭოთა თეატრის მეოთხე თაობა, 50-60-იანი წლების თაობა. იგი სულ ახლახან მოვიდა თეატრში, მაგრამ უკვე შესძლო კუთვნილი ადგილის დაქუარა. მაყურებელი გაახარა ახალგაზრდა მსახიობის ზ. კვერცხნიასი მხერ ნიჭიერად განსახიერებულმა ლელამ სპექტაკლ „მაბატონიში“. თავი გამოიჩინეს ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა ბ. მირიანაშვილმა, გ. გაბუნია, ჯ. ლალანიძემ, რ. ჩხეიძემ, ს. ლალიძემ, ნ. ანდლუაძემ (რუსთაველის სახელობის თეატრი). ლ. ანათქემ, ნ. იოსელიანმა, კ. კიკნაძემ, თ. არჩვაძემ, ნ. ფლიაშვილმა, ნ. ხეთერელმა (მარჯანიშვილის სახელობის თეატრი), ზ. კაკიამ (მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრი) და სხვ. განსაკუთრებით ნათლად გამოიმტკიცა ქუთაისის თეატრის ახალგაზრდობის შესაძლებლობები, ამ ახალგაზრდებს ხელმძღვანელობს ისეთი გამოცდილი ოსტატი, როგორიც ავ. ვასაძეა. შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისში ახალგაზრდული დასია შემდგარი. განსაკუთრებული სიფხიზლით შეიჩა ახალგაზრდა მსახიობები. თეატრის რეპერტუარის მთელი სიმძიმე მათ აწევთ მხარზე.


შარშან სამუშაოებზე ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილებისას მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექციამ წინადადებით მიმართა თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულ სოლო გოგინიაშვილს დარჩენილიყო სამუშაოდ თბილისში. მაგრამ ახალგაზრდა მსახიობმა უარი თქვა შემოთავაზებულ ადგილზე და განაცხადა გორის თეატრში წასვლის სურვილი, სადაც რეჟისორად ლილი იოსელიანი მუშაობს. ს. გოგინიაშვილთან ერთად გორის თეატრში წავიდნენ თ. დაუშვილი და ბ. წიტიანი.

შვილი, სტალინის თეატრში — ე. გიგოლაე-  
ვა, ნ. გაბარაევი, კ. მკრტიჩიანი, ბათუმში —  
ლ. ლონტი, მ. ბათმასიშვილი, სოხუმში გაიგზავნა  
აფხაზი სტუდენტების მთელი ჯგუფი, და /სო-  
ხუმის თეატრის დასი შეივსო ახალი აქტიორუ-  
ლი ძალებით. სოხუმშივე წავიდა სამუშაოდ  
ახალგაზრდა რეჟისორი ნელი ეშმა. გრიბოედო-  
ვის სახელობის თეატრში წარმატებით მუშაობს  
რ. სტურუა, ხოლო სანკულტურის თეატრში —  
მ. კუჭუხიძე. და ჩვენ გვჯერა, რომ ისინი ისევე  
მალე და მკაფიოდ გამოაგლეწენ თავიანთ ნი-  
ჭიერებას რეჟისურის დარგში, როგორც გა-  
მოაგლეწენ მათმა ამხანაგებმა — ახლანან თე-  
ატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა,  
რეჟისორებმა — ლ. მირცხულავამ, თ. მესხმა,  
მ. ჯალიაშვილმა, ა. ნინუამ და სხვ.

მტკიცედ მიაბიჯებს ხელოვნების რთულ  
გზაზე ახალგაზრდობა, ეს გზა სავსეა ძიებებით,  
სიძინლეთა გადალახვის სიხარულით. მომავალი  
იმ ახალგაზრდობისაა. აკაკი ხორავა და სოსო  
ლალიძე, ვერკო ანჯაფარიძე და ია ბოკუჩავა,  
გახტანგ ჭაბუკიანი და გომა ალექსიძე, პეტრე  
ამირანაშვილი და თენგიზ ზაალიშვილი — ყვე-  
ლა ისინი შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვ-  
რობენ. დიდი გამოცდილების ბრწყინვალე ოს-

ტატები და გამოუცდელი ახალგაზრდა მსახიო-  
ბეები, რომლებიც ამგვარ ოსტატობაზე ჯერ  
მხოლოდ ოცნებობენ, ერთნაირის გატაცებით  
ეწევიან ქართული ხელოვნების უღელს. ისინი  
ერთად მიდიან და მათი შეგობრობა წარმატე-  
ბის საწინდარია. თაობის ესთაფეტა გრძელდე-  
ბა. და დღეს, დიდებული ორმოცი წლის იუბი-  
ლეს დღეებში, გვიღდა განსაკუთრებით გაეუს-  
ვათ ხაზი, რადგან ამჟამად, როგორც არას-  
დროს, საჭიროა თეატრმა თელი გაუსწოროს  
მომავალს და სცენაზე წარმოსახოს ცხოვრება  
მის რევოლუციურ განვითარებაში, გვიჩვენოს  
ჩვენი დღევანდელი დღის ბრწყინვალე პერს-  
პექტივები.

დღეს, განსაკუთრებით გაზრდილი მოთხოვნი-  
ლებები აქვს წაყენებული თეატრს. ხელოვნე-  
ბისა და ლიტერატურის საკითხებზე პარტიის  
ისტორიული დოკუმენტები მოუწოდებს  
თეატრს იდგეს იმ ამოცანების სიმაღლეზე,  
რომელსაც ჩვენს წინაშე აყენებენ ეპოქა, პარ-  
ტია, გმირული საბჭოთა ხალხი, ქართული თეატ-  
რები ჩვენი ქვეყნის სხვა თეატრებთან ერთად  
მტკიცედ მიაბიჯებს შემოქმედებითი ოსტატო-  
ბის მწვერვალებსავე.



პაპი ბაქრაძე

ქართული კინოს ახალგაზრდობა

ვინც ქართული კინოხელოვნების ცხოვრებით დაინტერესებულა და მისთვის თვალყური უდევნებია, უძველესად შენიშნავდა, რომ ჩვენს კინემატოგრაფიაში ახალგაზრდა რეჟისორთა, ოპერატორთა და მსახიობთა დიდი ჯგუფი მოვიდა. მართალია, უმრავლესი მათგანის შემოქმედებას ერთი ან ორი ფილმით ვიცნობთ, მაგრამ მათ შესახებ გარკვეული მსჯელობა მაინც შეიძლება, რადგან მათს ნამუშევრებში ხშირად ჩანს საინტერესო მხატვრის ნიჭიერების ნაკვალევი.

მთლიანი სახით აღებული მათი შემოქმედება ორი თავისებური ნიშნით იქცევა, ჩვენი აზრით, მკურნალობის უზრაველბას. პირველი ეპიკური თხრობისაკენ ლტოლვა და მეორე — პოეტურობისაკენ. ეპიკურობისაკენ მისწრაფება უფრო რეალისტურადაა ახალი თაობის უფროს წარმომადგენლებს (გვლისხმობთ რ. ჩხეიძესა და თ. აბულაძეს) ეტყობათ, ხოლო პოეტურობა უმცროსთა (აქ ე. შენგელია, მ. კოკოჩაშვილი და ო. იოსელიანი მიიქცევა უზრაველბას) შემოქმედებაში მძლავრდება. იქნებ ჯერ ძალზე ნაღრვეია ასეთი დაყოფა-კვალიფიკაცია, მაგრამ აქ თავს იჩენს მათი პირველი ნამუშევრების უშუალო შთაბეჭდილება. გარდა ამისა, ასეთი ორი ნაკადის არსებობა, ჩვენი ფიქრით, მთელი ქართული საბჭოური კინოხელოვნებისათვისაა დამახასიათებელი. თუ თვალს ვავადევნებთ ჩვენი კინოს ისტორიას, უთუოდ დავინახავთ, რომ მ. ჭიაურელის შემოქმედება ქართული კინომატოგრაფიის სწორედ ეპიკური ფრთას ქმნიდა, ხოლო ნ. შენგელიასი — პოეტურს.

ამჯერად ჩვენ არ შევუდგებით ზემოთ გამოთქმული აზრის კონკრეტული მაგალითებით დასაბუთებას, რადგან იგი სადავოდ არ მიგვაჩინია და ქართული კინოს ისტორიით დაინტერესებული კაცისთვის ყველაფერი გარკვეულად წარმოგვიდგენია. აქ მართო უფროსი თაობის შემოქმედების ათვისებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ იმ მყარი ტრადიციის ვაგრძელებასთან, რომელიც ჩვენი კინემატოგრაფიის ეროვნულ სახეს ქმნის და თავისთავადობის ეშის ანიჭებს. თუ ახალგაზრდა რეჟისორების შემოქმედების სწორი და მართებული გაგება გვინდა, უკან უნდა მოვიხედოთ და ის ფესვები გამოვკვინოთ, რომლითაც ისინი იცვენებიან. ამიტომ ზემოხსენებული ორი — ეპიკური და

პოეტური — ნაკადის ამბავი ცოტა ხნით გვერღნე ვადავლოთ და ვაგზედოთ ქართული კინოს ისტორიის გზას, რომელზეც განსაკუთრებულ ნიშანსეეტებად მოჩანან ფილმები — ი. პერესტიანის „წითელი ეშმაკუნები“, ნ. შენგელიას „ელისო“, მ. ჭიაურელის რამდენიმე კინოსურათი, ს. დოლიძის „დარიკო“, დ. რონდელის „დაქარგული სამოხევე“, რ. ჩხეიძისა და თ. აბულაძის „მეგდანას ლურჯა“.

ამ ფილმების დაკვირვებით შესწავლის შედეგად კაცმა შეიძლება რამდენიმე დასკვნა გააკეთოს.

პირველი: იშვიათი გამოჩაქლისის გარდა (მაგალითად, „წითელი ეშმაკუნები“), საუკეთესო ფილმები გვკეთებულა ქართული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშების ეკრანიზაციის შედეგად ან მათი მოტივების მიხედვით.

მეორე: ქართული ლიტერატურის და, საერთოდ, ხელოვნების სხვა დარგების სიყვარული მოაქვთ კინორეჟისორებს, რომელნიც ლიტერატურის, თეატრალური თუ სახვითი ხელოვნების სფეროდან გადმოსახლდნენ კინოში. ნ. შენგელიას კინემატოგრაფიული შემოქმედების შესწავლა-შეფასება ვერ იქნება სრულყოფილი ამ სახელოვანი კინორეჟისორის პოეტური მეგვიდრეობის შესწავლავლად. მან აუარებელი ელემენტი და, უფრო მეტიც, განწყობილება მოიტანა კინოში პოეზიიდან. ეს პოეტური კვალი უთუოდ აჩნია მის ყოველ სურათს (ეს საკითხი აუცილებლად მოითხოვს ცალკე კვლევას). ასევე შეიძლება ითქვას დ. რონდელის კინემატოგრაფიულ შემოქმედების შესახებ. იგი უთუოდ დავალებული ახალგაზრდა დ. რონდელის ლიტერატურული შემოქმედებით, იქნება იგი პოეტური თუ კრიტიკული ხასიათისა. მ. ჭიაურელს ფესვები უდგას ქართული თეატრისა და სახვითი ხელოვნების ძარღვმავარ ნიადაგში. მისი მოგზაურობა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, ისტორიკოს ექვთიმე თაყაიშვილისა და მხატვარ ლადო გუდიაშვილიან ერთად, და ქართული კლასიკური არქიტექტურისა და ფრესკული მხატვრობის შესწავლა საოცარ გამოძახილს პოულობს შემდეგ მ. ჭიაურელის კინოშემოქმედებაში. თუნდაც თვალის ერთი გადავლებით შევიძლიათ, მაგალითად, „უკანასკნელ მისკარადში“ ან „არსენაში“ შეამჩნიოთ ფერწერის ხელი ტიპაჟის შერჩევაში. მისი ფილ-

მების მასობრივი სცენების მონაწილენი გასაოცარი ინდივიდუალობით გამოირჩევიან. აქ ვტყობა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს პორტრეტს კინორეჟისორისათვის, რადგან იგი ხშირად აღმაინებს მხატვრის თვალთ უყურებს და სწორედ ამ პრინციპით არჩევს მათ.

მესამე: ქართული კინემატოგრაფიის ეროვნულ ტრადიციას ქმნიან სწორედ ის რეჟისორები, რომელნიც ლიტერატურის თუ სახვითი ხელოვნების ეროვნულ ნიშნებს კინემატოგრაფიაში წერავენ. აქ არა აქვს მნიშვნელობა იმას, რამდენად გააზრებული ან შეფხვებული იყო ეს პროცესი. მთავარი ისაა, რომ მოქმედებით და სულით ნატარები განწყობილებანი და შეხედულებანი, შეიძლება ზოგჯერ ქვეშევსეულადაც კი განამტკიცებდნენ მათ.

მეოთხე: კინორეჟისორების ახალი თაობა, რომელიც ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში მოვიდა ქართულ კინემატოგრაფიაში და რომელთაც პირობითად, ტერმინის სიმოკლისა და გაზრდილობისათვის „ორმოცდაათიანელთა თაობა“ შეიძლება ვუწოდოთ, განაგრძობს იმ ტრადიციულ გზას, რომელიც უფროსი თაობის მიერ არის შექმნილი. ყველაზე ნათელი მაგალითი ამ აზრის დასადასტურებლად არის „მაგდანას ლურჯა“. ეს ფილმი შეიძლება „ორმოცდაათიანელების“ ერთგვარ მანიფესტად ჩათვალოს, რადგან არც მის ავტორებს და არც სხვებს ახალგაზრდა რეჟისორებიდან ჯერჯერობით უკეთესი არა გაუკეთებიათ რა.

„მაგდანას ლურჯას“ ანალიზი საშუალებას იძლევა დიდგინდეს ის უწყვეტი ხაზი, რომელიც მას აერთიანებს „წითელი ემპაუნების“, „ელისის“, მ. ჰიუბერლის ფილმების, „დაკარგული სამოთხის“ და „დარიუს“ ტრადიციებთან. ამით გამოჩნდება, როგორ ვითარდება, გრძელდება და მტკიცდება ძირითადი შემოქმედებითი ხაზი ჩვენი კინემატოგრაფიის ისტორიაში.

ცხადია, ასეთი საკითხებისათვის გვერდის ავლა მათ არ შეეძლებოდა და თვითული მათგანიც სულიერი სიხალისისა და მიხედვით ექვსდა ტრადიციაში მისთვის ახლობელსა და საინტერესოს. აქედან — თუნდაც ეპიკურისა და პოეტურის აღქმა და ახლებურად განგრძობა...

სწორედ პოეტური განწყობილების ზუსტი გადმოცემით იზიდავს მყურებელს მ. კოკოჩაშვილის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ხმელი წიფელი“. ახალგაზრდა რეჟისორს ვეფასა შემოქმედების გათავისება სკირდებოდა, რათა დაეცა ძირითადი არსი და შეეძღვ კინოს ენით ეამბნა სიტყვის ემოციური ძალით აღძრული გრძობების შესახებ. ერთი შეხედვით „ხმელი წიფელი“ კინემატოგრაფიულობას მოკლებულია. იგი ფიქრია გასულიერებული ხისა, მისი დარდი და წუხილი, გამოწვეული სიბერითა და

სიკვდილის მოახლოებით. აყვავებული ტყის სამყაროში მართო იგია გამხმარი და მოკლებული განახლება-გაცოცხლებით გამოწვეულ ტკიბობას. ხის ეს შინაგანი ფიქრი და წუხილი რეჟისორს დასაძახი უნდა ვაგზადა და ეგრძობინებინა მარტოხელა ხის ტრაგედია. რეჟისორი მ. კოკოჩაშვილი არაერთარ გარეგნულ ეფექტს არ მიმართავს. იგი ენდობა კინოკამერის გამო-მსახველობითს ძალას და ეკრანზე მხოლოდ ის გადმოაქვს, რაც შეიძლება რეალურად დაინახოს კაცმა. ტყის განაძირას, პატარა ხრამის კიდვზე მდგარი ხე პლასტიკურად ცისკენ ხელ-გაშვებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი თითქოს აყვავებული ტყის მიმართ ზურგით დგას, რადგან ხე მთელი ტანით ხრამისკენ არის გადაწეული. ამ გადახნილი ფიგურაში უცნაური გათიშულების ძალა იგრძობა და ვეფას მიერ შექმნილი წუხილი პლასტიკურ სახეს ღებულობს. ამავე დროს დიქტორის ხმა და ტყის ვეო ერთმანეთს ისე ავსებს, რომ სრული შთაბეჭდილება იქმნება ხის დარდიანი ძახილისა.

აუწერელი სიხარული დგება ხისა, როცა იგი თავის ძირას ნორჩ ყლორტს შეამჩნევს. აქ მის გულში კაცური სიხარული იღვიძებს: იგი არ გადაშენდება და ხმელი წიფელიც ამ ქვეყნად შთამომავლობას დატოვებს. და კიდევ ერთხელ რეჟისორი ვეფაგრძობინებს კინოს პლასტიკური ჩვენების ძალას. ვადადარდება წვიმს. ელავს და ქექს. ტყის თითქოს წარღვნა ემეტება. ამ დროს ბებერი ხე სასოწარკვეთით ასავსებს თავის გამხმარ ტოტებს და ცდილობს ნორჩ ყლორტს დაიფაროს ავდრისა და უბედურებისაგან. როცა ავდარი გაივლის, ხმელი წიფელი აღარ დგას ცისკენ ტოტებადმართული. მას ტოტები დაუხრია და თავის გადარჩენილ, გახუფებულს მზით გამთბარ ტოტს ესაუბრება თუ შედრება. ამ პატარა ფილმში გამომყვავებული პოეტური კინოხელოვნების თითქმის ყველა ნიშანი.

ასეთივე შთაბეჭდილებას ახდენს ო. იოსელიანის „სამოთხელოც“. აქ ცნობილი მყვავილის მ. მამულაშვილის ყვავილობის სამყაროზეა ლაპარაკი. თუ პირველი ფილმი ვეფას მოთხრობის ეკრანიზაცია იყო და მისი ვაგენა აუცილებელიც იყო, მეორე ფილმშიც ეგრძობა ეს ვაგაეული ხედვის კვალი. აქაც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს კინორეჟისორს დიდებული ვეფასაგან ექსავალის ყვავილია ენა. წმინდა კინემატოგრაფიული მონტაჟის საშუალებით შექმნილია მოცუვავე ყვავილების გასულიერებული სახე. მუსიკის ტაქტისა და მიხედვით სტრუქტურულად ვერისა და ჯიშის ყვავილები კადრიდან კადრზე ხტებიან და ეცეცის სახეობო განწყობილება იქმნება. ანდა მეორე მაგალითი. ღამის სიჩუმეში გაურკვეველი ბგერებისა-

გან მწუხრის თავისებური მუსიკა იქმნება და გაფურჩქანული ყვავილები თავებს ხრიან, ფურცლებს ტანზე იწებებენ, თითქმის იძინებენო. ასეთი მავალითების მოტანა შეიძლებოდა ვაგვეგრძელებინა, მაგრამ ნათქვამიც კმარა იმის დასანახავად, რომ ახალგაზრდა რეჟისორები კინო-ენით ლაპარაკობენ და ეს ენა მათი აზროვნების ძირითადი იარაღია.

თუ ერთნი კინო-ენით პოეტური თხრობის შთაბეჭდილებას ქმნიან, მეორენი იმავე ენით ეპიკური სიღიწჯით ვაღმოგვეყვინ თავიანთ სათქმელს. რეჟისორი თ, აბულაძე და ოპერატორი ლ. პაატაშვილი „სხვისი შვილებში“ მხოლოდ პლასტიკური საშუალებებით ვაღმოგვეყვინ პერსონაჟთა სულეერ განწყობილებას. მამისაგან მიტოვებული ბავშვები დეიდა ნატომაც მიატოვა და გია და ლია ღვთის ანახარა დარჩნენ. ბავშვები სახლიდან ვამოკვეთებთან და ვაგზალში ვარბიან. მარტოობის გრძობა რომ ვაძაღვრონ, რეჟისორი და ოპერატორი ბავშვებს ნახევრადაშენებული თუ დანგრეული სახლებისა და მოდრულული ნაწიმიარო ცის ფონზე ვვიჩვენებენ. მვარკ ბეიზაგი მამინევი იცვლება, როგორც კი დეიდა ნატო ბავშვებთან დაბრუნდება. ახლა ისინი — დეიდა ნატო, გია და ლია — ხალხით სავსე, მზით ვაბრწყინებულ, დიდი ქალაქის ქუჩით მიდიან. აქ ხედვის საშუალებით, პლასტიკის ენით მოთხრობილია მარტოობის დათურგვისა და ერთადყოფნის ვამარჯვების ამბავი.

რეჟისორის ვეგრდით ოპერატორი იმიტომ კი არ ვვიხსენებია, რომ ისინი ერთად აკეთებდნენ სურათს, არამედ იმიტომ, რომ ოპერატორების — ლ. პაატაშვილისა და გ. ჰელიძის შემოქმედება ახალი სიტყვაა ქართული კინოს ვამოსახულებათა ვამიღვრების საქმეში.

„ჩვენი ეზოს“ ცქერისას შეუძლებელია მაცურებელს დაავიწყდეს მზით ვანათებული თბილისი, სადაც ოპერატორი გ. ჰელიძე ნათელი ფერებით ხედავს ჩვენს დედაქალაქს. აქ მეტია პოეზია და ვამჭირვალე პაერისა და სინათლისაგან მოვვრილი სიხარული. თეთრი ფერი აქ უზრალო ვარეგნული სახე კი არაა, არამედ შინაგანი არსის ვამოხატვა. მისი კამერისთვის დანახული პეიზაჟი საოცარი სივანსალითა და სილამაზით სუნთქავს, თუნდაც იგი ნანგრევებს აღებდეს, რადგან ვანწყობილება და გრძობა ოპერატორის მიერ შექმნილი სიციხის ვანსალი პულის ცემას ვაგრძობინებთ ყველგან. მის კადრში სამყარო შემოზღუდული არაა ჩარჩოს ოთხი კედლით. იგი ქმნის შორეულ პერსპექტივას და ამით — სიხარულის ვანწყობილებას. მისთვის არც ტრაგიკული შავი ფერია უტოო. შეღამების ხანს დაცემული მზის უკანასკნელი სხივები რაღაც მოწყენილ და

ვამჭირვალე სინათლეს ქმნის, რომელიც შეუძლებელ დარდს აღძრავს ადამიანის გულში. დარგბრებული შავი ჩრდილები დადარდიანებული ვანწყება და ის სიჩუმი ისადგურებს, რომელიც რაღაც ტრაგიკულის მოლოდინში ვაყენებს. ასე მავალითად, „მამია წყნეთელში“ კრწანისის ომის წინ, როცა მხედართა ლანდები მწუხრისას თითქმის იმ ქვეყნიდან მოსულე მოჩვენებებივით დადიან ჩამავალი მზის სხივებით ოდნევე ვანათებული ცის ფონზე. ქემპარობი მხატვრის თვალი გიორგი ჰელიძეს ჩვენი საუკეთესო ოპერატორების პირველ რიგში აყენებს.

ჩვენ აქ სწორედ ვანწყობილებათა ვაღმოგვეყვინ შეუზღუდავი მანერა ვეხიბლავს და სიმოვენებს ვეანიჭებს. დაღვა დრო, რომ ოპერატორთა შემოქმედება ისევე ვახდეს ცალკე შესვალის დირსი, როგორც ფერმწერებისა. მიუხედავად იმისა, რომ ფერთა ათვისების საქმეში კინემატოგრაფია ჯერ ბევრად ჩამორჩება მხატვრობას. მაგრამ შექმნილითა, პერსპექტივისა და ხაზების აღქმა კარგი ოპერატორის ხელში კინოკამერას უკვე იმდენად ვარჯვედ შეუძლია, რომ დიდოსტატ ფერმწერისაც ვაეჯიბებებოდა.

კინემატოგრაფიის უყვარს მრავალმანიანი პლასტიკური აზროვნება. ვიხსენეთ ლ. პაატაშვილის კამერის თვლით დამკერალი თბილისის პანორამა მხატვრის ატელის აიენიდან („დღე პირველი, დღე უკანასკნელი“). მთელი ეპიზოდის შინაარსით ნაჩვენებია, რომ მხატვარი ისტორიამ ვაიტაცა და დღევანდელი დღე ცოტანით მივიწყა. როცა ოპერატორის ფლმის პერსონაჟები მხატვრის ვიწრო ატელიედან ვამოყავს და უცბე ქალაქის უზრმასარ პანორამას ვადაშლის, თითქმის ის ნათელი და დიდი ცხოვრება, რომელიც მრავალმანად ახლა ვაიშალა, მხატვრის ვიწრო ატელიეში ვერ შედის და მის ვარეთ ვამოსვლას მოითხოვს. ეს ღრმა აზრი ოპერატორს მხოლოდ კამერის ოსტატური მოძრაობით აქვს ვამოქმედი და ამას პერსპექტივის ვაშლა-დავიწერების გზით მოწევს.

ასეთი მავალითები შეიძლებოდა მოგვეტანა თითქმის ყოველი ახალგაზრდა რეჟისორისა თუ ოპერატორის შემოქმედებიდან, მაგრამ შეიძლება ეს აუცილებელი არც იყო. რ. ჩხეიძისა და თ. აბულაძის სახელი დიდი ხანია საბჭოთა კავშირის საზღვრებს ვასცდა და მათი შემოქმედება უფრო კონკრეტული ხასიათის მსჯელობას მოითხოვს, ვიდრე ზოგად დახასიათებას, ხოლო უფრო ახალგაზრდები დიდი კინემატოგრაფიის ვაზრე ახლა ვამოდიან და საკუთარი სიტყვის დამშვიდებით თქმა ვაყადოთ. ერთი რამ კი ახლავე ცხადია: ისინი სისხლითა და ზორობით კინემატოგრაფისტები არიან და ქართული კინოხელოვნების ბედი სიამელო ხელებს აბარია.



## ჯაკ ლიზონი

# რაბინდრანათ თაგორის ცხოვრება და შემოქმედება

დიდა ინდოელი პოეტისა და მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, განმანათლებლისა და პედაგოგის, ჰუმანისტისა და პატრიოტის რაბინდრანათ თაგორის სახელი მთელ მსოფლიოშია ცნობილი. მან დაგვიტოვა უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობა: თორმეტი რომანი, ასზე მეტი მოთხრობა, ოცდაათზე მეტი პიესა, ორასამდე პუბლიცისტური წერილი, მრავალი ლექსი, სიმღერა; გარდა ამისა, თაგორს ეკუთვნის სასკოლო სახელმძღვანელოები, ნაწარმოები ენისა და ლიტერატურის, რელიგიისა და ფილოსოფიის დარგში. მისი ძირითადი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე. თაგორის თხზულებებში მთელი ეპოქა შექმნეს ახალი ინდური ლიტერატურის განვითარებაში.

რაბინდრანათ თაგორი დაიბადა 1861 წლის 7 მაისს კალკუტაში, მდიდარსა და გვაროვან ოჯახში. მამამისი, ფრიად განსწავლული ადამიანი, იყო რელიგიურ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ბრაჰმოსამაჯის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე და ბოლოს მეთაურიც. ეს საზოგადოება გმობდა კერპთაყვანისმცემლობას, მსხვერპლშეწირვასა და სხვადასხვაგვარ შეუსაუფროებრივ რელიგიურ გადმონაშთებს.

თაგორის ოჯახში ძალზე უყვარდათ ლიტერატურა და ხელოვნება. რაბინდრანათის ძმები ცნობილი პოეტები და საზოგადო მოღვაწენი იყვნენ. საერთოდ, მათი ოჯახი წარმოადგენდა კულტურულ ცენტრს, სადაც გაუღმებოთ იკრიბებოდნენ პოეტები და მწერლები, მუსიკოსები და მხატვრები, მსახიობები და საზოგადო მოღვაწენი. ამგვარი გარემო უმკველ გავლენას ახდენდა მომავალ დიდ პოეტსა და მწერალზე.

რაბინდრანათ თაგორი ჯერ აღმოსავლურ სემინარიში მიაბარეს, შემდეგ — ევროპულ ბულ ნორმალურ სკოლაში, დაბოლოს კი ბენგალურ აკადემიაში. მაგრამ იმდროინდელ სასწავლებლებში გამეფებული სტუდიისკეობა არ შეესატყვისებოდა ნაკით მომადლებული ყმაწვილის მისწრაფებებსა და სულიერ მოთხოვ-

ნილებებს. ამიტომ საბოლოოდ თაგორს ოფიციალური უმადლესი განათლება არც მიუღია. მისი უზარმაზარი ერუდიცია და ენციკლოპედიური ცოდნა მისივე სიბუნებისა და შრომისმოყვარეობის შედეგი იყო; იგი დღესა და ღამეს ასწობდა წიგნების კოხევაში, ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლაში.

თორმეტი წლისა რომ შესრულდა, რაბინდრანათს თავი გადაპარსეს. და ჩვეულების თანახმად ბრაჰმანად აზიარეს. ამის შემდეგ მამამისმა საზოგადოებრივ წიყყენა ჰიმალაის მთებში. ამ მოგზაურობამ ყმაწვილის სულს წარუშლელი კვალი დააჩნია და მთელი სიცოცხლის მანძილზე აღარ დაეწყვიტა ბუმბერაზ მთათა შორის ხეტიალისას აღძრული შთაბეჭდილებები.

იმ ხანად ინდოეთში დიდა მოწონება ჰქონდა ვიშნუისტურ პოეზიას, რომელიც ჰუმანიზმს ქადაგებდა და კასტური სისტემის უარყოფისკენ მოუწოდებდა. შემდგომში ვიშნუისტურმა ლირიკამ დიდი გავლენა მოახდინა რაბინდრანათ თაგორის პოეზიაზე. მაგრამ განსაკუთრებით დიდი გავლენა მასზე იქონია უფროსმა ძმამ — ჯოტირინდრანათმა, რომელიც ბავშვობიდანვე ამეცადინებდა ლიტერატურასა და მუსიკაში და ესაუბრებოდა ხოლმე ყოველივე ამის გამო, რაც აწვდებდა მოზარდის გულსა და მამიებელ გონებას. მისივე დამსახურება იყო, რომ რაბინდრანათმა დაწყებითი განათლება ბენგალურ ენაზე მიიღო, მაშინ როდესაც იმ დროს უმრავლესობა ინგლისურ განათლებას მისდევდა.

რაბინდრანათ თაგორმა წერა ძალიან ადრე დაიწყო. მასი პირველი ნაწარმოებები იყო ლირიკული ლექსები. უნდა ითქვას, რომ პოეზიას მის შემოქმედებაში მუდამ ერთი უმთავრესი ადგილი ეჭირა. მისი პირველი ლექსები და სტატიები დაიბეჭდა ჟურნალ „გენანჯურის“ ფურცლებზე. 1877 წლიდან ახალგაზრდა რა-



ბინდრანანტმა აქტიურად დაიწყო თანაშრომლობა ჟურნალ „ბჰაროტიში“, რომელაც მისი ძმის ჯოტირინდრანანტის დაარსებული იყო. ამ იბექდებოდა თაგორის წერილები ევროპული და ინდური ლიტერატურის შესახებ. აქვე დააბეჭდა მისი პოემა „თავდასავალი პოეტისა“.

1878 წელს თაგორი გაემგზავრა ინგლისს, სადაც ჯერ იურიპრუდენციის, შემდეგ კი ევროპულ ლიტერატურას სწავლობდა. ამასთან ერთად მას არ შეუწყვეტია ჟურნალ „ბჰაროტიში“ თანაშრომლობა. ევროპული ლიტერატურის გარდა იგი გულდამსმით სწავლობდა ანგლისელთა კულტურასა და უოფაცხოვრებას, ევროპულ მუსიკასა და ხელოვნებას. წელიწადნახევრის შემდეგ თაგორა სამშობლოში დაბრუნდა და განაგრძო ლიტერატურული მოღვაწეობა. ჯერ კიდევ ინგლისშივე დაიწყო მან პოემის წერა, რომელიც დაიბეჭდა „შემუსერგოი გულს“ სახელწოდებით. ეს პოემა შემდგომში თვათონვე ასე შეიფასა: „შემუსერგოი გულს“ წერა თვრამეტი წლისამ დაეიწყო. ეს ის ასაკია, როდესაც ერთმანეთს ემოჯენებთან ზავშეობა და სიკბაუეე, როდესაც არ ძალღიძს ჰეშმარტების სხივის ნათლად დანახვა და ნამდვალეი ტვეყანა ფანტასტიური სახით წარმოგიდგება“.

ინგლისიდან დაბრუნების შემდეგ თაგორმა გადიფაქრა იურიდიული განათლების მიღება და ვეიქლად ვახლომა. იგი დაყაბულდა მამის რჩევის და 1881 წლიდან შეუდგა საკვარეულო მშენლის მოვლა-პატრონობას შილაიდოპში (ბენგალია), ხოლო 1883 წელს კიდევ დაქორწინდა.

როგორც უკვე ითქვა, რახინდრანანტ თაგორი ლიტერატურის გარდა ხელოვნების სხვა დარგებშიც, კერძოდ, მუსიკათაც დიდად იყო გატაცებული. ირანდიური და ინდური კლასიკური მუსიკის გავლენით დაიწერა მუსიკალური დრამა „გენიოსი ვალმიკი“, რომელსაც საფუძვლად დაედგა უძველესი ინდური ეპოსის „რამაიანას“ ერთ-ერთი ლეგენდა. ამას მალე მოჰყვა დრამა „ბედითი მღვრებში“. „შემდეგმა ამგვარი ენთუზიაზმით აღარაფერი შემიქმნია, — იგონებდა თაგორი. — გენიოს ვალმიკისა“ და „ბედითი მღვრებში“ აისახა ის მღელვარება, რასაც ამ ხანად ჩემში მუსიკა იწვევდა.

1883 წელს გამოქვეყნდა თაგორის პირველი რომანი „ბოუთპაკურანირ ხატი“, რომელიც შუა საუკუნეთა ინდოეთის ცხოვრებას ასახავდა, და ცნობილი პიესა „განდევლი“. ამ პიესაში დავმობალია ასკეტობი, პეტრაქტული ფილოსოფიური განსჯისა და ჰეგერტის სამყაროში დანთქმა, აღიარებულია ადამიანის პიროვნების მნიშვნელობა, სიცოცხლასა და მიწიერი სიხარულის უფლებანი. „ეს პიესა მთელი ჩემი შემდგომი მოღვაწეობის შესავალია,

უფრო სწორად — ესაა თემა, რომლისადმი სწრაფვა ყველა ჩემს ნაწერს ეტყობა“, — წერდა თავად თაგორი.

ოთხმოციანი წლების შუა ხანებში თაგორი დასახლდა არბათის ზღვის სანაპიროზე, ბომბეის სამხრეთით მდებარე ქალაქ კარვარაში. წარმატეი ბორცვებით გარემოცული პატარა ზღვისპირა ქალაქი ინდური ბუნების სილამაზის ნამდვილი განსახიერება იყო. ამ ჯადოსნური ბუნებათ მოზიბულმა პოეტმა სწორად აქ შექმნა დრამატული პოემა „ბუნების შურისგება“, რომელშიც ნაჩვენებია არიან ცალკერძ უბრალო გლუხაკეები და ცალკერძ ამქვეყნიურ ცხოვრებას განრიდებული მეუღაბანოე. მოყვასთა სიყვარულმა განდევლილი აიძულა იჯახს დაბრუნებოდა, რადგან დარწმუნდა — მცირეში იფარვის უდიდესი, წარმავალში — წარუდინებელი, ხოლო სიყვარულში — თავისუფლება.

რაც ღრო გადიოდა, თაგორი უფრო და უფრო აქტიურად ებმებოდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, ხშირად კითხულობდა ლექციებს, მონაწილეობდა საზოგადოება „ბრაჰმო სამაჯის“ თავყრილობებში, დაბოლოს ამ საზოგადოების მდივანიც შეიქნა.

80-90-იან წლებში ინდოეთში პოლიტიკური აღმოსფერო ძალზე რთული და დაძაბული იყო. 1872 — 1882 წლებში მთელ ინდოეთს გადაუარა გლუხთა მოძრაობის ტალღამ, რომელმაც საფუძელიანად შეარყია ინგლისელთა კოლონიური რეჟიმის საფუძვლები. ეს იყო გათვრანარი კოლონიური ექსპლუატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული მუქარა. ამასთან, ჯერაც ძალმოუცემელი ეროვნული ბურჟუაზიაც ცდილობდა თავი აეწია/და წელს გამართულიყო, პოლიტიკურ სარბილზე გამოსულიყო. ზედიზედ იქმნებოდა სხვადასხვაგვარი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები. 1885 წლის დეკემბერში ბომბეში შედგა დამფუძნებელი ყრილობა პარტიისა — ინდოეთის ეროვნული კონგრესი. ამ პარტიის დაარსების მიზანი ის იყო, რომ გამოეხატა ბურჟუაზიულ-ნაციონალური წინააღმდეგობა კოლონიური ბატონობისადმი. ეროვნულმა კონგრესმა მაშინ მზარი არ დაუქარა ინდოეთის სახალხო მოძრაობას, მიუხედავად ამისა, ეროვნულმა კონგრესმა მაინც შესარულა თავისი დადებითი ისტორიული როლი, რაც იმათ გამოიხატა, რომ ხელი შეუწყო ეროვნული შეგნების გავლიძებას, კოლონიური ჩაგვრას წინააღმდეგ ბრძოლის გამძლიერებას.

ეროვნული შეგნების გავლიძება განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობოდა ბენგალიაში, რადგან ბენგალელები ინდოეთის სხვა ხალხებთან შედარებით ყველაზე უფრო ჩამოყალიბებულ ერს წარმოადგენდნენ. ამიტომ შემთხვე-



ვითი არ იყო, რომ სწორედ ბენგალიაში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ამოქმედდა მრავალი პოლიტიკური, საზოგადოებრივი თუ კულტურული ორგანიზაცია, რომელთა მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდა თავგორი.

90-იანი წლებისათვის რაბინდრანატ თავგორი სავსებით მომწიფებული პოეტი და მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე იყო. ამ დროისათვის მისი ნაწერების თემატიკა დიდად გაფართოვდა. ევროპაში სამთვიან მოგზაურობას თუ არ ჩავთვლით, თავგორი თავისი ოჯახითურთ იმ ხანად თავის საგვარეულო მიმუღმში — შილაილაში ცხოვრობდა გამუდმებით. მან ახლოს გაიცნო გლხკაცების დუხვირა, ბნელი და უნუგეშო ცხოვრებებს, მის თვალთა წინაშე სრულებით ახალი, მანამდე უცნობი სურათები გადმოვიდა. აღბათ ამანაც შეუწყო ხელი, რომ სწორედ იმ ხანებში მწერალმა ხელი მიჰყო მოკლე მოთხრობებისა და ნოველების წერას.

თავგორის მოთხრობები გამსჭვალულია მშრომელი ხალხის ტანჯვის, გაჭირვების, სიღატაკისა და უფულებლობისადმი ღრმა თანაგრძნობით. მწერალი მრისხანედ იზალღებს ხმას ექსპლუატატორთა თვითნებობის, მათ მიერ ხალხის უმოწყალო ძარცვა-ბრების წინააღმდეგ. იგი წინააღმდეგობა და დასცილის აგრეთვე სხვადასხვაგვარ ფეოდალურ, შუასაუკუნოებრივ გადმონაშთებს.

მწერლის პირველი მოთხრობა „ანგარიში“ დაიბეჭდა 1891 წელს და ცხოველად გამოიმართურება პოემა. ეს არის ბენგალური ლიტერატურის პირველი ნაწარმოები, რომლის გმირები უბრალო ადამიანები არიან. მასში მოთხრობილია ტრაგიკული თავგადასავალი ქალიშვილისა, რომელიც ანგარიშის, გამოჩენის მიზნით გაათხოვდა. მკითხველნი მოუთმენლად მოელოდნენ ახალ ნაწარმოებს და, მართლაც, იმავე წელს გამოქვეყნდა მოთხრობა „ფოსტის მოხელე“, რომელიც საოცარი სიმართლით გვაცნობს და ჩაგრულ, მარტოსულ, მაგრამ პატიოსან ადამიანთა თავგადასავალს.

იმ ხანებში რაბინდრანატის უფროსი ძმის რედაქტორობით დაიწყო ეურნალ „შადპონას“ გამოცემა. დიდი ენთუზიაზმით ჩაება თავგორი ამ ეურნალის მუშაობაში და ერთიმორეზე დასტამბა შესანიშნავი პუბლიცისტური წერილები და მოთხრობები. ხსენებული ეურნალის დიდ პოპულარობაში რაბინდრანატ თავგორს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის.

ეურნალში დაბეჭდილ მოთხრობათაგან განსაკუთრებით რამდენიმე გამოირჩეოდა. პირველი მათგანი — „კოკა-ბაზულა დაბრუნება“ ავტორმა ოსტატურად დახატა თავისი გმირის ფსიქიკა და ხასიათი. კალკუტა მოიხატა ამ შესანიშნავი

მოთხრობით. საერთო აღტაცება ჯერაც არ დამცხრალიყო, რომ ეურნალში უკვე მეორე მოთხრობა — „მეგვიდრეობა“ დაიბეჭდა. ამ ნაწარმოებით ავტორი ილაშქრებდა ბნელ ფანტიზმის წინააღმდეგ, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ამხინჯებდა ინდოელი ხალხის შეგნებას. მოთხრობის გმირი — კრიანგი ბერიკაცი სიმუწის ნიდაგზე უკუდიან შეიშლება და საყვარელ შვილშვილს სარდაფში ამოქოლავს ფულთან და ძვირფასეულობასთან ერთად, რათა მარად დარაჯად უდგეს მის საუნჯეს.

„ცოცხალი თუ მკვდარი“ — ასე ეწოდება მესამე მოთხრობას, რომელშიც გაიცხულო იყო შუასაუკუნოებრივი ცრურწმენანი და ფეოდალურ გადმონაშთთა გაბრწინება. სინტერესთა ერთი ვარემოება: მოთხრობის გმირი ქალი თავის სიცოცხლეს მსხვერპლად გაიღებს, რითაც სწორედ იმას ამტკიცებს, რომ იგი ცოცხალია და არა მკვდარი.

„ამოხსნილი საიდუმლო“ მოგვეთხრობს, თუ როგორ უმოწყალოდ ჩაგრადნენ გლეხობას მემამულენი. „შუქ-ჩრდილებში“ ავტორი აღმოთხრობილია ინგლისელ ხელისუფალთა თვითნებობით, მათ მიერ ადგილობრივი მოსახლეობის გაუგონარა შევიწროებით. მწერალი სიყვარულით ხატავს ერთ-ერთ გმირს — შოშიბჰუ-შონს, რომელიც უბრალო ხალხის დასაცავად თავს გამოიღებს და ამის გამო საპატიმროში აღმოჩნდება.

„შადპონას“ ფურცლებზე თავგორი მომდევნო წლებშიც ათავსებდა მოთხრობებს. მწერლის ინტერესთა სფეროში გამოჩნდა ახალი თემა — არის დიდ ქალთა დამოკიდებობის საკითხი. დიდი სიყვარულით გამოძერწა მან ქალთა სახეები ისეთ მოთხრობებში, როგორცაა „რეველი“, „შუბა“, „მოსამართლე“, „უფროსი დი“, „მოპამაია“, „განაჩენი“, „ჯოგეშორის მსხვერპლი“ და სხვ.

ეურნალში დაბეჭდილ მომდევნო ხანის მოთხრობათაგან მინც საუკეთესოდ უნდა მივიჩნიოთ „დაკარგული იმედი“. ეს მოთხრობა განსახიერებს ინდოელი ხალხის ბრძოლას ანგლეულ დამპყრობთა წინააღმდეგ. მის შინაარსს გადვყავართ სიბავის აჯანყების შორეულ წლებში. აჯანყებამ მძლავრ ზვირთებად გადაუარა ინდოეთის მრავალ პროვინციას და მალე ჯუშმას ნაპირებსაც მისწვდა. აქ მცირე ციხე-სიმაგრე ბოლოაონშია დაბანაკებული ჯარის უფროსად იყო კემპარტი პატრობტი ქემორალი, რომელმაც იარაღით ხელში უწინამძღვრა განმათვისუფლებელ ბრძოლას. მედგარი და ვაჭაკო მებრძოლის სახე მიეღი თავისა მშენებით წარმოღვება მეთხველის წინაშე.

საგულისხმოა, რომ თავგორი ძალზე გაიტაცა სოფლის მეურნეობამ — მუშაობდა, სხვადასხვაგვარ ცდებს ატარებდა. გლეხკაცობამ შეიყვარა



ეს კეთილი და გულსხმიერი აღმამიანა და თავის მხრივ თავგორი არადგარი იშურებდა მათთვის შემწყობის აღმოსანივად.

პროზაულ ნაწარმოებებთან ერთად თავგორს არ შეუწყვეტია მუშაობა პოეზიის სფეროში, რის შედეგაც იყო კრებული „ოქროს ნაფი“ (1892), ამგვარი სათაური უნდა წარმოეშვა თავად პოეტის განწყობილებას, მის სწრაფვას — წარმაცტი და ბედნიერი ეხილა ცხოვრება. 1900 წელს გამოვიდა ახალი კრებული — „წამისყოფა“, რომლის ლექსთა მუსიკალობამ მოხიბლა ბენგალელი მკითხველები.

ამასთან ერთად თავგორი წერდა მრავალ პედაგოგიურ, ღრამასა თუ პუბლიცისტურ წერილს. ისეთ პიესებში, როგორც იყო „თავიდანვე შეცდომა მოხდა“, „უცოლშვილო მამაკაცთა კლუბი“, „ბოიკონტის მანუსკრიპტი“, „რაჯა“, „წითელი ოლქანდრები“ და მრავალი სხვა, მკაფიოდ გამოვლინდა თავგორის რეალისტური ხელწერა, ცხოვრების მახვილი აღქმა. ეს იყო უმთავრესად მსუბუქი იუმორით, სიმახვილითა და განსჯის სიმკაცრით მომხიბვლელი სოციალურ-სატირული კომედიები, მიძღვნილი ცხოვრების ამა თუ იმ საქარბოროტო საკითხისადმი. 1909 წელს გამოქვეყნდა ღრამა „შურისგება“, რომელიც დაიწერა ინდოეთში ტერორის გაძლიერების უშუალო შთაბეჭდილებით.

ძალზე მრავალფეროვანი და მდიდარია თავგორის პუბლიცისტა. 90-იანი წლების სტატიები კულტურული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ საკარბოროტო საკითხს აღძრავენ. „შადონანში“ იბეჭდება მისი წერილები პოლიტიკურ თემაზე. განსაკუთრებით საინტერესო იყო წერილების სერია „ხელმწიფე და ქვეშევრდომნი“, რომელშიაც ბავგასმულია ინდუსთა და მათ მომეე მაჰამადიანთა გავრთიანების აუცალელებლობა. ავტორი გაბედულად მიუთითებდა — ინგლისელ დამპყრობლებს ყველაზე მეტად სწორედ ეს გავრთიანება აწინებთო.

ამავე ხანას ეკუთვნის თავგორის პაექრობა ნეოინდუსიტებთან („ბრამო სამაჯის“ ერთ-ერთი მიმდინარეობათაგანი). ნეოინდუსიტები მომხრენი იყვნენ ეროვნული თვითშეგნების გაღვივების და ეროვნული კულტურის განვითარებასა, მაგრამ ამასთან ერთად მათ ზირი წარსულისაკენ ჰქონდათ მიქცეული და სურდათ ინდუიზმის სხვადასხვაგვარი შუასულკუნობრივი გაღმონამის შენარჩუნება, რისთვისაც თავგორი მკაცრად აკრიტიკებდა მათ თავის პუბლიცისტურ წერილებში.

1921 წლის 21 დეკემბერს თავგორმა განახორციელა თავისი დიდი ხნის ნაოცნებარი: თავის მამულში, შანტინიკეტონში, სადაც იმ დროისთვის ოჯახობურთარ საცხოვრებლად დასახლებულიყო, დააარსა სკოლა და დიდი ენთუზიაზმით მიჰყო ხელი პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამ

სკოლაში სწავლება განსაკუთრებული, თავგორისევე მიერ შემუშავებული პროგრამითა და შეთობებით მიმდინარეობდა.

სკოლის გახნის საზეიმო დღეს თავგორმა ერთელი სიტყვა წარმოთქვა. აი ერთი ადგილი ამ სიტყვიდან:

„წელს ახალი ერა იწყება შანტინიკეტონის ისტორიაში... ეს დიდი ამბავა არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ... მე უნივერსიტეტი დავაარსე, რათა აქ ერთად ისწავლონ სხვადასხვა ცივილიზაციისა და ტრადიციის აღმამინებმა. ეს დიდი იდეაა და მე არ ვმისობ იმის გამო, რომ მისი განხორციელების მასშტაბები მცარება. დიდიდი იდეები ბაღლებივით იზადებიან და მხოლოდ შემდეგ იზრდებიან“.

მიუხედავად ამისა, რომ სკოლაში იმ ხანად მხოლოდ ხუთი ყმაწვილი (მათ შორის რადინდრანანტის ვაჟი) სწავლობდა, თავგორი იმედს არ კარგავდა, რომ რამდენიმე წელწაღში მოწაფეთა რაოდენობა გაიზრდებოდა. და, მართლაც, დიდ დროს არ გაუვლია, რომ მოწაფეთა რაცხეი ოცდაათჯერ გაიზარდა.

თავგორის აზრით ბავშვები ისეთ გარემოში უნდა აღზრდილიყვნენ, რომ მათი ინიციატივა არ შეზღუდულიყო, რომ მათ გაღვივებოდათ მისწრაფება მეცნიერებათა დაუფლებისა. მეცადინეობა მეტწილად გარეთ, მანგოს ხეებქვე ტარდებოდა და ჰვეულბრივი გალობით იწყებოდა ხოლმე. ბავშვები თავადვე განსაზღვრავდნენ ყოფაქცევას წესებს, თავადვე ირჩევდნენ ხელმძღვანელებს, თუმცა, რალა თქმა უნდა, ეს ყოველივე თავგორის მეთვალყურეობით ხდებოდა. სასკოლო საბჭო თვალსურს ადევნებდა წესრიგისა და სისუფთავის დაცვას, კვებისა და გართობა-დასვენების საქმეს აწესრიგებდა. საგულსხმოა, რომ ბავშვებს სწავლას ჭირა არ ხდებოდათ.

ცხრაასიანი წლების დამდეგს გამოდის თავგორის პირველი დიდი სოციალურ-ფსიქოლოგიური რომანები „წველი თვალსა შინა“ და „გაცამტყვრება“, რომლებშითაც ეს მნიშვნელოვანი ჟანრი დამკვიდრდა ინდურ ლიტერატურაში. განსაკუთრებით საინტერესოა რომანი „გაცამტყვრება“, რომელშიაც ასახულია ბენგალელი ინტელიგენციის ცხოვრება, ის კონფლიქტი, რომელაც წარმოიშუება რეალურ ცხოვრებასა და დახვეწებულ ტრადიციებს შორის.

ჩვენი საუკუნის პირველმა წლებმა რადინდრანატ თავგორს არაერთი პირადი უბედურება მოუტანა. სულ რამდენიმე წლის მანძილზე მან ერთიმეორეზე დაკარგა უძვირფასესი აღმამინები, —



მეუღლე, მამა და ქალ-ვაჟი. მაგრამ პირადმა მწუხარებამ ვერ დათრგუნა მისი სულიერი ძალები, დიდა მწერალი არ მოსწყვეტია ლიტერატურულსა და საზოგადოებრივ საქმიანობას.

სწორედ ამ წლებში ინდოეთში განსაკუთრებით გამაფრთხილებელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. რუსეთის 1905 წლის რევოლუციამ გამოაფხიზლა აღმოსავლეთის კოლონიური, დამოკიდებული და ნახევრადამოკიდებული ქვეყნები. რევოლუციური მოძრაობა გაჩაღდა ინდოეთშიც. უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ხალხის მასობრივი ამხედრების ერთ-ერთი უშუალო სახაბი იყო ინდოეთის მამინდელა ვიკე-გუბერნატორის ლორდ კერზონის მიერ თავორას სამშობლოს — ბენგალის დაყოფის გამოცხადება. ინდოეთში ხელახლა აღიმართა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმძლავრესი ზვირთები. 1905 წლის ამ მოძრაობის ძირითადი ლოზუნგები იყო „სვადჰი“ (თვითმმართველობა) და „სვადჰი“ („საკუთარი წარმოება“). თავორი ამ დღეი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. იგი გამოდიოდა კრებებსა და მიტინგებზე, წერდა პატრიოტულ სიმღერებს, რომლებსაც მეორე დღესვე მღეროდნენ ქალაქებსა და სოფლებში.

ამავე წელს თავორმა დააარსა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ეურნალი „ბჰანდარი“, რომლის ფურცლებზე გამოთქვამდა თავის პოლიტიკურ შეხედულებებს, ამხელდა და სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ინგლისურ კოლონიალიზმს. ხატავდა ინდოელი ხალხის ღუბჯირ მდგომარეობას, სახავდა აგრარული რეფორმებისა და ინდური სოფლის გარდაქმნის გეგმებს.

გარდა ამისა, თავორი აქტიურად მონაწილეობდა განათლების ეროვნული საბჭოს საქმიანობაში. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეა და ფილოსოფოსის აურთხინდო გჰოშის ხელმძღვანელობით ეროვნულმა საბჭომ გააერთიანა ბენგალის პროგრესულად განწყობილი სტუდენტობა, რომლებსაც თავორე ლექციებს უკითხავდა.

თავორი ინდოეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კაცი შეიქნა. ათეულ ათასობით აღამიანი მოუთმენლად ელოდა მის გამოსვლას, მის ყოველ სიტყვას. განსაკუთრებით უყვარდა იგი ახალგაზრდობას. მის სახლში იკრიბებოდნენ ქვეყნის საუკეთესო შვილები, ეს სახლი ეროვნულ-განმათავისუფლებელა მოძრაობის ნამდვილი შტაბი იყო.

მართალია, თავორი ბოლომდე არ ვაჰყოლია და 1906 წელს კიდევ ჩამოშორდა მოძრაობა „სვადჰის“. იგა არ ემხრობოდა რევოლუციასა და ძალადობას, პოლიტიკური ბრძოლის საუკეთესო იარაღად რეფორმები და წინააღმდეგობლობა მიიჩნდა, რადგან თავისებურად, უტოპიურად ესმოდა რევოლუციური იდეები. მისი რწმენით სოციალური ცვლილებები ინდოელ

ხალხში განათლების გავრცელებას, საზოგადოების გაფართოებასა და აგრარულ რეფორმებს უნდა მოჰყოლოდა.

რევოლუციურ მოძრაობას ჩამოშორებულმა მწერალმა მთელი თავისი დრო და ენერგია ლიტერატურულ, პუბლიცისტურსა და პედაგოგიურ მოღვაწეობას მიუძღვნა.

1910 წელს გამოვიდა თავორის ლირიკულ ლექსთა ცნობილი კრებული — „გიტანჯალა“. ვინუისტური ბუზიის გავლენით შექმნილი ეს ლირიკულა შედევრები გამსჭვალული იყო პუმიანხმით, კაცთმოყვარეობით, სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულით.

ამავე წელს გამოაცა თავორის რომანი „გორა“, რომელშიაც აღწერილია ნოინდუსიტა ბრძოლა „ბრაჰმო სამაჯის“ წევრებთან. ეს არის თავორის ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი და მნიშვნელოვანი პროზაული ნაწარმოები, რომელაც ეძღვნება კოლონიზატორთაგან ინდოეთის დახსნის გზათა ძიების პრობლემას. რომანი დაწერილია მოძრაობა „სვადჰის“ (1906—1908 წლები) დათრგუნვის უშუალო შთაბეჭდილებით, თუმცა მის გადაყვარათ XIX საუკუნის 70-80-იანი წლების ინდოეთში, იმ ხანაში, როცა ჯერაც არ ვანულებულიყო სიხების აჯანყებით აღძრული მძაფრი ვნებები.

1912 წლიდან მყოფლებული თავორი ბევრს მოგზაურობს უცხო ქვეყნებში, ევროპასა და ამერაკაში. მან წაიკითხა მრავალი ლექცია ინდოეთის ძველთქველესი კულტურის შესახებ. პარაგარდის უნივერსიტეტში მის მიერ წაიკითხილი ფალოსოფიური ლექცია გამოიცა ცალკე კრებულად, რომლის სახელწოდებაა „შადჰონა“.

1913 წელს თავორის მის მიერვე ინგლისურად თარგმნილი „გიტანჯალისთვის“ ნოზელის პრემია მიენიჭა. ამიერიდან მისი სახელი მთელ მსოფლიოში გაითქვა და მისი ნაწერები მრავალ ენაზე ითარგმნა. საინტერესოა, რომ ამავე წელს ქართულმა „სახალხო ვაზთმა“ დაბეჭდა თავორის სურათი და ცნობა იმის შესახებ, რომ ნოზელის პრემია ისტორიკოს პარკელად მიენიჭა აზაის ხალხთა წარმომადგენელს. იმავე წელს დაიბეჭდა ლეო ქიაჩელის სტატია „ინდოეთის თანამედროვე პოეტა“.

1913 წელს კალკუტის უნივერსიტეტში თავორის ლიტერატურის დოქტორის ხარისხი მიანიჭა.

1914 წელს ბენგალელმა მწერალმა, ლიტერატორმა და კრიტიკოსმა პრომოთოო ჩოულჰურიმ დააარსა ეურნალი „შობუჯ ფოთოო“ („მწვეან ფოთლები“). თავორი აქტაურად თანაშრბოლობდა ამ ეურნალში. 1915 წელს აქ დაიწყო მან ბეჭედა თავისი დღეი რომანისა „სახლი და მსოფლიო“, რომელიც 1916 წელს ცალკე წიგნად გამოიცა. ამ რომანში აღწერილი ამბები

მოდრაობა „სვადეშის“ გება. მასში აისახა თაგორის შეხედულებები და დამოკიდებულება ამ მოძრაობასთან.

1915 წელს თაგორმა იმოგზაურა იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც წაიკითხა ლექციების ციკლი, რომელშიაც განმარტავდა ინდოეთის მნიშვნელობას კაცობრიობის ისტორიაში და გმობდა „მანქანის კულტს“, კაპიტალისტური ცივილიზაციის უსულგულობას. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით აღმოსავლეთის ქვეყნებში, კერძოდ, ინდოეთშიც, ხელახლა დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა. ამ ამბით შემუშოებული ინგლისელი ხელისუფალნი იმ ზომამდე მივიდნენ, რომ მოძრაობის ჩახშობას მიზნით 1919 წელს ამერიკაში უიარაღო ხალხს ცეცხლი დაუმინეს და დახვრიტეს. სწორედ ამ ამბის გამო წერდა ლენინი, რომ ეს იყო „მასობრივი მკვლელობა“.

ამრიტსარას ამბებმა მთელი ინდოეთი ააბო-რაიკისა. შიშარწუნებულმა თაგორმა მოაწყო პროტესტის გამომხატველი მიტინგი და თანაც ინდოეთის ვიცე-ხელმწიფეს მისწერა მრისხანე წერალი, რომელშიაც უარი თქვა ინგლისის მთავრობის მიერ მისთვის 1915 წელს მინიჭებულ ბარონეტის ტიტულზე.

20-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თაგორს უშუალო მონაწილეობა არ მიუღია. იმ ხანად საესებათ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობით იყო დაკავებული. მაგრამ როგორც კი ინგლისელი კოლონიზატორები მორიგ ძალადობას მაშართავდნენ და ხალხს შეავიწროებდნენ ხოლმე, თაგორი მუდამ ხმას აღიმადლებდა ხალხის, საშობლოს დასაცავად.

ამ პერიოდში თაგორის უპირველესი საზრუნავი იყო შანტინიკეტონში 1901 წელს დაარსებული სკოლის ბაზაზე ეროვნული უნივერსიტეტის შექმნა. იგი ოცნებობდა, რომ ინდოეთის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს შესწავლათ ინდოეთისა და აზიის სხვა ქვეყნების, პირველ რიგში ჩინეთისა და მუსლიმანური აღმოსავლეთის, უმდიდრესი კულტურა. მისი აზრით ინდოეთში ამ ხანად არსებულ უნივერსიტეტები არ შეესაბამებოდნენ ინდურ კულტურის სულს, მხოლოდ დასავლური უმაღლესა სისწავლებლების თარგზე იყვნენ შექმნილინი.

თაგორმა უნივერსიტეტს გადასცა შანტინიკეტონის მამული, ნობელის პრემია და თავის ნაწარმოებთა ბენგალურ ენაზე გამოცემის უფლება.

20-იან წლებში, მიუხედავად ხანდაზმულობისა, თაგორმა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიარა. იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში (სადაც დაუახლოვდა დიდ ფრანგ

მწერალს რომენ როლანს), გერმანიაში (სადაც შეხვდა ალბერტ აინშტაინს), დანიაში, ავსტრიაში, იტალიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ჩინეთსა და იაპონიაში.

1930 წელს თაგორი ბერლინში შეხვდა ლუნაჩარსკის და მილო მისვან საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის მიწვევა. ამავე წლის სექტემბერში იგი მოსკოვს ჩამოვიდა. საბჭოთა საზოგადოებრიობა განსაკუთრებული ყურადღებით დაუხვდა და ინდოელ მწერალს და მოღვაწეს. თავის მხრივ თაგორმა უდიდესი ყურადღება და ინტერესი გამოიჩინა საბჭოების ქვეყნის მიმართ. მოკლე დროის განმავლობაში იგი შეხვდა მრავალ საბჭოთა მოღვაწესა და მეცნიერს, მწერალსა და მხატვარს, მუშისა და გლეხს. იგი საბჭოთა კავშირის ნამდვილი მეგობარი შეიქმნა და ამ ქვეყანაში მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებები გამოხატა თავის შესანიშნავ წიგნში „წერილები რუსეთის შესახებ“.

12 სექტემბერს საბჭოთა მწერლების ფედერაციის კლუბში წარმოთქმულ სიტყვაში თაგორმა თქვა: „უდიდრესად მოხარული ვარ, რომ რუსულა კულტურის წარმომადგენლებთან შეხვედრის შესაძლებლობა მომეცა. მე ჩამოვედი ამ ქვეყანაში იმისთვის, რომ ვისწავლო. მინდა ვისწავლო თქვენგან და შევიტყო — როგორ გადაწყვიტეთ და როგორ წყვეთ კულტურის საკითხებს. მე აღტაცებული ვარ იმით, რომ თქვენ პარველებმა მიეცით საშუალება მთელ ხალხს განათლებას ზიარებოდა, რომ გახსენით მათ წინაშე სკოლების, თეატრების, მუზეუმების კარები... დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი იდეა ძალზე ჰგავს ჩემს ოცნებას. შემოქმედებითი პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში თქვენ მისს აკეთებთ, რასაც მე, განკერძოებით მომუშავე კაცი, ვერ შევძლებდი. ესაა თქვენი დამახსურება კაცობრიობის წინაშე“.

ზემოსენებულ „წერილებში“ გვხვდება ამგვარი სტიქონები: „ბოლოს და ბოლოს ჩამოვედი რუსეთში. ყოველგვ, რასაც ვხედავ, საუცხოოა. აქაურობა სულ არა ჰგავს სხვა ქვეყნებს, ძირითადად განსხვავდება მათგან. მათ ყველა აღაგზნეს. საზოგადოების საუკუნოვანი კულტურა უბრალო აღამიანების ხელით იქმნება“.

30-იან წლებში თაგორმა კვლავ პოეზიას მიმართა. ამჯერად მისი ინტერესთა სფერო ინდოეთის ფარგლებს შორის ვასცილდა. 1936 წელს დაწერილ ლექსში — „აფრიკა“ პოეტმა მრასხანედ გმობს იტალიის ფაშიზმს, რომელმაც აგრესიულა ომი გააჩაღა აზიისინაში.

1932 წელს თაგორმა უკანასკნელად იმოგზაურა ინდოეთის საზღვრებს გარეთ. მან ინახულა სპარსეთი და ერაყი. ამ მოგზაურობის შედეგად იყო დღაურის სახით დაწერილი წიგნი „სპარსეთში“.



1933 წელს გამოვიდა თავორის რომანი „ოთხი ნაწილი“, რომელშიც მოქრახობა „სვადლვას“ ფონზე ნაწვენებია კონფლიქტი პიროვნებასა და საზოგადოებას შორის.

ამ წლებში იგი ბევრს მოგზაურობდა აგრეთვე მთელ ინდოეთში, სიტყვებს წარმოთქვამდა, სახსრებს აგროვებდა შანტინიკეტონის უნივერსიტეტის გასაფართოებლად. ამასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივსა და კულტურულ ცხოვრებაში. 1936 წელს მწერალი გულითადად მიესალმა „ინდოეთის პროგრესულ მწერალთა ასოციაციას“ შექმნას. თავად ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო ამ ასოციაციის მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

თავორს გაცხოველებული მიწერ-მოწერა ჰქონდა მრავალ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესთან. იგი აღაშფოთა იაპონელი მწერლის ნოგუტის საქციელმა. ეს უკანასკნელი ემხრობოდა იაპონელ იმპერიალისტთა აგრესიულ პოლიტიკას. 1938 წლის 1 სექტემბერს თავორმა ნოგუტის მისწერა ცნობილი წერილი; მან მკვეთრად გააკრიტიკა კულტურის ის მოღვაწენი, რომლებიც გამომწყვდეულან „სპილოს ძვლის კოშკში“ და არც აწუხებთ კაცობრიობის ბედობლი.

1940 წლის დამდეგს თავორის ჯანმრთელობა შესამჩნევად გაუარესდა. მწერალა იძულებული იყო შანტინიკეტონში ეცხოვრა გამოუსვლელად. მასთან ხშირად მიდიოდნენ მკვობრები, მახ-

ლოლები, რომლებთან ერთად იგი ბჭობდა თანადროულობის საქარბორტო საკითხთა გამო. მას კვლავ აწუხებდა სახალხო განათლების საკითხები და რამდენიმე სტატია მიუძღვნა ამ დიდმნიშვნელოვან თემას. მწერლის პუბლიცისტური მოღვაწეობის თავისებური შეჯამებაა სტატია „ცივილიზაციის კრიზისი“, რომელშიაც ავტორი ბრალს სდებს ინგლისურ იმპერიალიზმს, პროტესტს აცხადებს კოლონიზატორთა მიერ ინდოეთის დამონებას გამო.

შემოდგომაზე თავორმა უკანასკნელად იმოგზაურა ინდოეთში. შანტინიკეტონს დაბრუნებული მძიმე ავადმყოფი შეიქნა. ამ მტანჯველ დღეებში შეიქმნა ლექსთა საოცარი კრებულა „სწეულებისას“. 1941 წლის დამდეგს პოეტი შეუდგა მუშაობას ახალი კრებულის შესაქმნელად, რომლის სათაური იყო „გამომჯობინება“. ეს იყო მისი ლექსთა უკანასკნელა კრებული.

გარდა ამ კრებულებისა, თავორმა 1940 წელს გამოსცა მოთხრობების წიგნები „სამი მეგობარი“ და „ბავშვობის შესახებ“, პოპულარული საბუნებასმეტყველო წიგნი „სამყაროს გაცნობა“ და აგრეთვე „ბენგალური ენის სახელმძღვანელო“.

1941 წლის მაისში მთელმა მსოფლაომ იხიმა ინდოეთის დიდი შეილის — რაბინდრანატ თავორის დაბადების ოთხმოცი წლისთავი, ხოლო 30 ივლისს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, თავორი გარდაიცვალა.



### ბ. ქოჩია

## ახალი ბამარჯშებების მოლოდინში...

უხსოვარი დროიდან უყვარდა ქართველ კაცს ცხენი, მშვილდ-ისარი, უყვარდა ფარიკაობა, მეტოქის მკლავის გამოცდა და სიმძიმეების აწევა, უყვარდა შეჯიბრება.

გულთავებელი ომები აიძულებდა ქართველებს დღენიადგ ფიზიკურ მხადუოფნაში ყოფილიყვენ, ცალი ხელი ხმალზე ჰქონოდათ, ცალი ფეხი — უხანგში და ასე ეზრუნათ ოჯახის სარჩოს საშოვნელად, ხოლო ადამიანი, რომელსაც ასეთი სისტემატური წრთობა აქვს გავლილი, ფიზიკურადაც ძლიერია, სულიერადაც უტეხი.

— ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო, — ამბობდნენ ძველი ბერძნები.

ყოველი ერი თავგამოდებით ამტკიცებს ხოლმე თავის დიდებულ წარსულს და, რა თქმა უნდა, არ გაუშვებს შემთხვევას თავი მოიწონოს შეუღარებელი სპორტული ისტორიით.

ჩვენ საბაქიაო რა გვჭირს, როცა ქართველთა სპორტულ წარმატებებს ჯერ კიდევ საუკუნეთა წინ ჰქონდა გაშლილი საერთაშორისო სარბიელი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფარსმან მეფის მხლებლებმა რომის ერთ-ერთ უდიდეს მოედანზე ისეთი მხედრული ოსტატობა აჩვენეს, რომ თვით ყოველსმანხველი რომაელებიც კი უკიდურესად განაცვიფრეს. რომაელებმა ამ უჩვეულო ოსტატობის უკვდავსაყოფად იმ მოედანზე ძეგლიც კი ააგეს.

მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა. იმ წყალმა თან წაიღო საქართველოს სისხლიანი წარსული.

წყალნი წაიღ-წამოვიდნენ და დარჩა ქვეშა... დარჩა ქართველი ხალხი თავის მიწა-წყალზე და ხელუხლებლად შემოინახა წმიდათა-წმიდა ტრადიციები, მათს შორის სპორტიც.

მუდამ დიდი სიყვარულით იხსენიებდნენ თავიანთ უკვდავ ნაწარმოებებში ქართველი პოეტები სპორტს (რად ღირს თუნდაც შოთას: „მოხუბრთალსა მოედანი...“). სპორტი ერის ყო-

ველდიური არსებობის განუყოფელი ნაწილი იყო.

ეს იყო უწინ, საუკუნეთა მიღმა, დღეს კი, როცა სპორტი გვევლინება სახელმწიფოთა ურთიერთდახლოებისა და მეგობრობის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად, მილიონების შეუხლებელი ინტერესის საგნად — გამოჩენილ სპორტსმენებს მთელს მსოფლიოში იცნობენ ისევე კარგად, როგორც იცნობენ დიდ ხელოვანთ, მწერლებს, მუსიკოსებს. მათი სახელები არ სცოდნება პრესის ფურცლებს.

და აი ბრწყინვალე ქართველ სპორტსმენებსაც ჩინებულად იცნობენ მთელს მსოფლიოში.

ათეული წლების მანძილზე ჰქუხდა სპორტულ სამყაროში ჩვენი უბადლო მძლეოსნის ნინო დუმბაძის სახელი, რომლის შესანიშნავი მსოფლიო რეკორდი ბადროს ტყორცნაში შარშანდღამდე ხელუხლებელი იყო. ამ რეკორდს ლეგენდარული ზანგი შორბენლის ჯეკი ოუენის დაუბერებელ რეკორდს აღარებდნენ უტხოეთში, ქართველ მოჭიდავეებს ყოველთვის შორსა ჰქონდათ სახელი გავარდნილი, დღეს კი ისინი მსოფლიო ჩემპიონატებისა და ოლიმპიურ ასპარეზობათა ფავორიტები არიან.

ახლა ჩვენი ფეხბურთელები? ფეხშიშველა, შარკალდაკაიწებულმა ბიჭებმა დაიწყეს ხარის ბუშტის დევნა ამ სამოციოდე წლის წინ, შავი ზღვის სანაპიროზე, და დღეს ბორის პაიჭაძის სპორტული მემკვიდრენი საერთაშორისო ასპარეზზე გავიდნენ ისე, რომ თბილისის „დინამოს“ სახელი მსოფლიოში იცის ყველამ, ვისაც კი რაიმე საქმე აქვს ფეხბურთთან. ავთანდილ ლოლობერიძე, მიხეილ მესხი, გივი ჩოხელი და სხვები დიდი ფეხბურთის უმაღლესი კლასის წარმომადგენლები არიან.

კალათბურთელები, წყალბურთელები, ალპინისტები, მოჭადრაკე ქალები, საუკეთესო ტანმოვარჯიშეები, მძლეოსნები, ჩოგბურთელები? ვინ მოთვლის!

დღეს ამა თუ იმ ქვეყნის სპორტული წონა

საერთაშორისო სარბიელზე, როგორც წესი, ფასდება იმ შედეგებზე, რომლებიც აქვთ მის წარმომადგენლებს ოლიმპიურ თამაშებზე. ძველ ბერძენთა ეს უძვირფასესი ტრადიცია თანამედროვეობისათვისაც უმაღლეს სპორტულ საზომადაა ნაჩვენები.

და თუ ეს ასეა, საქართველო კემშარტიად ოლიმპიურ რაინდთა მხარეა, სადაც არა ერთი და ორი ჩემპიონი წარმოშობილა. საქართველო ნამდვილი ოლიმპიური რესპუბლიკაა.

თვითონ განსაჯეთ:

საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა პირველად მიიღეს 1952 წელს, ჰელსინკში. ეს იყო რიგით XV ოლიმპიადა.

ჩვენი რესპუბლიკიდან ასპარეზზე გამოვიდა 11 სპორტსენი. მათგან ოქროს მედლები მოიპოვეს მოჭიდავე ც. ციმაკურიძემ, შტანგისტმა რ. ჩიმიშვილმა, ტანმოვარჯიშე მ. ჯუღელმა, ბრინჯაოს მედლები ხედათ წილად ნ. დუმბაძეს, ნ. დვალისვილს, ვერცხლისა — ო. ქორჭიას, ნ. ჯორჯიკიასა და ლ. სანაძეს. ჩემპიონობა მოიპოვა აგრეთვე ჩვენმა სასიქაღულო ფალავანმა არსენ მეყოფისვილმა.

ეს იყო პირველი ნაბიჯები ოლიმპიურ სარბიელზე, ვაკეკური, თამაში, გაბედული ნაბიჯები.

1956 წლის თამაშებზე მელბურნში კვლავ გაიბრწყინეს შესანიშნავ ქართველ სპორტსმენთა გვარებმა. გ. კარტოზია უძლიერესი იყო საშუალო წონის კატეგორიაში კლასიკურ სტილით მოჭიდავეთა შორის, ხოლო მ. ცალქალამანიძე — თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის უმჩატეს წონაში. ბრინჯაოს მედლები მიიღეს ნ. დვალისვილმა, რ. ძნელაძემ, ვ. ბალავაძემ, გ. სხირტლაძემ, ბ. ნიკიტინმა, ნ. გვახარიაძემ.

სულ ახლახან, 1960 წელს, საქართველოს წარგზავნილებმა კიდევ ერთი წარუშლელი ფურცელი ჩაწერეს სამშელო და საერთაშორისო სპორტის ისტორიაში რომის ოლიმპიურ თამაშებზე.

ნამდვილი სენსაციური გამარჯვება მოიპოვა რ. შავლაყაძემ, რომელმაც ამერიკელებს ოქროს მედალი წაართვა მათს თითქმის ეროვნულ

სახეობაში — სიმაღლეზე ზტომიანი. ზნეწიქსისა რებდა, რომ პირველ ადგილს რომში ვინმე შეეცალებოდა ამერიკელ ზანგს ჯონ თომასს, რომელიც იმხანებში თითქმის ხუმრობით იღებდა საარაკო სიმაღლეებს და აოცებდა მძლეონობის სპეციალისტებს. რ. შავლაყაძემ რომში ზღვარი დაუღო ამერიკელთა პეგემონიას სიმაღლეთა დაპყრობაში.

ოქროს მედალი მოიგო კიდაობაში ახალგაზრდა ქართველმა მოჭიდავემ ა. ქორიძემაც. ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა გ. სხირტლაძე, ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს გ. კარტოზიამ, ვ. რუბაშვილმა, გ. კოსტავამ.

მეორე ადგილი დაიკავეს საბჭოთა კალთბურთელებმა, რომელთა რიგებში თამაშობდნენ გ. მინაშვილი და ვ. უგრეხელიძე. ზუსტად ასეთსავე წარმატებას მიაღწიეს წყალბურთელებმა, სადაც მონაწილეობდნენ გ. ჩიქვანია და ლ. გოგოლაძე.

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენ დიდია საქართველოს სპორტსმენთა წარმატებები თანამედროვეობის უდიდეს ასპარეზობაში — ოლიმპიურ თამაშებზე, ვიტყვი, რომ მათ უკეთესი შედეგი აჩვენეს, ვიდრე საფრანგეთის, ფინეთის, დანიის, ბულგარეთის, პოლანდიის, შვეიცარიის, კანადის, ბრაზილიის, არგენტინის, ინდოეთის, საბერძნეთის, ესპანეთის დელეგაციებმა.

კიდევ მეტი, ჩვენმა სპორტსმენებმა XVII ოლიმპიურ თამაშებზე დაგროვეს მეტი ქულა, ვიდრე ესპანეთის, პორტუგალიის, საბერძნეთის, ინდოეთისა და ირლანდიის გუნდებმა ერთად.

ამზე უკეთესი საბუთი ერის სპორტული დიდების დასახსიათებლად დღეს არაა საჭირო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართულმა სპორტმა წარმოუდგენელ სიმაღლეებს მიაღწია და მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოებსაც კი გაუსწრო.

ეს დღეს...  
სახეალიოდ კი ჩვენ კიდევ უფრო უკეთესი პერსპექტივები გვაქვს...

კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკები მგლისანი.

ქართველი გულშემატკივრები ახალი გამარჯვებების მოლოდინში არიან.



## ავსტრალია

### მშვიდლი ქალი მშვიდლი მშვიდლი ილუვი

ავსტრალიელი მწერალი ქალი დიმიტრა კასკი თავის ჟურნალში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მშვიდლი მშვიდლია; მისი რომანი „უთხარი სიკვდილი — არა“ ამ ათი წლის უკან გამოვიდა ნიუ-იორკში, მერე გამოვიდა ლონდონში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საბუთთა კავშირში, ხოლო ახლა უნგრეთში იბეჭდება. მთელი მსოფლიო შემოიარა მისმა პიესამაც — „წყნარი ოკეანის სამოთხე“, რომელიც დიდი წარმატებით იღმებოდა ინგლისსა და ავსტრალიაში ტელევიზიითა და რადიოთი. და თარგმნილია რუსულ, უნგრულ, ჩინურ და იაპონურ ენებზე. პიესაში მოქმედება წარმოებს წყნარი ოკეანის ერთ პატარა მშვიდლიან კუნძულზე, სადაც განსრახულია წყალბადის ბომბის გამოცდა. კუნძულის მკვიდრნი ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ და გააქვთ კიდევაც თავისი.

ბოლო წლებში დიმიტრა კასკი უფრო საზღვარგარეთ ცხოვრობს, ვიდრე თავის სამშობლოში — იმდენს მოგზაურობს. მან ორი წელი გაატარა ჩინეთში; აქ დაწერა ნარკვევების წიგნი — „ლაპარაკობენ ჩინელი ქალები“, რომელმაც მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ავსტრალიაში ხან-მოკლე ყოფნის შემდეგ მწერალი კვლავ გაემგზავრა — სინგაპურს, იქიდან კი ლონდონს.

ამ ბოლო ღროს მან კარგა დიდი ხანი დაპყო ალბანეთში, რომლის შესახებაც წერს შთაბეჭდილებათა წიგნს, მერე ეწვია ორივე გერმანიასა და პოლონეთს. დასავლეთ გერმანიისა შეგროვებული მასალების საფუძველზე დაწერა რომანი — „პაპანაქება ბერლინი“, რომელიც იბეჭდება ლონდონში. ამ რომანში ავსტრალიელი ქალიშვილი ცოლად მიჰყვება გერმანელ ემიგრანტს, რომელიც ანტიფაშისტი ჰგონია; ცოლ-ქმარი ომის მერე ჩადის ბერლინში, სადაც ირკვევა, რომ ქმრის ოჯახის წევრები აქტიური პიტლერები ყოფილან და ახლაც ნაცისტურ მოღვაწეობას ეწევიან დასავლეთ ბერლინში.

ამ მოგზაურობის მერე მწერალი მცირე ხნით ეწვია მოსკოვს, სადაც მომავალში უფრო დიდი ხნით აპირებს ჩამოსვლას.

## ავსტრია

### ახალგაზრდობის გადასარჩენად

ავსტრიის საზოგადოებრიობაში უფრო და უფრო მატულობს აღშფოთება დასავლეთ გერმანიიდან ხალხური ლიტერატურის შემოზიდვის გამო. ავსტრიის სხვადასხვა ქალაქის საქალაქო საბჭოები და მრავალი პედაგოგიური ორგანიზაციები მოითხოვენ ამ უხამსი წიგნების, გაზეთებისა და ბროშურების შემოტანის აკრძალვას. მრავალი მოსამართლე, რომელთაც არასრულ-

წლოვან დამნაშავეთა საქმეები ახარიათ, თავის განაჩენებში გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ დასავლეთგერმანული განგაშტერული რომანები, ეროტიული ნაწარმოებები და დეტექტიური რომანები (რომლებმაც თავისი სიუჟეტით აჯობეს კიდევ ამერიკულ ლიტერატურას), იწვევს ავსტრიელი ახალგაზრდობის შორალურ გადაგვარებას. ამ ბოლო წლებში დასავლეთ გერმანიაში გამოვიდა ასეთი, უცარავად პასუხია, ლიტერატურის 800 მილიონამდე ეგზემპლარი.

## არგენტინა

### ინტელიგენციის პროტესტი

არგენტინის მწერალთა ამასწინანდელ ყრილობაზე ლიტერატურის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებმა სასტიკი პროტესტი განაცხადეს ტერორის წინააღმდეგ, რომელიც მიიმედ დასწოლია ქვეყნის მთელს კულტურულ ცხოვრებას. სულ სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების მწერლებმა მოუწოდეს მთელს ინტელიგენციას პროტესტი განაცხადონ წიგნის მაღაზიებში ჩხრეკის გამო, რომელსაც აწყობს ხოლმე პოლიცია, აგრეთვე სტამბების დახურვისა და მრავალი ჟურნალის აკრძალვის გამო. თავიანთ მოწოდებაში მათ აღნიშნეს, რომ არგენტინის კონსტიტუცია არ უზრუნველყოფს კულტურის თავისუფალ განვითარებას.



ს ო შ

ამერიკული კულტურის შესახებ

გამოჩენილმა ამერიკელმა დრამატურგმა არტურ მილერმა უფრანდ „მარტინ“ მისცა ინტერვიუ ამერიკული კულტურის მდგომარეობის შესახებ. მან განაცხადა, რომ საბჭოთა და ფრანგ მწერალთაგან განსხვავებით, ამერიკელ მწერლებს არ შეუძლიათ თქვან: ჩვენს ხალხს სასიცოცხლო ინტერესებსა და მოთხოვნილებებს გამოვხატავთო. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის შეხედულებით, მწერლები არიან უსაქმური ადამიანები, რომლებიც სხვათა გასართობად არიან მოწოდებული. თანამედროვე ამერიკულ დრამატურგიასა და თეატრის შესახებ მილერმა თქვა, ამის მერე სერიოზული ამერიკული თეატრი სულ უფრო და უფრო ექსცენტრული ხდება, ძალზე ბევრ ადგილს უთმობს სექსუალურ საკითხებს და მელიორამატიკური გამსჭვალულობა.

„ნატივი ბასისტობა“

გრამფონოგრაფია უდიდესმა ამერიკულმა ფირმამ გამოუშვა ახალი სერია — „საინფლემბათა ფირფიტები“. მუიდეგულს შეუძლია თავისი ოჯახის წევრებთან ერთად „დატკბეს“ სპექტაკლების, კინოფილმებისა და სატელევიზიო დადგმების ნაწყვეტებით, სადაც მოცემულია მკვლევარებისა და გამოკვების სცენები, სასიკვდილო ხრიალი და სხვა ამგვარი „გასართობი“. თავის რეკლამებში ფირმა აცხადებს: „სამი წუთი — საინფლემბანი, სამი წუთი — კანალი“.

ოსკარის პრემიის ბანდოშტები

მოღიჯულს კინემატოგრაფიის აკადემიამ გამოაქვეყნა სია იმ მსახიობებისა, რომლებიც წარდგენილი არიან კინო-

ხელოვნების უმაღლეს ამერიკულ ჯილდოზე — ოსკარის პრემიაზე. ამ სიაში არიან ელიზაბეტ ტელიორი, ჩარლი მაკლინი, მელინა მერკური, დეზორა კერი, ლოურენს ოლივე და სპენსერ ტრეისი.

უსინამოვნების შიშით

ვილმ „მარგი და ბესის“ პროდიუსერმა სემ გოლდფინმა განაცხადა, ამ ფილმს, რომელშიც მხოლოდ ზანგი მსახიობები მონაწილეობენ, არ გაჩვენებ საშხრეთ შტატებში. რადგან არ მინდა მერე სინდისის ქენჯნამ მომკლას, რასობრივი არეულობის მიზეზი რომ გავხდები.

გერმანია

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

კალსბერგის ბაღი

ქალაქის საბჭო დიუსელდორფში, სადაც დაიბადა ჰაინრიხ ჰაინე, ძალზე მარჯვედ ახერხებს ხელი შეუშალოს გენიალური პოეტის ხსოვნის უკვდავყოფის ყოველ ცდას. ჰაინე თავიანთი მემკვიდრეობა თავის მოუყარეს პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული საგნებისა და ნივთების საკმაოდ მნიშვნელოვან კოლექციას, მაგრამ ამდენი ხანია ვერაფრით ვერ იშოვნეს გამოფენისთვის საჭირო შენობა. ბოლოს, როგორც იქნა, 1960 წელს ქალაქის საბჭომ გამოიყენა ბინა — ეს გახლავთ ქალაქის ბიბლიოთეკის სულ ზედა სართულზე; გამოფენის დათვალიერების მსურველმა უნდა იზოდიროს ურიცხვ დერეფნებში, კიბებზე და ა. შ., რათა ბოლოს როგორმე მიაღწიოს გამოფენას. მუნიციპალიტეტის განკარგულებით თვით შენობაზე არსად არაა თუნდ რაიმე აბრა, რომელიც ხალხს აუწყებდა,

აქა მოთავსებული ჰაინეზადმი მიძღვნილი გამოფენა.

ერაყი

70.000 წლის ადამიანის ჩონჩხი

გამოქვეყნდა ცნობები გრაციის ჩრდილოეთ ნაწილში ჯერ კიდევ 1959 წელს დაწყებული გათხრების შედეგების შესახებ. შანდილის გამოქვაბულში, ბადალიდან 950 კმ-ის დაშორებით, ჯერ ადრეც პოულობდნენ ადამიანის ძვლებს: 1958 წელს აქ იპოვნეს ბავშვის ჩონჩხი, ხოლო 1957 წელს — სამი მოზარდი ადამიანის ჩონჩხი. ოთხივე ჩონჩხი წარმოადგენდა ე. წ. აზიურ ნეანდერტალური ადამიანის ნაშთებს. 1959 წლის გათხრებსაც კარგი შედეგი მოჰყვა — ადრე ნაპოვნი ჩონჩხების ადგილზე, 3-4 მეტრით უფრო ღრმად, იპოვნეს თითქმის ხელუხლებლად შემონახული სამი ჩონჩხი. უკვე დაიწყო მათი დაწვრილებითი ანთროპოლოგიური გამოკვლევა. ვარაუდობენ, რომ ეს ჩონჩხები გამოქვაბულში უნდა შენახულიყვნენ დაახლოებით 70.000 წელი და აღემდენაკლებ მიჯნებული და აღმოჩენილი აზიურ ნეანდერტალური ადამიანის წარმომადგენლები უნდა იყვნენ.

ისრაელი

3.000 წლის ძანდაპაბა

გეზერ-ხაზივის რაიონში, გალილიაში, იპოვნეს 18 სმ ზომის ქანდაკება, რომლის ერთ მხარეზე გამოხატულია უძველესი ღვთაება, მერორე კი ქალის ოდნავ გამკრთალებული სახე. არქეოლოგთა აზრით, ეს ქანდაკება ფინიკიური კულტურის ნაშთია, საიდანაც ასკენიან, რომ I საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე შესაძლებელია ამ რაიონში ყოფილი-



ყოფილიყო დიდი დასახ-  
ლება.

## ინგლისი

### თანამედროვეობა ინგლი- სურ ლიტერატურაში

ინგლისელი პოეტი და პუბ-  
ლიცისტი სტივენ სპენდერი  
„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნ-  
ში“ მოთავსებულ სტატიაში  
იუწყება, რომ „გაბრაზებულ  
ახლავარდათა“ თაობა ინგლი-  
სურ ლიტერატურაში (მათი  
მთავარი წარმომადგენლების  
ოსბორნის, უეინის, ლენინგისა  
და სხვათა სახით) ზურგს აქ-  
ცევს პროზაულ ლიტერატუ-  
რას და მიმართავს კინოსა და  
ტელევიზიას. სპენდერს მოპ-  
ყავს ოსბორნის სიტყვები: თა-  
ნამედროვე საზოგადოების  
ასახვა პროზაში წააგავს „ექო-  
ნომიურ დისკუსიას ინგლისში  
კვერცხის წარმოების თაობა-  
ზე“, მაშინ, როცა მხოლოდ  
კინო და ტელევიზია, სადაც  
შეიძლება „ქვეყნის ნამდვი-  
ლად აქტუალური და გამო-  
სახველობითი სურათის“ ჩვენ-  
ება. სპენდერის აზრით, ლი-  
ტერატურისაგან ამ ჩამოშო-  
რების მიზეზია სექსუალური  
დაექვეება იმაში, რომ ლიტე-  
რატურას შესწევს საზოგადო-  
ებაზე წევადუნის მოხდენის  
ძალა.

### ნოვალის პრემიის კანდიდატი

ნობელის პრემიის ერთ-  
ერთი მომავალი კანდიდატი  
ლიტერატურის დარგში არის  
ინგლისელი მწერალი გრემემ  
გრინი. მას დაწერილი აქვს 8  
რომანი, მრავალი ნოველა და  
პუბლიცისტური ნარკვევი,  
რამდენიმე პიესა და კინოსცე-  
ნარი. ამას წინათ გრინმა და-  
ამთავრა თავისი ახალი რომა-  
ნი — „უიმედო საქმე“, რომ-  
ლის მოქმედება ეკონგომი ვი-  
თარდება.

### შოუს უცნობი პიესა

მალე გამოვა ბერნარდ შოუს  
უცნობი პიესა; პიესაში, რომე-  
ლიც შეიცავს მ მოქმედებას  
და მხოლოდ და მხოლოდ  
1.000 სიტყვას, მწერალი გა-  
მოთქვამს თავის შეხედულებას  
ინგლისის პოლიტიკის თაობა-  
ზე ისრაელში. პიესის მესამე  
მოქმედება სულ ერთი ფრა-  
ზისაგან შედგება.

### შარლოკ ჰოლმსი ოკაპრატაში

ლონდონის ერთ-ერთი თე-  
ატრი დასადგმელად ამზადებს  
ვოლუ მანკოვიჩის ოპერეტას  
კონან დოილის გმირების —  
შერლოკ ჰოლმსისა და ექიმ  
ვატსონის შესახებ.

## იორღანია

### მეფე იორღის სასახლე

ქ. იერუსალიმის ჩრდილოეთ  
ნაწილში მიმდინარე მშენებ-  
ლობის დროს აღმოჩნდა მეფე  
იორღის სასახლის ნაშთი, რე-  
მელიც 2.000 წლისაა.

## იტალია

### სასახლე განათლებას და სარკაბტო მოედანზე

როგორც იტალიური ჟურნა-  
ლი „ტიმპური ნოი“ იუწყება,  
ოფიციალური სტატისტიკის  
მონაცემებით ამჟამად იტალია-  
ში წერაკითხვის სავსებით  
უცოდინარია 5.500.000 კაცი,  
ხოლო 7.700.000 კაცი ჯაბი-  
რით ახერგებს კითხვასა და  
წერას. რომში წერაკითხვის  
უცოდინარობის ლიკვიდაციის-  
თვის ხულ ცოტა 16.000 მას-  
წავლებელი და 2.500 საკლა-  
სო ოთახია საჭირო. სახალხო  
განათლების საქმის მიმე  
მდგომარეობას მეტყველებს  
თუნდაც ასეთი მაგალითი: ამას  
წინათ გამოცხადდა კონკურსი  
იტალიის პატარ-პატარა ქალა-

ქებში მასწავლებელთა ადგი-  
ლებზე. გამოცხადებულ 8.000  
ადგილზე განცხადება შეიტანა  
150.000 მასწავლებელმა. იტა-  
ლიის პროგრესულმა ჟურნა-  
ლისტებმა დაიანგარიშეს, რომ  
მათს ტერიტორიაზე ყოველი  
სარაკეტო მოედნის ადგა მს  
მღრღ ღია ჯდება, ამ ფუ-  
ლით კი 26.000 საკლასო ოთა-  
ხის აშენება შეიძლება.

### ახალი თეატრი

იტალიელ მსახიობთა ჯგუფ-  
მა ივო გარსანის მეთაურობით  
რომში ჩამოაყალიბა ახალი  
თეატრი; თეატრის პირველი  
პიესა ენებოდა ორი იტალიე-  
ლი მუშის — საკოსა და ვან-  
ცეტის ცხოვრებას, რომლე-  
რიც სავსებით უსამართლოდ  
სიკვდილით დასაჯეს 1927  
წელს ამერიკაში. პიესა დაწე-  
რეს ცნობილმა იტალიელმა  
დრამატურგებმა მინო როლიმ  
და ლუჩანო ვინჩენცინიმ.  
სპექტაკლს არანახული წარმა-  
ტება ხვდა და პიესა უკვე  
ითარგმნა რამდენიმე ენაზე.

### კიდევი სტანდალი

რობერტო როსელინიმ თა-  
ვისი ახალი ფილმის სიუჟეტად  
აიღო სტენდალის ნოველა  
„ვანივა ვანინი“. მთავარ როლს  
შეასრულებს ფრანკი კინოსმა-  
ხიობი ქალი მარტინ კაროლი.

## პოლონეთი

### ანტიფაშისტური ლიტერა- ტურა

პოლონელმა ისტორიკოსებმა  
მომზადეს ფაშისტური ოკუ-  
პაციის დროს პოლონეთში გა-  
მოსული ყველა იატაკქვეშური  
გამოცემის კატალოგი; კატა-  
ლოგში მოყვანილია ანტიფა-  
შისტური ლიტერატურის 1.500  
დასახელება და აღნიშნულია,  
რომ ამდენი იატაკქვეშა ლიტე-



რატურა არ გამოსულა გერმანელების მიერ ოკუპირებულ არც ერთ სხვა ქვეყანაში.

### რუმინეთი

#### უცნობი გალილიე

ქ. სატუ მარეში აღმოჩენილი იქნა გალილეო გალილეის წიგნი „Sistemo cosmicum“, რომელიც დაბეჭდა ჰოლანდიის გამომცემლობა „ელზევირმა“ 1632 წელს. ესაა გალილეის სახელგანთქმული დიალოგი, რომელიც შეიცავს 400 გვერდს და დანაწილია სამხარეო შექმნის პტოლომისეულ თეორიას. ამ წიგნის პირველი გამოცემა ინკვიზიციამ მთლიანად მოსპო; ნაპოვნი ეგზემპლარი მეორე გამოცემისაა.

### საბერძნეთი

#### ლოურენს ოლივი — პარიკლე

ცნობილი ფრანგი კინორეჟისორი უიულ დასენი იღებს ფილმს პერიკლესა და, აგრეთვე, „ათენის ოქროს ხანის“ შეხებას. პერიკლეს როლს ასრულებს სახელგანთქმული ინგლისელი მსახიობი ლორენს ოლივი.

### საფრანგეთი

#### წარმოი ბნდრე სტილს

ანდრე სტილის უკანასკნელმა რომანმა — „უფსკრული“ დიდი ინტერესი გამოიწვია არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ აღფრთხილებულ უფრანს წუველში“ გამოქვეყნდა აღფრთხილების ბაშირ ზაჯ ალის წერილი, რომელშიც ნათქვამია: „ქვირფასო ამხანაგო სტილ, შენმა რომანმა „უფსკრული“ ძლიერ ამაღლევა. შენ გესმის ჩვენი, აღფრთხილებისა, და წერ ძმური გრძნობით. ჩემზე ყველაზე მეტად იმოქმედა იმან, თუ რას

განიცდიან ფრანგი მშობლები, რომელთა შვილები საექსპედითო ჯარებში არიან და აღფრთხილი იბრძვიან... მე, ისევე, როგორც ყოველ აღფრთხილს, მანტრატებს, რას ფიქრობენ ფრანგები ამ ომის შესახებ. შენ მაგალითებით ცხადებუე, რომ ფრანგ მუშებსა და ინტელიგენციას ესმით, რარიგ ეწინააღმდეგება ეს ომი საფრანგეთის ღირსებას და მის თავისუფლებისმოყვარულ ტრადიციებს. მე ვიტყვოდი, რომ შენი წიგნი გვაძლევს ახალ შეხედულებას აღფრთხილი ხალხისა და საფრანგეთის მუშათა კლასის ბუნებრივ კავშირზე. „უფსკრული“ — ესაა გულისტკივილით აღსავსე ამოძახილი იმ საფრანგეთისა, რომელიც ჩვენ გვიყვარს, რომელიც აღგავსებს ენთუზიაზმით და რომელსაც ჩვენ, მიუხედავად ყველა სატანჯველისა, ვანსხვავებთ ოფიციალური საფრანგეთისგან...“

### ღამიყვამულისი იუვილიე

ფრანგული ჟურნალი „ფრანს-ოხსერვატიორი“ გულისტკივილით წერს, რომ საფრანგეთის კულტურის მოღვაწეებსა და საზოგადოებრიობას როგორღაც სულ გადაავიწყდათ პოეტ აღფრთხილ დემიუსის დაბადების 150 წლისთავი. ამის საპირისპიროდ ჟურნალი მიუთითებს იმაზე, რომ ეს იუბილე აღინიშნა საბჭოთა კავშირში, სადაც უფრო პატვის სცემენ არა მხოლოდ თავიანთ, არამედ ყველა სხვა ხალხის კლასიკოსებს.

### გამოსვლა აუპრკალეს სიმონა სინიორას

საფრანგეთის ტელეხედვას განზრახული ჰქონდა ჩატარებინა გადაცემათა სერია —

„სინეპანორამა“ ყველაზე უფრო გამოჩენილ კინომსახიობთა და კინომუშაკთა შესახებ. მაგრამ ინფორმაციათა სამინისტრომ ამ გადაცემებში გამოსვლა აუპრკალა ცნობილ მსახიობ ჟალს სიმონა სინიორეს, რომელსაც ამას წინათ მიენიჭა ამერიკული კინემატოგრაფიის უმაღლესი ჯილდო — ოსკარის პრემია ფილმისათვის „გზა მაღალი საზოგადოებისაკენ“; ამ აკრძალვის მიზეზი ისაა, რომ სინიორე მიეკუთვნება კულტურის მოღვაწეთა რიცხვს, რომლებმაც ხელი მოაწერეს „121-თა მანიფესტს“, აღფრთხი მიმდინარე ომის წინააღმდეგ; ტელეგადაცემათა ამ სერიის ორგანიზატორმა განაცხადა, როგორც ჩანს ხელი უნდა ავიღო ჩემს განზრახვაზე, რადგან „სინეპანორამას“ აზრი აღარ ექნება, თუ მონაწილეობას არ მიიღებენ სინიორე, ლიენ რენე და ფრანსუა ტრიუფო.

### უნგრეთი

#### „პატიუ კაბანოზა“

ბუდაპეშტის ოპერის სახელმწიფო თეატრი დასადგმულად ამზადებს ჩემი კომპოზიტორის ლეოშ იანაჩეკის ოპერას — „კატია კაბანოზას“, რომელიც დაწერილია ა. ოსტროვსკის დრამის „ქვეა-ქუბილის“ მიხედვით. დადგმას დიდი ინტერესით მოელოან, რადგან ჩემური მუსიკის ეს შედევრი ჯერ არც ერთხელ არ დადგმულა უნგრეთში.

### კინემატოგრაფიის აყვავება

ჩემოსლოვაკურმა კინემატოგრაფიამ 1960 წელს 28



ქვეყანაში გაიტანა 70 სრულ-  
მეტრაჟიანი და 837 მოკლე-  
მეტრაჟიანი ფილმი. აქაურმა  
ფილმებმა შარშან სხვადასხვა  
საერთაშორისო კინოფესტი-  
ვალზე 52 პრემია მოიპოვეს და  
წელსაც ფართოდ მონაწილეო-  
ბენ მრავალ საერთაშორისო  
ღონისძიებაში. ამ წლის პირ-  
ველ კვარტალში ჩეხოსლოვა-  
კური ფილმის კვირეულები  
ჩატარდა კუბაში, ცეილონში,  
იტალიასა, ტუნისსა და არგენ-  
ტინაში. კინემატოგრაფისტები  
ამჟამადაც გატაცებით ქმნიან  
მრავალ ახალ კინოფილმს.

## ჩინეთი

### თეატრალური ცნობრება

სახალხო ხელისუფლების  
წლებში ჩინეთში აიგო 2.000-  
ზე მეტი ახალი თეატრი. 1960  
წელს ჩინეთში სულ 8.513  
თეატრალური დასი და არტის-  
ტული კოლექტივი იყო. ახალ-  
გაზრდა მსახიობები სწავლობ-  
ენ ორ თეატრალურ ინსტი-  
ტუტში. სცენისმოსყვარეთა  
თეატრების რიცხვმა 800.000-ს  
მიადწია, ხოლო ხალხური შე-  
მოქმედების წრეებში მუშაო-  
ბენ მილიონობით მუშები,

გლეხები, მეომრები და ხტუ-  
დენტები.

## ჰოლანდია

### პირველი პიესა

ცნობილმა ჰოლანდიელმა  
მწერალმა ტონ დე-ფრისმა  
დაწერა თავისი პირველი პიე-  
სა — „ნიშანი სიბნელიდან“,  
რომელშიც ნაჩვენებია აღმო-  
საველეთ აფრიკის ერთ-ერთი  
კოლონიის გამათავისუფლე-  
ბელი ბრძოლა. პიესა დიდი  
წარმატებით დაიდგა გერმა-  
ნიის დემოკრატიულ რესპუბ-  
ლიკაში.



101

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VI-61 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10, პირობით  
ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 748. უკ 03551. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 6.500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შთავაზბოლოგრაფიამომცემლობის ბეჭდვით  
სიტყვის კომბინატი, თბილისი, შარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры  
Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

6 49/35



ՅՅԵՈ 60 ՅՅՅ.

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ**

**„Ц И С Ъ А Р И“**

ИЗДАТЕЛЬСТВО

**„САБЧОТА МЦЕРАЛИ“**